

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ქართულური ენათმეცნიერება**

**ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი**

**”სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები და  
პირთა კომბინაციები ქართულ ზმნაში”**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორის (PH.D.) აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფ.: თ. უთურგაიძე  
სრ. პროფ.: დ. მელიქიშვილი



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

2008

1. შესავალი .....	3
2. თავი I. პირმიმართი და პირმიუმართავი აქტანტები ზმნის პირიანობა და ვალენტობა .....	6
3. თავი II. სუბიექტური პირის ნიშნები .....	9
4. თავი III. ობიექტური პირის ნიშნები .....	39
5. თავი IV. სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები დია- ლექტებში .....	71
6. თავი V. ერთპირიანი ზმნები ძველსა და ახალ ქართულში ....	152
7. თავი VI. ორპირიანი გარდაუვალი ზმნების პირთა კომბინა- ციები ძველსა და ახალ ქართულში .....	156
8. თავი VII. ორპირიანი გარდამავალი ზმნების პირთა კომბი- ნაციები ძველსა და ახალ ქართულში .....	173
9. თავი VIII. სამპირიანი ზმნების პირთა კომბინაციები ძველსა და ახალ ქართულში .....	180
10. დასკვნები .....	191

## შესავალი

ცნობილია, რომ ენა ცვალებადია, სახეს იცვლის ძველი ფორმები ან საერთოდ ქრება და ჩნდება ახალი. ქართული ენა აგლუტინაციური ტიპისაა, ე.ი. ყოველ გრამატიკულ კატეგორიას გარკვეული მორფემა გამოხატავს. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა ზმნა, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვება. ეს გრამატიკული კატეგორიები გამოხატულია მორფემებით და შესაბამისად, ზმნის ფორმა იშლება შემადგენელ ელემენტებად. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გვაქვს ფლექსიური ენის მოვლენებიც, რის გამოც ზოგჯერ რთულდება ზმნის ფორმის ანალიზი. ერთი და იგივე გრამატიკული კატეგორია რამდენიმე მორფემით გამოიხატება ან, პირიქით, რამდენიმე გრამატიკული კატეგორია გამოიხატება ერთი მორფემით. ვიღებთ მრავალფეროვნებას, რომელიც სხვადასხვაგვარ ახსნას მოითხოვს.

ქართული ზმნის მრავალპირიანობა განსაზღვრავს ზმნის ფორმაში როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური აქტანტების მარკირებას, რომელიც მუდმივ ცვალებადობაშია და ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს ზმნის ფორმაში სუბიექტური და ობიექტური აქტანტების გამოხატვასთან დაკავშირებული საკითხები და პირის ნიშანთა ცვლილებები დინამიკაში ძველი ქართულიდან დღემდე. შექცებისდაგვარად გამოავლინოს ის ფაქტორები, რომლებიც იწვევენ პირის ნიშანთა სახეცვლას. წარმოდგენილია მასალა ძველი ქართულისა და საშუალის ტექსტებიდან, ასევე თანამედროვე სალიტერატურო ენიდან და დიალექტებიდან. გაანალიზებულია პირთა კომბინაციების თითქმის ყველა შემთხვევა, ნულოვანი ალომორფებით წარმოდგენილია პირისა და რიცხვის ნიშნები, რომლებიც მორფოლოგიურად მოსალოდნელია ზმნაში, მაგრამ დაკარგულია სხვადასხვა მიზეზთა გამო. შევეცადეთ აგვეხსნა, რა იწვევდა და რა იწვევს სუბიექტურ-ობიექტური აქტანტების გამომხატველ მორფემათა სახეცვლას ან დაკარგვას და რა ცვლილებებია მოსალოდნელი უახლოეს მომავალში.

ქართულში ზმნის უღლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ფორმის ცვლას პირისა და რიცხვის მიხედვით. პირთა ცვლა პრეფიქსაციის პრინციპზეა დამყარებული გარდა მესამე სუბიექტური პირისა, რომელიც, როგორც ვიცით, სუფიქსური მორფემებითაა გამოხატული როგორც მხოლოდობით, ასევე

მრავლობით რიცხვში. რაც შეეხება მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანს, იგი პირსა და რიცხვს ერთდროულად აღნიშნავს, ხოლო სუბიექტური და ობიექტური პირების რიცხვის გამოხატვა სუფიქსაციის პრინციპს ეყრდნობა. ამ საერთო წესიდან გამონაკლისია ობიექტური პირველი პირიც, რომელიც პრეფიქსია და გამოხატავს პირსა და რიცხვს ერთდროულად.

პირისა და რიცხვის ნიშნებთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში მრავალი კითხვა დაისმის: რატომ არის წარმოდგენილი მესამე სუბიექტური პირის ნიშნები რამდენიმე მორფემით, რატომ არის მესამე სუბიექტური პირის ნიშნები სუფიქსები და ყველა დანარჩენი პრეფიქსები, რატომ აღნიშნავს მესამე სუბიექტური პირის ნიშანი პირსა და რიცხვს ერთდროულად, რამ განაპირობა მეორე სუბიექტური პირის ნიშნის აუცილებელი ხმარება ძველ ქართულში, რომელიც თანდათანობით დასუსტდა და დღეს საერთოდ ნულოვანი ალომორფით შეიცვალა, ჰქონდათ თუ არა პირდაპირ და ირიბ ობიექტურ პირებს ერთნაირი ნიშნები სამივე პირში, რატომ გამოხატავს პირველი ობიექტური პირის ნიშანი პირსა და რიცხვს ერთდროულად, როგორ იყო გამოხატული სუბიექტური და ობიექტური აქტანტების მრავლობითობა ზმნის ფორმაში ძველსა და ახალ ქართულში?

ნაშრომში წარმოდგენილია ყველა ის მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მათი გათვალისწინებითა და ენობრივი მასალის გაანალიზებით მივიღეთ გარკვეული დასკვნები.

მოცემულია პირთა კომბინაციები ძველსა და ახალ ქართულში (ორპირიანი გარდაუვალ-გარდამავალი ზმნების, სამპირიანებისა და ერთპირიანი ზმნების უღლება ერთი მწკრივის ფარგლებში).

პირთა კომბინაციების დროს გავითვალისწინეთ რანგთა თეორია. თ. უთურგაიძის აზრით, პირთა დაყოფა სუბიექტ-ობიექტებად (პირდაპირი და ირიბი) ნიშნავს თითოეულის წარმოდგენას დამოუკიდებელ კატეგორიებად. „სუბიექტი, როგორც კატეგორია, სრულიად განსხვავებულია ობიექტისაგან: ქართულ ენაში სუბიექტი ზმნური ქმედების ინიციატორია, რაც შეუძლებელია ობიექტისათვის; პირდაპირი ობიექტი პაციენსია, იგი შეიძლება იყოს პაციენს-ექსეკუტორი, მაგრამ ვერ იქნება ინიციატორი. ექსეკუტორი შეიძლება იყოს ირიბი ობიექტიც, მაგრამ იგი ვერ იქნება ვერც ინიციატორი და ვერც პაციენსი. ირიბი ობიექტი ბენეფაქტიური

(resp. მალეფაქტიური) პირია ფუნქციური ვარიაციებით. აქტანტოზორის სისტემაში არსებითია აქტანტოზ ზმნურ ქმედებაში მონაწილეობის ხასიათი: ქმედების ინიციატორობა, ქმედების პაციენსობა, ბენეფაქტივის როლი ქმედებაში. ხოლო ერთი და იმავე აქტანტის საუბარში მონაწილეობის როლის მიხედვით განისაზღვრება I, II, III პირი, ანუ  $S_1, S_2, S_3$  ან  $O_1, O_2, O_3$ . ეს არის კატეგორიათშორისი სისტემა. I, II, III პირები იდენტური ქცევით ხასიათდებიან კატეგორიათშორისი სისტემის ფარგლებში (თ. უთურგაიძე, 20002; 12-13).

აქედან გამომდინარე, რანგთა სისტემაში როგორც სუბიექტს, ასევე ობიექტებს თავ-თავისი რანგი უნდა ჰქონდეს და წარმოდგენილი უნდა იყოს სათანადო ნიშნებით. ამ თვალსაზრისით განვიხილეთ პირთა კომბინაციები როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში და ნულოვანი ალომორფებით აღვნიშნეთ ყველა ის პირის ნიშანი, რომელიც მორფოლოგიურად ზმნაში წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალურად, მაგრამ არ არის. მიზეზი სხვადასხვაა. შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად გაგვერკვია თითოეული შემთხვევა. როგორც ცნობილია, ზმნის ფორმაში გამოვლენილი პირის ნიშანთა რაოდენობა არ აღემატება ორს. ამდენად, სამპირიან ზმნებში, ერთი პირი აუცილებლად ნულოვანი ალომორფით გამოიხატება. ამასთანავე გვაქვს უამრავი ისეთი შემთხვევა, როდესაც ორპირიან ან სამპირიან ზმნებში არცერთი პირის ნიშანი არ არის გამოვლენილი მატერიალურად, ან მხოლოდ ერთია წარმოდგენილი. ხშირია ისეთი ერთპირიანი ზმნებიც, რომლებშიც პირის ნიშანი არ არის დაფიქსირებული. ყველა ასეთი შემთხვევა ნულოვანი ალომორფებით აღვნიშნეთ და გავაანალიზეთ, რა იყო ნულოვანი ალომორფის არსებობის მიზეზი.

პირთა კომბინაციების დროს, როგორც ცნობილია, ზოგიერთი ფორმა ერთმანეთს ემთხვევა გამოსატულების პლანში, მაგრამ გრამატიკულად ისინი სრულიად სხვადასხვაა. ამიტომ მათგან ერთ-ერთის არჩევა და დანარჩენის უგულებელყოფა გაუმართლებელია. მათ, როგორც ენობრივ ნიშნებს, სისტემაში განსხვავებული ღირებულება აქვთ.

**თავი I**  
**პირმიმართი და პირმიუმართავი აქტანტივი ზმნის**  
**პირიანობა და ვალენტობა**

ზმნა ქართულ ენაში რთული მეტყველების ნაწილია. იგი არის მოქმედების აღმნიშვნელი ფორმაცვალებადი სიტყვა, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვება (ა. შანიძე, 1973: 163).

ქართული ზმნის სირთულე და თავისებურება ასევე მდგომარეობს მის მრავალპირიანობაში: სუბიექტური პირის გარდა, მასში წარმოდგენილია ობიექტური პირებიც.

ზმნის პირიანობის საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი თვალსაზრისი არსებობს.

ა. შანიძე წერს: „ქართული ზმნის ერთსა და იმავე ფორმაში შეიძლება გამოხატულ იქნეს ერთი, ორი ან სამი პირი. იმის გამორკვევისათვის, თუ რამდენი პირია გამოხატული ერთ ფორმაში, შემთხვევათა დიდისაგან დიდს უმრავლესობაში ეს ხერხი გვშველის: ზმნას უნდა შევუწყოთ პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, იგი, მან, მას, ჩვენ, თქვენ, ივინი, მათ და რამდენსაც მოიხდენს ამათგან ესა თუ ის ფორმა, პირიც იმდენი იქნება შიგ. ამასთანავე ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ნაცვალსახელთაგან ისინი, რომლებთანაც საზოგადოდ თანდებულის დართვა შეიძლება (ასეთებია: ჩვენ, შენ, თქვენ, მას, მათ), ამ შემთხვევაში სუფთად უნდა იყვნენ წარმოდგენილი, ე.ი. არავითარი თანდებული (-ში, -ზე, -თან, -თვის და სხვ.) არ უნდა ახლდეს“ (იქვე: 171).

ავტორი განაგრძობს, აგებულების მიხედვით ქართული ზმნის ფორმა ორგვარია: აბსოლუტური (ანუ მიუმართავი) და რელატიური (ანუ მიმართებითი).

აბსოლუტური აგებულებისაა ფორმა, როცა მასში მარტოდენ ერთი პირია გამოხატული. ეს პირი, ჩვეულებრივ, სუბიექტია, მაგალითად: ვდგები (მე), ვართ (ჩვენ), წვები (შენ), იმალებით (თქვენ), ცურავს (ის), მიდიან (ისინი) და მისთ.

რელატიური აგებულებისაა ფორმა, როცა მასში ორი ან სამი პირია გამოხატული; ამათგან: ორპირიან ზმნაში ერთი პირი სუბიექტისაა, მეორე კი –

ობიექტისა, მაგალითად: დაეწერ (მე მას), დახატავ (შენ მას), ააშენებს (ის მას), გნახავ (მე შენ), მიღალატე (შენ მე), დამეკარგა (ის მე), შევკერეთ (ჩვენ ის), მოქსოვეთ (თქვენ ის), წვავენ (ისინი მას) და მისთ.

სამპირიან ზმნაში ერთი პირი სუბიექტისაა, ორი კი – ობიექტისა (პირდაპირისა და ირიბის), მაგალითად: დაეუწერე (მე მას ის), მიუტანე (შენ მას ის), მისცეს (მათ მას ის) და მისთ.

როგორც ვხედავთ, სუბიექტური პირი საზოგადოდ ყოველგვარ ფორმაშია ნაგულისხმევი, ობიექტური კი – მხოლოდ მაშინ, თუ ფორმაში ორი ან სამი პირია გამოყვანილი (ა. შანიძე, 1973: 172).

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ქართული ზმნა, ევროპულისაგან განსხვავებით, შეიძლება აღნიშნავდეს როგორც სუბიექტის პირს, ასევე ობიექტის (პირდაპირისა და ირიბის) პირებსაც. შესაბამისად ზმნა იქნება ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი. (არნ. ჩიქობავა, 1950: 053–055).

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ზმნის პირიანობის გვერდით განიხილება ვალენტობის საკითხიც.

თ. გამყრელიძე აღნიშნავს: „ზმნური ფორმის უნარს, შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელთა), ანუ „აქტანტების“ განსაზღვრული რაოდენობა, შეიძლება ზმნის „ვალენტობა“ ეწოდოს. მაშასადამე, მოცემული ზმნური ფორმის „სინტაქსური ვალენტობა“ განისაზღვრება წინადადების ბირთვში თავისუფალ უჯრედთა რაოდენობით. ამის მიხედვით ზმნა შეიძლება იყოს ნულვალენტიანი, ანუ უაქტანტო (თოვს, წვიმს), ერთვალენტიანი (წევს, ზის), ორვალენტიანი (კლავს), სამვალენტიანი (სწერს) და ა.შ.“ (თ. გამყრელიძე, 2000: 136).

ავტორის აზრით, „არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ზმნის „სინტაქსური ვალენტობა“, ანუ ზმნური ფორმის უნარი, შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელთა), ანუ „აქტანტების“ გარკვეული რაოდენობა და ზმნის „პირიანობა“, ანუ ზმნურ ფორმაში ამ სახელთა (resp. ნაცვალსახელთა) პირის გამომხატველი მორფოლოგიური ნიშნის წარმოდგენა“ (იქვე: 141).

ქართული ზმნა ვალენტობის თვალსაზრისით ნულიდან ოთხამდე (0...4) დიაპაზონში მოთავსდება. ქართული ზმნა სუბიექტურ-ობიექტური წყობისაა. „პირიანობის თვალსაზრისით, ის შეიძლება დახასიათდეს როგორც ერთპირიანი („მონოპერსონალური“), ან გარკვეულ შემთხვევაში – ორპირიანი („ბიპერსონალური“) სტრუქტურა“ (იქვე: 136).

ზმნის პირისა და პირიანობის საკითხის განსაზღვრისას თ. უთურგაიძე აუცილებლად მიიხნევს, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს პირის კატეგორია და პირთა დაყოფა სუბიექტად და ობიექტებად. ესენი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კატეგორიებია. მისი აზრით, უნდა განირჩეს კატეგორიის ელემენტთა მიმართების ორი სახეობა: 1. ელემენტთა მიმართება ცალკე კატეგორიის მიკროსისტემაში და 2. ელემენტთა მიმართება კატეგორიათშორის სისტემაში. კატეგორიის შიდა სისტემაში არსებითია ერთი და იმავე აქტანტის როლი საუბარში მონაწილეობის მიხედვით ( $S_1, S_2, S_3$  ან  $O_1, O_2, O_3$ ), აქტანტთშორის სისტემაში კი არსებითია აქტანტთა თვით ქმედებაში მონაწილეობის ხასიათი (თ. უთურგაიძე, 2002: 10–13).

კატეგორიათშორის სისტემაში აქტანტებს ავტორი უწოდებს პირმიმართ და პირმიუმართავ აქტანტებს იმის მიხედვით, მათ ზმნაში საკუთარი ნიშნები აქვთ თუ არა. პირმიმართი აქტანტების ჯგუფი ( $S, O^d, O^{ind}$ ), პირმიუმართავთაგან განსხვავებით, ზმნაში მარკირებულია. მისი აზრით, პირმიმართ აქტანტთა პირმიუმართავთაგან გამიჯვნა პირობითია – დამოკიდებულია ზმნურ კატეგორიათა კომბინაციაზე, რომელიც იქმნება კონკრეტულ ფორმაში (იქვე: 16).

რანგთა სისტემაში სუბიექტსა და ობიექტებს თავ-თავისი რანგი აქვთ, შესაბამისად სათანადო ნიშნებით გამოხატული: სუბიექტური პირი ზმნის ფორმაში სუბიექტური პირის ნიშნებითაა გადმოცემული, ხოლო ობიექტური პირები კი – ობიექტური პირის ნიშნებით. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე. სუბიექტური პირის ნიშნები ზმნას თავშიც მოუდის და ბოლოშიც. როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში I და II პირის ნიშნები თავსართებია, III პირის ნიშნები კი – ბოლოსართები.



**თაზი II**  
**სუბიექტური პირის ნიშნები**  
**პირველი სუბიექტური პირის ნიშნები**

პირველ სუბიექტურ პირს მხოლოდით რიცხვში, როგორც ცნობილია, ერთი ნიშანი აქვს. ეს არის პრეფიქსული მორფემა {ვ-}, რომლის პოზიციური ვარიანტებია /ვ-~/ჲ-~/Ø-/ ძველ ქართულში, /ვ-~/Ø-/ – თანამედროვე ქართულში. რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, ზმნის ფორმაში არაფერი იცვლება, მხოლოდ მრავლობითობის გამომხატველი -თ სუფიქსი ემატება.

ძველ ძეგლებში პირველი სუბიექტური პირის ნიშანი /ვ-/ გვხვდება თანხმოვნების წინ, ხმოვანთაგან კი – ა, ი, ე-ს წინ. მაგალითად: ვ-ზრდი, ვ-წერ, ვ-ხატავ, ვ-ამბობ, ვ-აქვბ, ვ-იცი, ვ-ემალევი, ვ-ეუბნები, ასევე ზმნისწინიან ფორმებთან: და-ვ-წერ, და-ვ-ხატავ, შე-ვ-აქვბ, გადა-ვ-იწერ, და-ვ-ემალევი.

ჲ გვხვდება ძველ ქართულში ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში, როდესაც გვაქვს III ობიექტური პირის ნიშანი ხ- (ხანმეტში) ან ჰ- (ჰაემეტში). ამ პოზიციაში პირის ნიშანთა რიგი ფონეტიკური მიზეზით შებრუნებულია – ჯერ ობიექტური პირის ნიშანია წარმოდგენილი, შემდეგ – სუბიექტური. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს: „ვ ქართულში მეტად მოძრავი ბგერაა, რიმელიც შეიძლება გადაისვ-გადმოისვას სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოებაში. ამგვარ შემთხვევებში ვ-ინი ჯერ ადგილს იცვლის, ხოლო შემდეგ ის ვ-ინი უკვე უმარცვლო უ-დ იქცევა. მაგალითები: ხ-უ-კითხე < ვ-ხ-კითხე, შე-ხ-უ-ძინე, ხ-უ-აჩვენე, ხ-უ-ეცოდე“ (ა. შანიძე, 1976: 5).

ვ-ხ ( $SiO_3$ ) თანამიმდევრობის შეცვლა ხ-უ (ხ-ჲ) თანამიმდევრობით მორფონოლოგიური გარდაქმნის შედეგია: ფონემატური წესით /ვ-/ არ უძღვის ჩქამიერ თანხმოვნებს ერთი მორფემის ფარგლებში (გამონაკლისები უმნიშვნელოა) და შებრუნებული რიგი – ჩქამიერი თანხმოვანი + /ვ-/ – ჩვეულებრივი და გავრცელებული კომბინაციაა. ფონემატური მოდელის ზემოქმედებით მორფოლოგიური {ვ-ხ-} თანამიმდევრობა გადაიქცა /ხვ-/ თანამიმდევრობად. ცვლილება ამის შემდეგაც ხდება: ძველ ქართულში /ვ/-ს ალოფონებია [ვ] და [ჲ]. ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ, როგორც წესი, ძველ ქართულში [ჲ] ვარიანტი გვხვდება ერთი მორფემის ფარგლებში, მათ შორის /ხ/-ს მომდევ-

ნოდაც: სხუა, ხახუ, ხუეტა, ხუეწა და სხვ. (ვ.თოფურია, 2002: 7). ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისი /ხ/-ს მომდევნოდ /ვ/-ს ხმარებისა არის **ხვალე** (მოსალოდნელი **ხუალე**-ს ნაცვლად). სავარაუდებელია, ამ გამონაკლისის სახით საქმე გვქონდეს ნასესხებ სიტყვასთან; შდრ.: ხუატი, ხუარბალი, ხუასტაგი, სადაც ფონემათა იგივე /ხვა/ [ხუა] თანამიმდევრობა გვაქვს, რაც **ხვალე** სიტყვის დასაწყისშია, ყველგან /ხვ/ ფონეტიკურად [ხუ] ვარიანტს იძლევა; სონორი /ლ/-ს გავლენა ამ ფონეტიკურ გარდაქმნაში გამორიცხულია (შდრ.: ხუაღბალი, ხუღინვა, ფეშხუეძი – მომდევნო სონორები **ღ** და **ძ** გავლენას ვერ ახდენენ /ხ/-ს მომდევნო /ვ/ ფონემის [უ] ვარიანტზე).

საყურადღებოა **აღუმართე** ფორმაც („მე, თათვარაზ, აღუმართე ესე ჯვარი, ისტ. ქრ. I, 15), სადაც პირის ნიშანი {ვ-} უშუალოდ ზმნისწინს მოსდევს. აქაც, მსგავსად ზემოთ განხილული ცვლილებისა (ხვ>ხუ), ვ>უ პოზიციურად არის შეპირობებული ჩქამიერი /ლ/-ს მომდევნოდ.

მაგ.: მე თითითა ღმრთისადთა გან-**ხუასხამ** ეშმაკთა (ლ. 11. 20).

ხოლო მე არა **ხუ**-ეძიებ დიდებასა ჩემსა (ი.8. 50).

ჩუენ მი-**ხუტევე**თ თანამდებთა მათ (მ. 6. 12).

ჩუენ **ხუაყენებ**ლით მას (ლ. 9. 40).

ჩუენ ყოველი და**ხუტევე**თ (მ. 19. 27).

ჩუენ **ხუარწმუნო**თ (მ. 28. 14).

თუ უმარცვლო უ-ს მოსდევს ი ხმოვანი (ვნებითის ან სათავისო ქცევის ნიშანი), ხდება მათი შერწყმა და ვიღებთ ვ (უ+ი=ვ) დიფთონგს. ამ შემთხვევაში, როგორც ი. იმნაიშვილი აღნიშნავს, ვ არ არის მარტო პირველი სუბიექტური პირის ნიშანი, მასში შესულია გვარის ან ქცევის ნიშანი ი-ც. აქ ვ-ს პირის ნიშნად მხოლოდ პირობითად ვთვლით (ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996: 23).

ვ არ შეიძლება პირის ნიშნად ჩაითვალოს არც პირობით და არც უპირობოდ. მორფოლოგიური ანალიზის დროს ვ უნდა ჩაიწეროს /ჴი/-ს სახით. მაგალითად, ხუყავ მორფოლოგიურ ანალიზში ასე წარმოდგება: ხ-ჴი-ი-ყავ, სადაც პირველი სუბიექტური პირის ნიშანი არის ჴი-. ასევე თავგ მორფოლოგიურ ანალიზში ჩაიწერება თავუ-ი სახით.

ჟ ძველ ქართულში ბიფონემური ნიშანია, იგი ერთდროულად ორ ფონემას გამოხატავს /ვ/-სა და /ი/-ს, უფრო ზუსტად, /ვ/ ფონემის [უ] და /ი/ ფონემის [ი] ვარიანტებს. ასეთ შემთხვევაში ჟ არ განიხილება ერთ ელემენტად არც ფონოლოგიაში და არც მორფოლოგიაში. ანალიზის დროს იგი უნდა განვიხილოთ ჟ-ღ შემადგენელთა მიხედვით. მაგალითად:

მე ჰვცოდუ რ~ მარადის ისმინი ჩემი და ერისა ამისთჳს... (ჰაემეტი ტექსტები, 387).  
რ~ი მე სათნო ჰვყავ მაგისი (6r12, ჰაემეტი ტექსტები).

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში ჟ ნიშანი ზოგჯერ მხოლოდ /ვ/ ფონემას გამოხატავს, უფრო ზუსტად – /ვ/ ფონემის [ჟ] ალოფონს, ასეთ შემთხვევაში ანალიზი ხდება მხოლოდ თანხმოვანი ფონემისა, /ი/-ზე მსჯელობა აქ გამო-რიცხულია.

ახლა განვიხილოთ სუბიექტური პირველი პირის Ø ალომორფის შემთხვევები ძველსა და ახალ ქართულში.

ორპირიან ზმნაში, როცა ერთად არის მოცემული პირველი სუბიექტური და მეორე ობიექტური პირები, მაშინ ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი სუბიექტის პირველი პირი: გ-ზრდი (მე შენ), გ-აწუხებ (მე შენ), გ-ეხმარები (მე შენ). უნდა ყოფილიყო: გ-გ-ზრდი, გ-გ-აწუხებ, გ-გ-ეხმარები. ასეთი რამ არც ახალ და არც ძველ ქართულში არ გვხვდება (არნ. ჩიქობავა, 1950: 054).

რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, ზმნის ფორმას ემატება მრავლობითობის გამომხატველი -თ სუფიქსი, სხვა ყველაფერი კი იგივე რჩება (ივარაუდება ობიექტი მხოლოდობით რიცხვში). ა.შანიძის აზრით, შეიძლება ზმნის ფორმაში არ იყოს გამოხატული მატერიალურად რომელიმე პირი, მაგრამ მისი არსებობა პირთა კომბინაციაში უთუოდ იგულისხმება (ა. შანიძე, 1973: 194).

მაგალითად:

გზრდი-თ (ჩვენ შენ), გლოცავ-თ (ჩვენ შენ),  
გაითხავ-თ (ჩვენ შენ მას), გეხმარები-თ (ჩვენ შენ),  
გპატრონობ-თ (ჩვენ შენ), გაწუხებ-თ (ჩვენ შენ) და ა.შ.

„ვ“ იკარგება აგრეთვე ვალ/ველ/ვიდ ზმნის წინ უგამონაკლისოდ. მოსალოდნელი იყო მო-ვ-ვედი, მო-ვ-ვალ, მაგრამ გვაქვს მო-ვედი, მო-ვალ, მო-ვიდე. ცნობილია, რომ აღნიშნულ ზმნებში /ვ/ დაიკარგა იმიტომ, რომ II პირის ფორმებში შემონახულია პირის ნიშანი /ხ-/ და პირველი და მეორე პირის ფორმები /ვ/-ს გარეშეც ერთმანეთისაგან მკაფიოდ არის გარჩეული: მოვედი ~ მოხვედი, მოვალ ~ მოხვალ, მოვიდე ~ მოხვიდე. რაც შეეხება ვ-ინით დაწყებულ სხვა ფუძეებს, ძველ ქართულში ვ- ზოგჯერ პირის ნიშნად არ იხმარებოდა (ვარდები, დავარდი). თანამედროვე ქართულში ამგვარ ზმნებში /ვ/-ს წარმოჩენა მარკირების აუცილებლობით არის განპირობებული: ვვარჯიშობ, ვვარდები... ჩვეულებრივ, მეტყველებაში ერთი ვ გამოითქმის, მაგრამ ორი იწერება.

ო-სა და უ-ს წინ ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, ვ- არც იწერებოდა და, უნდა ვივარაუდოთ, არც გამოითქმოდა. მაგ.:

დაობლდით მათგან და არა გუაქუს, თუ ვისა წარვიდეთ (მ. ცხ. 87ლ).

უფლისა მოსვლად კართა ზედა გუადგეს, და ჩვენ ორგულებთ (საკ. წ, II, 52, 28).

შეორგულდი მე და ათნი იგი ჩემ თანა (ისტ. ქრ. I, 234,15).

რაც შეეხება პირველი სუბიექტური პირის Ø ალომორფს უ-ს წინ, ასეთი შემთხვევები ბევრია. უ არის სასხვისო ქცევის ნიშანი, რომელიც პირის ნიშანსა და ფუძეს შორის არის წარმოჩენილი. ასეთ შემთხვევაში /ვ-/ არ დასტურდება: უთხარ, დაუწერე, უჩვენე, მოუწოდე, განუტეხე, მიუტევე და სხვ.

განსხვავებული სურათია ამ მხრივ IX ს-ის შემდეგდროინდელ ტექსტებში, სადაც I და II პირის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. რადგანაც მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ხმოვნების წინა პოზიციაში ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი. მაგალითად: მეშენ უთხარი, მეშენ დაუწერე, მეშენ უჩვენე, მეშენ მოუწოდე და სხვა. მათი განსხვავება კონტექსტის საშუალებით ხერხდება.

ახალ ქართულში უ ხმოვნის წინ /ვ/-ს წარმოჩენა აუცილებელია, რათა არ იქნეს არეული პირველი და მეორე პირის ფორმები. ეს აუცილებლობა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმითაც არის დაცული. მაგალითად: ვ-უთხარი, ვ-უწერ, ვ-უამბობ ვ-უხატავ და სხვ. ვფიქრობთ, ესენი ხელოვნურად შექმნილი ფორმებია.

## მეორე სუბიექტური პირის ნიშნები

ახლა წარმოვადგენთ მეორე სუბიექტურ პირს და მის ნიშნებს. აქ ცალ-ცალკე განვიხილავთ როგორც ხანმეტ, ჰაემეტ, სანნარევ ფორმებს, ასევე თანამედროვე ქართულისასაც.

ხანმეტ ძეგლებში მეორე სუბიექტური პირის ნიშნად გვაქვს /ხ-/ ზმნის ყველა ფორმაში (გარდა ბრძანებითისა), – ეს იქნება ხმონით თუ თანხმონით დაწყებული: ხ-ტირ, ხ-წერ, ხ-იცი, ხ-აქე...

მრავლობითში მხოლოდ მრავლობითის მაწარმოებელი -თ სუფიქსი ემატება და ზმნის ფორმაში არაფერი იცვლება: ხ-ტირ-თ, ხ-წერ-თ, ხ-იცი-თ, ხ-აქე-თ...

მეორე სუბიექტური პირის ნიშანი /ხ-/ ხანმეტი პერიოდიდან გადმონაშთის სახით დღეს მხოლოდ ორ ზმნაში შემოგვრჩა: ხ-არ და მო-ხ-ვალ, მო-ხ-ვედი, მი-ხ-ვიდე.

ჰაემეტ ძეგლებში ხანმეტობისათვის დამახასიათებელი მეორე სუბიექტური პირის ნიშანი /ხ-/ შესაბამისად ყველგან /ჰ-/დ შეიცვალა (გარდა ხარ, მოხვალ, მოხვედი, მოხვიდე ფორმებისა): ჰ-ტირ, ჰ-წერ, ჰ-იცი, ჰ-აქე... იგივე შეგვიძლია ვთქვათ მრავლობითის ფორმებზეც, ისინი აქაც მხოლობითის ფორმებისაგან განსხვავდებიან მხოლოდ მრავლობითობის მაწარმოებელი -თ სუფიქსით: ჰ-ტირ-თ, ჰ-წერ-თ, ჰ-იცი-თ, ჰ-აქე-თ.

განსხვავებული სურათია წარმოდგენილი IX ს-ის ძეგლებში, სადაც ჰ- პრეფიქსი მეორე სუბიექტური პირის ნიშნად სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვა ალმორფს გვიჩვენებს. კერძოდ, ა. შანიძე აღნიშნავს: „სუბიექტური მეორე პირის ნიშანი „ჰ“ მომდევნო ბგერის გავლენით შეიძლება შეიცვალოს: 1. ხმონების წინ S<sub>2</sub> ჰ იკარგება სრულად; 2. ცხრა თანხმონის წინ, თუ ზმნის ფუძე კბილისმიერი (ტ დ თ) და ნუნისმიერი (წ ძ ც ჭ ჯ ჩ) ბგერებით იწყება, მაშინ ჰ იქცევა ს-დ. მაგალითები: ს-ტირ, ს-დგა, და-ს-წერო, გან-ს-ძლიერდი, ს-ცან, ს-ჭამე, ს-ჩან; 3. შიშინა ბგერების წინ ს- ხშირად შ-დ არის ქცეული: შ-ჭამე, და-შ-ჯედ, შ-ჩან; 4. ხშირია ჰაეს დაკარგვა ზოგიერთი თანხმონის წინაც, როგორცაა სპირანტები: ზ, ს, ჟ, შ, დ, ხ. ნუ ზრუნავთ (მ. 6, 25), ნუ ჰზრუნავთ

(მ. 6, 34), რად შეჭამოთ და რად ჰსუათ (ლ. 12, 29), შჭამოთ და რად სუათ (მ. 6, 25E)“ (ა. შანიძე, 1976: 61).

/ჰ/ ქართულში საზოგადოდ სუსტი ბგერაა, იგი ადვილად ეგუება მომდევნო ბგერის გამოთქმას (ა. შანიძე, 1973: 187).

ნულოვანი ალომორფის საკითხი დგებოდა მაშინაც, როდესაც სუბიექტური მეორე პირი ხვდებოდა ობიექტის მესამე პირს. ასეთ შემთხვევაში ორი ერთნაირი ნიშნიდან ერთ-ერთი იკარგებოდა. ამის შესახებ ა. შანიძე წერს: „ძნელია იმის თქმა, თუ რომელი იკარგება და რომელი რჩება – სუბიექტური თუ ობიექტური. როგორც ვიცით, ორსავე დასახელებულ პირს ერთნაირი ნიშანი აქვს (ჰ ან მისი ბგერინაცვალი) და, როდესაც მათ ერთად უნდა მოიყარონ თავი, ერთ-ერთი მათგანი დაიკარგება და მეორე დარჩება. ამას ადგილი აქვს თანხმონის წინ: მო-ჰ-პარო (შენ მას იგი), ჰ-გაგხარ (შენ მას), მო-ს-ტაცო (შენ მას იგი), ს-თხოვო (შენ მას იგი) და მისთ “(ა. შანიძე, 1973: 187).

ავტორი ფიქრობს, რომ ჰ ბგერის შეგუება მომდევნო ბგერასთან თანდათანობით ხდებოდა. ხშირია შემთხვევები, როდესაც კბილისმიერი და ნუნისმიერი ბგერების წინ, სადაც ს არის მოსალოდნელი, ორი ასო წერია, ეს ორი ასოა ჰს. ორივე ერთად რთულ ბგერას გამოხატავდა, რომლითაც გადმოიცემოდა გარდამავალი საფეხურის ბგერა ჰაედან სანისკენ. ასეთი მოვლენა განსაკუთრებით ხშირია ზოგიერთ ხელნაწერში, მაგ.: ჯრუჭის ოთხთავში (936 წ); რომელი ჰსწყევე (მრ. 11. 21 D), რაჟამს ჰსდგეთ ლოცვასა (მრ. 11, 25 D), ჭეშმარიტად ჰსთქუ (მრ. 12, 7 D) (ა. შანიძე, 1976: 61).

აქვე აღნიშნულია, რომ სხვა თანხმონებთან ჰ ცოტად თუ ბევრად დღესაც შენახულია, რადგანაც ისეთი ჯგუფები, როგორიცაა: ჰყ, ჰკ, ჰქ და სხვები, შედარებით ადვილი გამოსათქმელია.

„ჰ-ს ასეთი ფონეტიკური თავისებურებების გამო მეორე პირის სუბიექტური ნიშანი ნაირ-ნაირია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ბგერა უნდა მოსდევდეს მას. ამის მიხედვით ის იქნება: ჰ, ს ან არაფერი. ამათგან ჰ არის ძირითადი სახე, ს მისი ბგერინაცვალი, ხოლო, როცა ფორმა უნიშნოა (ე.ი. როცა მეორე პირის ნიშნად აღარაფერია), იგულისხმება, რომ უნდა გექონდეს ჰ, რომელიც დაკარგულია. თუ ამ ბგერის დაკარგვის შედეგსაც, ასე ვთქვათ, ნულს,

ბგერინაცვლად მივიჩნევთ პირობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ II პირის სუბიექტური ნიშანი არის კ ან მისი ბგერინაცვალი“ (ა. შანიძე, 1973: 175).

არნ. ჩიქობავას აზრით: „მეორე პირის სუბიექტს ამჟამად ნიშანი არა აქვს, ძველად კი ჰქონდა. ხ-არ, მი-ხვა-ლ, მო-ხ-ვედი ზმნებში დღემდე შემოგვრჩა უძველესი ნიშანი ხ-, შემდეგ ძველ ქართულშივე ხ თავსართს შეენაცვლა კ-, რომელიც ნაწილობრივ ახალ ქართულში (XII-XIXსს.) შემოგვრჩა (კ-კვდები), ნაწილობრივ ს-თი იცვალა (ს-ცხოვრობ). სუბიექტური მეორე პირის ნიშნის {კ-} მორფემის ვარიანტები დღესაც იხმარება მთის კილოებში: ხევსურულში, ფშაურში, თუშურში“ (არნ. ჩიქობავა, 1950: 052.)

ავტორი მიუთითებს იმ გამონაკლისებზე, როდესაც ორპირიან ზმნაში სუბიექტის ნიშანი გვაკლია. ეს ხდება მაშინ, როდესაც მეორე სუბიექტური პირისა და პირველი ობიექტური პირის ნიშნები ერთმანეთს ხვდება (შენ მე მ-ზრდი, მ-აწუხებ, მ-ეხმარები). ამ შემთხვევაში მეორე სუბიექტური პირის ნიშანი იკარგება, რომელიც ახალ ქართულში აღარ აღინიშნება, მაგრამ ძველ ქართულში აღინიშნებოდა და მაინც მოსალოდნელი კ-მ-ზრდი, კ-მ-აწუხებ, კ-მ-ეხმარები არც ძველ ქართულში ჩანს (არნ. ჩიქობავა, 1950: 054).

ამრიგად, თანამედროვე ქართულში მეორე სუბიექტური პირის ნიშანს მხოლოდ ორი ზმნა დაირთავს, ესენია: ხარ, ხვალ/ხვიდ/ხვედ. აღნიშნულ ზმნებში ხ-მეორე სუბიექტური პირის ნიშნის შემონახვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელი იყო ფორმათა განსასხვავებლად. დანარჩენ შემთხვევაში თანამედროვე სალიტერატურო ენაში მეორე სუბიექტურ პირს ∅ (ნულოვანი) ალმორფი აქვს. პირველი და მეორე პირის ფორმები ერთმანეთისგან მხოლოდ პირველი სუბიექტური პირის ნიშნით არის გარჩეული და მისი ხმარება აუცილებელია. ეს დღეს სალიტერატურო ენის ნორმაა.

რაც შეეხება მრავლობით ფორმას, იგი -თ სუფიქსით იწარმოება როგორც ძველ, ასევე თანამედროვე ქართულშიც. მაგალითად: შე-კ-კართ, გან-კ-ყიდე-თ, (კ)-უწყი-თ, ს-ტირ-თ, და-ს-წერო-თ, შ-ჭამე-თ, მი-ხ-ვალ-თ, ხ-არ-თ, დაწერ-თ, დახატავ-თ და სხვ.

## მესამე სუბიექტური პირის ნიშნები

სანამ მესამე სუბიექტური პირის ნიშნებზე გადავალთ, საჭიროდ მიგვაჩნია, წარმოვადგინოთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები პირის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, განსაზღვრის შესახებ.

დიონისე თრაკიელის მიხედვით, „პირი სამია: პირველი, მეორე, მესამე. პირველი პირია, რომლისგანაც მოდის სიტყვა, მეორე პირი – ვისაც სიტყვა მიემართება, მესამე კი – ვის შესახებაც არის სიტყვა“ (ლ. ქაროსანიძე, 1998: 107).

როგორც ვხედავთ, დიონისე თრაკიელი პირს საკომუნიკაციო აქტში პირთა მონაწილეობის მიხედვით განსაზღვრავს.

ა. შანიძე წერს: „პირი გრამატიკაში არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ან იმას, ვინც მოუბარია, ან იმას, ვისაც მოუბარი მიმართავს უბნობის დროს, ან კიდევ იმას, ვინც არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა“ (ა. შანიძე, 1973: 167).

ავტორი თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე ახასიათებს: „ზმნის ფორმა, რომლითაც მოუბარი უბნობის მომენტში თავის თავს აღნიშნავს (სულ ერთია, მარტო იქნება იგი, თუ სხვებში ერევა), პირველი პირისად ითვლება. პირველი პირის ფორმა ყოველთვის გვაძლევს წარმოდგენას **მე** ან **ჩვენ** სიტყვით აღნიშნული ადამიანის ან ადამიანთა მოქმედების შესახებ.

მოუბარი რომ ვინმეს მიმართავს და მის მიმართ ზმნას იხმარს, რომელიც ამ ვინმეს მოქმედებას გადმოგვცემს, ის ზმნა იქნება მეორე პირის ფორმით. მეორე პირის ფორმა წარმოდგენას გვაძლევს **შენ** ან **თქვენ** სიტყვით აღნიშნულ ადამიანთა მოქმედების შესახებ.

ვინც ან რაც მოუბრის თვალსაზრისით არც **მე** ან **ჩვენ**, არც **შენ** ან **თქვენ** არ არის, იქნება **იგი** ან **იგინი (ის ან ისინი)**. უკანასკნელი ნაცვალსახელები ზმნათა გარკვეულ ფორმებს შეეწყობა. სხვა ფორმებთან კი იგი-ს (ის-ის) ნაცვლად შეიძლება იყოს მან ან მას, იგინი-ს (ისინი-ს) ნაცვლად კი – მათ. ყოველი ფორმა ზმნისა, რომელიც, ნაცვალსახელებთან შეწყობისას იგუებს ერთ-ერთს ამ



ნაცვალსახელთაგანს: იგი, მან, მას, იგინი (ისინი), მათ, მესამე პირისა იქნება: წევს (იგი), აკეთებს (იგი), დაიძინა (მან), გააკეთა (მან), სძინავს (მას), წვანან (იგინი, ისინი), აკეთებენ (იგინი), დაიძინეს (მათ), სურთ (მათ) და მისთ. ამგვარად, მესამე პირი არის ფორმა ზმნისა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ისეთი ვინმეს ან ისეთი რამის მოქმედების შესახებ, რომელიც (ან რომლებიც) არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა. მოუბარი ადამიანი უბნობის მომენტში უადრესად მნიშვნელოვანი კატეგორიაა ზმნის სტრუქტურაში – ის გამოსავალია პირთა გაგებისათვის: მოუბარი, რომელიც ითვლება პირველ პირად, განსაზღვრავს მეორეს, ორივე ესენი კი არკვევენ მესამეს“ (ა. შანიძე, 1973: 168).

თ. გამყრელიძე აღნიშნავს: „სახელთან და ნაცვალსახელთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ ენის სემანტიკური დონის ერთეულთა – სუბიექტისა და ობიექტის – რეპრეზენტაციებს გრამატიკულ დონეზე, დგება საკითხი პირის კატეგორიისა და ამ კატეგორიის გამოხატვის შესახებ ენობრივ სისტემაში“ (თ. გამყრელიძე, 2000: 134).

ავტორის აზრით, „პირის კატეგორია ერთ-ერთი უნივერსალური სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც სხვადასხვა სახით გამოხატულებას პოვებს ენობრივ სისტემაში. იგი უშუალოდ გამომდინარეობს ენობრივი კომუნიკაციის აქტიდან და აღნიშნავს ამ აქტის მონაწილეთა დამოკიდებულებას ენობრივი კომუნიკაციისადმი. ენობრივი კომუნიკაციის აქტი გულისხმობს „მეტყველს“, ანუ სამეტყველო აქტის ავტორს, „მსმენელს“, სამეტყველო აქტის ადრესატს და რაღაცა მესამე ოდენობას, რასაც შეეხება სამეტყველო კომუნიკაცია, მაგრამ რაც არ იღებს მასში უშუალო მონაწილეობას როგორც „მეტყველი“ ან „მსმენელი“. ჩვეულებრივ, ეს სამი ოდენობა სამეტყველო კომუნიკაციისა ხასიათდება შესაბამისად როგორც პირველი, მეორე და მესამე პირი, რაც ბერძნული გრამატიკული ტრადიციიდან მომდინარეობს: შდრ.: *πρῶτον πρῶτον, δεῦτον, τρίτον*. სემანტიკურად დაპირისპირებულ სამ ოდენობას, სამ „პირს“ შორის რთული ბინარული კორელაციები არსებობს, რომლებიც ერთმანეთს ფარავენ, ერთი მხრივ, „მეტყველი“, ანუ პირველი, „ჩემეული“ პირი, *ἑγώ* უპირისპირდება იმას, რაც „ჩემს“ გარეშეა – კორელაცია სუბიექტურისა და არასუბიექტურის, ხოლო, მეორე მხრივ, „მეტყველი“ და „მსმენელი“, პირველი და მეორე, ანუ „ჩემეული“ და „შენეული“ პირი უპირისპირდება იმას, რაც არც „მეტყველია“ და

არც „მსმენელი“ – კორელაცია პერსონალურისა და არა პერსონალურის. პირის კატეგორია, როგორც უნივერსალური სემანტიკური კატეგორია, გამოიხატება ენობრივ სისტემაში სპეციფიკური ნაცვალსახელების სახით, რომლებიც განარჩევენ მინიმუმ სამ ფორმას–პირველი, მეორე და მესამე პირისა – შესაბამისად სამეტყველო კომუნიკაციით შეპირობებული სამი ოდენობისა“ (თ. გამყრელიძე, 2000: 135).

თ. გამყრელიძე წერს: „პირის კატეგორია ურთიერთკავშირშია სუბიექტისა და ობიექტის კატეგორიასთან იმ აზრით, რომ ეს კატეგორიები ენის სემანტიკურ დონეზე არ ვლინდება ცალ-ცალკე და ყოველთვის ერთმანეთთან კომბინაციაშია მოცემული. არ არსებობს საზოგადოდ S სუბიექტი ან O ობიექტი, არამედ პირის კატეგორიის თვალსაზრისით განსაზღვრული სუბიექტი –  $S_1, S_2, S_3$  და ობიექტი –  $O_1, O_2, O_3$ , ამ კატეგორიათა გამომხატველი ოდენობები ენის გრამატიკულ დონეზე – შესაბამისად  $\{S_1\}, \{S_2\}, \{S_3\}$  და  $\{O_1\}, \{O_2\}, \{O_3\}$  – საკუთრივ სახელებს ან ნაცვალსახელებს წარმოადგენენ. კერძოდ,  $\{S_1\}, \{S_2\}$  და  $\{O_1\}, \{O_2\}$  ყოველთვის ნაცვალსახელებია, ხოლო  $\{S_3\}$  და  $\{O_3\}$ , ნაცვალსახელთან ერთად, შესაძლებელია საკუთრივ სახელის სახით იყოს გამოხატული. ამგვარად, სახელი შესაძლებელია მხოლოდ  $S_3$  და  $O_3$  სემანტიკურ ოდენობებს წარმოგვიდგენდეს ენის გამოხატულების სტრუქტურაში, მაშინ როდესაც  $S_1, S_2$  და  $O_1, O_2$  სემანტიკური კატეგორიები მხოლოდ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა სახით გამოიხატება“ (იქვე: 135).

ე. ბენვენისტი აღნიშნავს: „В первых двух лицах одновременно выражается лицо и то, что говорится об этом лице. „Я“ обозначает того, кто говорит, и одновременно подразумевает высказывание о „я“ : говоря „я“, нельзя не говорить о себе. Во втором лице „ты“ по необходимости обозначается через „я“ и мыслится вне ситуации, предположенной от „я“ ; в то же время „я“ высказывает нечто как предикат к „ты“ ; В третьем лице предикат также выражен, но вне сферы „я – ты“ ; эта форма, таким образом, исключена из отношения, характеризующего „я“ и „ты“ . Исходя из этого, следует поставить под сомнение законность определения этой формы как „лица“ ... „Третье лицо“ не есть „лицо“ ; это именно глагольная форма, функция которой состоит в том, чтобы выразить „не-лицо“ (Е. Бенвенист, 1974: 262).

მისი აზრით, სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ გარკვეულ ენებში III პირი ზმნის ფორმაში ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი. თუმცა აღნიშნავს იმასაც, რომ ქართულში სუბიექტური წყობის ზმნებს I პირში ახასიათებს ვ-, ხოლო II პირში – ჰ- პრეფიქსები, III პირი კი მხოლოდ სუფიქსებითაა წარმოდგენილი. სწორედ ამ მოვლენას იგი სიმეტრიისკენ სწრაფვით ხსნის. როგორც ვხედავთ, ე. ბენვენისტი პირის განსაზღვრას ახდენს საუბარში მიჩენილი როლის მიხედვით.

თ. უთურგაიძე საინტერესოდ მიიჩნევს ე. ბენვენისტის განმარტებას და აღნიშნავს, რომ: „სიმეტრიისაკენ სწრაფვა, რაზეც ე. ბენვენისტი მიუთითებდა, არ არის შემთხვევითი, ამის საფუძველს ქმნის აქტანტოშორისი სისტემა, სადაც ელემენტთა საკლასიფიკაციო ნიშანი იცვლება: III პირი ჰომოგენურ სისტემაშია ჩართული I და II პირებთან. თუ კატეგორიის შიდა სისტემაში არსებითი იყო ერთი და იმავე აქტანტის როლი საუბარში მონაწილეობის მიხედვით, აქტანტოშორის სისტემაში არსებითია აქტანტთა თვით ქმედებაში მონაწილეობის ხასიათი: ქმედების ინიციატორობა, ქმედების პაციენსობა და ბენეფაქტივის როლი ქმედებაში. თითოეული მათგანი ქმნის მიკროსისტემას (შიდაკატეგორიულ სისტემას) პირთა რომელიმე მიხედვით დაპირისპირებული ფორმებით, სადაც III პირს იგივე მოეთხოვება, რაც I და II პირებს, ვთქვათ, ინიციატორის გამოხატვა და ა.შ. ამით III პირის მეორეულობა საეჭვო ხდება ქრონოლოგიურად. ჩვენი მსჯელობა რომ ცალსახა იყოს, საჭიროა ტერმინოლოგიურად ერთიმეორისაგან განვასხვაოთ ერთი და იგივე აქტანტი განსხვავებულ სისტემაში. ამ მიზნით კატეგორიის ფარგლებში ერთი და იმავე აქტანტის საუბარში განსხვავებული მონაწილეობის აღსანიშნავად ვიტოვებთ ტერმინ პირს. იგი შეიძლება იყოს I, II ან III (მაგალითად:  $S_1, S_2, S_3, O_1^d, O_2^d$  და ა.შ.), კატეგორიათშორის სისტემაში მონაწილე აქტანტებს კი ვუწოდებთ პირმიმართ და პირმიუმართავ აქტანტებს იმის მიხედვით, მათ ზმნაში საკუთარი ნიშნები აქვთ თუ არა აქვთ. ეს აქტანტები, როგორც ზემოთ ვთქვით, ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ზმნურ ქმედებაში მონაწილეობის ხასიათით. პირმიმართი აქტანტებია:  $S, O^d, O^{ind}$ , მაშასადამე, რომელიმე ამათგანი, მაგალითად, სუბიექტი, აქტანტოშორისი სისტემის ელემენტია და სხვა აქტანტებს უპირისპირდება როგორც ქმედების ინიციატორი. იგი დამოუკიდებელი ზმნური კატეგორიაა, რომელიც ყალიბდება სუბიექტურ პირთა შეპირისპირებით ( $S_1 \sim S_2$  ან  $S_2 \sim S_3$ , ან

S<sub>1</sub>~S<sub>3</sub> და ა. შ.) Mutatis mutandis O<sub>1</sub><sup>d</sup> ~ O<sub>2</sub><sup>d</sup>, O<sub>2</sub><sup>d</sup>~O<sub>3</sub><sup>d</sup>, O<sub>1</sub><sup>d</sup>~O<sub>3</sub><sup>d</sup> და ა.შ... I, II, III პირები იდენტური ქცევით ხასიათდებიან კატეგორიათშორისი სისტემის ფარგლებში: თითოეული მათგანი შეიძლება მოგვევლინოს როგორც სუბიექტის, ისე რომელიმე ობიექტის როლში. სწორედ ამან შეაპირობა პირთა სისტემის სიმეტრიულობა“ (თ. უთურგაიძე, 2002: 13).

ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებებს და ვთვლით, რომ ზმნის ფორმა, რომელსაც მიესადაგება ე.წ. მესამე პირის ნაცვალსახელები, არის ზმნის მესამე პირის ფორმა.

რაც შეეხება, სუბიექტურ მესამე პირს, ის ზმნის ფორმაში სხვადასხვა სუფიქსით არის წარმოდგენილი როგორც მხოლობით, ასევე მრავლობით რიცხვში. ამასთან დაკავშირებით არსებობს საინტერესო მოსაზრებები, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მესამე სუბიექტური პირის ნიშნებია მხოლობითში -ს, -ნ, -დ, -ა, -ო, მრავლობითში – -ენ, -ან, -ნ, -ეს, -ედ სუფიქსები. ამათგან თანამედროვე ენაში ზოგიერთი დაიკარგა და აღარ იხმარება. წარმოვადგენთ მათ ცალ-ცალკე:

/-ს/ – ძმ კაცისაჲ მკუდრეთით აღდგე-ს (მ. 17, 9).

რომელმან დაიმდაბლოს თავის თუსი, იგი აღმაღლდე-ს (ლ. 14, 11).

უკუეთუ ფერვი შენი გაბრკოლებდე-ს შენ, მოიკუეთე იგი (გრ. 9, 45).

რომელმან განხუეტეო-ს ცოლი თუსი (მ. 5, 31).

რადთა არა განქარდე-ს შჯული მოსცხი (ი. 7, 23).

ცხოვრებაჲ საუკუნოდ დაიმკდრო-ს (მ. 19, 29).

ცეცხლი არა დახშრტები-ს (მრ. 9, 48).

რომელმან კაც კლა-ს, თანმდებ არ-ს იგი საშჯელისა (მ. 5,21).

/-ა/ – ფიცით აღხუთქუ-ა მას მიცემად, რადცა ხითხოვოს (მ. 14, 7).

მეყსეულად აღხემართ-ა და ვიდოდ-ა (ლ. 13, 13).

ბრწყინვიდ-ა პირი მისი (მ. 17, 2).

სხუდ ვინმე დახამტკიცებდ-ა (ლ. 22, 59).

დახუტევე-ა ცოლი თუსი ძმასა თუსსა (მ. 22, 25).

აწ დახეფარ-ა თუალთაგან შენთა (ლ. 19, 42).

ჰბერვიდ-ა წყალთაგან ნიაკი და შალვიდ-ა ფურცელსა ხისა მისგან (მოქც. 235, 24).

ხევედრებოდ-ა მას და ხეტყოდ-ა (მ. 8, 5).

- ხიმოსებოდ-ა ძოწეულითა (ლ. 16, 19).
- /-ო/ – აღიდ-ო ცხედარი იგი (მრ. 2, 12).  
 რომელმან სიტყუად იგი ისმინა და გულისხმა-ყო და გამოიდ-ო ნაყოფი (მ. 13, 23).  
 მან მიხუგ-ო და ხრქუა (ლ. 13, 8).  
 მიყ-ო ჳელი მისი მოწაფეთა თუსთა (მ. 12, 49).  
 ხოლო თავადმან ხამცნ-ო მათ (ლ. 8, 56).  
 შეხახ-ო მათ ჳელი (მ. 17, 7).
- /-ნ/ – ყოველი რომელი ხითხოვ-ნ მიიღოს და ხეძიებ-ნ პოვი და რომელი ხირეკ-ნ, განხედის (მ. 7, 8).  
 იყავ-ნ ნებად შენი (ლ. 11, 2).  
 თესლი იგი აღმოცენდის და განორძნდები-ნ (მრ. 4, 27).  
 ნუ გეშინი-ნ თქუენ (მ. 28, 5).  
 მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა ხიყავ-ნ სახელი შენი (მ. 6, 9).  
 შეინანეთ და გრწმენი-ნ სახარებისად (მრ. 1, 15).  
 რასა ხიქმ-ნ უფალი მისი (ი. 15, 15).  
 თუსით თავით ქუეყანად ნაყოფსა გამოიდებ-ნ (მრ. 4, 28).  
 ამიერითგან იხაროდი-ნ უდაბნოდ ესე (ხანძთ. 206, 42).  
 უგალობდი-ნ სახელსა შენსა (ფს. 65, 4).
- /-დ/ – ჳმოსიე-დ მას სულსა სამოსელი (sin. 55, 12).  
 თავთა წინაშე მიჰყრიე-დ იგი (sin. 35, 307ra4).  
 კილიკი ერთი მცირე ქუე წარუდგებიე-დ (შუშ. 25, 11).
- /-ენ/ – მრავალნი ცრუე-წინასწარმეტყუელნი აღდგ-ენ (მ. 24, 11).  
 ძენი თქუენნი რადთა განხასხმ-ენ (მ. 12, 27).  
 მოგექც-ენ და განგხეთქდ-ენ თქუენს (მ. 7, 6).  
 ვარსკულავნი გარდამოცვ-ენ ზეცით (მ. 24, 29).  
 ბრმანი აღიხილ-ენ (მთ. 11, 5).  
 დასხდ-ენ მწიგნობარნი და ფარისეველნი (მ. 23, 2).  
 დაძოვ-ენ კრავნი ჩემნი (ი. 21, 15).
- /-ან/ – ნაყოფი გამოიდი-ან (ლ. 8, 15).  
 განადიდნი-ან ფესუები სამოსლისა მათისად (მ. 23, 5).  
 განივრცნი-ან საცონი მათნი (მ. 23, 5).  
 განირყუნი-ან პირნი მათნი (მ. 6, 16).  
 განბოკრებულნი განწმიდნები-ან (მ. 11, 5).  
 დახდვი-ან მჳართა ზედა კაცთასა (23, 4).  
 სადა მჳარავთა დათხარი-ან და განიჳარი-ან (მ. 6, 19).  
 მოვიდი-ან მფრინველნი ცისანი... და ყუავილსა მას ძოვდი-ან (მოქც. 23, 25).

ბევრნი ბოროტნი ექმნი-ან (ათონ. 17, 219).

/-ნ/ – არცა ხიქორწინებოდიან, არცა განქორწინებდე-ნ (მრ. 12, 25).

დაგარღუო-ნ შენ (ლ. 19, 44).

დასაჯო-ნ იგი სიკუდიდ (მრ. 10, 33).

არა ყოველთა დაიტო-ნ სიტყუად ეგე (მ. 19, 11).

ცანი და ქუეყანად წარჰდე-ნ (მთ. 6, 20).

სახელსა მისსა წარმართნი ხესვიდე-ნ (მ. 12, 21).

წარიპარო-ნ იგი და ხუთხრა-ნ ერსა (მ. 27, 64).

მაშინ ცთე-ნ მრავალნი და ურთიერთსა არდაბაგებდნენ და იძულებდნენ ურთიერთს (მ. 24, 10).

/-ედ/ – მიზეზით შოვრად ხილოცე-ედ (ლ. 20, 47).

დიდ-დიდნი ჰელმწიფებ-ედ მათ ზედა (მ. 20, 25).

მთავარნი წარმართთანი უფლებ-ედ მათ ზედა (მ. 20, 25).

რომელნი-იგი ხგონებ-ედ (მრ. 10, 42).

იყენ-ედ წელნი თქვენნი მორტყმულ (ლ. 12, 35).

აღვიარებდ-ედ შენ ... ყოველნი საქმენი შენნი (ფს. 144, 10).

უბანთა ვაჭარნი მოიყუანნ-ედ (მოც. 19, 38).

ცოდვილნიცა ხავასხებ-ედ (ლ. 6, 34).

წუხდ-ედ წარმართნი (სინ. 53, 19).

/-ეს/ – აღავსნ-ეს ორნივე იგი ნავნი (ლ. 5, 7).

აღხუთქუ-ეს მას მიცემად ვერცხლი (მრ. 14, 11).

სადა მდილმან და მჭამელმან განრყუნ-ეს (მ. 6, 19).

ოდეს განკიცხ-ეს იგი (მ. 27, 31).

აღმოიყვან-ეს ყრმაჲ იგი იერუსალჴმდ (ლ. 2, 22).

მათ, ვითარცა ხესმა ესე მისგან, განიხარ-ეს (მრ. 14, 11).

ხეწუნ-ეს მათ მოსე და ელია მის თანა და თანა-ხზრახვიდ-ეს მას (მ. 17, 3).

მოწაფენი ხრისხვიდ-ეს მათ (მ. 19, 13).

საინტერესოა არნ. ჩიქობავას მოსაზრება მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა შესახებ. იგი გამოყოფს მის თავისებურებებს: 1) მესამე სუბიექტური პირი რამდენიმე აფიქსით აღინიშნება მაშინ, როცა პირველი და მეორე სუბიექტური პირები თითო აფიქსითაა წარმოდგენილი  $S_1-$  /ვ-/,  $S_2-$  /ხ-/ ან /ჰ-/ (ან მისი ბგერინაცვალი /ს-/), ასევეა ყველა ობიექტურ პირში:  $O_1-$  /მ-/,  $O_2-$  /გ-/,  $O_3-$  /ხ-/ ან /ჰ-/ (ან მისი ფონეტიკური სახეცვლა /ს-/); 2) მესამე სუბიექტური პირის ნიშნები სუფიქსებია, ყველა სხვა პირი – სუბიექტისა თუ ობიექტისა – პრეფიქსებით არის აღნიშნული. „პრეფიქსაცია პირის აღნიშვნაში ქართული ზმნის

უღვლილების პრინციპია და ამ პრინციპს არღვევს მესამე სუბიექტური პირის წარმოება“ (არნ. ჩიქობავა, 1940: 15).

ავტორი ახდენს სხვა ქართველურ ენებთან შედარებას და ასკვნის, რომ „აქაც (იგულისხმება სუბიექტის მესამე პირი) პრეფიქსი უნდა ყოფილიყო, ასე რომ ქართული ზმნა მთლიანად პრეფიქსული უღვლილების მქონედ უნდა ვიგუღვოთ“ (არნ. ჩიქობავა, 1968: 163).

არნ. ჩიქობავა გამოთქვამს ვარაუდს, რომ პირის ნიშანთა ს, ნ, დ თანხმოვნები ისტორიულად გრამატიკული კლასის ნიშნებს უკავშირდება (არნ. ჩიქობავა, 1942: 257).

უაღრესად საინტერესოა ვ. თოფურიას მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიხატებოდა ერთი მოვლენა სხვადასხვა ფორმით ძველ ქართულში. ერთი მოვლენის გამოსახატავად გამოყენებული იყო ერთი და იმავე ფუნქციის სხვადასხვა ნიშანი. მაშასადამე, გვქონდა ერთი შინაარსის, ერთი მნიშვნელობის სხვადასხვა ფორმა, მრავალფორმა, მაგრამ ქართული ენის ხანგრძლივი განვითარების მანძილზე ეს მრავალი ფორმა არ შემოგვრჩა შემდეგი სამი მიზეზით: 1. დაიკარგა, მაგალითად: სუბიექტური პირის ნიშნები -ნ და -დ (უკანასკნელი უფრო ადრე) და შემოგვრჩა -ს. სადავო არ უნდა იყოს, წერს ავტორი, რომ სუბიექტური მესამე პირის უძველესი ნიშანია -დ. იგი უფრო ადრე გადაშენდა, ვიდრე -ნ. ყოველ შემთხვევაში -ნ სუფიქსის მოქმედების დროს -დ ადარ ჩანს პროდუქტიული; დაიკარგა სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის -ედ სუფიქსი და სხვ.; 2. ფუნქცია შეიცვალა, მაგალითად: ფუნქცია შეიცვალა და განაწილდა -ენ, -ან აწმყოსა და კავშირებითის III პირის მრავლობით რიცხვში, -ეს – ნამყოებში, ხოლო -თ – სუბიექტის I და II პირების აღსანიშნავად ყველა მწკრივში; 3. ძირს შეუხორცდა როგორც -დ, ისე -ნ, მაგალითად, ნახვა, სხედან და სხვ. (ვ. თოფურია, 2002: 419).

ამრიგად, ასკვნის ავტორი, ქართულში ერთისა და იმავე მორფოლოგიური კატეგორიის გამოსახატავად ორი, სამი და მეტი ნიშანი იხმარება. სუბიექტური მესამე პირის გამომხატველად მხოლოდობით რიცხვში სამი სუფიქსი გამოდის: -ს, -ა, -ო – ახალ ქართულში, ძველ ქართულში კი ამათ -ნ და -დ ბოლოსართებიც ემატებოდა და გვქონდა: -ს, -ა, -ო, -ნ, -დ (ვ. თოფურია, 2002: 420).

ა. შანიძის აზრით: „1-ლი და მე-2 პირი სუბიექტისათვის მუდმივ ერთსა და იმავე ნიშნებს გვიჩვენებს. აქ გარჩევა არ არის არც რიცხვისა და არც მწკრივის მიხედვით, ხოლო მე-3 პირის სუბიექტური ნიშანი სხვადასხვაა არა მარტო მხოლობითსა და მრავლობითში, არამედ ზოგჯერ აგრეთვე სხვადასხვა მწკრივშიც“ (ა. შანიძე, 1973, 174).

მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა თავისებურებაზე ამახვილებენ ყურადღებას ივ. და ვ. იმნაიშვილები ნაშრომში „ზმნა ძველ ქართულში“:

„ა) 6 პირიდან (სამი სუბ., სამი ობ.) იგი ერთადერთია, ზმნას რომ ბოლოში ერთვის, სუფიქსია (წერ-ს, ჭამ-ნ, აღაშენ-ა..), სხვა ყველა თავში ერთვის, პრეფიქსია (ვ-წერ, ს-წერ, მ-წერს, გ-წერს, ჰ-კითხავს).

ბ) იგი ერთადერთია, რომ ბევრია ერთდროულად (ს, ნ, ა, ო, დ, ენ, ან, ეს, ნ, ედ), სხვები კი არსებითად მხოლოდ ერთია: ვ-წერ, ხ-წერ, (ჰ-წერ, ს-წერ), მ-წერ-ს, მი-ხ-წერ-ს (მი-ჰ-წერ-ს, მი-ს-წერს). თუ აქ სადმე პირის ნიშანთა რაოდენობა ერთს სცილდება და მეტია, იგი ან მხოლოდ წარმომავლობით სხვადასხვა კილოს კუთვნილებაა (მაშასადამე, არსებითად მაინც ერთია), ანდა ფონეტიკურ ნიადაგზეა წარმომდგარი (ვ, უ, Ø..). მესამე პირის ყველა ნიშანზე ეს არ ითქმის.

გ) ყველა სხვა ხუთი პირის ნიშანი, ზმნაში პრეფიქსის სახით რომ არის წარმოდგენილი, მხოლოდ ერთ ფუნქციას ასრულებს – აღნიშნავს პირს, რიცხვის გამოხატვა მათ არ ევალებათ, ამისათვის ენაში სხვა ნიშანი არსებობს (თ, ენ): მესამე სუბიექტური პირის ნიშანი კი იმავდროულად რიცხვსაც გამოხატავს: -ს, -ნ, -ა, -ო, -დ – მხოლობითს, ხოლო -ენ, -ან, -ეს, -ნ, -ედ – მრავლობითს (იგი წერ-ს, მან დაწერ-ა, დაიწყო, იგინი წერ-ენ, არი-ან, მათ დაწერ-ეს, უნდა წერონ). აქ ირღვევა ქართული ენისათვის დამახასიათებელი აგლუტინაციის პრინციპი და ერთი ფორმანტი ორი ფუნქციის შესრულებას კისრულობს“ (ივ.იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996: 27).

ა. ონიანის აზრით, მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა სიმრავლე მორფოლოგიური კატეგორიებით განისაზღვრება: „თანამედროვე ქართულში მესამე საგაღდებულო პირის მორფების /-ს/, /-ა/, /-ო/ ალომორფების განაწილება შეპირობებულია არა ფონოლოგიურად, არამედ მორფოლოგიურად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღნიშნულ ალომორფთა გამოვლენას განაპირობებს არა



ფონოლოგიური გრამატიკა, არამედ რომელიმე მორფოლოგიური კატეგორია (მწკრივი, კილო, გვარი). ფაქტობრივ ასეთივეა ვითარება ძველ ქართულშიც: S<sub>3</sub> მორფების /-ს/, /-ა/, /-ო/, /-ნ/, /-დ/, ალომორფების განაწილება მორფოლოგიურ პრინციპს ემყარება“ (ა. ონიანი, 1978: 58).

მესამე სუბიექტური პირის მრავალრიცხოვან აფიქსს, წერს ლ. ბარამიძე, პირისა და რიცხვის აღნიშვნის გარდა, დაკისრებული ჰქონდათ სხვა გრამატიკული კატეგორიების წარმოებაც, როგორცაა: დრო, კილო, გვარი. სხვადასხვა დროსა და კილოში განსაზღვრული მარკერები იყო გამოყენებული, რითაც ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო: ა) ახლანდელი და წარსული დრო; ბ) თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი კილო; გ) ერთგზისი და მრავალგზისი ფორმები. ამასთან დაკავშირებით, სუბიექტური მესამე პირის ნიშნები განაწილებული იყო მწკრივთა მიხედვითაც (ლ. ბარამიძე, 2004: 6).

რაც შეეხება მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვს, არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია თვლიან, რომ მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ნიშნები გარკვეულ შემთხვევაში მათი ფონეტიკური ვარიანტებია.

ვ. თოფურია აღნიშნავს, მრავლობითის -ნ ბოლოსართი: აშენო-ნ, დაჭრა-ნ და მსგავს ფორმებში შეკუმშული -ენ ნიშანია. რაც შეეხება ედ სუფიქსს, /-ენ/-ის პარალელურად რომ ჩნდება ძველ ქართულში, მრავლობითი რიცხვის უძველესი ნიშანია, რომელიც ამჟამად მკვდარია, მაგრამ ძველ ქართულში -ენ//-ედ ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა, მაგალითად: ამას ჰყოფედ (ლ. 6, 33 D) ამასვე ჰყოფენ (მ. 5, 46) მიგეტევნედ შენ ცოდვანი შენნი (ლ. 5, 200) მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი (მ. 9, 25)... (ვ. თოფურია, 2002: 412).

ბ. ფოჩხუა იზიარებს ვ. თოფურიასა და არნ. ჩიქობავას მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ „მრავლობითობის ნარიანი მაწარმოებლებიდან უძველესია ზმნებში წარმოდგენილი -ენ. დანარჩენი ნარიანი ვარიანტები მისგან მომდინარეობს: -ან შეიძლება ზანურის (ან ზანურის ტიპის დიალექტური წრის) კუთვნილება იყო. კავშირებითში წარმოდგენილი -ნ იგივე -ენ სუფიქსია, გარკვეულ გარემოცვაში რედუცირებული და შემდეგ ანალოგიით გავრცელებული“ (ბ. ფოჩხუა, 1961: 62).

საინტერესოა გ. გოგოლაშვილის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, „/-ან/ სუფიქსი არ არის /-ენ/-ის ფონეტიკური ვარიანტი წარმოქმნილი მის ზმნურ აფიქსად ჩამოყალიბების შემდეგ... რადგან ხმოვან კომპლექსთა გამარტივება მომდევნო ხმოვნის დაკარგვის გზით არაა დამახასიათებელი ქართულისათვის. ასევე შეუძლებელია ი-ს მეზობლობაში დისიმილაციის გზით -ენ სუფიქსის -ან სუფიქსად ქცევა: იე→ია მიღება, ანუ ვიწრო ხმოვნის გაფართოება არაბუნებრივია ქართულისათვის“ (გ. გოგოლაშვილი, 1977: 218-219).

ლ. ბარამიძე მიიჩნევს, რომ მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის სუფიქსთა სიმრავლეს დიალექტური ან ფონეტიკური საფუძველი უნდა ჰქონდეს. აქედან უნდა მოდიოდეს მათი რაოდენობის „შემცირების“ მოთხოვნილებაც. ამის გამო /-ნ/ თანხმოვნის შემცველი აფიქსები ფონეტიკურ ვარიანტებად იქნა მიჩნეული. ჩვენი ვარაუდით, წერს ავტორი, სუბიექტური მესამე პირის აფიქსებს ყველას თავისი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ფუნქცია უნდა ჰქონოდათ (ლ. ბარამიძე, 2004: 21). მისი აზრით, „მხოლობითსა და მრავლობითში გამოვლენილ პირის აფიქსებს თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ, მათი ფუნქციების მიკვლევა გაჭირდება. ეს განსაკუთრებით ითქმის მხოლობითი რიცხვის შესახებ, სადაც ერთი და იგივე -ს აფიქსი სხვადასხვა დაჯგუფებებში მონაწილეობს და მისთვის მხოლოდ ერთი ფუნქციის დაკისრება შეუძლებელი ჩანს. საფიქრებელია, რომ მხოლობითისა და მრავლობითის აფიქსები გაგებული იყო როგორც ერთი მთლიანი ოდენობა, როგორც ეს გვხვდება სხვა პირთა გამოვლენის დროს. ამიტომ გაცილებით უფრო ნათელი იქნება ამოსავალი ვითარება იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტური პირის მხოლობითისა და მრავლობითის აფიქსებს დავაწყვილებთ მათი გამოყენების შესაბამისად:

- |                      |  |
|----------------------|--|
| ს – ენ (ან) გვხვდება | ა) აწმყოსა და ბ) I თურმეობითში.  |
| ს – ან –             | ხოლმეობითებში (აწმყოს ხოლმეობითის გარდა):  |
|                      | ა) უწყვეტელის ხოლმეობითში, ბ) II ხოლმეობითში, გ) შერეულ ხოლმეობითსა და დ) III ხოლმეობითში.   |
| ს – ნ –              | ა) კავშირებითში, ბ) II კავშირებითსა და   |
|                      | გ) III კავშირებითში. გამონაკლისს წარმოადგენს -ოდ-იან ზმნათა I კავშირებითი, რომელიც ამავე ზმნათა უწყვეტელის ხოლმეობითის ფორმებს იყენებს |
| ა(ო) –ეს –           | ა) უწყვეტელში, ბ) წყვეტილისა და გ) II თურმეობითში. -ო  |

ენაცვლება -ა-ს წყვეტილსა და II თურმეობითში;  
უწყვეტელში არ გვხვდება.

ნ – ეღ –

ა) აწმყოს ხოლმეობითში, ბ) I ბრძანებითსა და  
II ბრძანებითში.

ზემოთ წარმოდგენილი სქემა ასახავს ძველი ქართული ენის ნორმებს (იშვიათი ფორმების გარდა). ამ სქემის მიხედვით კარგად ჩანს, რომ მხოლოდობით-მრავლობითის თითოეული წყვილი განაწილებულია მწკრივში შემავალი კატეგორიების – პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და ჯერობის მიხედვით. თითოეული წყვილი გვხვდება მწკრივთა ჯგუფებში, რომელთაც აერთიანებს: დრო, კილო ან ჯერობა.

-ს, -ან ხოლმეობითში იხმარება, -ს, -ნ – კავშირებითებში, -ა (-ო), -ეს – წარსული დროის გამომხატველ მწკრივებში, -ს, -ენ (-ან) – ახლანდელი დროის ფორმებში (ლ. ბარამიძე, 2004: 26-27).

თანამედროვე ქართულს თუ შევადარებთ ძველ ქართულს, ვნახავთ, რომ მესამე სუბიექტური პირის ფორმების განაწილება მკვეთრად შეიზღუდა და ზოგიერთი აფიქსი დაიკარგა კიდევ. ამჯერად მესამე სუბიექტური პირის ნიშნები მხოლოდობით რიცხვში მხოლოდ სამია, ესენია: -ს, -ა, -ო, -Ø, მრავლობით რიცხვში კი – -ნ, -ან, -ენ, -ნენ, -ეს.

-ს, -ა სუფიქსები მხოლოდობით რიცხვში მეტად პროდუქტიულია, ხოლო -ო იშვიათად იხმარება ზოგიერთ შემთხვევაში.

ა. შანიძე ასე განიხილავს მესამე სუბიექტური პირის ნიშნებს: „სუბიექტური ნიშანი მე-3 პირისა მხ. რიცხვში არის სუფიქსი -ს ან -ა, იშვიათად -ო. როდესაც ნიშნად -ს არის, მაშინ ყველა პირს ერთსა და იმავე მწკრივში ერთი და იგივე ფუძე აქვს: ვ-ნახავ, ჰ-ნახავ, ნახავ-ს, ვ-ნახავდე, ჰ-ნახავდე, ნახავდე-ს, ვ-ნახო, ჰ-ნახო, ნახო-ს; ვ-აკეთებ, ჰ-აკეთებ, აკეთებ-ს; ვ-წერ, ს-წერ, წერ-ს და მისთ... მაგრამ, როდესაც მე-3 პირს სუბიექტურ ნიშნად -ა ან -ო აქვს, მაშინ ზოგჯერ ზმნა სხვა ფუძეს გვიჩვენებს, ვიდრე 1-ლსა და მე-2 პირში: მაგალითები: გა-ვ-აკეთე, გა-აკეთე, გა-აკეთ-ა, ვ-აქე, -აქე, აქ-ო; ვ-თქვი, ს-თქვი, თქე-ა; ვ-აკეთებდი, -აკეთებდი, აკეთებდ-ა; ვ-იწერები, იწერები, იწერებ-ა („იწერები-ს“ ფორმისაგან) და მისთ... ასე რომ, მე-3 პირის ფორმა მთლიანად მაინც განსხვავებულია 1-ლისა

და მე-2 პირის ფორმათაგან“ (ა. შანიძე, 1973: 177). ავტორი აქვე შენიშნავს, რომ პირის ნიშანი -ა არ უნდა ავრიოთ არის ზმნის შემოკლებულ -ა ფორმაში: მეზადე-ა, სტუდენტი-ა, კარგი-ა.

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „მესამე პირის სუბიექტის ნიშანი ბოლოსართებია: -ს (არი-ს), -ა (იზრდებ-ა). /-ა/-საგან ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებულია მესამე ბოლოსართი -ო (იყო: ← იყვა ← იყავ-ა)“ (არნ ჩიქობავა, 1950: 053).

ახალ ქართულში /-ს/ და /-ა/ ალომორფთა ხმარების ახალი წესებია. -ა სუფიქსი მხოლოდ წარსული დროის ფორმებში გვხვდებოდა. ხოლო ახალ ქართულში იგი აწმყოში, კერძოდ, ვნებითი გვარის როგორც სტატიკურ, ასევე დინამიკურ ფორმებშია. ეს მონაცვლეობა თანდათანობით მიმდინარეობდა, რამაც საბოლოოდ მკვეთრად განასხვავა ერთმანეთისგან ვნებითი და მოქმედებითი გვარის ზმნები. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ /-ს/ აწმყოში წარმოდგენილია როგორც მოქმედებითი გვარის ზმნებში, ასევე ზოგ გარდაუვალ ზმნასთანაც, კერძოდ: ა) საშუალ მოქმედებითის ზმნებთან აწმყოში; ბ) -ავ თემის ნიშნიან ფორმებთან: ახურ-ავ-ს, აკრ-ავ-ს, უჭირ-ავ-ს, სძინ-ავ-ს და სხვა; გ) თუ სუბიექტურ III პირს წინ უძღვის ი (ეს იქნება ფუძისეული თუ სუფიქსური): ისმი-ს, იწვი-ს, ზი-ს, არი-ს, ესმი-ს, იძვრი-ს. ეს არ ეხება სტატიკურ ზმნებს; დ) /-ს/ გვხვდება საშუალ-ვნებითებთანაც: დევ-ს, წევ-ს, დგა-ს, ახსოვ-ს, შურ-ს (ა. ონიანი, 1978: 58). ყველა სხვა შემთხვევაში /-ა/ ალომორფია წარმოდგენილი მესამე სუბიექტური პირის აღსანიშნავად აწმყოში.

განვიხილოთ მესამე სუბიექტური პირის -ს ნიშნის დაკარგვის შემთხვევები, ანუ, როდესაც იგი ნულოვანი ალომორფით გამოიხატება:

სუბიექტის ნიშანი -ს იკარგება -თ ბოლოსართის წინ: ის შენ გაწუხებ-ს ის თქვენ გაწუხებ-თ. უნდა ყოფილიყო: გაწუხებ-ს-თ (და ისმარებოდა კიდევ ამ ერთი საუკუნის წინ), -ს დაიკარგა -თ-ს მეზობლობაში (დაიკარგა ისევე, როგორც სახელებში, მაგალითად, გვაქვს ძმასთან, მაგრამ ძმებ-თან←ძმებ-ს-თან). -ს ბოლოსართის დაკარგვა ფონეტიკური პროცესია. -ს ბოლოსართის დაკარგვის მაგალითები: შედეგად ერთმანეთს დაემსგავსა მანამდე განსხვავებული ფორმები: ის თქვენ გზრდით ← (გზრდი-ს-თ) და აგრეთვე: მე თქვენ, ჩვენ შენ, ჩვენ თქვენ გზრდით (არნ. ჩიქობავა, 1950: 054).

მაშასადამე, ასეთ ფორმებში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად უნდა ვიგულისხმოდ /-Ø/ ალომორფი, იგი დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იქნება /-ს/ ალომორფთან და ფონოლოგიურად შეპირობებული (გაქვსთ→გაქვ-Ø-თ). ამოსავალია **გაქვსთ**, რომელიც ჩვეულებრივ იყო საშუალო ქართულში და დღესაც შემონახულია მთის კილოებში.

სალიტერატურო ენაში ყურადღება ექცევა წყვეტილში „ო“ მორფემის გამოვლინებას გარკვეულ ფუძეებში.

ა.შანიძე აღნიშნავს, „არის ერთი წყება ზმნებისა, რომელთაც მხოლოდობითში ა-ს ნაცვლად -ო მოუდის. ამ ზმნების ფუძე უმეტესად უმარცვლოა და შედგება ერთი, ორი ან სამი თანხმოვნისაგან. ორ-თანხმოვნისებში მეორე, ხოლო სამ-თანხმოვნისებში მესამე შეიძლება იყოს უმარცვლო უნისაგან მიღებული **ვ**; ასეთებია:

ა) ავიანთაგან:

რგ-ვ-ა: (და)ვრგე, (და) ჰრგე, (და)რგო.

რთ-ვ-ა (სთ-ვ-ა, სტ-ვ-ა): (და) ვართე, (და) ართე, (და)ართო.

რწყ-ვ-ა: (მო) ვრწყე, (მო) ჰრწყე, (მო) რწყო.

ამ ზმნებს პარალელურად ა-ნიანი ფორმაც აქვთ: დარგა, დაართა, მორწყა.

ბ) ებიანთაგან:

გ-ებ-ა: ვაგე, აგე, აგო (ა-, და- და სხვ.).

ღ-ებ-ა (გა-, შე-): ვაღე, აღე, აღო.

ღ-ებ-ა (ა-, წა-): ვიღე, იღე, იღო.

ქებ-ა: ვაქე, აქე, აქო.

წ-ებ-ა: ვაწე, აწე, აწო.

გდ-ებ-ა: ვაგდე, აგდე, აგდო.

გზ-ებ-ა: ვაგზე, აგზე, აგზო.

ვლ-ებ-ა: ხელი (და) ვავლე, ავლე, ავლო.

ვნ-ებ-ა: ვავნე, ავნე, ავნო.

ვს-ებ-ა: ვავსე, ავსე, ავსო.

ნთ-ებ-ა: ვანთე, ანთე, ანთო.

რგ-ებ-ა: ვარგე, არგე, არგო....

გ) ობ-იანთაგან თითქმის ყველა:

თბ-ობ-ა: ვათბე, ათბე, ათბო.

მკ-ობ-ა: ვამკე, ამკე, ამკო.

ცხ-ობ-ა: (\*ცხვ-ობ-ა) ვაცხვე, აცხვე, აცხო.....

ძველ ქართულში იყო -ა, რომელიც ახალ ქართულში ო-დ გადაკეთდა:

აგრძნა-იგრძნო.

დაიპყრა-დაიპყრო.

შეიცნა-შეიცნო“ (ა. შანიძე, 1973: 430).

გ. გოგოლაშვილი არასაკმარისად მიიჩნევს უხმოვნო ფუძის ქონას ნამყო ძირითადში მესამე სუბიექტური პირის -ო სუფიქსის გამოვლენისათვის. ამ ალმორფთა განაწილების საფუძველი, მისი აზრით, ძირითადად, „საყრდენი“ მორფემის სტრუქტურაა. „საყრდენს“ ვუწოდებთ იმ მორფემას, რომელსაც უშუალოდ დაერთვის ჩვენთვის საინტერესო ესა თუ ის მაწარმოებელი. იგი ნამყო ძირითადის წარმოებაში -ე სუფიქსიან ზმნებში გამოყოფს 2 ჯგუფს: 1. მარცვლოვანი უკუმშველი „საყრდენი“ მორფემა + -ე სუფიქსი. წარმოების ამ ტიპისათვის ნიშანდობლივია მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ა; 2. უმარცვლო „საყრდენი“ მორფემა + -ე სუფიქსი, წარმოების ამ ტიპისათვის გამოვლინდება მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ო სუფიქსი (გ. გოგოლაშვილი, 1984: 41-42).

გავ-შალ-ე	ავა-შენ-ე	მოვ-დრიკ-ე	შევ-ღობ-ე	მოვაკვლ-ევინ-ე
გა-შალ-ე	აა-შენ-ე	მო-დრიკ-ე	შე-ღობ-ე	მოაკვლ-ევინ-ე
გა-შალ-ა	აა-შენ-ა	მო-დრიკ-ა	შე-ღობ-ა	მოაკვლ-ევინ-ა

ავა-გ-ე	გავა-თბ-ე	დავა-ტკბ-ე	დავა-ფრთხ-ე
აა-გ-ე	გაა-თბ-ე	დაა-ტკბ-ე	დაა-ფრთხ-ე
აა-გ-ო	გაა-თბ-ო	დაა-ტკბ-ო	დაა-ფრთხ-ო.

ავტორის აზრით, -ე სუფიქსი ამ ორი ჯგუფის ზმნებში გენეტიკურად განსხვავებული ოდენობაა. ნამყო ძირითადის ჯგუფში, სადაც -ე სუფიქსი მარცვლოვან უკუმშველ „საყრდენ“ მორფემას დაერთვის, ის თავისთავად დამოუკიდებელი მაწარმოებელია, ხოლო იმ ჯგუფში, სადაც -ე სუფიქსი უმარცვლო „საყრდენ“ მორფემას დაერთვის და ო-ს გვაძლევს, ევ-იდან უნდა მომდინარეობდეს. პირველ და მეორე პირის ფორმებშიც -ეგ უნდა ყოფილიყო, ხოლო მესამე პირში ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით მივიღეთ -ო←ვ-ა←ევ-ა (იქვე: 43).

უა→ო, უე→ო, ვე→ო, ვა→ო კომპლექსების შერწყმა უცხო არ არის ქართულისათვის. ივ. იმნაიშვილი აღნიშნავს, „ახალ ქართულ დიალექტებში განსაკუთრებით გავრცელებულია ვ-ს (უმეტესად←უ) და ა-ს შერწყმა, რომელიც ო-ს იძლევა (თვალი→თოლი, ცხვარი→ცხორი, სუამს→სომს, იღვა→იდო და სხვ.). ეს მოვლენა საშუალო ქართულისათვისაც არის დამახასიათებელი. მაგრამ ძველ ქართულში ამნაირი ფონეტიკური პროცესი უჩვეულოა, გვხვდება თითო-ორი კერძო შემთხვევა, მაგალითად: ეხოღ←ეჩუაღ, ხაჭოღ←ხაჭუაღ, ხორბალი←ხუარბალი (ასევე შეურწყმელადაა წარმოდგენილი ძველ ქართულში), ხომალდი←კომალდი←კუამალდი; ვ-ყავ, ჰ-ყავ, \*ყავ-ა→ყვ-ა→ყო და სხვ.“ (ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996: 138).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ /-ო/ ალომორფი ფონეტიკურად შეპირობებულია და წყვეტილში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდ რიცხვში თავდაპირველად იყო /-ა/.

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ა. ონიანს /-ა/ და /-ო/ ალომორფთა განაწილების შესახებ. როგორც ცნობილია, უხმოვნო ძირებთან გვხვდება არა მარტო /-ო/ ალომორფი, არამედ /-ა/-ც. /ვ/ ფონემის მომდევნო პოზიციაში არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება /-ო/, აქ ყოველთვის /-ა/ არის წარმოდგენილი: შე-ა, გა-უშე-ა, და-წე-ა და სხვ. (ა. ონიანი, 1978: 59).

ავტორი დასძენს: „S<sub>3</sub> მორფემის /-ო/ და /-ა/ ალომორფთა განაწილების წესების დადგენა ჩვენ მოგვიხერხდა მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რომელი თემის ნიშნით არის წარმოდგენილი სათანადო ზმნა I სერიის ფორმებში.

/-ო/ ალომორფი დასტურდება შემდეგ შემთხვევებში:

1) უხმოვნო ძირის მქონე ისეთ ბრუნვაცვალებადსავალდებულოპირიან ზმნათა წყვეტილში, რომელთაც I სერიის ფორმებში აქვთ თემის ნიშნები /-ებ/, /-ობ/ ან /-ოფ/ და მათ კონვერსიულ პრეფიქსიან ვნებითში. მაგალითები:

აქტიური და მედოაქტიური		პრეფიქსიანი ვნებითი	
აწმყო	წყვეტილი	აწმყო	წყვეტილი
ა-ნთ-ებ-ს	ა-ა-ნთ-ო	ი-ნთ-ებ-ა	ა-ი-ნთ-ო
უ-ნთ-ებ-ს	ა-უ-ნთ-ო	ე-ნთ-ებ-ა	ა-ე-ნთ-ო
ა-ვს-ებ-ს	გა-ა-ვს-ო	ი-ვს-ებ-ა	გა-ი-ვს-ო
ა-ღ-ებ-ს	გა-ა-ღ-ო	ი-ღ-ებ-ა	გა-ი-ღ-ო
ი-წყ-ებ-ს	და-ი-წყ-ო	ი-წყ-ებ-ა	და-ი-წყ-ო
ა-ქ-ებ-ს	ა-ქ-ო	ი-ქ-ებ-ა	ი-ქ-ო
ა-პ-ობ-ს	გა-ა-პ-ო	ი-პ-ობ-ა	გა-ი-პ-ო
სპ-ობ-ს	მო-სპ-ო	ი-სპ-ობ-ა	მო-ი-სპ-ო
უ-ხრჩ-ობ-ს	და-უ-ხრჩ-ო	ე-ხრჩ-ობ-ა	და-ე-ხრჩ-ო
ყ-ოფ-ს	გა-ყ-ო	ი-ყ-ოფ-ა	გა-ი-ყ-ო
ა-თბ-ობ-ს	გა-ა-თბ-ო	_____	_____
ძღ-ებ-ს	გა-ძღ-ო	_____	_____

2. /-ავ/ თემის ნიშნიან ბრუნვაცვალებად საგაღდებულოპირიან ზმნათა წყვეტილსა და მათ კონვერსიულ პრეფიქსიან ვნებითში იმ შემთხვევაში, თუ ძირეული მორფემა სამივე პირის ფორმაში ნულოვანი გახმოვანებით არის წარმოდგენილი:

და-ვ-რგ-ე      მო-ვ-რთ-ე      მი-ვ-უ-ზღ-ე      მო-ვ-ი-რთ-ე  
და-რგ-ე      მო-რთ-ე      მი-უ-ზღ-ე      მო-ი-რთ-ე  
და-რგ-ო      მო-რთ-ო      მი-უ-ზღ-ო      მო-ი-რთ-ო“ (ა. ონიანი, 1978: 60).

/-ო/ ალომორფი არც ერთ სხვა შემთხვევაში არ დასტურდება.

საგულისხმოა, რომ ამგვარ ზმნებში /-ო/-ს თავისუფლად ენაცვლება /-ა/. მაგ.: მო-რწყ-ო// მო-რწყ-ა, რაც აღნიშნული აქვს ა. შანიძეს (ა. შანიძე, 1973: 430).

რაც შეეხება /-ა/ ალომორფს, ა. ონიანის აზრით, ის უგამონაკლისოდ არის წარმოდგენილი. თვით უხმოვნო ძირის მქონე წყვეტილშიც ზოგჯერ რეგულარულად /-ა/ ალომორფი დასტურდება, ასეთებია:

1. /-ავ/ თემისნიშნიანი ზმნები, თუკი ძირეული მორფემა ნულოვანი გახმოვანებით მხოლოდ III პირის ფორმაშია წარმოდგენილი, მაგ.; მო-კლ-ა, შე-კრ-ა, აღ-ძრ-ა (შდრ.: მო-ვ-კალ-ი, მო-კალ-ი; შე-ვ-კარ-ი, შე-კარ-ი; აღ-ვ-ძარ-ი, აღ-ძარ-ი) და სხვ.



2. /-ამ/, /-ემ/, /-ი/ და /-ევ/ თემისნიშნის ზმნები ყოველთვის, მაგ.: და-ა-ბ-ა, და-ა-დგ-ა, მო-ი-სხ-ა, შე-ქმნ-ა, გა-ჭრ-ა, მი-ს-ც-ა, გა-ი-ხ-ა, და-ი-მსხვრ-ა და სხვ.

ავტორი ასკვნის, რომ „-/ა/ და /-ო/ ალომორფთა განაწილებას მორფოლოგიური საფუძველი უდევს“ (ა. ონიანი, 1978: 61).

რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, მესამე სუბიექტურ პირში, განსხვავებით პირველი და მეორე პირებისაგან, აქაც ფლექსიური ტიპის ენებისათვის დამახასიათებელი ვითარება გვაქვს: რიცხვი და პირი გამოიხატება ერთი და იმავე მორფემებით: -ან, -ეს, -ნ, -ენ, -ნენ.

არნ. ჩიქობავა ასე განიხილავს ამ საკითხს: „მრავლობითში პირველი და მეორე პირის ნიშნებიც გვაქვს და მრავლობითობის სუფიქსი -თ, მესამე პირში კი პირის ნიშანი და რიცხვისაც ერთია (-ენ, -ან, -ეს). წარმოშობით ეს ბოლოსართები მხოლოდ რიცხვზე (მრავლობითზე) მიუთითებენ პირის ნიშანი აქ ზმნას არ ჰქონდა ისევე, როგორც მხოლობითში, ოღონდ მხოლობითში გაუჩნდა, მრავლობითში – არა). აქ მხედველობაში გვაქვს ქართული ენის განვითარების ის პერიოდი, როცა პირების გარჩევამ იჩინა თავი. პირები მეორეულია; მანამდე უღვლილებაში მხოლოდ კლასები გაირჩეოდა, გრამატიკული კლასები – ადამიანისა და ნივთისა“ (არნ. ჩიქობავა, 1950: 053).

უფრო ვრცლად ეხება ამ საკითხს ა. შანიძე. კერძოდ, „მე-3 პირის სუბ. ნიშნად მრავლობით რიცხვში რამდენიმე სუფიქსია: -ენ, -ან, -ნ, -ნენ, -ეს; მაგალითები:

1. -ენ: აკეთებ-ენ, ათბობ-ენ, აკეთებდ-ენ, ათბობდ-ენ. რადგანაც ეს სუფიქსი ხმოვნით იწყება, ამიტომ იგი ზოგჯერ ფუძის შეკუმშვას იწვევს აწმყო-მყოფადში: მაღაგ-ს, მაგრამ მაღვ-ენ, ხატავ-ს, მაგრამ ხატვ-ენ, კლაგ-ს, მაგრამ კლვ-ენ, დაარტყამ-ს, მაგრამ დაარტყმ-ენ და მისთ.

-ენ დაბოლოება ხან მთლიანად პირის ნიშანს წარმოადგენს მრ. რიცხვში და დაუშლელია (ასეთი დაპირისპირებით: ხატავ-ს – ხატავ-ენ), ხანაც დაიშლება ე+ნ. ამათგან პირის ნიშანი მარტო ნ იქნება ასეთი დაპირისპირებით: ხატავდ-ს – ხატავდ-ენ.

2. -ან სუფიქსი გვხვდება ყოველთვის, როცა ზმნას ბოლოს თემის ნიშნად ან მწკრივის ნიშნად ი აქვს: ჭრი-ან, ჭყივი-ან, გარბი-ან,.. იცინი-ან, თხრი-ან და

მისთ. მაგრამ ზოგიერთი ზმნა („საშუალო“ გვარისა), რომელიც მას დაირთავს, კიდევ სხვა თავისებურებასაც გვიჩვენებს: -ან დაბოლოების წინ თავს იჩენს ხოლმე -ან, რაც ნათლად ჩანს მხოლობითისა და მრავლობითი ფორმების დაპირისპირებისაგან: დგა-ს – დგ-ან-ან, წევ-ს – წვ-ან-ან, ჰგავ-ს – ჰგვ-ან-ან... ლ. კიკნაძის ახსნის თანახმად, პირველი ან თემის ნიშანია, რომელიც გარკვეულ შემთხვევებშია შემონახული.

ზოგჯერ -ან დაბოლოება წარმოშობილია არიან ზმნისაგან, რომელშიც უკვე არის პირის ნიშანი (არი-ან: ყოფილ არი-ან – ყოფილ-ან, შობილ არი-ან – შობილ-ან).

3. -ნ გვხვდება II კავშირებითში: გააკეთო-ნ, ქნა-ნ, დაიხოცო-ნ...

4. -ნენ იმდენად შეიძლება მთლიანად ჩაითვალოს მრავლობითი რიცხვის მე-3 პირის სუბიექტურ ნიშნად, რამდენადაც შიგ შემავალი პირველი ნ ვისამე ენაში მხოლოდ მე-3 პირში გვხვდება და იმავე რიცხვის 1-ლისა და მე-2 პირის ფორმებში კი – არა: წავიდ-ნენ (ამათთან შეპირისპირებით: წა-ვედით, წა-ხვედით, წა-ვიდ-ნენ), იყვ-ნენ (ასეთი შეპირისპირებით ერთი კაცის ენაში ან ერთ კილოში: ვიყავით, იყავით, იყვ-ნენ), წაეკიდ-ნენ (ასეთი შეპირისპირებით: წავეკიდეთ, წაეკიდეთ, წაეკიდ-ნენ); თორემ, თუ ნ ვისამე ენაში 1-ლისა და მე-2 პირის ფორმებშიც შედის (ამ შემთხვევაში მას წინ კიდევ ე ექნება), მაშინ იგი პირის ნიშანს აღარ განეკუთნება, მაგ.: ამ შემთხვევაში: ვიყვ-ენ-ით, იყვ-ენ-ით, იყვ-ნ-ენ; წავეკიდ-ენ-ით, წაეკიდ-ენ-ით, წაეკიდ-ნ-ენ, მაშასადამე, აქ მე-3 სუბიექტური პირის ნიშნად მარტოდენ -ენ უნდა ვიგულოთ, რომელიც სულ ბოლოს არის (იყვნ-ენ, წაეკიდნ-ენ).

5. -ეს სუფიქსი ძველად ფართოდ იყო გამოყენებული. იგი თანაბრად იხმარებოდა წყვეტილშიცა და უწყვეტელშიც, როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალ ზმნებში. თანამედროვე სალიტერატურო ენაში კი ეს დაბოლოება გარდამავალ ზმნებს შერჩათ (ან კიდევ გარდამავალთაგან გამოსულ გარდაუვალ ზმნებს ცელქობს-იცელქებს ტიპისას) და ისიც მარტოდენ წყვეტილში: გააკეთ-ეს, დააგ-ეს, გაათბ-ეს, დაიბარ-ეს, იცელქ-ეს და მისთ., ხოლო მისი ადგილი (ნენ დაბოლოებამ დაიჭირა წყვეტილში გარდაუვალ ზმნებში (საშუალსა და ვნებითში), უწყვეტელში კი საზოგადოდ ყოველგვარ ზმნაში (გარდამავალშიცა და

გარდაუვალშიც): იყვ-(ნ)-ენ, გაემართ-(ნ)-ენ, აკეთებდ-(ნ)-ენ, წერდ-(ნ)-ენ, აშენებდ-(ნ)-ენ და მისთ“ (ა. შანიძე, 1973: 177-178).

ამათგან, როგორც ცნობილია, ყველას ვხვდებით ძველ ქართულში, გარდა -ნენ დაბოლოებისა, რომელიც, როგორც ერთიანი აფიქსი, არ ვხვდებოდა. ძველ ქართულში წარსული დროის გამომხატველ მწკრივებში (უწყვეტილი, წყვეტილი, II თურმეობითი), მესამე სუბიექტური პირის მრავლობითში იხმარებოდა -ეს მორფემა. ახალ ქართულში -ეს სუფიქსი იხმარება მხოლოდ გარდამავალ და საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებთან წყვეტილში. რაც შეეხება დანარჩენ წარსულდროიან ფორმებს, მათ მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში აქვთ -ნენ სუფიქსი.

საინტერესოა მოსაზრებები -ნენ სუფიქსის წარმოშობისა და დამკვიდრების შესახებ. ე. ნიკოლაიშვილი შენიშნავს, რომ ძველ ქართულში არის მიმდევრობა ნ-ენ, რომელიც გვხვდება II კავშირებითის (ასევე III კავშირებითის) ფორმებში. ეს დაბოლოება მაშინ გვაქვს, როდესაც პირდაპირი ობიექტი ნარიან მრავლობითში შეეწყობა ზმნას: მისც-ნ-ენ, მოკლ-ნ-ენ. ნ-ენ მიმდევრობა ამგვარ ფორმებში სამი აფიქსისაგან შედგება: პირველი -ნ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამომხატველია, მეორე -ნ – სუბიექტური პირის მრავლობითისა, ხოლო -ე კავშირებითის მწკრივის ნიშანია. -ნენ აფიქსის ჩამოყალიბება არ უნდა უკავშირდებოდეს ამ ფორმებს, არამედ შესაბამის პრეფიქსიან ვნებითს, სადაც ის ვხვდება სუბიექტის მრავლობითის მე-3 პირში: დაიმაღნენ, ევედრნენ. ამ ფორმებში კონვერსიის დროს მოქმედებითიდან გადმოყოლილი პირდაპირი ობიექტის მრავლობითის -ნ და ბოლოკიდური -ნ ფაქტობრივად ერთსა და იმავე სახელს მიემართება, რომელიც მოქმედებითში პირდაპირი ობიექტია, ხოლო ვნებითში – სუბიექტი. ამ გარემოების გამო ისტორიულად სამი სხვადასხვა დანიშნულების სუფიქსი გაერთიანდა და დამოუკიდებელი აფიქსი წარმოიშვა სწორედ ვნებითში: -ნენ. პრეფიქსიანი ვნებითის II კავშირებითის გავლენით -ნენ გავრცელდა სხვა გარდაუვალ ზმნათა II კავშირებითშიც (რომ გათბნენ, გამრავლდნენ, მოვიდნენ), აგრეთვე საზოგადოდ გარდაუვალ ზმნათა წყვეტილსა და I სერიის სავრცობიან მწკრივებში. მაგრამ მოვლენათა განვითარება, როგორც ჩანს, არ ყოფილა ასე სწორხაზოვანი. ირკვევა, რომ -ნენ სუფიქსის გვერდით საშუალ ქართულში მოქმედებს -ენ ბოლოსართიც. როგორც გარკვეულია, მერყეობა -ეს ფორმანტის გამოყენებაში

გვხვდება XV ს. ბოლოდან. XVI – XVIII საუკუნეებში სხვადასხვა შეფარდებით ერთმანეთს ენაცვლება -ეს, -ენ, -ნენ, სუფიქსები, რომელთაგან საბოლოოდ იმარჯვებს -ნენ. პროცესი დასრულებული ჩანს XVIII საუკუნეში (ენიკოლაიშვილი, 1978: 96–107).

-ნენ სუფიქსი II კავშირებითიდან გავრცელდა თხრობითი კილოს ფორმებში. ამჯერად ახალ ქართულში იგი ძალიან პროდუქტიული მორფემაა. მას ვხვდებით: უწყვეტელში (ყველანაირ ზმნასთან), ხოლმეობითში, აწმყოს კავშირებითში, მყოფადის კავშირებითში, II კავშირებითში, წყვეტილში – გარდაუვალ ზმნებთან, II თურმეობითსა და III კავშირებითში – გარდამავალ ზმნებთან.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ განხილულ საკითხთან დაკავშირებით მაინც იბადება კითხვები, რომლებსაც შევეცდებით შეძლებისდაგვარად გუპასუხოთ:

1. რატომ არის წარმოდგენილი (ან რატომ იყო წარმოდგენილი) მესამე სუბიექტური პირის ნიშნები რამდენიმე მორფემით?
2. რატომ არის მესამე სუბიექტური პირის ნიშნები სუფიქსები და ყველა დანარჩენი პრეფიქსები?
3. რატომ აღნიშნავს მესამე სუბიექტური პირის ნიშანი პირსა და რიცხვს ერთდროულად?
4. რამ განაპირობა ძველ ქართულში აუცილებელი ხმარება მეორე სუბიექტური პირის ნიშნისა, რომელიც თანდათანობით დასუსტდა და ახალ ქართულში ნულოვანი ალომორფით შეიცვალა?

ჩვენი აზრით, მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდით რიცხვში გამოხატული იყო პრეფიქსული ნულოვანი ალომორფით, რომელიც უპირისპირდებოდა მარკირებულ I და II პირის ფორმებს:  $S_1 - ვ$ ,  $S_2 - ხ$ ,  $S_3 - \emptyset$ . რაც შეეხება იმ მორფემებს, რომლებიც დღეს ასრულებს მესამე სუბიექტური პირის ნიშნების ფუნქციას, სხვა გრამატიკულ კატეგორიებს გამოხატავდა (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ა. ონიანი, ლ. ბარამიძე), რაც დღესაც ჩანს. ის რაღაც მორფოლოგიური კატეგორიები სუფიქსური მორფემებით გამოიხატებოდა და, რაც მთავარია, მხოლოდ მესამე პირისათვის იყო დამახასიათებელი (ისევე, როგორც დღეს, ახალ ქართულში). თუ დავუშვებთ, რომ მესამე სუბიექტური

პირის ნიშნები ისეთ მორფოლოგიურ კატეგორიებს გამოხატავდა, რომელიც დამახასიათებელი იყო 1-ელი და მე-2 პირისთვისაც, მაშინ, ლოგიკურია, აღნიშნულ კატეგორიებს ამ პირებშიც უნდა ჰქონოდა სათანადო ნიშნები, რაც შესაბამისად გამოიწვევდა 1-ელი და მე-2 პირის ნიშნების სიმრავლესაც.

ჩვენი აზრით, ეს მორფოლოგიური კატეგორიები, რომლებიც მხოლოდ მესამე პირის ფორმაში ვლინდებოდა, ბუნებრივია, 1-ელ და მე-2 პირში არ იყო მარკირებული და ნულოვანი ალომორფით უპირისპირდებოდა მე-3 პირს. ცხადია, 1-ელი და მე-2 სუბიექტური პირის ნიშნებიც ნულოვანი ალომორფით ვერ იქნებოდა წარმოდგენილი, პირიქით, მათი მარკირება აუცილებელი იყო კატეგორიების ერთმანეთისაგან გასარჩევად, რაც, ვფიქრობთ, გამოვლინდა სწორედ ძველ ქართულში მეორე სუბიექტური პირის ნიშნის სავალდებულო მატერიალური გამოხატვით.

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობა, ჩვენი აზრით, -ენ-ნ სუფიქსით იყო წარმოდგენილი, როგორც ეს გვქონდა პირდაპირი ობიექტის შემთხვევაში, როდესაც ის იდგა სახელობით ბრუნვაში. ამასთანავე -ენ-ნ ნიშნით აღნიშნული სახელის მრავლობითობა გამოიხატებოდა ყველა პირში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ მორფემის უშუალო ფუნქცია მრავლობითობის აღნიშვნა იყო. სავსებით ბუნებრივია, მას ეს ფუნქცია შეესრულებინა სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვში, ხოლო სუბიექტური მესამე პირი კვლავ ნულოვანი ალომორფით ყოფილიყო გამოხატული. რაც შეეხება მესამე სუბიექტური პირის სხვა მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ ნიშნებს, ისინიც იმ სხვა გრამატიკული კატეგორიების მრავლობითი რიცხვის გამომხატველნი იყვნენ, რაც შესაბამისად სუბიექტური მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმისათვის იყო დამახასიათებელი. დროთა განმავლობაში, როდესაც ეს სისტემა მოიშალა, აღნიშნულმა მორფემებმა მხოლოდობით რიცხვში შეითავსა პირის გამოხატვის ფუნქციაც, შესაბამისად მრავლობითში არსებულმა მორფემებმა პირისა და რიცხვის გამოხატვა ერთდროულად იკისრა. ვფიქრობთ, ამით იყო გამოწვეული მესამე სუბიექტური პირის როგორც მხოლოდობითის, ასევე მრავლობითის ნიშანთა სიმრავლე. როდესაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნებმა შეითავსა პირის გამოხატვის ფუნქციაც, თანდათანობით დასუსტდა მეორე სუბიექტური პირის ნიშანი, რადგანაც პირველ და მესამე პირებს გამოკვეთილად ჰქონდა ნიშნები და მეორე სუბიექტური პირის უნიშნობა მარკირების ტოლფასი გახდა. მან ჯერ

სახე იცვალა, ხოლო შემდეგ დაიკარგა ზოგიერთი ფონემების წინ (ხმოვნების, სონორების, ჩქამიერი ნაპრალოვნების) და ბოლოს, სრულიად გაქრა, რის გამოც დღევანდელ ქართულში ნულოვანი ალომორფი გვაქვს.

რაც შეეხება იმას, რომ დღეს ეს მორფემები კვლავ გამოხატავენ რაღაც სხვა კატეგორიებსაც, გარდა პირისა და რიცხვისა, მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ მათთვის ასეთი როლის შესრულება უჩვეულო არ არის, მაგრამ შეცვლილი სახით ხდება სისტემის სიმეტრიისაკენ სწრაფვა.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, სუბიექტური პირის ნიშანთა ცხრილი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

### ძველი ქართული

მხოლოებითი რიცხვი

I ვ-~ტ-~Ø- ———

II ხ-~ჰ-~ს-~შ-~Ø- ———

III ————— -ს-~ნ-~ღ-~ა-~ო-~Ø

მრავლობითი რიცხვი

I ვ-~ტ-~Ø- ——— -თ

II ხ-~ჰ-~ს-~შ-~Ø- ——— -თ

III ————— -ენ-~ედ-~ან-~ნ-~ეს

### ახალი ქართული

მხოლოებითი რიცხვი

I ვ-~Ø- ———

II ხ-~Ø- ———

III ————— -ს-~ა-~ო-~Ø

მრავლობითი რიცხვი

I ვ-~Ø- ——— -თ

II ხ-~Ø- ——— -თ

III ————— -ენ-~ენ-~ან-~ნ-~ეს.

### თავი III ობიექტური პირის ნიშნები

#### პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშნები

ქართული ზმნა მრავალპირიანია, რომელიც გულისხმობს ზმნის ფორმაში როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური პირების აღნიშვნას. ობიექტური პირის ნიშნები (I, II, III) ყველა პრეფიქსებია, ობიექტური პირი, როგორც ცნობილია, ორი სახისაა: პირდაპირი და ირიბი. I და II ობიექტური პირების აღნიშვნისას მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორი ობიექტია - პირდაპირი თუ ირიბი - ორივე შემთხვევაში ისინი ერთნაირი პრეფიქსებით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება მესამე პირს, ამის შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში. განვიხილოთ ობიექტური პირის თითოეული ნიშანი ცალ-ცალკე.

ძველ ქართულში პირველი ობიექტური პირის ნიშანია მ- მხოლოდით რიცხვში, როგორც პირდაპირისა, ასევე ირიბის. მაგ:

რომელმან აღ-მ-იაროს მე წინაშე კაცთა (მ. 10,32).

ეგე ყოველი და-მ-იმარხავს სიყრმით ჩემითგან (მ. 19,20).

ვინ თქვენგანი შე-მ-ეტყუების მე ცოდვათათვის (ი. 8,46).

მან მე მ-ადიდოს (ი. 16,44).

მ-იკსენ მე ... ბოროტისაგან (მ. 14,30).

შე-მ-ცოდოს მე ძმამან ჩემმან (მ. 18,21).

რამეთუ პირველად მე მო-მ-იძულა (ი. 15,18).

ამას ღამესა ... სამგზის უგარ-მ-ყო მე (მრ. 14,30).

არღარა მ-ხედვიდეთ მე (ი. 16,10; 16,17).

მო-მ-ეც მე სიტყვად სამნოხსა შენისად (ლ. 16,2).

რადთა არა მ-აწყინებდნენ მე ამისათვის (ისტ. ქრ. II, 83,15).

მე მ-აბრალეებთა (ი.7,23).

გან-მ-ეშოვრენით ჩემგან ყოველნი (მ. 7,23).

ღამან ჩემმან მარტომ და-მ-იტევა მსახურებად (ლ. 10,40).

რადსა მ-კითხავ მე კეთილისათვის (მ. 19,17).

მო-მ-დევდი მე (მრ. 2,14).

მ- პრეფიქსი პირველი ობიექტური პირის აღსანიშნავად, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, მრავლობითი რიცხვის ფორმაშიც გვხვდებოდა. ის მაშინაც დასტურდებოდა ზმნაში, როცა პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად არსებობდა -ენ (-ნ) სუფიქსი. ობიექტური პირების მხოლოდობით-მრავლობითობის გარჩევა შესაძლებელი იყო რამდენიმე ხერხით.

ივ. და ვ. იმნაიშვილები თავის ცნობილ ნაშრომში “ზმნა ძველ ქართულში” აღნიშნავენ:

ა) ზოგჯერ ზმნასთან სათანადო ნაცვალსახელი იყო წარმოდგენილი: მომეც **ჩუენ** პური ესე (ი, 6, 34), მომეც **მე**, რადცა თანა-გავცა (მ, 18,28). მომეც **მე** სიტყვად სამნოდსა შენისად (ლ. 16, 2). მომეც **ჩუენ**, რადთა დავსხდეთ ერთი მარჯვენით და ერთი მარცხენით შენსა (მრ. 10, 37). მარქუ **ჩუენ** განცხადებულად (ი. 10, 24). მითხარ **მე**, სადა დასდევ (ი. 20.15), მითხარ **ჩუენ** იგავი იგი (მ. 13,36). მოსე ესრეთ და-მ-იწერა **ჩუენ** (მრ. 12,19).

მ-ითხარ **ჩუენ** (მრ. 13,4).

მო-მ-იტევენ **ჩუენ**, თანანადებნი ჩუენნი (მ. 6,12).

ნუ შე-მ-იყვანებ **ჩუენ** განსაცდელსა (მ. 6,13).

ვიდრე **ჩუენ** მ-ეძინა (მ. 28,13).

ბ) რიცხვის ამოცნობა შესაძლებელი იყო მომდევნო წინადადების საშუალებით ანუ კონტექსტით: არა **მაქუს**, სადა **დავიკრიბო** ნაყოფი **ჩემი**. (ი. 12, 17) „დავიკრიბო” სუბიექტად შეიწყობს მე-ს, ამიტომ არა მაქუს-აც შეეწყობა **მე**. ასეთია კიდევ: **მნებავს**, რადთა აწვე **მომცე მე** თავი იოვანე ნათლის-მცემლისად (მრ. 6, 25). აქ მეორე წინადადებაში მომცე ზმნას ახლავს **მე** ნაცვალსახელი, მაშასადამე, იგივე **მე** არის საჭირო „**მნებავს**” ზმნისთვისაც. კიდევ ერთი მაგალითი: **მრწამს**, **შემეწიე** ურწმუნობასა ჩემსა (მრ. 9,24). აქ არც ერთ ზმნას არ ახლავს პირის ნაცვალსახელი, მაგრამ რიცხვს ავლენს კუთნილებითი **ჩემსა**, მაშასადამე, იგულისხმება მხოლოდობითი რიცხვი: **მრწამს მე**, **შემეწიე მე** (ივ.იმნაიშვილი ვ. იმნაიშვილი, 1996: 32).

ამრიგად, როგორც მაგალითებიდან ჩანს მ- პრეფიქსი პირველი ობიექტური პირის მრავლობითის ფორმაშიც იხმარებოდა.



საკმაოდ ხშირია შემთხვევები ძველ ქართულში, როდესაც პირველი ობიექტური პირის მრავლობითობა გუ- პრეფიქსით არის წარმოდგენილი:

ვინ გარდა-გუ-გოროს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა (მრ. 16,3).

უფალო, გუ-ასწავე ჩუენ ლოცვაჲ (ლ. 11,1).

უფალო, მარადის მო-გუ-ეც ჩუენ პური ესე (ი. 6,34).

არა შემო-გუ-დგს ჩუენ (ლ. 9,49).

ჩუენ გუ-ესმა მაგისი (მრ. 14,58).

აწ გუ-ცნობიეს, რამეთუ ეშმაკეულ ხარ (ი. 8,52).

მ- და გუ- პრეფიქსებს წერილობითი ძეგლების წინა პერიოდში კიდევ სხვა მორფოლოგიური ფუნქციაც უნდა ჰქონოდა. ზოგიერთ ენათმეცნიერთა მოსაზრებით, ა. შანიძე (ა. შანიძე, 1976: 65) ვ. თოფურია (ვ. თოფურია, 2002: 25), ა. ონიანი (ა. ონიანი, 1978: 214-245) მ- და გუ- პრეფიქსები ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიას გამოხატავდა. არნ. ჩიქობავას შეხედულებით კი, მ- და გუ- პრეფიქსები ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიას არ გამოხატავდა, არამედ აღნიშნავდა მხოლოდ I პირის მრავლობითის ფორმებს და სხვადასხვა დიალექტური წრიდან იყო შემოსული სალიტერატურო ენაში (არნ. ჩიქობავა, 1946: 105). „მაქუს ჩუენ“ ტიპის წარმოება ერთი გარკვეული დიალექტური სამყაროდან უნდა მოდიოდეს, კერძოდ, სამხრეთ-დასავლური ქართული კილოებიდან. ამგვარი წარმოება დაცულია ზანურშიც. რაც შეეხება გუ-პრეფიქსიან წარმოებას, იგი გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე მ-პრეფიქსიანი წარმოება და მრავლად არის წარმოდგენილი სვანური ენის მორფოლოგიურ სისტემაში (იქვე, 105). ავტორი განაგრძობს, თუ გუ- პრეფიქსი ინკლუზიური (ანდა: ექსკლუზიური - პრინციპში ეს სულ ერთია) შინაარსისაა, მრავლობითობის -ენ სუფიქსისათვის ადგილი არა რჩება. ერთი ფუნქციით ორი სუფიქსის ერთდროულად გამოყენება შეუძლებელია (იქვე,100).

ინკლუზიურ ფორმაში მოუბართან ერთად იგულისხმება მეორე პირი, ე. ი. „ჩვენ“ გულისხმობს „მე და შენ“, ან „მე და თქვენ“, ხოლო ექსკლუზიური ფორმა გულისხმობს მოუბართან ერთად მესამე პირს ე.ი. „მე და იგი“, „მე და მან“, „მე და მას“, ან კიდევ „მე და იგინი“, „მე და მათ“.

ინკლუზიურ ფორმაში, წერს ა.შანიძე, ჩართულია მეორე პირი და ამორთულია მესამე, ხოლო ექსკლუზიურში ჩართულია მესამე პირი და ამორთულია მეორე.

არის იმის ნიშნები, რომ სალიტერატურო ქართულში უძველეს დროს გარჩეული იყო ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმები I-ლი ობიექტური პირისათვის მრავლობით რიცხვში: გუ- უნდა ყოფილიყო ინკლუზიური პირის ნიშანი, მ- კი ექსკლუზიურისა. ამის მაჩვენებელია შემდეგი ფორმები, რომლებიც გვხვდება „მამაო ჩვენოში.“ „პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი... და ნუ შემეყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჰსენ ჩუენ ბოროტისაგან“ (მ. 11,13). მაგრამ ამასთანავე ისიც ცნობილია, რომ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტებში საზოგადოდ ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმები მკაცრად გარჩეული არ არის (ა. შანიძე, 1973: 65-66). ავტორი საინტერესო პარარელს ავლებს თანამედროვე სვანურთან. ამჟამად, წერს იგი, სვანური ენისათვის საზოგადოდ არ არის დამახასიათებელი ობიექტურ პირებში ე.წ. ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების გარჩევა, თუმცა სვანურის ზოგი კილო (მაგ, ბალსხემოური) ამას არჩევს. მაგალითად: ქართ. “გვამზადებს” სვანურად იქნება გუამარე და ნამარე. ამათგან გუამარე ინკლუზიური ფორმაა (გვამზადებს მე და შენ, მე და თქვენ), ნ-ამარე - ექსკლუზიური (გვამზადებს მე და მას, მე და მათ) (იქვე: 183).

ვ. თოფურია საუბრობს I ობიექტური პირის ინკლუზიურ-ექსკლუზიურ ფუნქციებზე. იგიც სვანურს (ზემოსვანური) მიმართავს და თვლის, რომ ძველ ქართულში გუ-სა და მ-ს შორის ისევე იყო როლი განაწილებული, როგორც დღეს არის სვანურში გუ-/ნ- პრეფიქსებს შორის (ვ. თოფურია, 1967:27).

ივ. იმნაიშვილი აღნიშნავს, რომ ტექსტებში ზოგჯერ არეულია ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმები, ზოგჯერ ერთის ნაცვლად მეორე იხმარება. ეს მოსალოდნელი იყო ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როცა ესა თუ ის კატეგორია გადავარდნას იწყებს, ხშირია ნარევი ფორმები, ეს არევა შემდეგ და შემდეგ აუტანელი ხდება და ფორმა გადის ხმარებიდან. ეს არ იძლევა საფუძველს, ვამტკიცოთ, რომ ასეთი კატეგორია თავიდანვე არ ყოფილა ენაში, როგორც მწყობრი სისტემა და ცოცხალი ენობრივი მოვლენა (ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996: 34).

ა. ონიანი აღნიშნულ პრეფიქსთან დიალექტურ წარმომავლობას შეუძლებლად მიიჩნევს, რადგან ქართულ ენაში არ მოიპოვება არც ერთი დიალექტი, სადაც /მ-/ არ დასტურდებოდეს, ამიტომ არა გვაქვს საფუძველი ისეთი დიალექტის

არსებობის დაშვებისა, სადაც /მ-/ არ იქნებოდა წარმოდგენილი. ასევე არ არსებობს ისეთი დიალექტი, სადაც /გუ-/ არ იყოს მოცემული. ამასთანავე აღნიშნულ პრეფიქსთა დიალექტური წარმომავლობის მტკიცება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთდებოდა /მ-/ და /გუ-/ პრეფიქსთა ფუნქციური იდენტობა (ა. ონიანი, 1978: 232). მისი აზრით, /მ-/ და /გუ-/ პრეფიქსთა ოდინდელი ფუნქცია მხოლოდ პირისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო. სვანური ენის მასალის საფუძველზე ავტორი ასკენის, რომ „სავალდებულო არ არის ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემები მრავლობითობასაც გამოხატავდნენ. რიცხვი და ინკლუზივ-ექსკლუზივი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა მორფემებით აღინიშნება ზმნაში, ასეა ეს თანამედროვე სვანურის სავალდებულო პირში, ისტორიულად ასე უნდა ყოფილიყო არასავალდებულო პირშიც. ასეთივე ვითარება უნდა გვქონოდა ქართული ენის განვითარების იმ საფეხურზე, როცა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია გარჩეული იყო (იქვე: 236).

ძველ ქართულში /გუ-/ პრეფიქსმა დაკარგა ამოსავალი ფუნქცია ინკლუზივის გამოხატვისა, ის დაუპირისპირდა მ-იან ფორმას მხოლოდ რიცხვის გარჩევის ფუნქციით, მაგრამ /გუ-/ პრეფიქსის ამოსავალი ფუნქცია ქართულში, წერს ავტორი, ინკლუზივის გამოხატვა უნდა ყოფილიყო.

ასეთივე აზრს გამოთქვამს ვ. თოფურიაც. მართალია, ძველ ქართულში /გუ-/ და /მ-/ პრეფიქსები აღარ შეიცავენ ინკლუზივ-ექსკლუზივის მეკეთრ, მწყობრ გაგებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სვანურსა და ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში მაინც ვლინდება ამ კატეგორიის კვალი, რომელიც საერთო-ქართველური ენის მორფოლოგიური სისტემისათვის იყო დამახასიათებელი (ვ. თოფურია, 1967: 25-28).

ამ დებულებას კიდევ უფრო ამტკიცებს თ. გამყრელიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საერთო-ქართველური ენის ნაცვალსახელთა სისტემაში არსებობდა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია. ინკლუზიურ-ექსკლუზიურ კატეგორიათა მოშლამ ქართველურ ნაცვალსახელურ ფორმებში, სვანურში-ერთ-ერთ ქართველურ ენაში, რომელიც კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემის ნაშთია შენარჩუნების თვალსაზრისით ყველაზე არქაულია – საპირისპირო მოვლენა გამოიწვია: ინკლუზიურ-ექსკლუზიურ კატეგორიათა

ჩამოყალიბება ზმნის სისტემაში, რის წყალობითაც ენაში ერთგვარი სტრუქტურული წონასწორობა დამყარდა (თ. გამყრალიძე, 2000: 51).

ა. ონიანი ასკენის, ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების გარჩევა მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელურ ფორმაში უშუალო კავშირში უნდა ყოფილიყო ამავე ენის პირიანი უღვლილების მქონე ზმნებთან. ამდენად, /გუ-/და /მ-/ პრეფიქსთან ამოსავალ ფუნქციად ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირების გამოხატვა უნდა მივიჩნიოთ (ა. ონიანი, 1978: 235).

სულ სხვა ვითარებაა საშუალო ქართულში. ნებისმიერ პირთა კომბინაციის დროს პირველი ობიექტური პირის მრავლობითობა ზმნაში გუ/გვ- პრეფიქსით აღინიშნება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საშუალო ქართულმა არ იცოდეს მ-პრეფიქსიანი წარმოება მრავლობით რიცხვში. ამგვარი ფორმების ხმარებას სისტემური ხასიათი არა აქვს (მ. მელიქიძე, 28). იგი გვხვდება XII-XIX საუკუნით დათარიღებულ ძეგლებში, საბუთებსა და ნუსხებში. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითს:

ვითარცა აღმითქუა ჩუენ ღმერთმან. (ქართ. ცხ, I 239,17).

და შენ წარმიდღუე ჩუენ.. (ქართ. ცხ, I, 200,3).

განხეთქა მეფობა ჩუენი, განმაშორნა ტაძარსა მისსა წმიდასა უგულებელსმყო ნათესავი ჩუენი სრულად”. (ქართ. ცხ. I, 96,11).

რაც შეეხება გვ-გუ- პრეფიქსთა აღნიშვნას ობიექტური I პირის მრავლობითისათვის, ასეთი შემთხვევები ბევრია და სისტემური ხასიათის:

სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეყვანნი ამას უღერენ. (ვეფხ, 793,3).

თუ ერთისა მოშორვება მზისა ზამთრის გაგვამცივნებს (იქვე, 957,1).

ვა, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა! (იქვე, 952,1).

დღესა ერთსა მე და მეფე მოვიდოდეთ, გვენადირა (იქვე, 343,2).

იგი გარედამან გუნახავს და ჩუენსა სიახლესა მოვა (ვისრამ, 148,32).

ნუცა თქვენ დაიჯერეთ და ნუცა ჩვენ დაგეხოცოთ (იქვე,154,16).

რაცა იგი მანდაური, მოგვიწერე, გაამჟღავნე (ვეფხ, 1274,1).

მოგვინახეთ საყვარელსა მისსა მისთვის მოასურვეთ (იქვე, 642,3).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება საშუალო ქართულში იყო ობიექტის მრავლობითობის –ენ-ნ სუფიქსის აღნიშვნის რღვევა. როგორც ცნობილია,

სახელობითში დასმული ობიექტის (პირდაპირი ობიექტი) მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნებოდა ზმნაში -ენ-ნ სუფიქსით იქნებოდა ის I, II თუ III პირით წარმოდგენილი. საშუალ ქართულში ეს წესი თანდათან ირღვევა და გამოვლენილი და რეალიზებულია IX ს-ისა და აქეთა ძეგლებში, წარმოვადგენთ მაგალითებს:

ვჰკადროთ რამე საღაღობო, რასათვისმცა გაგვაწბილა (მან ჩუენ), (ვეფხ. 6,594).

თუალმან ყაენისამან გვიხილოს, თუ ვითარ დაგვვათ თავი ჩუენი სიკვდილად. (ქართ. ცხ, II, 263,17).

რათგან ღმერთმან მოაბადისაგან გუიკსნა, ვითამცა ყოველთა ჭირთაგან ჳსნილ ვართ-თქო (ვისრამ, 110,10).

ამგვარი ფორმების გვერდით საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი წარმოებაც: გვ-გუ გვერდით -ენ-ნ სუფიქსიც:

რად დაგვაბნელენ შენისა მოშორვებისა ბნელითა (ვეფხ. 1326,3).

ჩემგანაცა და ვიროსაგანაცა დია გრცხუენოდეს, რათგან ჩუენ დაგუივიწყენ და რამინ მოგეგონა (ვისრამ. 83,25).

აწე სირცხუილი და ღმრთისა შიში მოიგონე და ნუ ხარ მაგაშიგან, რომელ აუგითა აგუავსნე (იქვე,105,39).

ამან უფრო დაგვაშმაგნა, თავი სრულად გავაშეთეთ (ვეფხ. 290,4).

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გვ-გუ - -ენ(-ნ) გვერდით გვხვდება მ-პრეფიქსიანი წარმოებაც, ანუ მ- -ენ(-ნ). ესეთი ფორმები საშუალ ქართულში იშვიათია, მაგრამ მაინც ვხვდებით: და დამიცვენ ჩუენ ადგილთა შენთა მშვიდობით (ქართ. ცხ. I, 242,14); განთხეთქა მეფობა ჩუენ, განმაშორნა ტაძარსა მისსა წმინდასა და უგულბებელს-ყო ნათესავი ჩუენი სრულად. (ქართ. სამ. ძეგ I, 96,11).

როგორც ვხედავთ, პირველი ობიექტური პირის მრავლობითობის ნიშნად საშუალ ქართულში უმთავრესად გვ-გუ-პრეფიქსი იხმარება. მ-პრეფიქსის ხმარება მრავლობითის აღსანიშნავად, აქ, ვფიქრობთ, ძველი ქართულის ნაშთი უნდა იყოს, როგორც მრავლობითობის აღმნიშვნელი ერთ-ერთი ალომორფი ის თავისუფალ მონაცვლეობაშია გვ-გუ-მორფემებთან და არ არის ინკლუზიურ-ექსკლუზიური კატეგორიის გამომხატველი.

რაც შეეხება ახალ ქართულს, მრავლობითი რიცხვი აღინიშნება გვ-პრეფიქსით. ის სალიტერატურო ენის ნორმაა როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ობიექტისათვის. სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითობა -ენ-ს სუფიქსით სალიტერატურო ენაში აღარსად არის, თუმცა იგი მთის დიალექტებში ჯერ კიდევ შემორჩენილია. მაგალითად:

ჩეჩეს სადამ, არ **შაყარნეს** მუშანი (8, გვ. 7).

რად არ აჭმევ, ორნივ შეილნიმც **დაგისოცნავ** (იქვე, გვ. 7).

თვალნ **ამიხვიენეს** (იქვე, გვ. 16).

იღლის ძირნი **ჩამამსივებნიყენეს** (იქვე, გვ. 17).

ცხრანი ძმანი **ამოყარენ** მუცელშითა, თორე მოკლავავო! (იქვე, 24).

ა.შანიძე წერს, 1-ლი ობიექტური პირის ნიშანი ზმნაში მუდმივ ერთისა და იმავე სახისაა. აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირდაპირია მიმართება, თუ ირიბი (ე.ი. პირდაპირ-ობიექტურია 1-ლი პირი თუ ირიბ-ობიექტური). გარჩევა მხოლოდ რიცხვის მიხედვით ხდება: მხოლობითშია ყოველთვის მ-, მრავლობითში კი ყოველთვის გვ-. მაშასადამე, მხოლობითსა და მრავლობითს თავ-თავისი ნიშანი აქვს, ამიტომ მრავლობითში საჭირო აღარ არის კიდევ დამატებით რაიმე ნიშანი, საკმარისია, რომ მხოლობითის ფორმა შეიცვალოს ისე, რომ მ-ს ადგილას გვ- ჩაისვას და მრავლობითის ფორმა მზად იქნება. მაგალითები:

მხოლობითი: მ-კლავს, მ-ჭამს, მ-აქებს, მ-ათობს, მ-ყავს, მ-ძულს, მ-ცემს, მ-ჭირს, მ-ახსოვს, მ-იყვარს, მ-ეუბნება, გა-მ-ლანძღა, და-მ-ათრო, გა-მ-იყოს, შე-მ-ინახა მო-მ-იტანა და მისთ.

მრავლობითი: გვ-კლავს, გვ-ჭამს, გვ-აქებს, გვ-ათობს, გვ-ყავს, გვ-ძულს, გვ-ცემს, გვ-ჭირს, გვ-ახსოვს, გვ-იყვარს, გვ-ეუბნება, გა-გვ-ლანძღა, და-გვ-ათრო, გა-გვ-იყოს, შე-გვ-ინახა, მო-გვ-იტანა და მისთ. (ა. შანიძე, 1973: 182-183)

მეორე ობიექტური პირის ნიშანია პრეფიქსი გ-. იგი მოეპოვება როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ ობიექტს.

არა აღმო-გ-იკითხავსა წიგნსა მოსწესსა (მრ. 12,26).

მე გამო-გ-ირჩიენ თქუნ (ი. 15,16).

მე გან-გ-ისუენე თქუნ (მ. 11,28).

გ-ლოცავ შენ (ლ. 14,18).

სეფე-კაცმან მი-გ-ცეს შენ საპყრობილედ (ლ. 12,58).

მსაჯულმან მი-გ-ცეს შენ სეფე-კაცსა (ლ. 12,58).

შე-გ-კრიბონ შენ ყოვლით კერძი (ლ. 19,43).

რომელმან-იგი გ-ხადა შენ (ლ. 14,10).

რამეთუ ჳორცთა და სისხლთა არა გამო-გ-იცხადეს (მ. 16,17).

არა თუ სოფლისათუს გ-კითხავ (ი. 17,9).

ყოველივე რაფცა გ-ნებავს (მ. 7,12).

ესე ყოველი შე-გ-ეძინოს (ლ. 12,31).

რაც შეეხება მრავლობითს, როგორც უკვე აღინიშნა, ძველ ქართულში მიცემითში მდგარი სახელი ვერ ითანხმებდა ზმნას რიცხვში და გვქონდა შემდეგი ფორმები:

გ-ითხრა თქვენ (მრ. 11,29).

მე მი-გ-ავლინებ თქვენ (მ. 10,16).

მან მო-გ-ცა თქვენ პური (ი. 6,32).

იგი თქვენ გ-ნებავს (ლ. 6,31).

რომელი მესმა მამისაგან, გ-აუწყე თქვენ (ი. 15,15).

გ-იჩუენო თქვენ (ლ. 12,5).

აღსანიშნავია ის, რომ პირდაპირ ობიექტს II სერიის მწკრივებში ჰქონდა -ენ~-ნ სუფიქსი მრავლობითის აღსანიშნავად, იქნებოდა I, II თუ III პირში. მაგალითად: მიგც-ნ-ენ თქვენ კრებულეებსა (მ. 10,17).

საშუალ ქართულში ვითარება ცოტა განსხვავებულია მრავლობით ფორმებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდში იწყება ობიექტის მრავლობითობის -ენ~-ნ სუფიქსის აღნიშვნის რღვევა. ამასთანავე მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი ითანხმებს რიცხვში ზმნას II და III პირშიც. ამ ფორმებში საჭირო გახდა მრავლობითის აღნიშვნა. ენამ პირდაპირ გადმოიტანა სუბიექტური პირველი და მეორე პირის მრავლობითობის ნიშანი -თ სუფიქსი და ფორმები ასე გაფორმდა:

ძვ. ქართ.: გ-წერ მე შენ მას

საშ. ქართ.: გ-წერ მე შენ მას

ძვ. ქართ.: გ-წერ მე თქვენ მას

საშ. ქართ.: გ-წერ-თ მე თქვენ მას

ძვ. ქართ.: გ-ითხრა მე შენ ის

საშ. ქართ.: გ-ითხრა მე შენ ის

ძვ. ქართ.: გ-ითხრა მე თქვენ ის

საშ. ქართ.: გ-ითხრა-თ მე თქვენ ის

ასევე ახალ ქართულში. მრავლობითში ზმნის ფორმა მთლიანად მეორდება, ემატება მხოლოდ -თ სუფიქსი: გ-წერ-თ, გ-ხატავ-თ, გ-აქებ-თ, გ-კითხავ-თ...

მეორე ობიექტური პირის მორფემის მიხედვით ძველი ქართული ახალი ქართულისაგან არ განსხვავდება. შეინიშნება მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა პირთა კომბინაციებში, როდესაც ხდება მეორე ობიექტური პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი -თ სუფიქსის დაკარგვა. კერძოდ:

1. როდესაც გვაქვს კომბინაცია S3 O2P - ამ შემთხვევაში ზმნის ფორმის ბოლოში მოსალოდნელია -სთ კომპლექსი, რაც არაბუნებრივია და დაიკარგა მესამე სუბიექტური პირის მორფემა -ს. ამჟერად, მივიღეთ ფორმა გ-აქებ-თ<-გაქვ-ს-თ. ეს კომპლექსი -სთ გვხვდება XVII-XVIII ს-ით დათარიღებულ ძეგლებში და ხელნაწერებში:

ღმერთმან თქუნთა წადილთაებრ **გ-ყო-ს-თ** (ვისრ. 180,86).

ჩემთა ლაშქართა არა **გა-გ-იკითხე-ს-თ** (ამირანდ. 489,2).

რაცა **გინდოდესთ**, უცილოდ იქმთ, იგი არ აგცილდების (ვეფხ. 1321,3).

ვინცა **გებრძვისთ**, სრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა დააცვოების (იქვე, 1035,4).

თქვენცა მუნ მოდით, სადაცა **გესმასთ** ზრიალი ზარისა (იქვე, 1395,4).

კაცი-მცა მაშინ თქვენ **გახლავსთ**, რა ომმან ქმნას გაჭირობა (იქვე, 1401,4).

უნდა აღინიშნოს, რომ მთის დიალექტებში –სთ კომპლექსი შემორჩენილია.

2. გ-ზრდი-თ ჩვენ თქვენ (S1P O2P), აქ უნდა გამოხატულიყო როგორც სუბიექტის, ასევე პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა, რომელიც თანამედროვე ქართულში ერთი და იმავე -თ სუფიქსით გადმოიცემა. როგორც ცნობილია, გემინირებული თანხმოვნები ერთი მორფემის ფარგლებში არ არის დამახასიათებელი ქართულისათვის. გვიანდელი -თ, უნდა ვივარაუდოთ, გაჩენისთანავე იკარგება – რედუქციის პროცესი გაჩენის სიმულტანურია. ამიტომაც ერთ-ერთი -თ სუფიქსი დაიკარგა. იბადება კითხვა: ამ კომბინაციაში რომელი პირის მრავლობითის ნიშანია დაკარგული, სუბიექტის თუ ობიექტის?

ძველი ქართულის მიხედვით ეს ფორმა ასე იყო წარმოდგენილი: **გა-გ-ზარდ-ენ-ი-თ**. როგორც ვიცით, სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტი ყოველთვის ითანხმებდა ზმნას რიცხვში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში -თ სუფიქსი სუბიექტის კუთვნილებაა. ვფიქრობთ, როდესაც პირდაპირი ობიექტის -ენ~ნ სუფიქსი დაიკარგა, ზმნის ფორმაში მხოლოდ სუბიექტის მრავლობითის ნიშანი



დარჩებოდა და ახლაც ის გამოიხატება, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ქართულში იწვება II ობიექტური პირის რიცხვში შეთანხმებაც.

იგივე ვითარებაა ორპირიან გარდაუვალ ზმნებშიც. გრამატიკულად ეს ფორმები შემდეგნაირად ჩაიწერება: გ-ზრდი-Ø-თ ჩვენ თქვენ; გ-ემალე-Ø-თ ჩვენ თქვენ.

ამრიგად, პირველი და მეორე ობიექტური პირები როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ზმნის ფორმაში აღინიშნება სათანადო მორფემებით. მათ აქვთ საერთო ნიშნები: პირველი პირისთვის მხოლოდობით რიცხვში მ-, მრავლობითისთვის – გვ-, მეორე პირისათვის მხოლოდობითში – გ-, მრავლობითში – გ- – -თ.

### მესამე ობიექტური პირი

მესამე ობიექტური პირი ზმნის ფორმაში პირველი და მეორე პირებისაგან განსხვავებით სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრება არსებობს ამის თაობაზე. ა.შანიძის ცნობილ ნაშრომში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ დაწვრილებით არის წარმოდგენილი ეს ფორმები. ავტორის აზრით, გადამწვევტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, ობიექტი მიცემით ბრუნვაში არის თუ სახელობითში. თუ ზმნას დამატება სახელობით ბრუნვაში აქვს, ობიექტური პრეფიქსები მას მხოლოდ I და II პირისათვის მოეპოვება, III პირში მას არავითარი ნიშანი არ გააჩნია. III პირისათვის განსაკუთრებული ობიექტური ნიშნის შექმნა ენას საჭიროდ აღარ დაუნახავს, რადგანაც მას ახასიათებს სწორედ ობიექტური პრეფიქსის უქონლობა. რაც შეეხება მიცემით ბრუნვაში დასმულ ირიბ ობიექტს, იგივე ნიშანი აქვს, რაც S2-ს – /ხ-/ პრეფიქსი ძველ ქართულში, რომელიც უგამონაკლისოდ გვხვდება ხანმეტი პერიოდის ყოველგვარ ზმნაში, ხოლო კ~ს~შ~Ø- ჰაემეტ და მომდევნო ხანის ძეგლებში, რომელიც იმ ფონეტიკურ კანონებს ემორჩილება, რასაც S2, კერძოდ:

- 1) ობიექტური პრეფიქსი ჰაე ხმოვნების წინ იკარგება;

2) დ, თ, ტ, ძ, ც, წ თანხმოვნების წინ მის ადგილს იჭერს სანი;

3) ჯ ჩ ჭ თანხმოვნების წინ ასიმილაციის წყალობით სანის ნაცვლად შეიძლება შინი შეგვხედეს (ა. შანიძე, 1957: 148).

Ø ალომორფი გვხვდება მაშინ, როდესაც კომბინაციაში  $S_2O_3^{ind}$  თავს იყრის ორი ერთნაირი ბგერა ხ-ხ-, კ-კ-, სადაც ერთ-ერთი ყოველთვის იკარგება, რადგანაც, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი ერთი მორფემის ფარგლებში ორი ერთნაირი ფონემა.

მეტად საინტერესოა ა. შანიძის მოსაზრება  $O_3^{d}$  პირის ნიშნის ხმარებასთან დაკავშირებით ორპირიან გარდამავალ ზმნებში I და II სერიაში. იგი გამოყოფს სამი ტიპის ზმნებს: „ჰყოფს“, „ქადაგებს“, „დაჰბადა“ და აღნიშნავს, რომ I სერიაში, აწმყოში, პირდაპირი ობიექტის მესამე პირის ნიშანი ზმნისწინიან ფორმებში თითქმის ყველგან აისახება, უზმნისწინოებში კი – არა. გამონაკლისია „ჰყოფს“ ტიპის ზმნები. ამის მიხედვით ობიექტური პირის ნიშანი წარმოდგენილი იქნება აწმყოს ჯგუფის ფორმებში იმ ზმნებთან, რომლებიც მისდევენ „ჰყოფს“ ტიპის ზმნის უღლებას და არ ექნება იმ ფორმებს, რომლებიც მისდევენ „ქადაგებს“ ტიპის ზმნის უღლებას. ეს სიტყვლე, ა.შანიძის აზრით, იმით იყო გამოწვეული, რომ ძველ ქართულში აწმყოს ჯგუფის დრო-კილოების ფორმები უფრო ნაკლებად იხმარებოდა, ვიდრე ნამყო სრულის ჯგუფისანი და ასევე, რომ ძვ. სალიტერატურო ქართულს III ობიექტური პრეფიქსის ხმარების საკითხში აწმყოს ჯგუფში აკლია ის ერთსახეობა, მთლიანობა და გარკვეული სისტემა, რომელიც მას ნამყო სრულში ამშვენებს (იქვე: 95).

რაც შეეხება „დაჰბადა“ ტიპის ზმნებს, რომელთაც ჰაესი და სანის ხმარება სისტემებზე აქვთ გატარებული, ა.შანიძე წარმოშობით სამპირიან ზმნებად თვლის და აღნიშნავს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ  $O_3^{ind}$  (დამატება მიცემით ბრუნვაში), რომელიც დროთა განმავლობაში დაიკარგა, მაგრამ მისი ნიშანი დარჩა ზმნაში, ე.ი. ამ ზმნებს სინტაქსური კონსტრუქცია შეუცვლიათ, მაგრამ ახალი კონსტრუქციისათვის ფორმების შეფარდება და შეგუება მორფოლოგიურად ვერ მოუსწრიათ. მათი უღლება არაფრით განსხვავდება მიცემით დამატებიან ზმნათა უღლებისაგან. ამ მოსაზრებას, ავტორის აზრით, ზურგს უმაგრებს ასევე ის გარემოება, რომ აღნიშნულ ზმნებს ვნებითი ორპირიანი აქვთ:

დაჰბადა – დაებადა,	დაჰნერგა – დაენერგა,
აღჰმართა – აღემართა,	დაჰმარხა – დაემარხა,
დაჰფლა – დაეფლა,	განჰმზადა – განემზადა,
დასთესა – დაეთესა,	დაჰბურა – დაებურა,
დასთხია – დაეთხია,	დაჰბეჭდა – დაებეჭდა...
დაჰკჷა – დაეკჷა,	

ამასთანავე, აღნიშნავს ავტორი, ქართული ზმნების უღლებას ძველთაგანვე თანდაყოლილი ჰქონდა ისეთი თვისება, რომ ადვილად შეიძლებოდა მისი ნორმების შერყევა და შემდეგ დარღვევაც. ამის ნიმუშია სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები, რომლებიც ისეთ ვითარებაში გვხვდება, სადაც არ იყო მოსალოდნელი ან კიდევ სულ დაკარგულია იქ, სადაც საჭიროა. აღნიშნული უკიდურესობის სათავე ძველ ქართულშია (ა. შანიძე, 1957: 179).

არნ. ჩიქობავასთვის მნიშვნელოვანია, რომელ ბრუნვაში დგას ობიექტი. მისი აზრით, MO მესამე პირისა, თუ მიცემითშია (მას – MO) აღინიშნება პრეფიქსით: ხ-, ჰ-, ს-, შ-, Ø-; ხოლო MO სახელობითი ბრუნვისაა, მხოლოდით რიცხვში (MO იგი) ზმნაში აღინიშნება Ø ფორმით, ე.ი. პოტენციალურად. ნული ფორმა იმდენადვე არის ფორმა, რამდენადაც დაუბრკოლებლად ასრულებს ფორმის ფუნქციას: განასხვავოს ერთი მოვლენა მეორისაგან (არნ. ჩიქობავა, 1968: 164).

ივ. იმნაიშვილის აზრით, როცა O პირდაპირი სახელობითშია, მას ნიშანი არა აქვს. წესი მტკიცეა და უგამონაკლისო. თუ ორპირიან გარდამავალ ზმნასთან მაინც არის წარმოდგენილი ობიექტის ნიშანი, ავტორი თვლის, რომ ის არაა ორპირიანი, მასში კიდევ იგულისხმება მესამე, ირიბი ობიექტური პირი და პირის ნიშანიც მას ეკუთვნის (ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996: 42).

ხოლო როცა პირდაპირი ობიექტი მიცემითშია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, ზმნა ზმნისწინით არის წარმოდგენილი თუ უზმნისწინოდ. ზმნისწინიანებს პირის ნიშანი აქვს, უზმნისწინოებს – არა. ეს ურყევი კანონია. მისი აზრით, პირის ნიშნის გაჩენა ზმნის ფორმებში ზმნისწინის დამატებით არის გამოწვეული და ზმნისწინის ზმნასთან შეხორცების დროს მოხდა (ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996: 42), მაგრამ ისეთი ზმნის ფორმებს, რომელთაც არა აქვს უნარი დაირთოს ზმნისწინი და მიუხედავად ამისა, მაინც არის წარმოდგენილი პირდაპირი ობიექტის ნიშანი, ავტორი მათ ერთ-ერთი

ძველი დიალექტის კუთვნილებად მიიჩნევა. ასეთ ზმნებს II სერიის ფორმებში პირის ნიშანი არ გადაჰყვებათ ჰგუემს-გუემა, სტანჯავს –ტანჯვა, სცნობს-ცნო, ჰყოფს-ყო (იქვე: 46).

ა. ონიანი ა. შანიძის მსგავსად „ჰყოფს“, „ქადაგებს“ და „დაჰბადა“ ტიპის ზმნებს ცალკე გამოყოფს, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში სახელობითში დასმული მესამე არასავალდებულო ხ პირი  $\emptyset$ -ით არის წარმოდგენილი. აღნიშნულ სამ ჯგუფში მესამე არასავალდებულო პირის მორფემის ალომორფთა გამოვლენის სხვადასხვაგვარი წესი არ არის შეპირობებული სათანადო ზმნურ მორფემათა ფონოლოგიური სტრუქტურით – სხვადასხვა ზმნური მორფემები, თუნდაც მსგავსი ფონოლოგიური აგებულებისა, სხვადასხვა ვითარებას გვიჩვენებენ. ეს კი იმას ნიშნავს, დასძენს ავტორი, რომ ხანმეტ ტექსტებში  $\{x\}$  და  $\emptyset$  ალომორფთა განაწილება მორფოლოგიურად არის შეპირობებული (ა. ონიანი, 1978: 114).

თ. გამყრელიძის „რანგთა“ სტრუქტურის მიხედვით პირის პრეფიქსული მორფემები ძველი ქართული ზმნის სტრუქტურაში, როგორც წესი, ერთ უჯრედს იკავებენ, რომელიც მოთავსებულია ქცევის, კაუზატივისა და ვნებითის მაწარმოებელ სუფიქსთა უჯრედის წინ. მათი წარმოჩენის მიხედვით, ავტორს შემოაქვს სუბიექტურ-ობიექტური პირის ნიშანთა „სიმძლავრის“ ცნება. მისი აზრით, პირის ნიშანთა წარმოჩენას ზმნის ფორმაში განაპირობებს სუბიექტურ-ობიექტური პირების „სიმძლავრე“. ასე მაგალითად, როდესაც კომბინირებს  $O3^d$  და  $O3^{ind}$ , ამ შემთხვევაში ირიბი ობიექტი უფრო „მძლავრია“ პირდაპირ ობიექტთან შედარებით, ამიტომ ზმნის სტრუქტურაში აისახება აქტუალურად მხოლოდ  $\{O3^{ind}\}$  ხ- პრეფიქსის სახით, ხოლო  $|O3^d|$  ნიშანი არ წარმოიდგინება:  $|S3| |O3^{ind}| |O3^d| = \rightarrow |O3^{ind}| - R - |S3| \rightarrow x-R-x$ .

ამგვარ კონსტრუქციებს, განაგრძობს ავტორი, უნდა შეეწყო ხელი  $|O3^d|$  ნიშნის ნულთან გათანაბრებისათვის ( $|O3^d| \rightarrow \emptyset$ ) ისეთ კონსტრუქციებში, სადაც იგი არ კომბინირებდა  $O3^{ind}$ -თან და სადაც კანონზომიერად უნდა წარმოდგენილიყო  $\{x\}$  პრეფიქსის სახით. ამით დაირღვა მანამდე სისტემაში არსებული სტრუქტურული პარალელიზმი პირდაპირ და ირიბ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველ აქტანტებს შორის, რომლებიც პირველ, მეორე და მესამე პირის ფორმებში მათთვის საერთო  $\{m\}$ ,  $\{g\}$  და  $\{x\}$  პრეფიქსებით გამოიხატებოდა. თ. გამყრელიძის

აზრით, ძველი ქართული ზმნის იმ სისტემაში, რომელიც ასახულია „ხანმეტ“ ძეგლებში, გაბატონებულ ნორმად შეიძლება ჩაითვალოს უკვე {O3d} აქტანტის ნიშნად ზმნაში Ø- მორფემის ხმარება, თუმცა იგი მაინც არის წარმოდგენილი გარკვეულ კონსტრუქციებში (თ. გამყრელიძე, 2000: 146).

თ. უთურგაიძის აზრით, რანგთა გამოყოფა უნდა დაემყაროს კატეგორიალურ პრინციპს: ცალკე კატეგორია ცალკე რანგით უნდა გამოიყოს სქემაში. სუბიექტურ პირებს ვერ გავაერთიანებთ პირდაპირ ობიექტურ და ირიბობიექტურ პირებთან, რადგან პირთა წარმოდგენილ სახეობათგან თითოეულის კატეგორიალური დანიშნულება განსხვავებულია დანარჩენთაგან: S გამოხატავს ინიციატორს, O<sup>d</sup> პაციენსს, O<sup>ind</sup> კი ბენეფაქტივს (მალეფაქტივს). S-ის (ინიციატორის) კატეგორიის ფარგლებში გაერთიანებულია პარადიგმატულად დაპირისპირებული S1 S2 S3 (პრეფიქსულ რანგებზე მსჯელობიდან გამოირიცხება S3 და S3<sup>p</sup>) რადგან ისინი სუფიქსებია შესაბამისად ასეთივე დაპირისპირება გვექნება O<sup>d</sup>-სა (O1<sup>d</sup>, O2<sup>d</sup>, O3<sup>d</sup>, O1<sup>dp</sup>) და O<sup>ind</sup> -ს (O1<sup>ind</sup>, O2<sup>ind</sup>, O3<sup>ind</sup>, O1<sup>indp</sup>) კატეგორიებში S სიმრავლის ელემენტები ადვილად გამოირჩევა ობიექტთა (O<sup>d</sup> O<sup>ind</sup>) სიმრავლეების ელემენტთაგან, უფრო ძნელია O<sup>d</sup> და O<sup>ind</sup> სიმრავლეების ელემენტთა გარჩევა ერთმანეთისაგან, რადგან თითოეული ჯგუფის ელემენტები გამოხატულების პლანში იდენტურია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ენის სისტემაში მათი გარჩევა სრულებითაც არ ჭირს: 1) ორპირიან პასივებში, სუბიექტის გარდა, მხოლოდ O<sup>ind</sup> - ის ელემენტებია წარმოდგენილი; 2) ორპირიან აქტივებში კი მხოლოდ O<sup>d</sup> ელემენტები; 3) სამპირიან აქტივში O<sup>d</sup> და O<sup>ind</sup> პირთა ნიშნების გარჩევა ხდება პირცვალებადობის მიხედვით: ობიექტის ყველა ნიშანი სამპირიან აქტივში ეკუთვნის პირცვალებად ობიექტს. ავტორი პირუცვლელს უწოდებს იმ ობიექტს, რომელიც ყოველთვის III პირშია, გამოხატულია ნულოვანი ალმორფით. ასეთ ვითარებაში S, O<sup>d</sup>, O<sup>ind</sup> ერთიმეორის გვერდზე განლაგებიან პრეფიქსულ მონაკვეთში, ე. ი. წარმოდგენილი იქნებიან სამი რანგით (თ. უთურგაიძე, 2002: 70).

ავტორის აზრით, პირთა რანგები შემდეგნაირად განაწილდება: ფუქესთან უფრო ახლოს დგას პირველი ობიექტის რანგი, მის წინ, მარცხნივ, დგას

პირცვალებადი ობიექტის რანგი; პირთა შორის მარცხენა უკიდურესი რანგი ექნება სუბიექტს (თ. უთურგაიძე, 2002: 71).

სანიმუშოდ ავტორს მოჰყავს მაგალითი: გამომყოფე შენ მე მას, სადაც პირცვალებადია პირდაპირი ობიექტი და სქემატურად აქვს მოცემული რანგთა სისტემის ელემენტები: -1 რანგი ექნება კაუზატივს, -2 ექნება ირიბ ობიექტს, -3 ექნება სუბიექტს, -4 ექნება პირდაპირ ობიექტს, -5 ექნება ორიენტაციას, -6 კი ექნება გეზს. ამრიგად, გამომყოფე ასე ჩაიწერება გა-მო-მ-~~0~~-~~0~~-ა-ყოლ-ე, სქემატურად კი ასე წარმოგვიდგება: -6,-5,-4,-3,-2,-1-R... ავტორი აღნიშნავს, რომ თუ ზმნაში, არ გვხვდება ესა თუ ის პირთა მაწარმოებელი, ეს მორფოფონემატური ცვლილებების შედეგია (იქვე: 71).

ძველ ქართულში დასტურდება იშვიათი ფორმები, როგორცაა: თანა-წარჰხუალ, თანა-წარხუალ, თანა-წარჰუალ, თანა-წარმავეალთ. ამათგან უძველესია თანა-წარჰხუალ, ერთიმეორის გვერდით წარმოგვიდგენს ირიბი ობიექტის მესამე პირის ჰ-პრეფიქსსა და სუბიექტური მეორე პირის ხ-პრეფიქსს. წარჰხუალ X ს. ძველშია (ოშკის ბიბლიაში). ავტორის აზრით, იგი ჰამეგტობის დროს არის გაჩენილი, როცა ხუალ ფორმა უკვე გაქცავებულია II პირში, ეს ფორმები დაუნაწევრებლად ატარებენ განსახდრულ გრამატიკულ მნიშვნელობას.

საბოლოოდ ავტორი ასკვნის: 1) ქართული ზმნის ერთ დროში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ერთი რომელობის სუბიექტი, ასევე ერთი რომელობის პირდაპირი ობიექტი და ერთი რომელობის ირიბი ობიექტი. 2) რადგან I და II პირები ყოველთვის კონკრეტულია, გრამატიკულად იკრძალება ამ რომელობის აქტანტთა-სუბიექტისა და რომელიმე ობიექტის ან ობიექტების კომბინაციები. ესენია:  $S1O1^d$ ,  $S2O2^d$ ,  $S1O1^{ind}$ ,..... 3) რადგან III პირი არაკონკრეტულია, შესაძლებელია ერთ ფორმაში  $S3 Od3 O3^{ind}$ ,  $S3p Od3 O3^{ind}$  და ა. შ. (იქვე: 35).

ამდენად, საქმე გვაქვს სამ კატეგორიასთან, შეუთავსებლობა მოხსნილია: სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული კატეგორიებია და თითოეული მათგანი საკუთარი ნიშნებითაც არის გამოხატული. ბუნებრივია, რანგთა სისტემაში ყოველ მათგანს თავისი ადგილი აქვს. ე. ი. სამპირიანი ზმნის ფორმაში მათთვის სამი რანგი უნდა გამოიყოს, ამიტომ ძველი ქართულის ის ზმნური ფორმები, რომელთაც,

ერთიმეორის მიყოლებით გამოეხატებათ პრეფიქსული ნიშნები (ხ-უ-ეტყუ, მი-ხ-უ-ეც, შე-ხ-უ-აბ-თ), ბუნებრივია ქართული ზმნისთვის (თ. უთურგაიძე, 2002: 34). ამასთანავე, განაგრძობს ავტორი, სამპირიან ზმნებში გასათვალისწინებელია ნულოვანი ალომორფებიც, რომელთაც ქმნიან პირუცველი პირდაპირი და ირიბი ობიექტები. სამპირიან ზმნებში მატერიალურად გამოიხატება პირცვალებადი ობიექტის ნიშნები. მაგალითისთვის მოჰყავს “მიცემა” ზმნა, სადაც შეიძლება იყოს ერთ პარადიგმაში პირცვალებადი  $O^d$ , ხოლო მეორე პარადიგმით პირცვალებადი  $O^{ind}$ .

მიცემა ზმნა, პირცვალებადია  $O^d$

აწმყო

- |                |                               |
|----------------|-------------------------------|
| I მი-მ-ცემ-ს   | [იგი მე ( $O1^d$ ) სიკუდილსა] |
| II მი-გ-ცემ-ს  |                               |
| III მი-ხ-ცემ-ს |                               |

წყვეტილი

- |              |                               |
|--------------|-------------------------------|
| I მი-მ-ც-ა   | [მან მე ( $O1^d$ ) სიკუდილსა] |
| II მი- გ- ცა |                               |
| III მი-ხ-ცა  |                               |

როგორც ცნობილია, I სერიის ზმნისწინიან ფორმებში ხანმეტ პერიოდშიც და შემდგომაც  $O3^d$  ყოველთვის გამოიხატებოდა. მესამე პირში ხ-, ასკვნის ავტორი, რა თქმა უნდა, პირდაპირი ობიექტის ნიშანია და არა ირიბი ობიექტისა. არ არსებობს რაიმე არგუმენტი იმისთვის, რომ ხ-პრეფიქსი III პირში განეკუთვნოს პირუცველ ირიბ ობიექტს ( $O3^{ind}$  -ს), როცა იგი არ იყო წარმოდგენილი I და II პირებში პირცვალებადი პირდაპირი ობიექტის გვერდით ან მის ადგილზე. მესამე პირში ხ- პრეფიქსის მიკუთვნება ირიბი ობიექტისათვის ემყარებოდა არარეალურ დებულებას (იქვე, 29).

მიცემა ზმნა, პირცვალებადია  $O^{ind}$

აწმყო

- |                |                                |
|----------------|--------------------------------|
| I მი-მ-ცემ-ს   | [იგი მე ( $O1^{ind}$ ) წიგნსა] |
| II მი-გ-ცემ-ს  |                                |
| III მი-ხ-ცემ-ს |                                |

წყვეტილი

I მო-მ-ც-ა [მან მე (0<sup>ind</sup>) წიგნი]

II მო-გ-ც-ა

III მო-ხ-ც-ა

ავტორი შემდგომ ასკვნის, რადგან პირდაპირსა და ირიბს სამივე პირში საერთო ნიშნები აქვთ, მათი პარადიგმები პირცვალებადობის მიხედვით არ განსხვავდება ერთიმეორისაგან. მათ შორის განსხვავება მხოლოდ შესაბამის კონვერსიულ პასივებშია: პირცვალებად პირდაპირობიექტიან ზმნათა კონვერსიული ფორმები პასივში წარმოდგენილია სუბიექტური წყობის ფორმებით: მიმცემს – მი-ხ-უ-ეცემი. პირცვალებად ირიბობიექტიან ზმნათა კონვერსიული ფორმები კი პასივში გასაგები მიზეზის გამო წარმოდგენილია ობიექტური წყობის ფორმებით: მომცემს ~ მომეცემის, მოგცემს ~ მოგეცემის, მოხცემს-მოხეცემის. როგორც კი პირცვალებად პირდაპირობიექტიან აქტივთა შემობრუნება ხდება პასივად, მაშინვე ირიბი ობიექტი თავის ნიშანს წარმოაჩენს ზმნაში. რადგან ეს ობიექტი ყოველთვის მესამე პირში იდგა აქტივის ფორმებში, ბუნებრივია, მათ კონვერსიულ პასივებში იგი მხოლოდ ხ- პრეფიქსით იქნება წარმოდგენილი ყველგან:

მი-მ-ც-ა - მი-ხ-უ-ეც

მი-გ-ც-ა - მი-ხ-ეც (<-\*მი-ხ-ხ-ეც).

მი-ხ-ც-ა - მი-ხ-ეც-ა (თ. უთურგაიძე, 2002: 31).

ვფიქრობთ, რომ პირდაპირსა და ირიბ ობიექტს სამივე პირში ერთნაირი ნიშნები ჰქონდა. ეს ნათლად ჩანს I და II პირში. ასევე იყო ის III პირშიც, რასაც მასალაც ადასტურებს.

მოცემულია მაგალითები ძველი ქართული სამწერლობო ძეგლებიდან, სადაც ოძჳ პირის ნიშნად |ხ-| ან |ჰ-| პრეფიქსი არის I სერიის ზმნისწინიან, უზმნისწინო და ასევე II სერიის ფორმებშიც:

### I სერია, ზმნისწინიანი ფორმები:

რომელი არა შე-ხ-კრებს ჩემ თანა, იგი გან-ხ-აბნევს (მ. 12,30).

სხუაჲ ვინმე და-ხ-ამტკიცებდა (ლ. 22, 59).

ოდეს პასქასა მას და-ჰ-კლვიდეს (მრ. 14, 12).



აღდგენ შვილნი მამა-დედათა მათთა ზნა და მოჰკლვიდენ მათ (მ. 10, 21).  
 არცა ფრიადი სიცხე შეს-წუავს მათ (გრ. ხანძთ. კბ 10-11).  
 რომელნი შეს-ჭამენ სახლსა ქურივთასა (ლ. 20, 47).  
 დედამან მის ყრმისამან წარიყვანა იგი გზასა, რომელსაც წარჰვლიდა მამად  
 ეპიფანე (გრ. ხანძთ. 7).  
 რნი იგი ხარკსა შეჰკრებდეს (მ. 17, 24).  
 რნი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს (მ. 12, 30).  
 მრავალთა განჰკურნებდა (მრ. 3,10).  
 განვჰყვენ წინაშე შენსა ლოცვასა ჩემსა (ჰაემ. თ. მრ. 179).  
 ჭეშმარიტთა ქრისტიანეთა მწვალებელი მღვდელი ვერ მოჰნათლავს (გრ.ხანძთ., ოე  
 19-20).  
 განს-წმენდს ყლსა ჭამადსა (მრ. 7,19).  
 ტადარი, რნი განს-წმენდს ოქროსა მას (მ. 23, 17).  
 გამოს-ცდიდა მას (მ. 22, 35).  
 აღვს-წერ საქმეთა (წარტყ. იერუს. ა. 20).  
 დაჰყრიდეს სამოსელსა მათსა ყოველნი (ჰაემეტ, ტ. მტ, 142).

## I სერია, უზმნისწინო ფორმები:

თანა-წარმავალნი იგი ს-გმობდეს მას (მრ. 15,29).  
 ვიდოდა და ს-ადიდებდა ღმერთსა (ლ. 13,13).  
 დახასხმიდა მათ ზედა ჳელთა და ს-აკურთხევდა მათ (მრ. 10, 16).  
 ღმერთი ს-ზრდის მათ (ლ. 12, 24).  
 ანგელოზნი მათნი მარადის ს-ხედვენ (მ.18,10).  
 ჰყოფდა ფარულად კურნებათა მრავალთა (გრ. ხანძთ. 13).  
 ჩუენთვის ვედრებასა ჰყოფენ (გრ. ხანძთ 13).  
 ჰყოფდენ ნიშებსა და სასწაულებსა (მრ . 13, 22).  
 ჰპოვებს ქრისტე (გრ. ხანძთ, კგ 52).  
 ვჰპოვებმცა მადლსა წუე თქნსა (შექმნათან 34, 11).  
 დღსასწაულისა მათისა შემამკობელთა ჰფარვენ მარადის (გრ. ხანძთ. პდ. 15–16).  
 ქალწული დღეს უმეტესსა არსსა ჰმობს და ქუეყანად ქებასა მიუწოდმელისა  
 შესწირვენ (ჰაემ. ტ. 17).  
 ღრუბელი ნათლისად ჰფარვიდა მათ (მ. 17.5).  
 ს-ცვიდეს მას მუნ (მ. 27, 36).  
 ჰკიცხავდეს მას (მრ. 10, 34).

ძლიერად ჰ-გუემდა ტეხითა ბოროტითა (გრ. ხანძთ ნდ 8-9).

რ-ი აღმოიკითხვიდეს, ს-ცნობდინ (მრ. 13, 14).

## II სერიის ფორმები:

გან-ხ-უტევა ერი იგი (მ. 14, 23).

რომელმან გან-ხ-აღოს საშოდ, წმიდა უფლისა ხეწოდოს (ლ. 2.23).

კაცმან და-ს-თესის თესლი ქუეყანასა (მრ. 4, 26).

ნერგი არა და-ხ-ნერგა მამამან ჩემმან ზეცათამან (მ. 15, 13).

და-ხ-ასრულნა იესუ იგავნი ესე (მ. 13, 52).

მო-ხ-აგორვა ლოდი დიდი (მ. 27, 60).

რამეთუ ცოცხლებით მო-ხ-იყვანა იგი (ლ. 15, 27).

ხ-იწყო სირცხვლით უკანადსკნელსა ადგილსა დაპყრობად (ლ. 14,9).

რომელმან გან-ხ-მზადნეს გზანი შენნი (მ. 11, 10).

რომელმან მო-ხ-წყვდენ წინასწარმეტყუელნი (ლ. 13, 34).

რომელმან მი-ხ-იყვანის ცხოვრებად (მ. 7, 14).

წარ-ხ-ასრულნა იესუ სიტყუანი ესე (მ. 7,28).

რომელმან და-ხ-თესა თესლი კეთილი (მ. 13, 24).

აღ-ჰ-კაზმა იგი განსვლად სამეუფოდ თუსად (ბოლნ. 135, 18).

რადთა ქალწულებად თუსი და-ჰ-მარხოს უბიწოდ (წარტყ. 25, 8).

რომელმან... და-ჰ-კსნა სიმტკიცე ჯოჯოხეთისად (წარტყ. 51, 15).

გან-ჰ-ფინნა სასმენელნი თუსნი (მრ. 256, 18).

და-ჰ-კრძალეს კარი ეკლესიისად (სინ. 70, 20).

გან-ჰ-ოვტევენე ოვზმანი ვანად (მრ. 40r, 9).

და მოავლინა და მო-ჰ-კუეთა თავი იოვანეს საპყრობილესა შინა (მ. 10 r, 13).

რომელმან და-ჰ-ბადნა ცანი სიტყუითა,.... ღმრთისა დედა იწოდე (ჰაემ. მრ, 91).

როგორც ვხედავთ, მოცემულ მაგალითებში I სერიისა (ზმნისწინიან და უზმნისწინო) და II სერიის მწკრივების ფორმებში Oძვ ნიშანი წარმოდგენილია |ხ-|, |ჰ-|~|ს-|~|შ-| მორფემებით.

გვინდა გავამახვილოთ ყურადღება „დაჰბადა“ ტიპის ზმნებზე, რომელთაც ა. შანიძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოშობით სამპირიან ზმნებად თვლის, რადგან მათ ე-ნიანი ვნებითი შეესატყვისებათ. თუ გავითვალისწინებთ ლ. ნოზაძის მოსაზრებას, რომ ეს პასივები ერთპირიანია და ე-პრეფიქსი

წარმოშობით პირთა რაოდენობასთან არ იყო დაკავშირებული (ლ. ნოზაძე, 1958), მაშინ ცხადია, რომ ჰ- ნიშანი ოძვ-ის კუთვნილებაა და ეს ზმნები თავიდანვე ორპირიანი იყო. პასივების, ენიანი ფორმების ერთპირიანობას მოწმობს შემდეგი მაგალითებიც, რომელიც მოცემული აქვს ი. იმნაიშვილს (ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996: 325–331):

დღეს აღმოპბრწყინდი საფლავით, რომელსაცა შინა დაებეჭდე (სას. პ. 277, 137).

რომელ-იგი გზასა ზედა დაეთესა (მ. 13, 19).

სადა-იგი დაეთესნეს სიტყუანი (მრ. 4,15).

არცა იქადიან და არცა ეკაზმებიან პირველ საქმისა (სწავ. 255, 10).

მეყსეულად აღემართა დედაკაცი იგი (ლ. 13, 13).

მაშინდა მე, გამაღულ, შემდგომად მისსა აღვესრულე და დავემარხე... ზეჯთა სამარხოსა მას სტეფანწსსა (სინ. 65, 23).

ხოლო აწ ჩუენ განვემზადებოდეთ და ხვალე, ორშაბათსა ვიწყოთ მარხვა (ბოლნ, 16, 3).

რომელი არა განემზადოს ნებისაებრ მისისა (ლ. 12, 47).

რადსათვის დაენერგვის, რომელსა ნაყოფი არა გამოაქუს (ბოლნ. 18, 6).

აღიფხუერ და დაენერგე ზღუასა შინა (ლ. 17,6).

აღესრულა თქმული იგი იერემია წინასწარმეტყუელისაჲ (მ. 27, 9).

ვითარცა აღხესრულნეს დღენი იგი რვანი (ლ. 2, 21).

ჩუენი სარწმუნოებაჲ განეფინების ყოველსა ადგილსა (უდაბნ, 31–6).

მოკუდა მდიდარიცა და დაეფლა (ლ. 16, 22).

ხოლო ქრისტემან უბრძანა ქუეყანასა, და განელო და დანთქა ეშმაკი იგი (ევსტ. 170, 16).

არცა სული მისი დაეყენა ჯოჯოხეთს (თუალთ. 48, 7).

დაეყენა სიკუდილი (ფს. 105, 30).

ორმეოც და ექუსსა წელსა აღეშენა ტაძარი ესე (ი. 2, 20).

არა მოუძღურდა, არცა დაჰჯსნდა (კიმ. II, 23, 37).

დაჰჯსნდეს ძარღუნი მკლავთა მისთანი (გრ. ხანძთ. 145, 17).

დაეკშა კარი (მ. 25, 10).

ოდეს-იგი დაეკშნეს ცანი სამ წელ და ექუს თთუე (ლ. 4, 25).

არის ისეთი ზმნის ფორმები (აღხესრულნეს (იგინი), დაჰჯსნდა (იგი)), სადაც მოცემულია სუბიექტური მესამე პირის ნიშნის გარდა ობიექტური მესამე პირის ნიშანი ხ-. ზმნა ერთპირიანია, ვნებითი გვარის. ვფიქრობთ, აქ იგივე ვითარებაა, რაც ხ-იყო, ხ-იდვა, ხ-ისხნეს ზმნის ფორმებში, სადაც ხ- პრეფიქსი აქტივთა

პირდაპირი ობიექტის კუთვნილებაა, რომელიც კონვერსიულ ვნებითში გადაჰყვა ზმნას და პირის ნიშანთა სიჭარბე ამით აიხსნება.

ჩვენი აზრით, ძველ ქართულში მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნის ხმარებას მკაცრი მორფონოლოგიური კანონები არ იცავდა. ენა თავისუფლად ხმარობდა აღნიშნულ პრეფიქსებს. ამიტომ ეს პრეფიქსები გვხვდება ან არ გვხვდება როგორც სახელობითი, ასევე მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სახელებთან. ამდენად, „ქადაგებს“, „ჰყოფს“ და „დაჰბადა“ ტიპის ზმნების ცალკე ჯგუფებად გამოყოფა არ მიგვაჩნია საჭიროდ.

ამრიგად, ძველი ქართული მასალის მიხედვით სავარაუდოა, რომ *Od* და *Oind* აქტანტებს ერთგვარი ნიშნები ჰქონდათ I, II და III პირშიც.

რაც შეეხება საშუალ ქართულს, მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი საკმაოდ ხშირად გვხვდება:

ვერ გამო-ს-თქვამს სიმრავლესა ენა (ვეფ-ნი, 1646, 2).

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამო-ს-ცდის დიდი რბევა (ვეფ-ნი, 13, 1).

ფრიდონ კაცსა დარჩეულსა სათანადო გარდა-ს-თველიდა (ვეფ-ნი, 1491, 3).

ჩემგან იმედსა გარდა-ს-წყველს (ვეფ-ნი, 360, 3).

არ გავ-ს-ტეს მისს ქაღებულსა (ვეფ-ნი, 851, 4).

ხორცთა შენთა სული გა-ჰ-ყო (ვეფ-ნი, 258, 2).

რომე ვერ გა-ჰ-ყრის ცულები (ვეფ-ნი, 1451, 3).

ღმერთი არ გა-ს-წირავს კაცსა (ვეფ-ნი, 951, 4).

იგი გა-ჰ-ხდის წამის-ყოფით (ვეფ-ნი, 792, 4).

ვ-ჰ-გმობ კაცსა აუგიანსა (ვეფ-ნი, 798, 2).

საბოძარსა ვინ და-ს-თვალავს (ვეფ-ნი, 1646, 1).

მზე მნათობსაცა და-ჰ-ფარავს (ვეფ-ნი, 1411, 3).

უწყლობა ჰ-კლავს (ვეფ-ნი, 919, 3).

მერმე თავსა ჰ-კრძალავს ლადი (ვეფ-ნი, 397, 4).

სავაჭროთა ყოვლნით ჰ-კრებენ (ვეფ-ნი, 1067, 3).

ჰ-კოცნიდეს ხრმალსა და სალტე-კოტასა (ვეფ-ნი, 611, 4).

რაც შეეხება *Ozd* ნიშანს ახალ ქართულში, სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით მას III პირში ნიშანი არა აქვს, მაგრამ ვხვდებით რამდენიმე ზმნას, სადაც სწორედ ნორმების მიხედვით დადგენილია *Ozd* პირის ნიშანი:

გა-ს-ტანს – გა-ს-ტანა – გა-ს-ტანოს  
გა-ს-წევს – გა-ს-წია – გა-ს-წიოს  
ა-ს-წევს – ა-ს-წია – ა-ს-წიოს  
გამო-ს-ცემს – გამო-ს-ცა – გამო-ს-ცეს  
გა-ს-ცემს – გა-ს-ცა – გა-ს-ცეს  
და-ს-ძენს – და-ს-ძინა – და-ს-ძინოს (1, 144).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი ობიექტის III პირის ნიშანს ვხვდებით თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებშიც:

მრისხანე მოურავი... ღონივრად ჰ-კაფავს მარჯვნივ და მარცხნივ (მ. მოსულიშვილი, გედები თოვლქვეშ, 96).

ვერც-ერთი ვაი-პატრიოტი ვერ და-ს-თხზავს, თუ როგორ გამოჰკიდებია ერთი ხრმლიანი ქართველი ათ დაზაფრულ თათარს (მ. მოსულიშვილი, იქვე, 95).

ზვაგები...უკანა ფშავთანაც ს-ჭრიან გზას (მ. მოსულიშვილი, 118).

შემთქმელს, ვინაც შეთქმულ ჭედილას ჰ-კლავს, სანთლებიც მოაქვს (მ. მოსულიშვილი, 132).

მიპასუხა და და-ს-ძინა, სიკვდილი ხომ შეეება იქნებოდა იმისთვისო (მ. მოსულიშვილი, 121).

„სამზესოსთვინ ამო-ჰ-კრეფამდა,

ღიმმორეული აცქერდებოდა

მისთვის სანუკვართ...

თრთოლვით და-ჰ-კლევდა, დაპლიდინებდა“ (თ. არაბული, ლიტერატ. პალიტრა, №1, 47).

„სხივთმოქსოილნი, სვილისფერანი,

ღიღინით ს-თვლიდნენ..“ (თ. არაბული, იქვე, 47).

ისიც არ იცის, ... საჭმელია თუ სასმელი და სალონსა ს-ტეხს (ი. ბაბუნაშვილი, ლიტერატ. პალიტრა, №12, 5).

მახინჯმა ჟორამ ჭორი და-ჰ-ყარა (ი. ბაბუნაშვილი, იქვე, 5).

როგორც იმთავითვე ფიქრობდა, ფარდებს გადა-ს-წევდა და შეხედავდა (ი. ბაბუნაშვილი, იქვე, 4).

რამ მო-ჰ-კლა ჩემი ბავშვობის დოსტი, ავადმყოფობდა? (ი. ბაბუნაშვილი, იქვე, 6).

ისევ ს-ცადა წამოდგომა (ი. ბაბუნაშვილი, იქვე, 8).

იქნება დღეს ვინმემ უკვე გამო-ს-ცადა თავისი ბედი?! (ი. ბაბუნაშვილი, იქვე, 12).

მერე იმ პაემანზე სიგარეტს ამოიდებს და მო-ს-წევს (ნ. ანთაძე, იქვე, 38).

ბიჭმა გაქცევა ს-ცადა, მაგრამ ამ დროს ჰაერში ორმა დანამ იელვა და კენესის ხმა გაისმა (ნ. ანთაძე, გვ. 40).

გარდა ამ შემთხვევებისა O3<sup>d</sup> ნიშანი გამოიხატება სამპირიან ფორმებში, სადაც ირიბი ობიექტი პირუცველია, პირდაპირი ობიექტი კი – პირცვალებადი.

დღევანდელ ქართულში მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი დიალექტებშიც იხმარება. მთის დიალექტებში თითქმის ყველგან გვხვდება:

ხეებს მა-ს-ჭრიან კაცები (ი. გიგინეიშვილი, ვ.თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 5).

მამკალთ შა-ს-ყრიან კაისდროს ქალ-ვაჟთ (იქვე: 5).

ყანასა თაოდ მა-ს-მკიან (იქვე: 5).

ოკშობისას და-ს-კვლენ თიკანს (იქვე: 6).

ზამთრის დასთულისას გაზაფხულ და-ს-ქსოვენ ტოლებს, მემრ გა-ს-თელვენ ტოლს (იქვე: 7).

საკლავებს საბაღახეჩით აიყვანენ, ორ-სამს და-ს-კვლენ დი-დიდეებს, და-ს-კვლენ, ჩა-ს-ყრიან ჯარჩავალჩი (იქვე: 7).

ვერც მამულს მა-ს-ვნავს თავისას (იქვე: 12).

რომ დაგ-ჰ-პატიჟოთ ამ სოფდაგარს (იქვე: 182).

წარმოდგენილი მაგალითების მიუხედავად, თანამედროვე ენაში პირდაპირი ობიექტის III პირის ნიშნად ძირითადად Ø ალომორფი უნდა ვივარაუდოთ. ეს უკანასკნელი სავსებით მისაღებია ენისთვის, რადგან ხერხდება ფორმათა განსხვავება. იგი უპირისპირდება I და II პირს, რომლებიც გარკვეული ნიშნებით არის გამოხატული. სურათი მსგავსია მეორე სუბიექტური პირის ნიშნისა, რომლის ნულოვანი ალომორფით გამოხატვა I და III პირის ნიშანთა არსებობით არის განპირობებული. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ პირდაპირი ობიექტის მესამე პირის ნიშანი ახალ ქართულში არის ს- და Ø-. პირის ნიშნების გამოხატვა ზმნის ფორმაში კატეგორიათშორის სისტემაში ურთიერთმიმართებით არის განპირობებული, რასაც არეგულირებს მორფოლოგია.

ახლა განვიხილოთ, თუ რა ვითარება იყო ძველ ქართულში, როდესაც პირდაპირი ობიექტი III პირში მრავლობითი ფორმით იყო წარმოდგენილი. ამასთან დაკავშირებით ა. შანიძე წერს, პირდაპირ-ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვი ასახულია ზმნაში იმ შემთხვევაში, თუ ზმნა II სერიის

მწერიში დგას და მასთან შეწყობილი პირდაპირი ობიექტი ნარიან მრავლობითშია; მისი ნიშანია -ენ და -ნ, მიღებული ე ხმოვნის ამოღებით (ა. შანიძე, 1976: 66).

მაგალითი: პირდ. ობ. მს.-შია		პირდ. ობ. მრ.-შია	
	(იგი)		(იგინი)
მს. რიცხვი	1.3. ვიხილე	ვიხილენ	3.1. მიხილა
	2.3. იხილე	იხილენ	3.2. გიხილე
	3.3. იხილა	იხილნა	3.3. იხილა
მრ. რიცხვი	1.3. ვიხილეთ	ვიხილენ(ით)	3.1. გუიხილნა
	2.3. იხილეთ	იხილენ(ით)	3.2. გიხილნა
	3.3. იხილეს	იხილნეს	3.3. იხილნა

ამ მხრივ სურათი ნათელია და აშკარა. როდესაც პირდაპირი ობიექტი ნარიან მრავლობითშია და II სერიაში, იგი ზმნას ითანხმებს რიცხვში, რომელ პირშიც არ უნდა იყოს ობიექტი.

მაგალითები:

ეშმაკმან გამოგითხოვნა თქვენ აღცრად. (ადიშ. 150 , 2).

აწ თქვენ სიყვარულმან მოგიყვანა აქა (გრ. ხნძთ. 22).

გტანჯვიდენ თქვენ და წინაშე მთავართა და მეფეთა მიგიყვანეს თქვენ ჩემთვის (აბო 4822 ).

და განმახლნა ჩუენ პირველსავე სახესა უხრწნელსა მოწყალებით (სახ. პოეზ. ნთ 19).

აღდგა და თანა აღმადგინნა [ჩუენ] (სახ. პოეზ სუთ 7).

ეტყოდეს რო მივსნენ ჩუენ რ~ წარვწყმდებით (ოთხოავი 386).

ქრისტემან ჩუენ განგვააზნაურნა. (გრ. ხანძთ. მ 23).

ბრძანებამან ქრისტესმან შეგუკრიბნა დღეს (გრ. ხანძთ. ოა34).

რომელი მოსვლად ხარ განსჯად სოფლისა, შეგვიწყალებ ჩუენ. (სახ. პოეზ. სო 5).

რადთა მოწყალე გუექმნეს.. და შეგვწყალებ ჩუენ (აბო 5314).

რაც შეეხება მიცემითში მდგარი ობიექტის მრავლობითობას, პირდაპირისა თუ ირიბის, ძვ. ქართულში III პირში არ აღინიშნებოდა ზმნაში.

მაგ: აქუნდა მათ მონაგეთა სიმრავლჳ აურაცხელი (საბა 4).

არა შეეხნეს საზრდელსა მას და არცა ჰნებავს მათ ჭამად (საბა 1724).

ქვა და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა... (გრ. ხანძთ. ლგ 27).

ყლთა რ~ლთა ესმოდა დაუკვირდებოდა სიტყვათა მათ (ადიშ. 106თ).

ხოლო მათ უხაროდა და ულოცავდეს სარწმუნოებით შემომწირველთა (გრ. ხანძთ. იზ. 25).

ჭეშმარიტისა ნათლისა სამოსელი ჰმოსია სიმდაბლითა სარწმუნოთა შემჯობილთა მრავალთა შორის ძმათა ამათ (გრ. ხანძთ. ნგ. 4).

უკურდა უღმრთოთა მათ სიმკნწ იგი მისი (კიმ. 38.17).

თქვა იოვანე არს სახელი მაგისი და უკურდა ყლთა (ადიშ. 104 ბ1. 2, გვ. 78).

როგორც ცნობილია, მესამე ირიბი ობიექტის პირის ნიშანი ძველ ქართულში იყო ხ- პრეფიქსი, რომელიც ყოველგვარ ზმნაში იყო წარმოდგენილი, შემდგომ პერიოდში – ჰ- პრეფიქსი და ს-, შ-, Ø- ალომორფები. მოვიყვანთ მაგალითებს:

მო-ხ-გუარეს მას ეშმაკეული ბრმა და ყრუ (მ. 12, 22).

მონასა ჩემსა ხ-უბრძანა (მ. 8, 9).

რომელი გამო-ხ-ეკუეთა კლდესა (მ. 27, 60).

ესე სამ გზის გამო-ხ-უცხადა იესუ მოწაფეთა თუსთა (ი. 21, 14).

ვითარცა ხ-ესმა ესე მოწაფეთა, გან-ხ-უკურდა ფრიად (მ. 9, 25).

რომელსა ჰელი განჰმელ ხ-ედგა (მრ. 3, 1).

რომელი ხ-თნავს სულსა ჩემსა (მ. 12, 18).

მან ნათელ-ხ-ცეს სულითა წმიდითა (ი. 1, 33).

რომელთა მო-ხ-ცენ მას ნაყოფი (მ. 21, 41).

მი-ხ-ცა მათ ძალი (ლ. 9, 1).

მას და-ჰ-ვედრა საბა წმიდისა წესისა დაწერად (გრ. ხანძთ. 51).

მო-შ-ტრა ხეს რტოდ და მისთანანი (ძვ. სას. პოეზ).

ჰ-რქუეს მოწაფეთა მისთა (მ. 9, 11).

ჰ-კითხა დედასა თუსსა (მრ. 6, 24).

მრავლობითი რიცხვი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიცემით ბრუნვაში დასმულ ობიექტს ძველ ქართულში არ აღვნიშნება ზმნაში. მაგალითები:

მი-ხ-ცა მათ ძალი (ლ. 9, 1).

ჭეშმარიტებისა ნათლისა სამოსელი ჰ-მოსია სიმდაბლითა სარწმუნოთა შემკობილთა მრავალთა შორის ძმათა ამათ (გრ. ხანძთ. ნგ. 4).



ესე სამ გზის გამო-ხ-უცხადა იესუ მოწაფეთა თუსთა (ი. 21, 14).

ქვა და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა (გრ. ხანძთ. ლგ. 27).

და ჰეტყოდა მათ იგავსა... (ჰაემ. ტექსტ. 385).

ხოლო მათ უხაროდა და ულოცვიდეს სარწმუნოებით შემომწირველთა (გრ. ხანძთ. იზ, 25).

ხოლო ფარისეველთა ვითარ ესმა... შეკრბეს ერთად (ადიშ. 48).

იტყოდეს ვ-დ შენ ხარ ქ-ც ძმ ღ-დ და შეჰრისხნა მათ...(ჰაემ. ტ. 381).

ჰიყო სიმონისი და ჰოვბრძანა მათ...(ჰაემეტ. ტ. 382).

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში სახელობითში დასმული ნარიანი სახელი, სუბიექტი იქნებოდა თუ პირდაპირი ობიექტი, ზმნას ყოველთვის ითანხმებდა რიცხვში, რაც იყო ძველი ქართულის ნორმა, ებ-იანი კი ვერ ითანხმებდა. XII ს-დან ებ-იანი წარმოების გაძლიერება ნარიანთან შედარებით იწვევს სახელობითის უფლებების შესუსტებას და მიცემითის სინტაქსური ძალის გაძლიერებას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ისიც, რომ ებ-იანი სახელობითი რიგ შემთხვევებში აღნიშნულია ზმნაში: გარდავიხილენით გუამები იგი მ-წმთად, (კიმ 429), ზუარაკები ჩემი და უსხები ჩემი დაკლულ არიან (ოთხთ.126) (არნ. ჩიქობავა, 1968: 209; ი. იმნაიშვილი, 1957: 305-309).

არნ. ჩიქობავას აზრით, ასეთი განსხვავება ნარიან და ებიან სახელებს შორის იმით იყო გამოწვეული, რომ პირველი ორგანულად უკავშირდებოდა ზმნაში მრავლობითობის მესამე პირის ნიშანს: ენ//ან სუფიქსებს, რომლებიც ისტორიულად მრავლობითობის ნიშნად უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო –ებ სუფიქსი სულ სხვა ფორმაციისაა და სხვა დიალექტური წრიდან მომდინარეობს. საინტერესოა, რომ მისი ეკვივალენტი სუფიქსი მრავლობითისა ქართულ ზმნაში არ მოიპოვება. ამ მხრივ ძველ ქართულში მიცემითი ბრუნვა და ებ-იანი სახელობითი ერთნაირ სინტაქსურ ძალას ამჟღავნებენ: არც ერთი ითანხმებს ზმნას მრავლობითში და არც მეორე (არნ. ჩიქობავა, 1968: 270-277).

სახელობითში მდგარი პირდაპირი ობიექტი მხოლოდ გარდამავალი ზმნის კუთვნილებაა. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ გარდამავალი ზმნა გულისხმობს ობიექტის უპირატესობას სუბიექტთან შედარებით, რაც ნიშანდობლივია კლასიკური უღვლილებისათვის. ზმნა მხოლოდ სუბიექტს აღნიშნავს, ეთანხმება

ობიექტს კლასისა და რიცხვის მიხედვით. მისი აზრით, ძველ ქართულში გარდამავალ ზმნათა სახელობითში დასმული ობიექტი იმიტომ ეთანხმებოდა ზმნას მრავლობით რიცხვში, რომ ეს იყო გადმონაშთი კლასოვანი უღლებისა (არნ. ჩიქობავა, 1976: 10-17).

ძველ ქართულთან შედარებით საშუალო ქართულში სახელობითში მდგარი ობიექტის მრავლობითობის -ენ სუფიქსით აღნიშვნა ზმნაში თანდათანობით შესუსტდა, მაგრამ მაინც ხშირია ამ სუფიქსით გამოხატულ სახელთა შეთანხმება ზმნასთან მრავლობით რიცხვში. მაგალითად:

გამოვიდეს მინდორად, **შემოვიღნეს** სარაფარდანი, **შეკაზმნეს** ფარეშთა და სხვათა მსახურთა წალკოტნი (ვისრამ 35,18).

ფრიდონ კაცნი **დააბრუნნა** მოსასხმელად აქლემისად (ვეფხ. 1501,1).

ასმათ ჰკადრა: „მაღლი ღმერთსა ვარდნი **ვნახენ** არ-დაზრულნი (ვეფხ. 1452, 4).

**მასწავლნეს** მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთნიდიან (ვეფხ. 1393,2).

დადრკა სკამნი **შემოსტყორცნა**, ჰკრნა კედელსა, **შეაღწნა** (ვეფხ. 762,1).

მე შენნი ყმანი არა **დავკოცენ**, შენ ჩემნი რად დაჰკოცენო?! (ამირან 354,6).

მრავალნი ტანჯვანი **შეამთხვენეს**, რათა ჭეშმარიტი აღიაროს (ქართ. ცხ. II, 200, 12).

დღე და ღამე გულისა ეუბნებოდა და თვალნი ვერ **დაიხუჭნის** (ვისრ. 65,23).

ღმერთმან **გაამრავლნეს** სიმხიარულისა დღენნი თქვენნი (ვისრ. 171,12).

ღმერთმან მას **ჰკითხნეს** ბრალნი და ცოდვანი თქვენნი (ქართ. სამ. ძეგ. II, 45).

ღმერთმან თქუენ **დაგბადნა** (ვისრ. 41,19).

მზემან ჩვენმან შუქნი სრულად **დაგვიძვირნა** (ვეფხ. 828,2).

ამად შევშინდი, ღონენი ვეღარა **მოვაგვარენით** (იქვე, 1208,3).

ავთანდილ მაღლი უბრძანა: ცეცხლნი **დამიგსენ** ცხელანი (იქვე, 1249,3).

მივიდეს, **ჰკადრნეს** მეფესა საქმენი დასაგვანანი (იქვე, 188,4).

შესაპყრობლად შეეუზახენ, სპანი სრულად **დამიხოცნა** (იქვე, 111,2).

მოე, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი **მომაყარენით** (იქვე, 283,4).

ძმანო, ვინ ხართ? მეკობრეთა **დაგამსგავსენ!** (იქვე 199,1).

-ენ სუფიქსით გამოხატული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ აისახება საკმაოდ ხშირად. ერთსა და იმავე წერილობით ძეგლებში გვხვდება როგორც -ენ სუფიქსიანი, ასევე უსუფიქსოც. აქ ალბათ, გადამწყვეტი როლი გადამწერს მიეკუთვნება, კერძოდ, რას უწევს ანგარიშს გადამწერი – ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, თუ ცოცხალ მეტყველებას?

მაგალითები: ექვსნი რამე ცხენოსანნი, ნახა, მისკენ მოვიდოდეს (ვეფხ. 197, 2).  
 გაგზავნე კაცნი ყოველგნით მისთა ამბავთა მცნობელი (ვეფხ. 36, 115).  
 მენიშნა, დავრთე ნებანი, თანხმობით თავი უკარო (ბესიკი, 88,ა).  
 თავმოსრით ვნახე იანი, სხივნი ჰკლებოდეს მიზანი (იქვე, 60).  
 რჩეულნი დიდებულნი თანა წაიტანის (ამირანდ, 362, 2).  
 ჩიტებმან შექმნის გალობა, სიმღერა, ჭიკჭიკობანი (არჩილი, 304, 2).  
 ეგზომ ტირდა, მისაწყლითა უსულონიც მოიყენის (ვისრამ, 431,2).  
 ყოველმან კაცმან ცნას ჩემნი საქმენი (ვისრამ, 233, 8).  
 დავიბაროთ სრულიად ქართველნი (ქართ. ცხ. II. 406, 9).  
 განმათავებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს (ისტ. საბ, 158).  
 ვინ ვის უსწრობდა, მორბოდეს.. ვითა ვთქვა მათი მკობანი (ბესიკი, 82, 6-4).  
 და თავნი მოვიკლათ და გულსა ღახვარი გავაწონოთა? (თეიმ. I, იოსებიზილის, 291, 4).  
 და უამნი მათნი საჭირონი გაუხადო საქორწილად (არჩილ, ვისრამ, 204,3).  
 აწ მომეც სიმრავლენი სპათა თქუენთანი (ქართ. ცხ. II, 329,32).  
 აწ მითხარით თქუენნი ნაქმარნი (ამირანდ., 607,4).  
 ეგრეცა შეინახე ისი ორნი გრძნეულნი (ვისრ. 140,25).

არის შემთხვევები, როდესაც ზმნაში წარმოდგენილია -ენ მრავლობითობის მორფემა, მაგრამ მისი ფარდი სახელი მხოლოდობითშია:

უკანამან წინა ნახნა დავარდნილი შიგან ჭასა (ვეფხ, 256,3).  
 მისი ვეშაპისა ტყავისა საგდებელი საღრტილსა დაიკიდნა (ამირანდ 734,7).  
 და სხუამან ვერავინ გაბედნა ქართველმან.. წასვლა (ქართ. ცხ. I, 342, 22).  
 კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმან შთარივნე დღე ღამესა შიგან (ქართ. სამ. ძეგ. II, 345).  
 მისწერნეთ წიგნი, სადაც ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა (ვეფ. 116, 4).

-ენ სუფიქსიანი პირდაპირი ობიექტი, რომელიც ძველ ქართულში ყოველთვის ითანხმებდა ზმნას რიცხვში, -ებ ნიშნით გაფორმებული ვედარ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში. როგორც ცნობილია, ზმნა ეთანხმება -ებიან სახელობითს იმ შემთხვევაში, როცა იგი რეალურ სუბიექტს წარმოადგენს, კერძოდ, როცა აქტიურ სუბიექტს, ადამიანს აღნიშნავს, ხოლო ობიექტად ხმარებისას -ებ-იანი სახელობითი ზმნას ვერ ითანხმებს რიცხვში (არნ. ჩიქობავა, 1933: 36-37).

საშუალო ქართულის მასალაში III ირიბი ობიექტური პირის მრავლობითობა მორფოლოგიურად ხან აღინიშნება, ხან – არა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გამოხატავს მიცემითში დასმული სახელი. რეალურად მოქმედი, აქტიური სახელის მრავლობითობა ზმნაში უფრო აღინიშნება და, პირიქით, რეალურად უმოქმედო, პასიური სახელი აღუნიშნელები რჩება. თუმცა ეს არ არის ერთი მტკიცე ნორმა და გვხვდება თვით ამ წესის შიგნითაც გადახვევები (მ. მელიქიძე, 48).

მრავლობითში მდგარი III პირის ირიბი ობიექტი ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში. მაგალითები:

შეუყვარდა ერთმანეთი, სწვიდეს მიწვივ გულსა დაგნი (ვეფხ. 670, 3).

ვისი, რამინ და შეპროზ, ვითა მათ სწადდა, ეგრე იხარებდეს (ვისრ. 123, 6).

თქვენთა უყვარს ერთმანეთი, ქალი მას და იგი ქალსა (ვეფხ. 1521, 1).

ფრჩხილთა არწივნი ნატრიდეს, აჯირთა **ჰქონდეს** ყრილობა (ბესიკი 85, 26-3).

ომი, თქვენმან მზემან, ყოველთა დაავიწყდა (ამირანდ. 343, 9).

რა იგი გაქრა, სხვათ **შეხვდა** მის ცეცხლს ჩავარდნა მდაგე რა (ბესიკი, 126, 29).

და მათ გაურისხდა უფალი, რა კარგ საქმეზედ გამირობდეს. (თეიმურაზ I, იოსებიზილის 36, 4).

მოგნახეს, გკებნეს ყოველგან, მათ რუკა დაუწერია (ვეფხ., 291,2).

მაშინ თქვენ გეწვინა ნახვა მიწისა შენისა (იქვე, 1504,1).

თქვენ გქონდეს ომნი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა (იქვე, 1402,3).

III პირში რიცხვში შეთანხმება გამოიწვია მიცემითში დასმული სახელის ფუნქციის გაძლიერებამ (ე.წ. ინვერსიულ ზმნაში). ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ზმნაში ერთდროულადაა გამოვლენილი სუბიექტის მხოლოდობითი რიცხვის -ს და ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი -თ სუფიქსი. ასეთი შემთხვევები ჩნდება XVI-XVII სს-დან. მაგალითები:

მეუფეო, დაუმაღავსთ ესე საქმე შენთვის (სამ. ძეგლ. II, 694,-7).

შენმა გახეთქვამ ეშხი მოჰკლავსთ შენის წელისა! (ბესიკი,98,3).

იმათ ზამთრისა რიცხვით მალ გაუქარდესთ სულიო (თეიმურაზ II, 118);

სხვათა ხელმწიფეთა, არცა თუ სიზმრად ოცნებობდესთ ეგედენი სიკეთე მისი (იქვე, 139).

ვინ ასეთი რა მოიპაროს, ეკლესიის შესაწირვად უნდოდესთ და ჯერ არ შეეწიროსთ (სამ. ძეგ. I, 76).

თუ გაყრა მლუგჯდებისთ, ერთმანერთს უანგარიშებენ და ცუდად არ შეურნებისთ (იქვე, 507).

-სთ კომპლექსი უკვე საშუაღ ქართულშივე იწყებს გამარტივებას და -ს იკარგება, რაც გამოწვეული იყო ფონეტიკური პროცესით. XVIII საუკუნიდან თითქმის აღარ გვხვდება სალიტერატურო ქართულში.

ახალ ქართულში მას შემდეგ, რაც ზმნის ფორმაში დაიკარგა სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა -ენ სუფიქსით და დასუსტდა სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ძალა რიცხვში შეთანხმების საკითხთან დაკავშირებით და გაძლიერდა მიცემითი, ენაში მთლიანად შეიცვალა რიცხვის გამოსატვის სისტემა. პრიორიტეტული გახდა სულიერი სახელი, განსაკუთრებით აღამიანი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის, რადგან ამ მხრივ საკმაოდ სიტყვლეა ენაში. ეს ნათლად ჩანს პირთა კომბინაციებში, რაც განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს. ერთი შეხედვით კი ასეთი სურათი წარმოგვიდგება: I და II პირთა კომბინაციებში ობიექტური პირები (განურჩევლად ბრუნვისა) რიცხვს გამოსატავენ ზმნაში.

მაგალითად,

მე გ-ზრდი შენ;            ის მ-ზრდის მე;

მე გ-ზრდი-თ თქვენ;    ის გვ-ზრდის ჩვენ;

შენ მ-ზრდი მე;            ის გ-ზრდის შენ;

შენ გვ-ზრდი ჩვენ;      ის გ-ზრდი-თ თქვენ;

რაც შეეხება მესამე ობიექტურ პირს, აქ უმთავრესად არა გვაქვს შეთანხმება. ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ობიექტური პირის ნიშანთა ცხრილს ასე წარმოვადგენთ:

## ბგველი ქართული

ირიბი ობიექტი		პირდაპირი ობიექტი		სახელობითში	
მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
I მ-	მ-	I მ-	მ-	მ-	-ენ~ნ
	გუ			გუ	-ენ~ნ
II გ-	გ-	II გ-	გ-	გ-	-ენ~ნ
III ხ~ჰ~ს~შ- -	ხ~ჰ~ს~შ- -	III ხ~ჰ~ს~შ- -	ხ~ჰ~ს~შ- -	ხ~ჰ~ს~შ- -	-ენ~ნ

## ახალი ქართული

ირიბი ობიექტი		პირდაპირი ობიექტი	
მხ. რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.
I მ- -	გგ- -	I მ- -	გგ- -
II გ- -	გ- -თ	II გ- -	გ- -თ
III ჰ~ს~შ- -	ჰ~ს~შ- -თ, -Ø	III ს~შ- -	ს~შ- -თ, -Ø

## თაზი IV სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები დიალექტებში

ქართული ზმნის პირებისა და პირიანობის განსაზღვრა, გარდა ძველი სამწერლობო ქართულისა და თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მონაცემთა შეჯერებისა, შინაგანი დინამიკის გამჭვირვალედ დახასიათებისათვის მოითხოვს დიალექტური მონაცემების ფართოდ გათვალისწინებას, კერძოდ: ერთი მხრივ, მთის დიალექტების, როგორც არქაული, ძველთან ახლოს მყოფი და, მეორე მხრივ, ქართლურისა და კახურის, როგორც სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტების.

პირველ რიგში ჩვენ წარმოვადგენთ ქართლური და კახური დიალექტების მონაცემებს, არსებულ დებულებებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და სათანადო მასალას, რის მიხედვითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ ის პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია ზმნის ფორმაში პირმიმართი აქტანტების გამოსატყვასთან (მარკირებასთან).

### ქართლური დიალექტი

ქართლური ქართული ენის მთავარი დიალექტია, მისი მნიშვნელობა ქართული სამწერლობო ენის განვითარების ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის შესწავლისათვის განუზომელია.

ქართლური საფუძვლად უდევს ქართულ ლიტერატურულ ენას დასაბამიდან დღემდე. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ IV-III საუკუნეებში ჩვ.წ.აღ-მდე ისტორიულ ქართლში ჩამოყალიბდა სამეფო იბერია, რომლის დედაქალაქი იყო მცხეთა, შემდეგ თბილისი. აქ განვითარდა ქართული მწერლობა და აქ არის შემონახული უძველესი ქართული ხელნაწერები (ბოლნისის სიონისა და მცხეთის ჯვრის კედლებზე).

ქართლური ქართული ენის კილოთა შორის ყველაზე უფრო მსხვილი დიალექტური ერთეულია. იგი მოიცავს საქართველოს შუაგულს, ვრცელდება იმერეთიდან კახეთამდე.

ქართლურ დიალექტს მოსახლეობის მეტყველების მიხედვით 4 ჯგუფად ყოფენ: 1. ქართლის ცენტრალური ნაწილი (მცხეთა, თბილისი), 2. ქართლის დასავლური ნაწილი (ბორჯომი, ხაშური, სურამი), 3. ქართლის სამხრეთი ნაწილი (ქვემო ქართლი), 4. ქართლის ჩრდილო ნაწილი (ახალგორი, დუშეთი)

### სუბიექტური პირის ნიშნები ქართლურ დიალექტში

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ქართლურში ძირითადად ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში არის ვ-პრეფიქსი, მაგრამ ვხვდებით მის სახესხვაობებსაც პოზიციების მიხედვით:

1. ვ→∅, თუ მას მოსდევს ვ, უ ან ო ბგერები ისევე, როგორც ეს იყო ძველ ქართულში (გრ. იმნაიშვილი 1974: 216).

მაგ: მე (ვ)ვარჯიშობდი; დღეში ორჯერ ვერ (ვ)უვლით ერთ მიწას (ი. გიგინეიშვილი, ვ. თიფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 281)

მე ორი აბაზი გამო(ვ)უგზავნე მესამე ახლა მომაქ (იქვე: 298);

მესამე დღეს გადავწურამთ, იმასაც (ვ)უზამთ მწვანილსა, წიწაკასა, მარილსა (იქვე: 300);

მე ვირს ლურსმანს (ვ)უღებდი ფეხიდანო (იქვე: 303);

მე დეკევეულს (ვ)უმღეროდო (იქვე: 303);

ვადუღებთ, (ვ)უზამთ მარილსა და ვჭამთ (იქვე: 315);

2. ვ→∅ მ და ბ წყვილბაგისმიერი მჟღერების წინ.

ყანაში მიჭირამ ნამგალი და (ვ)მკი (იქვე: 215);

ჭარხალში (ვ)მუშაობდით ჩვენ (იქვე: 302);

იმასთან მე (ვ)ბარამდი (იქვე: 280);

დეკემბრიდან მაისამდე (ვ)ბძოლობდი (იქვე: 216);

3. ვ ყრუ თანხმოვნების წინ განიცდის ასიმილაციას. კერძოდ, კბილბაგისმიერი მჟღერი ვ ხდება კბილბაგისმიერი ფშვინვიერი, რუსული ენის ფ-სთან ახლოს



მდგომი ბგერაა, მაგალითებში აღვნიშნავთ  $\Phi$ -თი. მაგ: დაჭკარი, დაჭკარგე, მოჭკალი, ჩაჭყარა, გაჭყოჯ, ჭჭამდა, დაჭკერი, დაჭწურამ, დაჭწებოდი, გაჭპარსამ, ჭთოსნიდით და სხვ.

4. მო-ზმნისწინსა და სათავისო ქცევის -ი, ან ვნებითის ი- პრეფიქსებს შორის ვ-თითქმის ყველგან იკარგება. არ იკარგება ცენტრალური ქართლის მოსახლეობის მეტყველებაში.

მეორე სუბიექტური პირის ნიშანი არის ჰ- ან ს- პრეფიქსი, რომელიც ჩვეულებრივ დაკარგულია. როგორც ა. შანიძე წერს: „ქართლის კილოს ერთი თავისებურება ახასიათებს, რომელიც მას სხვა აღმოსავლური კილოებისაგან განსხვავებულ ბეჭედს ასვამს. ეს არის მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის დაკარგვა და ამიტომ თხრობითისა და ბრძანებითის ერთმანეთში არევა და ფორმალური განურჩევლობა“ (ა. შანიძე, 1981: 228).

გრ. იმნაიშვილს მოცემული აქვს სუბიექტური მეორე პირის ნიშნიანი ფორმები თხრობით კილოსა და უკუთქმით ბრძანებითში.

მაგ: რათა ლტირიო? ნუ ლტირი, ნუ ჭტირი (გრ. იმნაიშვილი, 1974: 219).

ბგერია ისეთი შემთხვევა, როდესაც ს- პრეფიქსის დასუსტებით  $\Phi$ -ს ვიღებთ.  $\Phi$  მედერი პალატალური ბგერაა, რომელიც ენის შუა ნაწილში მაგარ სასასთან იწარმოება. იგი უმარცვლოა. როგორც ცნობილია,  $\Phi$  წინა ხმოვანთან ერთად დიფთონგს ქმნის.  $\Phi$  ქართული ენის ყველა დიალექტში გვხვდება.

მაგ: გაჯთხოვდი (შენ), რათა ჯოჭლობო? განა კიდევ შეჯცდი? რითვინ გაჯრჯილხარ? გადაჯბრუნდი, გაჯვარდი, დაჯბრძანდით, მოჯკვდები, დაჯდიხარ, . . . (გრ. იმნაიშვილი, 1974: 135).

მესამე სუბიექტური პირის ნიშნები ისევეა წარმოდგენილი, როგორც სალიტერატურო ენაში, ეს სუფიქსებია: -ს, -ა, -ო. ვხვდებით მათ გარკვეულ ცვლილებებს, კერძოდ: ზოგჯერ გვაქვს მათ ნაცვლად  $\Phi$ , ზოგჯერ ნულოვანი ალომორფი.

მაგალითად, როდესაც  $s \rightarrow \emptyset$  ე.ი. -ს არ გვაქვს: ჰყამ, მიჰყამ სძინამ, წევ, დევ, მოუკლამ, დაუდგამ, და სხვა.

თვალეები უჭირამ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 273);  
გუთანსა საცა ხმალი აქვ, (იქვე: 273);  
ნავივით არი გაკეთებული (იქვე: 288);  
გორულა-თეთრი, სქელი კანი აქ, ტკბილია (იქვე: 288);  
თითა-გრძელი მარცვალი აქ, სქელი კანი (იქვე: 289);  
შენ მამეცი ეს ჯორ-აქლემი , რაცა გაქ (იქვე: 293);  
გასხვლისთვის გვაქ მაკრატელი (იქვე: 288);  
ხემწიფესთან საქმე მაქ .. (იქვე: 299);

როგორც მაგალითებიდან ჩანს, აქვს, მიაქვს . . . ტიპის ზმნებს ს-თან ერთად ფუძისეული -ვ- თანხმოვანიც ეკარგებათ. მაგ.: ფული მაქ, სათქმელი მაქ, იმათ აქთ, თქვენ გაქთ, ჩვენ გვაქ, მომაქ, მოგაქ . . .

მაგალითები, როდესაც ს→ჯ.

ძურწამურწამ არ შააწუხოლ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 274);

ხელეური გადამაილოლ (იქვე: 274);

რო თანაბრიგ გაილეწოლ (იქვე: 274);

რო მიწა გაჯვარდელ (იქვე: 274);

რო მაიგლოლ ზევიდანა (იქვე: 274);

რო დაიჭიროლ რამე-ლორლი, ქვა (იქვე: 274);

რო წყელი ძალამ დააბრუნოლ (იქვე: 275);

სუ ყურს მიგდებს, კაცო, ეგება ამოთქვალ რამეიო (იქვე: 283);

დაიცა, ერთი შამაუტიოლ სიცივემა (იქვე: 283).

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი –ა სუფიქსი, როდესაც მას წინ უძღვის ვ თანხმოვანი, კომბინაციის შედეგად გვაძლევს –ო-ს. ეს შემთხვევა შედარებით უფრო ხშირია ქართლის ჩრდილო ნაწილში, ხოლო ცენტრალური რაიონების მცხოვრებლების მეტყველებაში იშვიათია. არნ. ჩიქობავას აზრით, ო მიღებულია ჩქამიერი თანხმოვნის, უმარცვლო უ-სა და ა-ს შერწყმით.

თქლ, ჩაიცლ, ჩაიდლ და სხვა.

თვალი გაასუფთავა და ჩაუსლ სოვდაგარს (იქვე, 278)

სუბიექტური I და II პირის მრავლობითი რიცხვის ფორმები გამოხატულია -თ სუფიქსით ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში. მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში გარდამავალ ზმნებთან უწყვეტელსა და I კავშირებითში, ასევე გარდაუვალი ზმნების წყვეტილსა და II კავშირებითში იხმარება –ნენ სუფიქსი: გააკეთებდნენ, მოვიდოდნენ, დაწერდნენ. ქართლის დასავლური ნაწილის მეტყველებაში –ნენ-ის ნაცვლად –ენ სუფიქსია: გააკეთებდენ, მოვიდოდენ, დაწერდენ.

მაგალითები: წამოვიდენ ცოლი და ქმარი (იქვე, 306);

დარჩენ მშიერები (იქვე, 306);

წამოვიდენ და მოვიდენ ამ საწყალ კაცის სახლში (იქვე, 307);

შესხდენ და წავიდენ დამე (იქვე, 308);

მრავლობითი რიცხვის –ეს სუფიქსის –ს ელემენტი ხშირად სუსტდება და **ჲ** -ს გვაძლევს : გააკეთჲ , მოხარშჲ , ააშენჲ . . .

მაგალითები: როდესაც მიიტანჲ ჯამები დასასხმელათ, ყვავი ჩავარდა ქვაბში (იქვე, 284);

დაადჲ ქვა და დააწერჲ ზედა (იქვე, 284)

სუბიექტური პირის ნიშნების ცხრილი ქართულურში

	მხოლოდობით	მრავლობითი
I.	ე~Ø~ფ-_____	ე~Ø~ფ- _____ თ
II.	Ø~ხ~ჰ~ს~ჲ- _____	Ø~ხ~ჰ~ს~ჲ- _____ თ
III.	_____ -Ø~ს~ა~ო~ ჲ	_____ -ნენ~ენ~ეს~ან~ეს~ეჲ

## ობიექტური პირის ნიშნები ქართლურ დიალექტში

პირველი ობიექტური პირის ნიშანი არის მ-პრეფიქსი, რომლის ხმარების წესები ქართლურ დიალექტში ისეთივეა, როგორც სალიტერატურო ქართულში.

მეორე ობიექტური პირის ნიშანი, როგორც ცნობილია გ-პრეფიქსია, რომელიც ყრუ თანხმოვნების მეზობლობაში ხშირად განიცდის ასიმილაციას და ყრუვდება.

გ- პრეფიქსი ფშვინვიერი თანხმოვნის წინ ხდება ქ: ქქონია←გქონია, მოქქონდა←მოგქონდა, ქშორდები←გშორდები, დაქჩა←დაგჩა, დაქხოცამთ ←დაგხოცამთ, ქთხომს←გთხომს, ქსურს←გსურს, მოქცემ←მოგცემ, ქცოდნია←გცოდნია (გრ. იმნაიშვილი, 1974: 179).

მაგალითები: ამდენ ხანს იქიდან, სადაც ფული მოქცა, ვერ მოიღოდაო? (ი. გიგინეიშვილი, ვ.თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 279);

შენმა ცოლმა ძალიან მაგრა ქცემოსო (იქვე: 307);

რა ქენიო, ხო არ შექცივდაო (იქვე: 308)

გ- პრეფიქსი მკვეთრი თანხმოვნების წინ კ ბგერაში გადადის: მოკკლამს, წამოკკიდებს, შენ კკითხულობს, მოკყიდო, კყამდესო, მიკყევარ, კწყალობს, კჭირდება, მოკპარეს და სხვა.

მაგალითები: თუ ხმალი მოგასწრო, მოკკლამს, ვერ მოურჩები (იქვე: 310)

საყურადღებოა, რომ მკვეთრი თანხმოვნების წინ ქ-ც გვხვდება: ჩაქკლამო, გაქჭირებია, უნდა შექჭამო, დაქტოვო.

მაგ: მე თქვენ მშიერს არ დაქტოვეფთო (იქვე: 313)

მესამე ობიექტური პირის ნიშნები ძირითადად ჰ- და ს- პრეფიქსებით გამოიხატება როგორც ირიბის, ასევე პირდაპირის. აღნიშნული პრეფიქსები გარკვეულ ბგერებთან მეზობლობაში სხვადასხვა ვარიანტებს წარმოგვიდგენენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მესამე ობიექტური პირის პრეფიქსი დასავლურ ქართლურში ჩვეულებრივ იკარგება. სხვაგან კი ხშირად გვხვდება, ისინი თავისუფლად მონაცვლეობენ. ამასთანავე საინტერესოა ისიც, რომ ჩრდილოურ, სამხრეთულ და ცენტრალურ ქართლურში მათი ხმარება ძირითადად

განსაზღვრულია. განსაკუთრებით ეს ითქმის ირიბ ობიექტზე, თუ ფონეტიკური მიზეზით არ დაიკარგა აღნიშნული პრეფიქსები, მაშინ, ჩვეულებრივ, გვექნება.

ჰ პრეფიქსიანი ფორმები: მაგ: გა-ჰ-ყვა; წა-ჰ-ყვა; მო-ჰ-ყვებიან სიმღერას. ამ კაცსა ჰ-ყოლია ერთი ცხენი, გა-ჰ-ყიდა; ჰ-ყამდაო; მო-ჰ-კვდომია; ა-ჰ-კიდა; ყური მო-ჰ-კრა; ხმალი შემო-ჰ-კრა; ამბავი ჰ-კითხა; ზარი ჰ-კიდა; მეჯოგეს და-ჰ-კივლა; მო-ჰ-პარეს; თოფი ჰ-ქონდა; ბატონს გამო-ჰ-ქცევია.

ჰ- მკვეთრი თანხმოვნების წინ ხშირად ხ-ს გვაძლევს. მაგ: მო-ხ-ყვა; მი-ხ-ყიდა; მა-ხ-ყიდა; ხ-კრა და სხვა.

ს- პრეფიქსიანი ფორმები, მაგ: წელი ს-წყდებაო; ძალა შე-ს-წევდათ; მო-ს-წონებია; ჯვარი და-ს-წერა; ძმეფს მო-ს-წერა; ფეხები ს-ტკიოდა; ფული მი-ს-ცა; ფიცი მი-ს-ცეს ერთმანეთს; ს-ძინამს; შე-ს-ძახა; წა-ს-ჩურჩულა.

ს- პრეფიქსი შიშინა აფრიკატების წინ შ-დ იქცევა. მაგ: შ-ჭამა; მო-შ-ჭრა; გა-შ-ჭირებიათ; გა-შ-ჩენია და სხვა.

ს- პრეფიქსი მჟღერი თანხმოვნების წინ ზ-დ იქცევა. მაგ: ზ-დიეო; მი-ზ-დევდა; მი-ზ-დიოდა; მო-ზ-დევენ; ა-ზ-დიოდა; ზ-დის; მო-ზ-დო; ზ-ძინავს; მი-ზ-ძახა; ჩა-ზ-ძახა; შე-ზ-ძახა; ზ-გერებიყო; ზ-ძოვს; ზ-ძინამთ; და-ზ-ჯერდა (იქვე: 179).

დაადლო ცული და მოშჭრა (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 281);

ტყე გამოშჭრან, გათალონ და დაადგან ხარსა (იქვე: 282);

ნადირობა ადვილია, როდესაც სიმინდს შჭამს ის (იქვე: 311);

უკან მიხდევდა ძმას მოპარებით (იქვე: 281);

ორი უკან ხმაურით მიხდევს (იქვე: 308);

მთელი დღე ხძოვს (იქვე: 311);

ვისაც შნო აქვს სროლისა, ესერის თოფს და მოჭკლამს ( იქვე: 311)

წილი ჰყარეს და პატარას შეხვდა (იქვე: 313);

მოურავი დაჰპატიჟეს მეზობლებმა (იქვე: 329);

ამ ხელმწიფეს ხყოლებია სამი ვაჟიშვილი (იქვე: 314);

შვიდი ღამე და შვიდი დღე ქორწილი ხქონიათ ხენწიფის შვილევს (იქვე: 314);

ს→ჟ -ად ქცევის შემთხვევები ძველი წერილობითი ძეგლების მიხედვით არ გვხვდება XIII–XVIII საუკუნეების ძეგლებშიც, მაგრამ ჯერ კიდევ ძვ. ქართულშია დადასტურებული მრჩობლი პრეფიქსი ჰს რაც ჟ-სკენ გარდამავალ საფეხურზე უნდა მიუთითებდეს (ა.შანიძე, 1981, 221)

ა. შანიძის მიხედვით, მრჩობლი პრეფიქსი არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ზმნაში პრეფიქსი ფუძეს არის შეხორცებული და საჭირო ხდება მეორე პრეფიქსის გაჩენა (ა. შანიძე, 1981: 195).

ჰს კომპლექსი პრეფიქსად გვხვდება წინაენისმიერებისა და აფრიკატების წინ XIX ს-ში. მაგ: წუნსა ჰსდებს, წარმოჰსტყვა, ოცი თუმანი დაჰსტყუა, არსადა ჰსჩანდა, იმედით შეჰსცქეროდა მომავალს, გაჰსძახა ცოლსა, აქლემს შეჰსტყამენ, შეჰსტყიდებია, ისევ ისე ჰსჯობნიან, . . . (გრ. იმნაიშვილი, 1974, 28)

ამ პრეფიქსთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა აზრი: ზოგი ფიქრობს, რომ ეს არის ანტონ კათალიკოსის სკოლის გავლენა, მაგრამ გრ. იმნაიშვილს მიაჩნია, რომ ეს მოდის ქართლ-კახეთის ცოცხალი მეტყველებიდან, რასაც ილიასა და სხვების ნაწერებშიც ვხვდებით. წინაენისმიერებისა და აფრიკატების წინ ხშირად გვევლინება **ჟ**, **ჟჰ** და **ჟს**, რომლებიც აკუსტიკურად ახლოს დგანან **ჰ** და **ჰს** პრეფიქსებთან. ფონეტიკურად **ჰ** და **ჰს** პრეფიქსები უდრის იმავეს, რასაც **ჟ**, **ჟჰ** და **ჟს** ცოცხალ მეტყველებაში. ასე გამოხატეს ორთოგრაფიულად ილიამ და სხვა მწერლებმა, რადგანაც **ჟ** ხმარებიდან ამოღებული იყო. ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ ცოცხალ მეტყველებაში არსებული პრეფიქსი **ჟ** არ უდრის ძველ ქართულსა და კილოებში ბრუნვის ნიშნად ხმარებულ **ჟ-ს**. ჰს პრეფიქსი, წერს ავტორი, მიჩნეულია ჰ-ს განვითარების შემდგომ საფეხურად (იქვე: 29).

ა. შანიძის აზრით, ჰს პრეფიქსი, რომელიც ხშირია IX-XI სს-ის ძეგლებში გარდამავალ საფეხურზე, დედის ბგერების წინ მიღებულია შემდგენაირად: ჰაეს მთლიანად არ უნდა ჰქონოდა დაკარგული თავისი ბგერითი სახე, მაგრამ იმდენად უნდა ყოფილიყო დაახლოებული გამოთქმის მხრივ სანთან, რომ ამ ახალი ბგერის გამოსახატავად ერთი საგანგებო ნიშნის მაგივრად ორი უხმარიათ (ჰს) (ა. შანიძე, 1922-1923, 420)

ვ. თოფურია წერს: „ქართლურში პრეფიქსად გამოყენებულია ჩვეულებრივის გარდა **ჟს**, **ჟჰ**, **ჟ**, **ჰს** და **ჰ** დედის ბგერების წინ. ეს მოვლენა ბევრს რასმე ლაპარაკობს საერთოდ VIII-IX სს-ის ძეგლებში ხმარებული პრეფიქსების რეალობის შესახებ და ჰაემეტი ენის ტერიტორიის გამონახვაზე თუ არა, პრეფიქსების ევოლუციაზე მაინც.

როგორც ჩანს, ჰს კომპლექსის პრეფიქსად გამოყენება არ ყოფილა ორთოგრაფიული ჩუქურთმა, როგორც ეს ანტონ I კათალიკოსის გრამატიკაში გახლავთ, არამედ მისი გამოთქმა რეალური უნდა ყოფილიყო ენაში“ (ვ. თოფურია, 1925: 148).

ამგვარად, ასკენის გრ. იმნაიშვილი, რომ ილიასთან და სხვა ზოგიერთ მწერალთან ჰს კომპლექსი უნდა წარმოადგენდეს ცოცხალი ხალხური მეტყველების გავლენის შედეგს და უნდა მიუთითებდეს ს-ჟ-ად ქცევის გარდამავალ საფეხურზე.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ვ. თოფურიას აზრი. ზოგჯერ ჟ სანთან ასევე ჰაესთან ერთად ჟს (ჟჰ) კომპლექსს შეადგენს. სწორედ ეს ჟს დიფთონგი უნდა იყოს გარდამავალი საფეხური. შემდეგ, როგორც ჩანს, ჟს და ჟჰ კომპლექსები მარტივდება და რჩება ჟ (ვ.თოფურია, იქვე: 130).

ჰ→ჟ დაჟკითხა; გამოჟ ქცევია; იქა- ჟქონდა; ასე ჟგონონ; შაჟხედეს; შაჟხვდა...

ს→ჟ დაჟძალოს; დაჟთანხმდა; თან მიჟღევენ; ხელი გადაჟლო; გაჟჩენიყო; დაჟცინოდა; არა-ჟჭირდება; მოტეხა; მოჟტეხა მას ფეხი . . .

ჰ→ჟჰ აჟჰყვა; გაჟჰყვა; გამოჟჰპარვიყოთ; დაჟჰკრა; გაჟჰქონდესო; მერე- ჟჰკითხა; აჟჰკიდა; მოჟჰტყდა; გამოჟჰწერამენ . . .

ს→ ჟს არა-ჟსცემაო; დაჟსწვდა; წაჟსწვიტა, აჟსწვი-დაჟსწვიეს; შამოჟსწოლიყო (გრ. იმნაიშვილი, 1974: 217)

მაგალითები: ახალთესლსა გურგლივ შაჟსდევს მარცოლი და ფხიანია (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 272);

კოლმოკლე- ჟქვიან, რაც რო სიგძივ გაჟსდევს, ბექითავაჟ ვეტყვით (იქვე: 272);

რასაც გუთანი ვერ მაჟხნამს, დაჟრჩება ნახნავშია, ხავრეზ ვეძახით (იქვე: 272);

მეტი ძალა მიჟსცეს (იქვე, 272);

გუთანსა საცა ხმალი აქვ, იქ ქუსლი ჟქვიან, (იქვე, 273);

ზოგი ჟმესვეუროფს, სვრე წორეთ მოაქვ (იქვე, 273);

ნამი არ გაჟვარდეს (იქვე, 275);

შამადგომისა ჟჯობია (იქვე, 276);

საცა მარცოლ ჩაჟყრიან, ხვიმისი ჟქვიან (იქვე, 275);  
ქვეით ცხრილ გაჟცვივა (იქვე, 277);  
აღარ მოჟდეგს ბალახი (იქვე, 277);  
დედამიწას ორთქლი აჟდის (იქვე, 277);  
მეტი გზა აღარა- ჟქონდა (იქვე, 279);  
კი არ მოჟჰტყდა, მაგრამ მოჟჰტყდებოდა (იქვე, 283);  
რასაც გამოჟჰწერამენ, გამოჟჰწერამენ (იქვე, 283);  
მზიას პირს დაჟბანს დედა (იქვე, 282);  
წუხელის რო მარსკვლავი მოჟსწყდა, შენ ლენტსა- ჟგავდა (იქვე, 284);  
მოვწამლით, თუ დაჟჭირდება, მეოთხეთა (იქვე, 288);

მოცემული მაგალითებიდან ნათელია, რომ აღნიშნული პრეფიქსები თავისი ვარიანტებით გვხვდება როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნად.

ახლა კი მოვიყვანოთ ისეთ მაგალითებს, სადაც ჰ- და ს- პრეფიქსები თავისი ვარიანტებით გამოხატავენ მხოლოდ პირდაპირ ობიექტურ პირს:

მემნეური ჟკრეფამს და ულოთი ჟკრამს, მერმე გადააგდებენ და დაჟდებენ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 274);

მატყლის გაჟრეცხამ, გაჟწეწამ, დაფთილაფდება, დაჟხეხამ, დაჟჩეჩამ სახეჩელზე (იქვე: 276);

სუ თითონ დაჟსთხონის, დაჟსთესამს, დაჟჰბარამს, მორწყამს (იქვე: 283);

სამ სტრიქონსა ჟსტოვებს (იქვე: 283);

მინდორში ზოგი ჟცელამს, ზოგი ჰფოცხამს (იქვე: 283);

წყალსა ჟზიდამს, ზოგი სიმინდსა- ჟრწყამს, ზოგი ჰარხალსა- ჟრწყამს (იქვე: 283);

სუ სხვილი კარტოფილია, დაჟჭრიან, ჩაჟყრიან ორმოში (იქვე: 284);

რო ამოვა, მერე გაჟთოხნიან (იქვე: 284);

მეფემ გაჟსცა მეორე დღეს ბრძანება (იქვე: 290);

შენი პალტო გაგჰყიდო ათას სულ საქონელშიო (იქვე: 307);

ერთი ძროხა გვირჩევენიანო, მოგსწველით დილას, მოგსწველით საღამოს (იქვე: 307);

ვისაც შნო აქვს სროლისა, ესერის თოფს და მოჰკლამს (იქვე: 311);

ნადირობა ადვილია, როდესაც სიმინდს შჰამს ის (იქვე: 311);

წილი ჰყარეს და პატარას შეხვდა (იქვე: 313);

ბაგეფში ჰკრეფამს ხურმას (იქვე: 313);



ერთი კაცი უთესამს პურსა (იქვე: 315);  
მოურავი დაჰპატიუეს მეზობლებმა (იქვე: 329);  
ერთი მაგრა-ჯსცემა (იქვე: 315)

მოჰკლამდა; შვიდს შაჰკრამს შენისთანასა; გამოსჩეკამს წიწილასა, პურს შჰამდა შენისთანასა; გადაზდგამს ხუთ ნაბიჯს; მახლობელი დაღევდა ღვინოსა და გადატეხამდა ჯამსა; რასა-ჯნახამს თვალი; მამლეფსა ზოგს გახყიდიან; მოჰკლამდა ბატონი; დაჰკლამდნენ ცხვარსა; დაჯსწყევლა; მერე ქეიფობას გაჯსწყევნ; მოჰკლა; უნდა დასწეროს წერილი; დედაჩემიც დაჰჭრა; ორმო ამოჰჭრა; გახყიდა და სხვა. (გრ.იმნაიშვილი, 1974: 218).

მოცემულ მაგალითებში პირდაპირ ობიექტს მესამე პირში სათანადო ნიშანი აქვს ზმნის ფორმაში. გრ. იმნაიშვილის აზრით, აღნიშნულ დიალექტში პირდაპირი ობიექტის მესამე პირის ნიშნის გამოვლენა ირიბ-დამატებიანი ზმნების ანალოგიით აიხსნება.

ჩვენი აზრით, რადგან ამგვარი შემთხვევები ძალიან ხშირია ქართლურ დიალექტში, გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე არ გვაქვს ანალოგიასთან, არამედ მოცემული პრეფიქსები, ჩვეულებრივ, პირდაპირი ობიექტის პირის ნიშნად გვევლინება.

ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც პირდაპირ ობიექტს მესამე პირში ნიშანი არ გააჩნია: მოკლეს, მოხარშა, აჭამა, დახოცა, გაშალეს სუფრა, დალიეს . . .

ასევე ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ირიბ ობიექტს მესამე პირის ნიშანი უნდა ჰქონდეს, მაგრამ არა აქვს.

მაგალითები: გრძელი ცხვირი ქონდა ესრე (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 280);

ოთხი ჭრაქი ქონდათ (იქვე: 280);  
დანიშნული ალაგი ქონდა იმასა(იქვე: 305);  
ადგება ეს კაცი, მიცემს ორ ტოტს (იქვე: 305);  
კაცს მიცა ხელში ჩამადანი და წამოვიდნ ცოლი და ქმარი (იქვე: 306);  
ათას თუმან ფულს მიცემს (იქვე: 306);  
ცხვარი მიცა და ძროხა მიცა (იქვე: 306);  
კითხა: – რას დაეძეფო? (იქვე: 307);

ერთი კაცი იყო და ოცი მოჯამაგირე ყანდა (იქვე: 308);

ჰ, ს პრეფიქსებს და მათ ვარიანტებს ზოგჯერ ვხვდებით ერთპირიან ზმნებშიც.

მაგალითები: ორი ძმანი ხცხოვრობდნენ (იქვე: 310);

სწორედ მაშინ მოხკვდაო (იქვე: 312);

ხალხი გახჰკვირდა (იქვე: 280).

იქა ჰყრია ახლაც (იქვე: 312);

გაიღვიძა ხელმწიფემ და ძალიან შეხსწუხდა (იქვე: 290);

რასაც გუთანი ვერ მახხნამს, დახრჩება ნახნავშია, ხავრეზ ვეძახით (იქვე: 272);

ხელმწიფე საცა სცხოვრობს, იქ წყაროა (იქვე: 319);

პირველი ობიექტური პირის მრავლობითის ნიშანია გვ- პრეფიქსი ისევე, როგორც ეს არის სალიტერატურო ქართულში. მხოლოდ ვხვდებით მის სახეცვლილებასაც, რომელიც ძირითადად ეხება გ ელემენტს, ხოლო ვ თანხმოვანი უმეტესად არ იცვლება.

თუ გვ- პრეფიქსს მოსდევს ყრუ თანხმოვანი გ ელემენტი ისევე მოიქცევა, როგორც გ- პრეფიქსი, ანუ გ- იქცევა ქ- დ.

მაგალითები: ჩვენ სარჯელათ მოქცვა და გაგვაყოლა ზითევში (იქვე: 299);

მიქქონდა, მოქცვა, ქჩება, ქჭირდება, ქწამლობდნენ, დაქხოცამენო, აქხადეს, დაქსხეს, მოქშივდა, ხოლო ყ თანხმოვნის წინ გვ- პრეფიქსის გ ელემენტი კ-დ იქცევა: კყავ, კყონდა, კყოფნიდა (გრ. იმნაიშვილი, 1974: 179)

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გვ- პრეფიქსის გ ელემენტიც იცვლება და გ-ც , კერძოდ, ვ იქცევა წყვილბაგისმიერ უმარცვლო უ-დ და თანაც განიცდის მეტათეზისს;

ჩვენ ცხვარი აქა კუავ (იქვე : 311)

ჩვენ არა ქუნდა მამული ( იქვე: 312)

რაც შეეხება II და III ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებს, ისინი ისევეა წარმოდგენილი -თ სუფიქსით, როგორც სალიტერატურო ენაში.

ობიექტური პირის ნიშანთა ცხრილი

მსოფლობითი

მრავლობითი

I. მ- -----

გვ~ქვ~კვ- -----

II. გ~ქ~კ- -----

გ~ქ~კ- -----თ~Ø

III. კ~ს~შ~ზ~ჯ~ღ- -----

კ~ს~შ~ზ~ჯ ~ Ø-ჯკ~ჯს- -----თ~Ø

ამრიგად, ქართლურ დიალექტში სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები ძირითადად ისეთივეა, როგორც სალიტერატურო ქართულში, მაგრამ მათი გამოყენება აქ უფრო თავისუფალია და წარმოდგენილია თავისი შესაძლო ვარიანტებით. ჩვენს ყურადღებას იპყრობს მესამე ობიექტის პირის ნიშნები, რომელთა შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ.

## ჯავახური დიალექტი

ჯავახეთი ზემო ქართლში მდებარეობს და სამხრეთ საქართველოს ნაწილს წარმოადგენს. ისტორიულად ჯავახური კილო ქართული ენის მთავარ კილოს, ქართლურს, განეკუთვნებოდა და მისთვის დამახასიათებელ ძირითად თავისებურებებს მოიცავს.

### სუბიექტური პირის ნიშნები

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ჩვეულებრივ არის ვ- პრეფიქსი. იგი იკარგვის უ, ვ, ო, ბგერების წინ.

მაგალითები:

სამხრობი შემდეგ ხარ გაუჯავრდებით თახ სბოჯორიდრომდი და სბოჯორიდროს კიდევ დავასვენამ, მემრე გაუჯავრდებით და თახ მზი ჩასვლამდი (ი. გიგინეიშვილი, ვ.თოფურია, ი. ქავთარაძე. 1961, 333);

მეგორე დღეს ავღებობი და კვლაინდებურათ დაუბრუნდებით სამუშაოს (იქვე, 333);

სამხრათ დავასვენამთ, ხარ უღლიდამ გამოუშვამთ (იქვე, 333)

თუ ემ ჯამ გადაურჩი და არ მოგკვდიო, ოთხი ძმანი ვართო (იქვე, 3336);

მაშინათ თქვეს, რომ: „უშველოთ ჩვენ თავს“ (იქვე, 3339);

გაიგებს, გაგვწყვიტევს ორივეს, ახლა როგორ უშველოთ ამ ბავშვს? (იქვე, 340);

ჩაკეტულ კარებიდან ჩონც დაუწყეთ სრული (იქვე, 354).

მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ძირითადად არის კ- პრეფიქსი, მაგრამ გვხვდება ს-ც.

მაგალითები:

მერე ეუბნევა: ერთად შეჭბერდით, გაბედნიერდითო (იქვე, 334);

შენ რას გაჭყიდამ? (იქვე, 341);

მაშინ ტარიელმა უთხრა: – ოღონდა ნუ მოჭკლავთ და თქვენი იყვესო (იქვე, 344);

აჰა, შეილო, ეს ჩემი ყავალიც და ხვალვე გაჭყე ცხვარსო (იქვე, 350);

ფული მივეცი და უთხარ: – გაჭალოთ ეს ფული, ოღონდ გაუშვით-მეთქი (იქვე, 355);

დახტოვე, დახტყივლე, დახთანხმდი, მოხთხოვე (გრ. ბერიძე, 1988: 108).

მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ხ- პრეფიქსი ხარ, ვედ//ვიდ ზმნების გარდა, წარმოდგენილია „ვარდნა“ ზმნაში: არ ჩახვარდე ბიჭო; გადახვარდები, გენაცვალე; ცეცხლში ჩახვარდები შენ; გადმოხვარდები, მაგრა დადექ (იქვე, 109).

II ბრძანებითის ფორმები ზოგჯერ პირის ნიშნანია: დასწერე!; მოჰკალ!; დაჰკალ! გასჭერი!... (იქვე, 111) ძირითადად კი წესი დაცულია.

ასევე ვხვდებით ნულოვან ალომორფს მეორე სუბიექტური პირის ნიშნად.

მაგალითები:

ერთად შეჰბერდით, გაბედნიერდით, (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961, 334);

უთხრეს: ამას გაახმობთ, მემრე ცომში აურევეთ, პურ გამოაცხობთ და შეშჰამთო (იქვე, 338);

როგორ შეჭამ შენ (იქვე, 341);

ჯაზ ბებემ უთხრა: რად ტირი, მალე მოვა შენი ძმაო (იქვე, 346);

აჰა, მოდი, კიდე ისე მოიქეცი, სამი ვაშლი შეჭამე, სამი ჭაჭვი წყალი დალიე (იქვე, 347);

არის შემთხვევები, როდესაც მეორე სუბიექტური პირის ნიშნად

შ- პრეფიქსი გვხვდება:

პურ გამოაცხობთ და შეშჰამთო (იქვე, 338);

დევთაგანმა უთხრა ხეთაგანს: – ხელი არ მიჰყო და მოშჰარი ხმლით და წამოიდე (იქვე, 342);

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს სუფიქსი -ჰ-დ იქცევა: გააკეთოჰ, მიდიჰ, მიჰყიდეჰ.

ხშირია შემთხვევები, როდესაც -ს სუფიქსი მთლიანად იკარგება.

ერთი ნაბოლარი შვილი მყამ აქ, სოფელში, ერთი შუღლიც ასპინძაში მყამ (იქვე, 355);

მე რით გაეზარდამ ამას, რძე არა მაქ (იქვე, 340);

ამ სახლ ორყანადონი კარი აქ (იქვე, 347).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის -ეს სუფიქსის შესახებ, რომელიც ზოგჯერ -ეჰ-თი იცვლება.

მაგალითები:

თათრებმა კი აჭამეჲ ქერი და ასვეს წყალი (იქვე, 354);

დანიშნეჲ სამ კილომეტრზე ნიშანი (იქვე, 351);

ქალებმა სეირობა დაუწყეჲ (იქვე, 351).

სუბიექტური I და II პირის მრავლობითობას გამოხატავს -თ სუფიქსი.

### სუბიექტური პირის ნიშანთა ცხრილი

მს. რ.	მრ. რ.
I ვ~Ø	ვ~Ø - - - - - -თ
II კ~ს~ხ~Ø ~-შ	კ~ს~ხ~Ø ~-შ - - - - - -თ
III -ს~კ~Ø ~-ა~ო	-ეს~ეკ~ენ~ნენ~ან

### ობიექტური პირის ნიშნები

პირველი ობიექტური პირის ნიშანი მ- პრეფიქსია, რომელიც ზოგჯერ ნ-თი იცვლება: დანტოვე, დანმარხე, ამონძახა (გრ. ბერიძე, 1988: 108).

მეორე ობიექტური პირის ნიშანი გ- პრეფიქსი ყრუ თანხმოვნების გავლენით, ასიმილაციის გამო ქ-დ იქცევა:

შვილობა მოქცეს, შვილო (ი.გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი.ქავთარაძე 1961: 347);

თუ მე მოქკალ, მე დამრხეს ეს ქვეყანაო, თუ შენ მამკალ, შენ დაქრხესო.

(იქვე, 354);

ვინ მოქცა შენ ნება, რომ დაკრიფე? (იქვე, 353);

ერთი ცხენოსანი კაცი ხმლით მისულა: – უნდა მოქკლა, რათ მიიღე თათრობაო

(იქვე, 352); შდრ: თუ არა გჯერამს, ბაწარს გამამბამ წელს (იქვე, 338);

შვილობა რო არ გეთქვა, აქვე დაგბლეჯამდიო (იქვე, 347).

მესამე ობიექტური პირის ნიშანი უმთავრესად არის კ- პრეფიქსი, ვხვდებით ს-საც. კ- პრეფიქსი ასიმილაციის გზით ყრუ თანხმოვნების წინ ხ-დ იქცევა ხოლმე.

ახლა მოხდის მწუხარობა (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 336);

თაღანს დაჭკრამდნენ და მიჭქონდათ (იქვე, 336);  
გზაში არც უკან'ნა მიეხედნათ, არც ვესმე'ნა დაჭლაპარაკობდნენ (იქვე, 337);  
ყველას კრუჩკა დაჭკიდა (იქვე, 338);  
გაახმო ბალახი და მიხცა მეფურნეს (იქვე, 338);  
ძილი არ მიჭკარებია (იქვე, 345).

ჰ → ხ. რამეებს ხყიდდა; ზოგი მოხკლა, წადით ის კაცი მოხკალით; დახკრა  
ყანჩი; როგორ ხკადროს ეს; ქალიშვილი ხყოლია და დახკარგვიათ; რაღაც  
მოხყვა (გრ. ბერიძე, 1988: 110).

ზემოთ მოცემულ მაგალითებში მესამე ობიექტური პირის ნიშანი აქვს როგორც  
ირიბ, ასევე პირდაპირსაც. გრ. ბერიძის აზრი ამ საკითხის შესახებ ისეთივეა,  
როგორც აქვს გრ. იმნაიშვილს ქართლურ კილოსთან დაკავშირებით (გრ.  
იმნაიშვილი, 1974: 218), ანუ მათი აზრით, მესამე პირდაპირ ობიექტური პირის  
ნიშანი ზმნაში ირიბი ობიექტური პირის ანალოგიით ჩნდება (იქვე, 1988: 110).  
ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აქაც იგივეა, რაც ქართლურ დიალექტში, ე.ი. მესამე  
პირდაპირ ობიექტური პირი ზმნაში აჩენს პირის ნიშანს ისევე, როგორც მესამე  
ირიბი ობიექტი.

მაგალითები: დაჭდენდა პირობაჰ; დაჭკრეს ზარები; დაჭკიდეს ბუხარში; მოჭკელეს  
კაცი; დაჭკარგა ცხენი, შეჭყარა დედიბაშები (იქვე, 110);  
როდცა რო ცისკარი ამოვა, მაშინ ხარ დაჭყრიან (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია,  
ი. ქავთარაძე, 1911, 333);  
ამ დროს სოფლის ბიჭები კარებ ჰკეტენ და შიგიდან გასძახიან (იქვე, 334);  
ამ ქათმებს მაყრები იჭერენ და ჰკლებენ (იქვე, 334);  
ტარიელმა და ავთანდილმა გადაჭკოცნეს ერთმანეთი (იქვე, 344);  
მდიდარი კაცი სხვაგან წაიღებდა და შავრათ გაჭყიდდა (იქვე, 345);  
გადახწყვეტდნენ დროს ქალის მოყვანისა (იქვე, 333);  
თუ რძალმა ახწია და ცხენზე აიტანა, ყოჩალი რძალი იქნება (იქვე, 334);  
დაინახა, რო დიდი ცხერის ფარა ხდოეს (იქვე, 349).  
წამოიძრო ხმალი დევთაგანმა, დაჭკრა გველეშაპი (იქვე, 341);  
წავიდა ხეთაგანი და მოჭკრა ქონი ხმლით (იქვე, 342);

არის შემთხვევები, როდესაც მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშანი უნდა იყოს,  
მაგრამ არ არის. მაგალითები:

ციხის გასაღები დედოფალ ქონდა (იქვე, 337);

მაშინ ხარჯი მივცე (იქვე, 338);  
 არ ყამდათ მათ შვილი (იქვე, 338);  
 მას ქონდა კარგი შვილდ-ისარი (იქვე, 339);  
 გმირს ქვია სახელი ხეთაგანი (იქვე, 339);  
 ხენწიფეჲ რო ჭკუა ქონდეს, ვეზირ მიმათხოვს ცოლად (იქვე, 346);  
 უკნიდან თათარი მოყვა (იქვე, 351).

მესამე ობიექტური პირის ნიშანი ზოგჯერ მოუღის ერთპირიან ზმნებსაც: **ღღას**, **გაჭწყდა**, **ცეცხლ გაჭქრა**, რას **გტირივარ**; ავადყოფი **აღღდა**, ძიენ მოგჭკვლი, ქაჯი წამოჭწყდა (გრ. ბერიძე, 1988: 110).

პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გვ-პრეფიქსის გ ელემენტი ყრუ თანხმოვნების წინ ზოგჯერ ქ-დ იქცევა.

უიმე, რო გაგვიგონ, ხო დაქვხოცებენო! (იქვე, 352);  
 ამის გამამსროლელ გმირი რომ მოვიდეს, გაგვწყვეტემს (იქვე, 339);  
 ხეთაგანო, ქვქონდა ქვით, კირით გაშენებული ოთახები (იქვე, 339);  
 მან ბევრი ოქრო მოქვცა (იქვე, 350);  
 რო მოქვშივდება, რა ვქნათო? (იქვე, 351).

მეორე და მესამე ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ზმნური ფორმები ისევეა წარმოებული, როგორც ქართლურ დიალექტში.

### ობიექტური პირის ნიშანთა ცხრილი

მხ. რ.	მრ. რ.
I მ-ნ- -----	გვ-გქ -----
II გ-ქ -----	გ-ქ ----- -თ-Ø
III კ-ს-ს-ს-Ø -ს- -----	კ-ს-ს-ს-Ø -ს- ----- -თ-Ø

ამრიგად, ჯავახური კილო პირის ნიშანთა თვალსაზრისით თითქმის ისეთივე სურათს გვიჩვენებს, როგორც გვქონდა ქართლურში ერთი გამონაკლისის გარდა: ძალიან ხშირად მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს სუფიქსი იქცევა -ჰ-დ. რაც შეეხება მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანს, აქაც იგივე ვითარებაა, რაც ქართლურში.



## კახური დიალექტი

კახური ქართული ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიალექტია. იგი ქართლურთან ერთად საფუძვლად უდევს სალიტერატურო ენას. ამავე დროს კახური ქართლურის შემდეგ ყველაზე მსხვილი დიალექტია. იგი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ტერიტორიაზე. კერძოდ, თბილისის გარეუბნის, საგარეჯოს, კაჭრეთის, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს და ნაწილობრივ თიანეთის რაიონებში.

მიუხედავად ფართო გავრცელებისა, კახური დიალექტი ძირითადად ყველგან ერთნაირია. გარდა სიღნაღისა და ნაწილობრივ დედოფლისწყაროს რაიონის მოსახლეობის მეტყველებისა, რომელიც საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ დამოუკიდებელ დიალექტად არის მიჩნეული ქიზიყურის სახელწოდებით. მეცნიერების აზრით, ქიზიყურ მეტყველებას ახასიათებს კახურისაგან განსხვავებული ზოგი თავისებურება, მაგრამ ეს გარემოება გადამწყვეტი მნიშვნელობის არაა კახურისგან ქიზიყურის გამოსაყოფად, რადგანაც ის არქაიზმები, რომლებიც უფრო ადრე ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული ქიზიყურში, ამჟამად შემონახულია მხოლოდ მის მთიან ადგილებში, სხვაგან კი სალიტერატურო ენის ძლიერი გავლენით თითქმის აღარ გვხვდება (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 15).

ქიზიყურის გარდა, როგორც ცნობილია, კახურ დიალექტში კიდევ ორ ერთეულს გამოყოფენ: გარეკახური და შიგნიკახური.

გარეკახური თბილისის გარეუბნის, საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონების მეტყველებაა. შიგნიკახური – გურჯაანის, თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების.

კახეთთან ბევრი საერთო აქვს ინგილოურსა და ფერეუდნულს, ეს დიალექტები ამჟამად არ არის საქართველოს ტერიტორიაზე. ისტორიულად კი კახურ–ქიზიყურის ადრინდელი სახეა (იქვე, 16).

არცერთი დიალექტი არ არის ისე ახლოს ერთმანეთთან, როგორც კახური ქართლურთან, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კახურს ბევრი აქვს საერთო სხვა დიალექტებთან (იქვე, 16).

### სუბიექტური პირის ნიშნები კახურ დიალექტში

პირველი სუბიექტური პირის ნიშანია ვ- პრეფიქსი, რომელიც მრავალგვარ სახეცვლილებას გვიჩვენებს:

1. ვ- პრეფიქსი არ არის იმ ზმნებში, რომლებიც იწყება უ, ვ, ო, მ ბგერებით. მაგ:

მე ვერ გაუწევ დახმარებას; მე ყველაფერი აუსრულე; მე მას დაუძახე; გარეთ გავარდი და მიწაზე დავარდი; მე ლხრამ, მე მუშაობდი.

მემრე დაუჯდები ამ ჩემ მაცხონე საჩეჩელსა და დავჩეჩავ, მარჯვენა ფეხ შიგ გაუყრი საჩეჩელშია, მარცხენით მოგკეცამ და დავჩეჩავ საჩეჩელ კბილებზედა (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 220).

ჩვენ ნიჟით უქცევდით; მოსავალს ავიღებდით ცალ-ცალკე და მოუხნამდით; რო გამოუშვებდით გუთანს, მერმე დავაძღობდით; შევაბამდით და დაუსხდებოდით ზედ უღელზედა. მე დაუწყებ ლაპარაკსა და ყური დაუგდე. მე და ლაღოც შამოუსხდით (იქვე, 206: 213).

2. ვ- პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი იკარგება მაშინაც, როდესაც ის არის ო და ი ხმოვნებს შორის. მაგ:

მე ავდექ და გამო-დხედე. (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 109)

მე მღ-იქნიე და გადავყარე. (იქვე)

ჩვენ მღ-იტანდით და დავდგამდით. (იქვე)

ჩვენ წამღზარდენით. (იქვე)

ავდექ და გამო-იპარე. (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 221)

მე და ჩემმა მოზიარემ ორ-ორი ზურგი ცილაშპალი მღ-იტანეთ. (იქვე, 213)

შინ არ წამოვსულვართ, იქვე მღ-იცადევით. (იქვე, 213)

ფათერაკი კინაღამ შეგვემთხვა, ურემი თვალი ძლივ ამღ-იდევდით მადლა. (იქვე, 213)

როცა ყველა სამუშაოები მღ-იშორეთ, ყორულები დავაკეთეთ. (იქვე, 214)

3. პირველი სუბიექტური პირის გ- პრეფიქსი იკარგება მაშინაც, თუ მოზმისწინს მოსდევს ე ან ა ხმოვნით დაწყებული ზმნის ფუძე. მაგ.:

მე გამლ-აძრე; კვნაფ რო მოვრჩით, ანაგი ბორანზე წამღვლით, ბორანზე რო მოელი....., (იქვე, 213) და სხვ.

4. საინტერესოა მო- ზმნისწინის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხი. მო- ზმნისწინი კახურში მა- ზმნისწინით იცვლება, მხოლოდ პირველ პირში გვაქვს მო-. მეცნიერთა აზრით, მა- ზმნისწინზე ზეგავლენას ახდენს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი გ- და ზმნისწინის ა ელემენტთან კონტამინაციით ო-ს გვაძლევს. (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 109).

მაგალითები: მენ მოიტან შეშასაო; მე მოიშორე; მე თოფი მოიხმარე და მოვკალი; გავატყავე და ტყავი წამოიდე; მე წავალ და მოიყვან; მე გამოაძრე(იქვე, 1956: 109).

5. არის შემთხვევები, როდესაც მო- ზმნისწინის ნაცვლად მუ- გვაქვს. იკარგება გ- პირის ნიშანი.

მე მუ-არჩენო; მე შამუ-აწყვიტო; მე გამუ-აცხადეო; მე მუეწარი (←მო-გ-ესწარი) (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 109)

6. გ- სუბიექტური პირის პრეფიქსი კახურში ისევე, როგორც ქართლურში ასიმილაციის შედეგად წ-ს გვაძლევს. მაგ:

თოფით წთოფეთ, დაჭკუწოთ და მოწხარშოთ (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 109)

მეორე სუბიექტური პირის ნიშანი კახურში იშვიათად არის ჰ-, ს-. უმეტესად კი მათგან მიღებული ე.

მაგ: ნუ ჰ-ყვირი, ნუ ს-ტირი.

არის შემთხვევები, როდესაც ჰ-სა და ს-ს ნაცვლად გვხვდება ზ- ან შ- (მუდერების ან ყრუების ზეგავლენით).

მაგ: არ აზდგები? პურ შეშკამთო? დაზდიხარ და სხ.  
ე არის იქ, სადაც უნდა ყოფილიყო ჰ- პრეფიქსი.

მაგ: შენ წადბრძანდები, ჩადვარდები; მაძკვდები (შენ), გამძდიდრდები (შენ), არ დაძმარცხდელი (შენ).

დ არის იქ, სადაც უნდა ყოფილიყო ს- პრეფიქსი.

მაგ: მაშინ ადდგები; შორს დადდგებით; ნუ ძტირი და სხ.

ნაგული შეიძლება გადწეწო და მეორეთ დაძჩხო, ან კიე მუთაქაში ჩადყრი

(ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 220)

ტარათ კაკლის ან სხვა მაგარ ხეე გაძთელი (იქვე, 220)

დ გვაქვს მეშველზმნიან ფორმებთან, ჩვეულებრივ, მეორე სუბიექტური პირის ნიშნად. მაგ.:

საიდან მოძდიხარ?

შენ მოძსულხარ და დაძსახლებულხარ აქაო.

ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც ძ-ს ემატება ჰ ან ს და გვაძლევს ძჰ ან ძს. მაგ:

ხელი არ ჩაძყო, თორემ მოძჰკვდებო (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 104).

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი კახურში არის იგივე, რაც სალიტერატურო ენაში, -ს, -ა, -ო, Ø.

აღსანიშნავია, რომ მესამე სუბიექტური პირის სუფიქსი –ს ხშირად იკარგება. კერძოდ, -ავ და –ამ თემისნიშნიანი მოქმედებითი გვარის ზმნების I თურმეობითში, სტატიკური და ინვერსიული ზმნების აწმყოში, ზოგჯერ ერთპირიან ზმნებშიც. მაგ:

აუწყამ, ჩაუდგამ, მოუკლამ...; მყავ, მძინავ..., ხოშატის ძინავ. მუხა დგა, დევ, არი..., მოგვეშველენით, ქლიავი მოგვაქ, (179), ქათმის ხორცი რა სახში კი არა მაქ (183) აქ ვ-ც იკარგება.

კახურში ზმნის ბოლოს ვა კომპლექსის შერწყმის შედეგად, სადაც ა ელემენტი არის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი, ვიღებთ ო-ს.

მაგ.: ჩაიხო, წაუსო, ჩაუსო და სხ.

„შემიძლია“ ტიპის ზმნებში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გვაქვს –ან დაბოლოება: შემიძლიან, მქვიან, მწყურიან, მრცხვენიან, მგონიან, მიხარიან, მწადიან, მცალიან და სხ. აღნიშნული ფორმები უხვად გვხვდება მე-19 საუკუნის მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაწერებში. მაგ.: ქვეყნისა არა გრცხვენიან? რას მიქვდან ტკბილი სიტყვა (ილია) მე რა უარი შემიძლიან (რაფ. ერისთავი) (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1974: 50)

ხშირ შემთხვევაში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ს→დ. მაგ.:

გენაცვალოდ მამა (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 220)

წინდა გაიშლება, თეთრი რო გამოვიდოდ (იქვე, 220)

შენც შეგერთოდ იგეთი ქალი, რო არც ქალის ყოფილიყოდ და არც კაცისო (იქვე, 194)

ძირზე კვირიტავი გაკეთებული, რო კარაქს იზრიალოდ (220)

ნეტა მიწა გაირღვედ და შიგ ჩავარდოდ (იქვე, 192)

ჩვენმა კაცმა რო თავი ვენაკი ღვინო არ დალიოდ, ეგრე დგონია, რომა იმ ქვეყანად ჯოჯოხეთში მოვხვდებოდ (იქვე, 215)

დრო რო მოა, მაშინ უნდა დაიმყნოდ (იქვე, 215)

ძირკვი უნდა შეეჭრაოდ (იქვე, 216)

რო მართული შეებაოდ (იქვე, 216)

წვერი უნდა წვემტვრაოდ, რო უფრო დასქელდოდ რქა (იქვე, 216)

ჩემი ამბავი იქნება ზღაპარი გეგონოდ და გეგეცინოდ (221)

ასევე ხშირად იცვლება დ-ით მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის -ეს სუფიქსის ს ელემენტიც. მაგ.:

შვიდასი კაცი მოვიდა მტერი და იმ ქალი წადყვანოდ (იქვე, 180)

ღუარსაბთანად დამაყენოდ მოჯამაგირეთ (იქვე, 221)

ძმებმა დაინახეს ცეცხლი თავიანთ ეზოში, თქვედ (იქვე: 180)

წინ გადაუდგნენ ძმები, დაიდროდ ხმლები და დაიწყოდ ომი (იქვე: 180)

რომ იაროდ კარგა მანძილი, დასვენება მოინდომოდ (იქვე: 181)

წამაიდოდ ასი თუმანი სახში (იქვე: 182)

მოიპატიჯოდ სახში ხემწიფე და კაი პატივი ცეს (იქვე: 190)

მიდიან, გაუაროდ იმ კავკასიის მთებს ძირობაზედ (იქვე: 191)

მოიტანეს ქვა, მოკრიფოდ ხარ-კამეჩი, დაურჭვედ პალოები, დააბოდ კაჭვებით (იქვე: 191)

დააჭიროდ ხოშატი თათრებმა (იქვე: 192)

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად გარდაუვალ ზმნებს წყვეტილში და ყველა ზმნას ნამყო უწყვეტელში აქვს -ნენ დაბოლოება. სწორედ კახურისა და ქართლურის ზეგავლენით არის -ნენ სუფიქსი დამკვიდრებული სალიტერატურო ენაში

მაგ: მეემზადნენ, იქცნენ, ხოცდნენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ მწკრივებში შეიძლება შეგვხვდეს ძალიან იშვიათად -ენ სუფიქსიც.

რაც შეეხება I და II სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებს, იგი, ჩვეულებრივ, -თ სუფიქსით იწარმოება.

### სუბიექტური პირის ნიშანთა ცხრილი კახურ დიალექტში

მხ. რ.	მრ. რ.
I ვ~ფ~Ø - _____	ვ~ფ~Ø - ----- -თ
II კ~ს~ღ~ღჳ~ღს~ზ~შ~ხ~Ø - _____	კ~ს~ღ~ღჳ~ღს~ზ~შ~Ø ~ხ- ----- -თ
III ----- -Ø ~ს ~ღ ~ო ~ა ~ან.	----- -ეს~ედ~ენ~ენ~ან

### ობიექტური პირის ნიშნები კახურ დიალექტში

პირველი ობიექტური პირის ნიშანი როგორც პირდაპირის, ასევე ირიბის არის მ-პრეფიქსი. მასთან დაკავშირებით რაიმე თავისებურება არ შეიმჩნევა. ასევე ორივე სახის ობიექტისათვის მეორე პირის ნიშანი არის გ-პრეფიქსი, რომლის ფონეტიკურ ვარიანტებსაც ვხვდებით. ასე მაგ.:

1. მეორე ობიექტური პირის პრეფიქსი გ- მომდევნო ყრუ ფშვინვიერ თანხმოვნებთან უმეტეს შემთხვევაში ქ-დ იქცევა, მკვეთრებთან კი კ-დ ან იშვიათად ქ-დ.

მაგ.: ქთხოვს, ქსურს, მოქსელიათ, მოქშივა, ქშორდება, დაქჩება, მოქცემ, შაქხედება, ქხურამ, მოქხედამენ; კტაცონ, კყავთ, მოკყამთ, მოკყყინდა, შაკკამს, დაკჭრით. გვაქვს ასეთი ფორმებიც: ქყოლია, ქწადიან, მოქჭრი და ა.შ.

- ვისი ხარ, ველარა ქცნოფ? (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 179)

ეგ კვერცხი მამყიდუ და ას თუმან მოქცემო (იქვე, 179)

ცხვარი რო გყავო, მწყემსი არა კპარამსო? (იქვე, 222)

2. ვხვდებით დისტანციური ასიმილაციის შემთხვევებსაც, როდესაც გ-ს უშუალოდ სონორი თანხმოვანი მოსდევს, მაგრამ შემდეგ ყრუ თანხმოვანია.

მაგ.: დაქჩნა, შაქრთო, ქრცხვენთან და სხ.

3. ქ კ თანხმოვნებთან გ-ს სრული ასიმილაციის შემდეგ ზოგჯერ წარმოიქმნება ორი იდენტური თანხმოვანი, რომელთაგან ერთ-ერთი დაიკარგება და დარჩება ერთი.

მაგ.: შენ ქონდეს (გ→ქ+ქონდეს→ქონდეს) ფული.

მოკლამ (მო-გ→კ-კლამ→მოკლამ), თუ არ იტყვი.

მესამე ირიბი ობიექტური პირი ზმნაში უმეტესად დ-ით არის წარმოდგენილი ისე, როგორც ეს იყო მეორე სუბიექტური პირის ზმნაში აღნიშვნის შემთხვევაში. გვხვდება კ- და ს-ც, ასევე მათი ფონეტიკური ვარიანტებიც, მაგრამ უფრო ხშირად დ.

მაგ.: მოვიდოდა და თავი ადგილზე აღარა – დხვდებოდა (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 224)

ნაკლები კოპი შჭირდება (იქვე, 189)

ხოშატი შინ დადხვდა (იქვე, 190)

ის ბიჭი არ მიდდევდათ (იქვე, 196)

ბადში ზოგს ნეკერი გამოდის, ზოგს ფოთოლ გადის (179)

იმხელა გოგო-დყავ (179)

შვილნი ძმანი იყვნენ ჯოხარნი და მოხუცი დედა-დყვანდათ (180)

ამ სუფრაზე, რაც თვალ უნახნია და გულ მოდომნია, ყველაფერი იყო (იქვე 182)

კ→დ

მაგალითები: ფრინველის ბუმბული გადვარდა; დედინაცვალს ის ქალი თან წაყვებოდა; მოდშივდათ პური; ყვავის ბახალასა-დგვანდა; დედოფალსა-დგონია;

ხელები დადხეთქოდა; მოდხვია ხელი; ადკიდა სახედარს; გამოდკრა; შამდკრავდნენ ზარს, ადგლიჯეს სახურავი (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 105)

**ს→დ**

მაგალითები: აღარ მიდდევს; იმად ჩამოდდის სისხლი; ფული გამოდთხოვა მამას; მძინარეს დადთხარეს თვალები; თუ დადტყუებდა; მეორედ კლავი მოდტყდა; მიდცა ოჯახი შვილს; დადცეს ბატონს; ცრემლები წამოდდცივდა ბიჭსა; ფეკი ჩადცეს; ბიჭი გადჩენია ქალს; კუდი მოდძვრა; მოდწყურდა წყალი. (იქვე, 105)

**ს→ზ ან ს→შ**

მაგალითები: სული მიზდის; ბავშვებ სულმა ზძლია; თავი მოშვრა; გაჭირვებულს დაშჭირდება. (იქვე, 105)

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ს-ს ნაცვლად ჰ- იხმარება.

მაგალითები: ჰდგომია; ამხანაგი შინ დაჰთხოვნოდა; ჰტაცა ხელი; ძუძუ უნდა ჩაჰჩარო პირში; მიჰტაცეს ფული; არავინ დაჰძრახავდა. (იქვე, 105)

დ-ს გვერდით ორმაგი პრეფიქსების შემთხვევებიც ხშირია დჰ- და დს-.

მაგალითები: არ შედჰთანხმდა; ადჰტკივდა მუცელი; მოსულან ბერიკაცები, მადსწონებიად...; ყმები დჰყოლია; ეს ადგილი დჰქონია დაჩემებული იმ კნიაზსა (იქვე, 106)

ასევე ვხვდებით ჰს- პრეფიქსსაც.

მაგალითები: სხვათა შორის ჰსტქვა; აღარ გადაჰსტქვა; თაფლს ჰსთხოვს; ოცი თუმანი დაჰსტყუა; ხუთი მანეთი მიჰსცა; იმან ხმა არ გაჰსცა; ენაც ვერ შეჰსძლებს (იქვე, 107)

საყურადღებოა, რომ კახურში მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი ისევეა წარმოდგენილი ზმნის ფორმებში, როგორც ეს იყო აღნიშნული ზემოთ მესამე ირიბი ობიექტური პირის პრეფიქსთან დაკავშირებით თავისი ვარიანტებით.

მეცნიერთა აზრით, ეს ირიბი ობიექტის მქონე ზმნათა ანალოგიის შედეგია და უმეტესად აწმყოს ფორმებში გვხვდება, ანუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტი აჩენს ზმნის ფორმაში პირის ნიშანს. მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან საკმაოდ ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც მესამე პირის



პირდაპირ ობიექტს ნიშანი აქვს მეორე სერიის ზმნის ფორმებში, როდესაც პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაშია.

### პირდაპირობიექტიანი ზმნები პირველი სერიის ფორმებში.

მაგ.: დაჭბარამენ მიწას. ყველაფერს ჰბეჭდავს. არავინ წაჭბილწავს, დაჭბეჟავს. ჰკიცხავდა, ჰკლავდა. ჰზომავდა, ჰფრეწავდა. დაჭთვლის, ჰჩივის, ჰცოდნია. შეჭჭამს. (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 106)

რომ დაფუჭპატიჟოთ ამ სოვდაგარს დავცეთ პატივი. (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 182)

დაანთო ცეცხლი და ჰწომს წვადებსა (იქვე, 202)

ტკბილს ლუკმასა ჰჭამდა (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 106)

დათვის სიმინდს ჰჭამდა (იქვე, 106)

ეს გასაწყვეტნი ბავშვები შეჭჭამდნენო (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 183)

ისევ უკრამს ფეხსაცმელსა (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 106)

პურსა-ღზელამს, ნადირს მოღკლამს. პატარძალს დაღმალამდა სამათა-დყოფს.

გაღგლეჯამს ჯაჭკეფს. არც წყალსა-ღვამს, არც პურსა-ღჭამს (იქვე, 106)

ეს ხალხი დამსხდარა და პურსა-ღჭამენ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 181)

გოგოსაც მივათხუემ ცოლად და გაღწვრთნის (იქვე, 181)

ცხოვრობდა ქალაქათ და დყიდიდა გუდურეფს (იქვე, 181)

დედალ დადკლამდი და იმის ხორცზე მეპატიჟებოდიო (იქვე, 183)

საქონელს მერე მაღრეკავენ ისევ იმ ნაკვეთზე (იქვე, 184)

დედა თან წინდასა-დქსოვს (იქვე, 191)

ვერა-დძრავს ამბრის ხელას (იქვე, 191)

პატარა ბიჭები დკლავენ გველი წიწილს (იქვე, 192)

საჭმელ გააკეთებს, დაალაგებს, გაღშლის სუფრას (იქვე, 196)

მაშინა დაღმალამს ორმოში და დაჯდება ზედა (იქვე, 218)

ძნის შემკერფელი აკეთებს ულოს, გაღშლის ულოს, შედკრავს ძნას და დააწყობს (იქვე, 185)

მერე ჩამაიღებენ ხურჯინს, შჭამენ და დაღჭლევენ (იქვე, 184)

ერთ თუნგიანით ღვინოს ჩაღსდგავს ხურჯინში (იქვე, 184)

## პირდაპირობიექტიანი ზმნები მეორე სერიის ფორმებში

მაგ.: გუდაში ჩაჭყარა. შვილი გაჭგზავნა. წყალი დაჭლია. გაჭგრა ერთი დიდი ორმო, ტვირთი ჭზიდოს. თავი ჩაჭლუნა, ტირილი შეჭქმნა. დაჭპატიუეს სოდაგარი. მოსვენება დაჭკარგა. (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 116)

ერთმა ლტკვა. გადალწვევითა იმედი. ახლა ესა გლტკვათ. პური ვლტკამოთ. ცეცხლი დაღვლწვათ. მამა გადალწვევითა. დასხა ყანწი და გადაღკრა. ღორი მოღკელეს (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 106). აღმასი გაღხვია ვარდში. გაღტრა შუაზეთ. საბოლოოთ გადაღწვევითა. ვერ დაღძრა. აღტესა ბავშვებმა. მამამ დაღტოვა ვაშლი. ხანჯლით გაღხტრა. ეს ცხენი მიღტპარეს. ძაღლმა დაღყევა და დაკარგა ნატრითვალი (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 224). ერთი ადგილი მაქეს, მოღტხნათ, დაღთესოთ, რაც გინდათ, ის გააკეთოთ, იცხოვროთ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 167)

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთპირიან ზმნაში წარმოდგენილია მესამე ობიექტური პირის ნიშანიც, რასაც მეცნიერები ორპირიანი ზმნების ანალოგიით ხსნიან. ჩვენც ვეთანხმებით არსებულ მოსაზრებას, მაგრამ, რაც შეეხება მესამე პირდაპირი ობიექტური პირის პრეფიქსების ხმარებას, ჩვენი აზრი, როგორც აღნიშნული იყო, განსხვავებულია. ვფიქრობთ, რომ ეს არის ისეთივე პირის ნიშანი, როგორიც გვაქვს მესამე ირიბ ობიექტურ პირთან.

ვხვდებით ისეთ მაგალითებს, როდესაც მესამე ირიბ ობიექტურ პირს ნიშანი არა აქვს იქსადაც უნდა ჰქონდეს. მაგალითები: მებაღეებს თხოვეს პური; მიცა უფლება; ტაცა ხელი; კითხა იმ კაცმა; კრა ხელი ბიჭმა; ყველას ქონდა; ერთი შვილიცა ყვანდა; მამას არა ჯერა მაინც; ბიჭეფს წყინდათ; შეხვდათ ერთი მარცვალი; ის კი დაღვიწყებია; ნინოს ხელი გადახვია; ოქროული ქონდა. (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 107)

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ისეთი ერთპირიანი ზმნები, როგორიცაა ყვავის, დგას, ჩანს და სხვა, რომლებიც პრეფიქსებით იხმარება ლიტერატურულ ქართულშიც კი, კახურ ცოცხალ მეტყველებაში უპრეფიქსოდ ვხვდებით:

ყვადს ბალი; ცეცხლი არ ჩანს; კარის ყარაული დგა და სხვ. (იქვე, 107)

როგორც ვხედავთ, გვაქვს ერთმანეთის საპირისპირო მოვლენები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პირის ნიშნები აღნიშნულ დიალექტში თავისუფლად მონაცვლეობენ.

პირველი ობიექტური პირის მრავლობითის აღმნიშვნელი პრეფიქსი როგორც ირიბის, ასევე პირდაპირის სალიტერატურო ქართულის მსგავსად კახურშიც არის გ- პრეფიქსი. მაგრამ ხშირად ვხვდებით გ- ელემენტის სახეცვლილებას, ისევე, როგორც ეს გვაქვს მეორე ობიექტური პირის გ- პრეფიქსთან დაკავშირებით: გ→ქ ან გ→კ. მაგ.:

- დაგვსხეს, მოქვცემენ, დაქვრჩა, შექვჭამს, დაქვხოცოსო, ქვონდა. კვყავ, კვყოლოდა, მოკვყავ და ა.შ. (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 38)
- როგორც იმან ქვცა პატივიო. ას თუმნად მოქვცემდაო. (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 182)
- ქვხოცამ, დალოცვილო, ჩიტის ბლარტები ხო არ ვართ (იქვე, 184)
- გაგვიში, წავალთ ან ნადირი შექვჭამს ან სიმშილი დაქვხოცამს (იქვე, 184)
- ბოლისაგან სუ მაშხალები ქვცვიოდა თვალებიდან (იქვე, 221)

ცნობილია, რომ ამ დიალექტების თავისებურებას წარმოადგენს II და III პირის პირდაპირი და ირიბი ობიექტების მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში ყვ//კე ნაწილაკით ან –თ სუფიქსით. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთდროულად გამოყენებულია ყვ//კე და -თ სუფიქსიც.

- მაგ.: წავასხამდიყვ მონადირეეფს, შენ დააშველედეკვ იმათ, ბიჭმა ნათესაეფი წაიყვანაკვ მე თქვენ გაგასამართლეფთყვ (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956: 18)
- ვერაფერი უთხარიკვ: რო მომაგონდება, დაგიძახებყვ და ჩაგაწერინებყვ: მე ორთავეს მოგხადეყვ ბოდიში; მაგაზე დაგზარდებიკვ? იმდენი რამე გითხრაკვ: ნუ მოიკლამთო და აემ ორ შაურ მოგცემყვო (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 179-185)

ობიექტური პირის ნიშანთა ცხრილი კახურ დიალექტში

მხ. რ.	მრ. რ.
I მ- -----	გვ~ქვ~კვ -----
II გ~ქ~კ- -----	გ~ქ~კ- ----- -თ , -ყვ//კე, -ღ ,
III მ~ს~ღ -ღ~ზ~შ~ჯ~ძ~ღს~ჰს- -----	მ~ს~ღ -ღ~ზ~შ~ჯ~ძ~ღს~ჰს- ----- -თ, -ღ , -ყვ//კე

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ პირის ნიშანთა ხმარებასთან დაკავშირებით კახური დიალექტი ქართლურისაგან არ განსხვავდება. მის თავისებურებას წარმოადგენს ყვ//კე სუფიქსის გამოყენება მეორე და მესამე ობიექტური პირების მრავლობითობის გამოსახატავად.

## ინგილოური კილო

ქართული ენის ინგილოურ კილოზე მეტყველებენ საინგილოში, რომელიც მდებარეობს კახეთის აღმოსავლეთით, ალაზნის მარცხენა მხარეს.

საინგილო ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა და მოიცავს 3 რაიონს: კახის რაიონში შედის კაკი ანუ კახ-ინგილო, ალათემური, მეშაბაში, ალიბეგლო, ქოთუქლუ, თასმლო, ზაგამი; ზაქათალისაში – ალიაბათი, მოსული და ბელაქნისაში – ითითალა.

ინგილოურ კილოზე ლაპარაკობს 10 სოფელი, დაახლოებით ოცი ათასზე მეტი ადამიანი, გვარებიც ქართული აქვთ.

ინგილოური კილო იყოფა ორ კილოკავად: კაკური და ალიაბათური.

ინგილოურმა მეტყველებამ დღემდე შეინარჩუნა ქართული ენის ყველა ძირითადი ნიშანი, თუმცა სხვა ქართულ დიალექტებთან შედარებით თავისებურებები ახასიათებს, კერძოდ, არა აქვს ძ და ჯ ბგერები, მოიპოვება უმლაუტიანი ხმოვნები, თავისებურია დროთა წარმოება, ლექსიკაში ბევრია აზერბაიჯანული სიტყვა.

ინგილოური დიალექტი ყველაზე ახლოს არის კახურთან, რადგანაც ისტორიულად ის კახურ-ქიზიყურის ადრინდელ სახეს წარმოადგენდა (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, 1956:16).

### სუბიექტური პირის ნიშნები

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ- სუფიქსი ხშირად შერწყმულია ზმნისწინსა ან ფუძისეულ ხმოვნებთან. უმეტეს შემთხვევაში ეს არის ა ხმოვანი, რომელიც გვაძლევს ო ან უ. მაგალითები:

ოდღ ← ა-ვ-იდე

ოდტან ← ა-ვი-ტანე, ოდფარებდი←ა-ვი-ფარებდი. ოდჩემიებ←ა-ვი-ჩემიებ, უათიებდით  
←ა-ვ-ათავებდით, დოდჭირ←და-ვი-ჭირე, დოდნახ←და-ვი-ინახე, დოდხინით←და-ვი-იძინეთ,

დოჰკლოთ←და-გ-კლათ, დუაგლით←და-გ-აგდეთ, გოფ←გა-გ-იგე, გოფინ←გა-გ-ინინე, გოჰყიდლოთ←გა-გ-ყიდლოთ, გუაღლით←გა-გ-აღდეთ, ჩოდრბინ←ჩა-გ-ირბინე, ჩოიტან←ჩა-გ-იტანე, ჩუაბარით←ჩა-გ-აბარეთ, წოდყონით←წა-გ-იყვანეთ, წუაქცივ←წა-გ-აქციე, შოდნახ←შე-გ-ინახე, შუაგლით←შე-გ-აგდეთ, ოჩუქებ←ვა-ჩუქებ, ოთხუებდით←ვა-თხოვებდით, ქნოთ←ვქნათ, ჭომ←ვჭამე, ნოხით←ვნახეთ, ...

ერ გულგაზ მაქ; ამთონ ღმრღვ, არ შრობის (გრ. იმნაიშვილი, 1966: 162);

მემღან ჩონ ვედროფთი ღღღღღ ჩალოუქს (იქვე, 166);

კელმანდილ შომოდგრაფდით, ყბასაც ღფფარებდით, არხალუხს ჩოდცუამდით, კალოშს ვერ ვიცოდინებდით, ბაშმაყ იქნებოდა (იქვე, 169);

ჩონ გღღღღ (იქვე, 173);

მე ღღღღღ, წოდყონ (იქვე, 179);

კურტიზენი ღღღღ კორც, წოდღღღ, მიწცო ზარგალჩიძე (იქვე, 180);

ეს მე წოდღღღ სახში, დავაკრო, პური ჭომო (იქვე, 181);

ბოსტან იქნა: გღღღღღ, ჭღღღღ (იქვე, 190);

წოველ, კაკლი კარწახ დოვნაყ, ღღღღღღ (იქვე, 190);

შენ იტყუ, მე გღღღღღ, რად უთქომ შენ ბიზახ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 230);

ამასაც ვიყიდი, მღღღღღ (იქვე, 231);

სამ ვაშლ მამცეს, ერთ მე ღღღ, ერთ შენ მზგრც, ერთიც ჰევში ჩამვარდა (იქვე, 238);

კად სამარეს კი აარ, შენზე ყიზილი სამარესაც არ ღღღღღღღღღღღ (იქვე, 240);

მე სკამზეაც ღღღღღღ, ჟოსს კი ფეჩქო ღღღღღღღღ (იქვე, 238);

ეხლა უნდა კიდე წაჭდე, ნოხღღ, რას მებნების ის (იქვე, 230).

არის შემთხვევები, როდესაც ვინის ე ან ი ხმოვანთან შეერთებისას ვიღებთ უმლაუტიან რ ან ჭ. მაგალითად: ხრდავთ←ვ-ხედავთ, კდრბი←ვ-კვდები, ქრნ←ვქენი, მე უქ←ვიქ, მე უც←ვიცი, თქუ←ვოქვი ცლუ←ვცვლი, მე ჭრუ←ვჭრი, ...

ჩონ სიფტა ჭყავით ნამდულ ქართულე (გრ. იმნაიშვილი, 1966, 162);

ჩონ თქრნ ჯულზე ჟქნებით, ნუ დოგვოცავთ! (იქვე, 162);

ჰამ კრცავ, ვერ კრცავ (იქვე, 164);

ერ მამალს ყუღუღღღ მე (იქვე, 184);

მეველიან ქაჩალ უთქომ ქოსაბე: „მოდ ტყულებ ჭღღღღღღღღღღღ! (იქვე, 190).

ვ- პრეფიქსი მო- ზმნისწინის შემდეგ ზოგჯერ იკარგება, თუ პირის ნიშანს მოსდევს ხმოვანი.

მოღტანო ← მო-ვ-ი-ტანო, მოფონო ← მო-ვ-ი-ფონო, გამოფეთ ← გამო-ვ-ი-ფეთ,  
შომოფრავლით ← შემო-ვ-ი-კრავლით.

მო- ზმნისწინის ო უ-დ იქცევა:

მუაქლი ← მო-ვ-აქლი, შუმუავლ ← შემო-ვ-ავლო, ჩუმუავლ ← ჩამოვავლე.

მლტტირებ, ყტთელ წყალს დავადენავ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 164);

მე იმისთუნ წყალ დაასხმელა არ გამოტდგები (იქვე, 175);

მაშ გუათათ საქმედ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 231);

მე სკამზეაც დაწვოვ, ჟოსს კი ფეჩქო ლმლტდევ (იქვე, 238);

მაგისთუნ, რაც საჭირო არის, მე მუამზადებ, ჩემთან იქნება (იქვე, 242).

ვ- პრეფიქსი მკვეთრ და ფშვინვიერ თანხმონებთან ფ-ს გვაძლევს.

მაგალითად:

ფქნო ← ვქნო, **ფჭამ** ← ვჭამ, **ფკეთლები** ← ვკეთლები, **ფყიდით** ← ვყიდით,  
დაჭქკალე ← დავჭქკალი, **ფხნავდი** ← ვხნავდი, გომოჭქყრი ← გომოვჭყრი,

მიჭქყონდათ ← მივჭყონდათ, მიჭქცემ ← მივჭცემ, **შეჭქკრო** ← შევჭკრო, გადაჭქყრიან...

უნდ კუდ ა**ფ**წიოთ, როემ გომში შაუდეს (გრ. იმნაიშვილი, 1966: 164);

ვერ **ფ**კრცავ (იქვე, 165);

მემდან საქონლით ავატალახებთ, და**ფ**ფარცხავთ (იქვე, 166);

მემდან და**ფ**თესავთ, მოფწყოტავთ (იქვე, 166);

ღულით და**ფ**ჭრით, დანზე გადა**ფ**ყრით (იქვე, 166);

მე რახან მო**ფ**კდობ, შენ სცოდნე ხარავ (იქვე, 178);

ბებრიმე მი**ფ**ცო (იქვე, 180);

ეს ჰათაარ **ფ**ქნუა? (იქვე, 181).

ზმნისწინის შემდეგ პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ, თუ მას მოსდევს ი  
ხმოვანი იცვლება ზ//ვ სახით:

აზღებ//ავღებ ← ავიღებ, გაზღო//გავგო ← გავიგო, წაზყონ//წავყონ ← წავიყვან,  
ამოტყონეთ//ამავყონეთ ← ამოვიყვანეთ, აზღებლით//ავღებლით ← ავიღებლით...

ახლა უნდა კიდე წაზყუნ, ნოხო, რას მეზნების ის (ი. გიგინეიშვილი,

ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 230);

მე სკამზეაც დოწვოვ, ჟოსს კი ფეჩქო ლმლტდევ (იქვე, 238);

მოდ ტყუილებ ჭლაპარაკოთ (იქვე, 190);

საქონელი ქოხიდან გამლტმუტ, გავრეკე საზღვარზე (იქვე, 197).

არის შემთხვევები, როდესაც გ- უცვლელი სახითაა წარმოდგენილი: ვაზრახე, ვამბოვდი, ვიქეიფებ...

- საკნავ მიწას ჭკწმენდავთ, კიდე ჰაჩეჩადთი ჭკწნავთ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 228);
- ერ ყოვ გამაძღვეს თუ არ, მინდორში მიჭტანთ (იქვე, 228);
- ჩონ ტყეში მიჭდით შიშად მათანლა (იქვე, 246);
- ჩონც წაჭდეთ, ზედ დაჭხრტოთ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 180);
- წოველ, კაკლი კარწახ დოჭნაყ, დუარ (იქვე, 190);
- კაცევ ველოდევით, ოზოში არ შავდივართ (იქვე, 171);
- მეც გაჭვიგი, რუმ ევ წყაროდ დიდ გუბ ყოფილ (იქვე, 176).
- ზალი მაჭყონეთ (იქვე: 245)

მეორე სუბიექტური პირის ძირითადი პრეფიქსია ჰ-. ინგილოურის თავისებურება ის არის, რომ ჰ- პრეფიქსის ხმარება შეუზღუდავია. იგი თითქმის ყველა თანხმოვნის წინ გვხვდება, სპირანტების: ხ, ღ, ს, ზ, ჟ, შ წინაც.

- კარცლს ჩამაძღვე, პატარა სუფრადთი გადაჭბდერტავ, ნაფხნოვს ჟამში ჩაჭყრი, გაჭსცრი (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 229);
- ლამაზა ცომს მოჭხელავ, გომოჭქნი, სუფრა დაჭხურავ (იქვე, 229);
- რაბე ჭტირი? რაბე ფუშმან ხარა? (იქვე, 239);
- იმათ კითხავსყე: – ქალებო, სად მიჭდით? (იქვე, 246);
- მაშინ შენ მოჭკომი (გრ. იმნაიშვილი, 1961: 178);
- ხალხს შე იმაზე ჭუცინი? (იქვე, 178);
- კაცმა თავი დედაკაცს უთხრა: „შეჭხედე! ამას ხაბარი სადთ მოჭდის? (იქვე, 199);
- რაბე გაჭტეხე ვეზირის ხაზნა? (იქვე, 204).

იშვიათად ვხვდებით მის ბგერინაცვალ ს-ს, ღ, თ, ტ, ძ, ც, წ. თანხმოვნების წინ, ასევე იშვიათად შ-ს, ჯ, ჩ, ჭ, წინ, ხოლო ხ-ს, ან დ-ს ყ, პ წინ.

- ერთ პიწა დაძწოვ, მეორე ჩაავდევ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 229);
- კედემ მრჭრლი? – იმ სახლი პატრონმა თქო (იქვე, 230).

არის შემთხვევები, როდესაც მეორე სუბიექტური პირი ორმაგი პრეფიქსით არის გამოხატული: სა მიჭდიხართა? დედალი მოჭდიხართ თუ მამალი? რადბე არ გაჭყიდე ბეჭელი? ებნებოან: – კუტუმ, რებედ არ მოჭდიხარ? (იქვე, 246)

მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ნულოვან ალომორფსაც ვხვდებით:



მაგალითები: უსტად დოტუჯერი, კირ დოტუჯი, თირ შიშად დოტუჯრი, მატყელ მოტუდი  
ხუთმეტ ურემ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 176);  
ამ გუბი ორ თოლ ჟუპუნნი, ესენ შოტუნახავ (იქვე, 176);  
მემღან კირ დოტუნსხამ, დოტბრმუბი გუბ (იქვე, 176);  
ჩონ სახლი ხედვით თქონ სახლ ხედვამდინ კიდ გააქეთი (იქვე, 185).

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ისევე, როგორც სხვა დიალექტებში არის სუფიქსები -ს, -ა, -ო, -ო. ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია ნულოვანი ალმორფით.

მაგალითები: წავ მედუქნესთან, ეტყუს: „ერ ქილო ბექმაზ ამიწონ! (იქვე, 177);  
სამ წელს ოქს თრძ აკლი (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოქფურია, ი. ქავთარაძე, 1961, 1961: 231);  
ელაქსი არ მოგ ქალ არ მათცემუგარ (იქვე, 231);  
რადც მოღებულ რაიმ არის, უკან დააბრუნ (იქვე, 231).  
ბეტრ ტარევა უნდ (იქვე, 232);  
შენ ფიქირ ნუ გაქ (იქვე, 236).

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც –ო სუფიქსის ნაცვლად გვაქვს –ა სუფიქსი:

მოლლამ წაიდღ ე ქობ (გრ. იმნაიშვილი, 1966, 177);  
ზუღემით გააგღდ ყონად (იქვე, 182);  
ეს დანა რო ამაიდღ, ვეზირმა ხელში ჩაიგღდ დანა (იქვე, 203);  
ალაყოჟა ჩამაიდღ (იქვე, 205);  
შევაზე რომ გატწივა, თევზი ამააგღდ (იქვე, 205).  
გვხვდება ვა კომპლექსის ო-დ გადაქცევის მაგალითები:  
მერე რომ მათწლ აქეთყენ ისტამბულ, ექ ყოფ ქართულებ (იქვე, 160);  
იმაზე თათარმა დაარქლ „ენგილაგ“ (იქვე, 163);  
იმასუკან შაჰ-აბასმა ქი თქლ (იქვე, 175);  
მოტუდა ნიკალამ, წაართლ (იქვე, 175);

-ს სუფიქსიანი ფორმები:

თუ კლარ იმარხევის ოთხშაბათს, მარხულ იმარხევის (იქვე, 172);  
წავ მედუქნესთან, ეტყუს (იქვე, 177);  
რადთაც მოღებულ რამ არის, უკან დააბრუნ (იქვე, 231).

რაც შეეხება სუბიექტური პირების მრავლობითი რიცხვის ფორმებს, აქ I და II პირში მრავლობითობა -თ სუფიქსით გამოიხატება, ხოლო III პირში ვხვდებით -ნენ, -ენ, -ნ, -ეს, -ან სუფიქსებს:

მაგალითები:

- ზროხი ქოხში გადაყონდნენ, ყუჟურში ცეცხლ ანთევდნენ, მიჰყონავდნენ (გრ. იმნაიშვილი, 1966, 167);
- ხუთი დღი წინ აცალკიევდნენ (იქვე, 167);
- დაჰკლრნ ძროხას (იქვე, 171);
- სალაუაზე დევნიდნენ კლარს (იქვე, 171);
- კლრნ სამ ყოხ, ან ერ მზზრ (იქვე, 172);
- გარმონს არ უკრნ ოუახში (იქვე, 172);
- დალიეს და დათრნ (იქვე, 178);
- ჰალვა იმის წინ დადრს (დადეს) (იქვე, 201).

### სუბიექტური პირის ნიშნები

მს. რ.	მრ. რ.
I ვ~Ø ~ფ~რ~ო~ტ~უ~ტ- -----	ვ~Ø ~ფ~ო~რ~ტ~უ~ტ- ----- -თ
II ჰ~ს~ხ~შ~ღ- -----	ჰ~ს~ხ~შ~ღ- ----- -თ~Ø
III ----- -Ø ~ს~ა~ო	----- -ენ~ეს~ნენ~ნ~ან

### ობიექტური პირის ნიშნები

პირველი ობიექტური პირის პრეფიქსია მ- და ისევეა წარმოდგენილი, როგორც სალიტერატურო ქართულში.

რაც შეეხება პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის პრეფიქსს გვ-, მისი სახეცვლილებები გვხვდება: კერძოდ გვ → გო, გვ → გუ, ზოგჯერ კი გვ-ს ვ ელემენტი იკარგება.

მაგალითები: ემაგრ ომოვაქთ თორნეთი პურს (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 229);

ჩონ ნუ დოგტრცხტნო (იქვე, 231);  
 ათ შაურ მრგტც, თუ არ ქალ არ გომოდის (იქვე, 234);  
 თუ ზადლი დანაყეფ თარაფში წეველეთ, მაშინ ზადლი ჩონ შრგტამს (იქვე, 247);  
 დაგავორში რაც გტწერა, ამა გიზამ, სხო არაფერსეო (იქვე, 249);  
 ჩონ თათრებ გტზახიან „ენგილაგ“ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 163);  
 უთხრეს: მრგტცით შულაჲ (იქვე, 163);  
 გუნდ ჩონ ჯულზე დავდგეთ (იქვე, 163);  
 მამა, შენ ჩონ თავ გოტაცალკავ (იქვე, 191);  
 ჰაბა, ერთი ჩონ მოტატყტე! (იქვე, 198);  
 შენ ჩონც გტტყუებდი (იქვე, 199);  
 ჩონ დააჯდომელ ადგილი გტნდა (იქვე, 194);  
 სოფელმა უნივლა „მაგის სულ მოგტშორე აქადით“ (იქვე, 202);  
 ჩონ ხუთ ბატი გტქო (იქვე, 208);  
 ლეკებ კტბანჯავდნენ, ქრისტიანებ ნუ ხართავ (იქვე, 170).

მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსი გ- იკარგება, თუ ზმნის ფუძე გ-თი იწყება:  
 შენ გონია ← გგონია.

ყრუ მკვეთრი და ფშვინვიერი ბგერების წინ გ- პრეფიქსი იკარგება ან ასიმილაციას განიცდის:

გკ→კკ; გც→ქც: კკლაგ←გკლაგ, კლაგ←გკლაგ, შეკტამს//შეკტამს; მოკტრო//მოტრო  
 ←მოგტრო, კტკივა//გტკივა, კყავ//ყავ←გყავ, ...

შენ დაქცხონდეგ, მეც დამცხონდეგ (იქვე, 231);  
 ამას მემრე შენ ქალს მოქცემ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 182);  
 ჰენ რამს არ ქთხოვ, წაჲ ქებებ დაჰტერ (იქვე, 183);  
 ჩემ სახლივი სახლებ ააშენით, მევლიან მოქცემყ (იქვე, 185);  
 სიფთა მოკკითხე, კარგა დამახტვე (იქვე, 202);  
 უნდა მოკკლოს – ეხლა შენ გეზახის ხანი (იქვე, 204).

მეორე ობიექტური პირის რიცხვი კი –თ სუფიქსის დართვით იწარმოება.

მესამე ობიექტური პირის ნიშნები როგორც ირიბის, ასევე პირდაპირის ჰ- და იშვიათად ს- პრეფიქსებით არის წარმოდგენილი, რომლებიც სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტებს გვიჩვენებენ.

ირიბი ობიექტის ნიშნიანი ფორმები:  
 კედემ მოჰშიებდყ (გრ. იმნაიშვილი, 1966, 191);

დედაკაცმა თავი გოუჭწვივა უკანაყენ (იქვე, 206);  
 ბატს დუმა მოჭჭრა, ბებერს მიჭცა (იქვე, 207);  
 გაღზდესავ, სიყუთლეთ გადის (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 228);  
 სამას მანათ თეთრ მაღცემს, ხუთ ყათ ტანსომოხსაც იყიდის (იქვე, 230);  
 დად და ერ ქალ იჭერენ ხელით, მიჭყონენ სახლი კარვეთან (იქვე, 234);  
 მამამთილ მიჭცემს თეთრს (იქვე, 234).  
 პირდაპირი ობიექტის ნიშნიანი ფორმები:  
 დუნიაში ვერ ომოჭწმინდავ (ცხტრ) (გრ. იმნაიშვილი, 1966, 164);  
 წავალთ, მოჭმკუთ (იქვე, 166);  
 ლიდელს გააკურთხინევდნენ, დაჭკლავდნენ, ყმაწუის თმებს მოჭჭრიდნენ (იქვე, 169);  
 კიტრსაც ჩონ დაჭეთესავთ, ფაყლასაც დაჭეთესავთ, ქლამსაც (იქვე, 170);  
 დაჭკლრნ ზროხას (იქვე, 171);  
 ბუთუმ საკმელს ჭყრის (იქვე, 172);  
 კატად მარჟუნა თოლს გამაღღევს, შეჭჭამს (იქვე, 170);  
 ზედ დახროტაში ბებერ საღბად ჭკრავს (იქვე, 180);  
 ტელერკები დანზე გაჭწვივს (იქვე, 199);  
 გათხოვები დროზე ჟედზს ჭრეცხავდა, ლამაზა ჭკერავდა (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 233);  
 იმ დღეს ჭჭრიდნენ, ერ კურაში ჭკერავდნენ (იქვე, 233);  
 დარვაზას დაჭგულიდნენ, ზედ გადევ აწოვოდნენ (იქვე, 233);  
 ამ დროზე ქალი რზრდთი აჭწევდნენ დარვაზაზგნი მაღლა (იქვე, 233);  
 მემრე ამ ხურეინს ომოჭწლიან ვარცში, გაშლიან (იქვე, 243);  
 ნადარას გაჭწყრტენ, პატა პურ რამს შეჭჭამენ ნახვარ საათ (იქვე, 243).

მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი ზმნაში წარმოდგენილია მაშინაც, როდესაც იგი სახელობით ბრუნვაშია.

მაგალითები: ყმაწუტლს ჩუპე მოჭჭრა ყაფითი (გრ. იმნაიშვილი, 1966: 196);  
 დაჭჭადეს ტანსამოზი, ხეზე დაამბეს (იქვე, 206);  
 ბატს დუმა მოჭჭრა, ბებერს მოჭსცა (იქვე, 207);  
 ფაჭჩამ უთხარ: კარგა გაჭხყოფე (იქვე, 207);  
 არ იქნებაა, სამ-სამით გაჭჭყოფე (იქვე, 207);  
 არ იქნებაა, სამ-სამით გაჭჭყოფო? (იქვე, 208);

ზაღღმა ქელღაღ გამოჰყოფა, დაღწყო დაყოფნაღ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიღ, ი. ქავთარაძე, 1961: 239);  
ღმერთმა მუბარაქა გაჰჯადღოს, ბახტიანი იქნღოს (იქვე, 243);  
მაგი გაზღდაში მე აქთონ ჯაფა არ გემეჰწვივა, რომ ახღა გავწივე (იქვე, 245).

ჰ- პრეფიქსი ხმოვნების წინაც გეხვეღება ინგიღლოურში: ჰუთხრა, ჰუქნი, ჰუზახნი, ჰუფოცღო, ჰუყვარს, ჰრყავ, ჰოპირებ, ...

სუბიექტური პირვეღი პირისა და ობიექტური მესამე პირის კომბინაციებში ხშირად გეხვეღებით ჰ- პრეფიქსთან ერთად ვ-საც: მოჰჰცე ← მოვჰცე, ჩონ დაჰჰთესავ ← ხალიხას მოჰჰქსოვნი ← მოჰჰქსოვნი, ხუღლ გაჰჰყიდი ← გაჰჰყიდი, მოჰჰემკო...

მაგალითები: ღუნიაში ვერ ომოჰჰწმინდავ (ამოვჰჰწმინდავ) (გრ. იმნაიშვილი, 1966: 164);  
კიტრსაც ჩონ დაჰჰთესავ, ფაყღასაც დაჰჰთესავთ, ქაღამსაც (იქვე, 170);  
პატრონს მიჰჰცემ (იქვე, 179);  
არ იქნებაა, სამ-სამით გაჰჰყოღო (იქვე, 208);  
საჯნავ მიწას ვჰჰმენდავთ, კედღე ჰაჩეჩადთი ვჰჰჯნავთ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიღ, ი. ქავთარაძე, 1961: 228).

ინგიღლოურში გვაქვს მრჩობღი პრეფიქსის ჰს შემთხვევები.

მაგალითები: მოჰჰშკრა, ჰხყოღია, დაჰჰხხურა, გადაჰჰხხურა, გადაჰჰხხონენ, მოჰჰხხონს, მიჰჰსცა, მიჰჰსცემ...  
იმ შტღლებიბე მანაწვე წიღებ მიჰჰსცაყ (გრ. ინანიშვილი, 1966: 191);  
მემღღონ იმას პატრა პურ მიჰჰსცა (იქვე, 191);  
ბატს ღუმა მოჰჰჰკრა, ბებერე მიჰჰსცა (იქვე, 207);  
ფაჰჩამ უთხრა: კარგა გაჰჰხყოღე (იქვე, 207).

ინგიღლოურში ისევე, როგორც კახურ დიაღექტში II და III ობიექტური პირების მრავღლობითობას -თ სუფიქსის გარღდა ყე//კე ნაწიღლაკი აღნიშნავს.

მაგალითები: რაღც ქრისტიან ხაღყეს ქონდაყ აღათში (გრ. იმნაიშვილი, 1966: 169);  
სახღღი პატრონ თავი ნათესავებს პატიყოღესყ (იქვე, 168);  
ერთიღც ეკღღესიღღ ქონიღყ, კტარ მოკღღომაში წოღუყონიღყ, იქ ღოღუღებღიღყ ეკღღესიღღში, ერ კტრღიღსუკან ღოტღმარხიღყ (იქვე, 170);

რამთონიც გინდაყ, ჰაზას ვიქ (იქვე, 174);  
 ჰალვად გოუკეთევიაყ, ყაბ გრრც დოუდევნიაყ (იქვე, 178);  
 აქე მანაბათიებს ერთმერთი გატლანზღავყ (იქვე, 198);  
 დილაზე ჩაგაბარებყყ (იქვე, 203);  
 თითო-თითო მოჰსცაყყ (იქვე, 208);  
 ეესენ ბეტრ მუშუოვენ ყოფილ, ბეტრ ჩალთუქ დოტუესიაყ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 235);  
 ვეზირევს უთხრაყ: წადთ, ნახით, ჰე ღარიბევ რა შჭამენა? (იქვე, 236);  
 სემად და იმი დეკაც წასულან, დაადამევიაყ, ღამი ჟანავრეკს უჭამიაყ (იქვე, 239);  
 დევევს დოტნახიაყ დეკაც, დოტლაჯიაყ (იქვე, 240);  
 ერთი მაგარიშსაც გამაართომსყყ, ეტყუსყყ: – ხუალ ღამ ნიშანს მივაქომთ, დააჰაზირეთ“ (იქვე, 242);  
 უკეთებენ ფლავს, ჩედს, აჭმევენყყ, ალენიბენყყ (იქვე, 244);  
 ის ყოტრმებიც იმათ თეთრ აზლევსყყ (იქვე, 245).

როგორც ვხედავთ, ინგილოურში პირის ნიშანთა ხმარებასთან დაკავშირებით იგივე სურათია, რაც კახურში.

### ობიექტური პირის ნიშნები

მხ. რ.	მრ. რ.
I მ- -----	გგ-~გო-~გუ-~გვ-~ქგ- -----
II გ-~ქ-~კ- -----	გ-~ქ-~კ- ----- -თ, -ყე
III ჰ-~ღ-~ზ-~ს-~შ-~ც-~ჰს- -----	ჰ-~ს-~ღ-~შ-~ზ-~ღ- ----- -თ, -ყე

ამრიგად, ინგილოურში სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები ისევე არის წარმოდგენილი ზმნის ფორმაში, როგორც ეს გვქონდა ქართლ-კახურში. აღსანიშნავია მხოლოდ სუბიექტური პირველი პირის ვ- პრეფიქსის ფონეტიკური ვარიანტების მრავალფეროვნება. იგივე ითქმის პირველი ობიექტური პირის მრავლობითობის ნიშნის გვ- პრეფიქსის ვ ელემენტზე.

## ფშაური დიალექტი

ფშაური კილო აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტია და ე.წ. ფხოური ჯგუფის ერთ-ერთი წევრია. იგი გავრცელებულია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, კერძოდ, მოიცავს საქართველოს მთასა და ბარს. ესაზღვრება ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას აღმოსავლეთით ყოფს თუშეთისაგან და ჩრდილოეთით კი პირიქით ხევსურეთისაგან, დასავლეთით საზღვრავს პირაქეთი ხევსურეთი და გუდამაყარ-მთიულეთი, სამხრეთით-შიდა ქართლი. ფშავის მთავარი მდინარეა არაგვი (ბ. ჯორბენაძე, 1989 : 241).

საკუთრივ ფშავი იწყება უინვალიდან, მიჰყვება ფშავ-ხევსურეთის არაგვის ორწყლამდის, ხევსურეთამდე, შემდეგ განშტოვდება მარჯვნივ და გრძელდება ბორბალოს მთის მისადგომებთან. ფშაველთა დიდმა ნაწილმა აღნიშნული ტერიტორია სივიწროვის გამო დატოვეს და დაიწყეს გადასახლება ქართლისა და კახეთის სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, თიანეთის რაიონში, არტნის რაიონში, ერწოში, ახმეტისა და შირაქის, საგარეჯოს, თელავისა და ყვარლის რაიონებში (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:124).

ფშაური მეტყველება ყველგან ერთნაირად არ არის შემონახული. ყველაზე კარგად მისი სახე უკანა ფშავშია დაცული. საერთოდ ფშაური სხვა მთის კილოებთან შედარებით უფრო განიცდის ბარის (ქართლის) მეტყველების გავლენას და ამიტომაც მას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური თავისებურებებით შუალედური მდგომარეობა უკავია აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის დიალექტებს შორის (გ. ცოცანიძე, 1978:3).

## სუბიექტური პირის ნიშნები

პირველი სუბიექტური პირის ნიშნად როგორც სალიტერატურო ქართულში, აქაც გ-პრეფიქსი გვაქვს. ვხვდებით /θ-/ ალომორფსაც, კერძოდ:

1. სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსი იკარგება, როდესაც გ-პრეფიქსი წინამავალ მო-ზმნისწინსა და მომდევნო ნებისმიერ ხმოვანს შორის უნდა იყოს. მაგალითები:

გამოიარეთ (ჩვენ), პაპას კი ვეღარ მღუსწარ მენა; შრატს ცალკე ამდავობდით; რა გითხრა, ტასაც ვერ მთიგონებს; ჳარებს საპირეს შემდაკრავდით, რო არ ეჭამა; მაილაპარაკეს, ემა-დ' ემ დროს ამთილოთო (გ. ცოცანიძე, 1978,58):

მომეც მე ძალა, რო ამ დევებს მღეროო (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961,141).

2. /ღ-/ ალომორფი გვხვდება თუ ზმნის ფუძე იწყება ბავისმიერი ბგერებით. მნიშვნელობა არა აქვს პირის ნიშანს წინ ზმნისწინი უძღვის, თუ არა:

იქ დავიმაღნეთო და . . . აქა ვარ, აქაო, გამაუნდეთო (გ. ცოცანიძე, 1978, 58);

არ გამაუშვებლ, უთხარ მინამ კაც არ მამიკალისავ (იქვე);

მენ უთხარ, განა კი დაუმაღე (იქვე);

ჩვენ მღმკით, მუა თოვლი (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961, 127);

ემებს უთხრათო, საჩუქარს დავჰპირდეთო (იქვე, 133);

მე იმას ვერ გაუგე, როგორ გამიკეთა (იქვე, 136);

სახლის სანახავიც მიუტანეთა და ქორწილ ვქენით (იქვე, 136)

აღსანიშნავია ერთი ფაქტი, მო-ზმნისწინის ო ელემენტი ა, ი, უ, ე ხმოვნების წინ გადაიქცევა ა-დ და ამ პოზიციებში მო-ს ნაცვლად გვაქვს მა, რაც არ დასტურდება პირველი პირის ფორმებთან. მო- ზმნისწინი სახეს არ იცვლის.

გ. ცოცანიძის აზრით, მო-ზმნისწინი ბიფუნქციურია: „ითავსებს ზმნისწინისა და პირველი სუბიექტური პირის ფუნქციას, ე.ი. ეს ო- ფონოლოგიურად ბიფონემურია, წარმოადგენს ფონემათა ოვ ჯგუფის რეალიზაციას. ამდენად, აქ ფაქტიურად ვ პირის ნიშანი კი არ იკარგება, არამედ უერთდება მო-ზმნისწინს. ალბათ, ასეთივე ვითარებაა უ ხმოვნის წინაც“ (გ. ცოცანიძე, 1978,59).

ჩვენი აზრით, მო- ზმნისწინის ო ელემენტი ნამდვილად ბიფონემურია, მაგრამ იგი მიღებულია არა მო- ზმნისწინზე ვ- პრეფიქსის დამატებით, არამედ იქ იქნებოდა მა- ზმნისწინი ისევე, როგორც ეს არის II და III პირში და ვ- პრეფიქსთან შერწყმის შედეგად ავ კომპლექსმა მოგვცა ო, რაც ჩვეულებრივია ქართული დიალექტებისათვის.

ვლენავდოდით, ვერ მოასწრობდით (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961, 127).

მე მოიტანე ← მავიტანე, ჩვენ მოასწროთ ← ჩვენ მავასწროთ, . . .



რაც შეეხება პირველი სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმას, ის ჩვეულებრივ –თ სუფიქსით იწარმოება.

მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ჰ- და ს- პრეფიქსების გვერდით გვაქვს მათი ფონეტიკური ვარიანტებიც. კერძოდ: ბაგისმიერ და უკანაენისმიერ თანხმოვნებთან ჰ- პრეფიქსის გარდა, ვხვდებით ძჰ- და ძ- მაგალითები:

- დაძკადეთ ტანისამოსი, მზეზე დაძყარეთ მკვდარია (გ. ცოცხანიძე, 1858, 60)
- ჯარეგს ფშავლენ დაძვოცეთ, აღინეთ სისხლის ღვარია; (იქვე)
- აძყარე იარაღები (იქვე)
- მაძვნაგ, დაძფარაგ, მაძმიკი; (იქვე)
- აიქ დაძსოდით ბიჭუა, სად ისხდეს დედა ჯარიო; (იქვე)
- ხო არ შაძშინდი ძმობილოო, უთხრა (იქვე)
- თუშ-ფშაველთ სისხლით შაძღებეთ ქისტეთის მთა და ბარიო (იქვე)
- კახურადა ძლაპარაკობთო, გვეტყვიან (იქვე)

**ასევე გვაქვს ს- პრეფიქსი თავისი ვარიანტებით ძს-, ძ-**

- გამიჯავრდა, რად ძცემაო ვაჟაის შვილსავ; (იქვე, 183);
- აქამდი კი არ ძწუნობდი ჩემს დაგზავნილებს თასმებით (იქვე);
- რა ცხენსავით ძჭიხვინებ? (იქვე, 207);
- დაძსჭრი იძნასა (იქვე);
- მემრე დაძთესავ (იქვე).

/ღ-/ აღმორფს ვხვდებით ძირითადად ხმოვნების წინ: უთხარ; გააკეთე; დაიჭირე; გაამზადე, მიეც . . .

მეორე სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმაც -თ სუფიქსით იწარმოება.

მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ფშაურ დიალექტში რამდენიმე სუფიქსი დასტურდება.

-ა სუფიქსი, რომელსაც თავისუფლად ენაცვლება ნულოვანი აღმორფი. მაგალითები:

- ეს თავის ფარ იმას გადაუგდო და აბრეშუნის ფარი თავად დაიჭირ (გ. ცოცხანიძე, 1978,127);
- აღარ ექნა მეტი გზა იმ თუშსა-ღ' გაიქც (იქვე; 127);

გამოარდა ქალწ, თვალე არ მაღშორდე (იქვე;128);  
 ნუ ჩამიწლვ, თორე ინანებო, ჟთხარ (იქვე, 128);  
 მემრე ჟთხრა ი დედაკაცსა, რაღა უნდა ვქნა ეხლა, ესე მეღბნებ (იქვე; 129);  
 სამი დღის საჯნაია, ვერა დჯნევდ (იქვე; 129);  
 ადგა, დაიწყო კნვა ისევა, დაამთავრ (იქვე, 130);  
 კარებ ხო იქავ წაასხა, იქავ ჩააბრუნ (იქვე, 130)  
გამაჟდღვ წინა და გამახევა ი ჭინჭველაც (იქვე; 130);  
 ის ველარ მოიგონე, ველარ დამაჯსონდ, ეგიყო, აგე, დამთავრდ (131).

-ს სუფიქსიანი ფორმები, რომელსაც თავისუფლად ენაცვლება /-თ/ ალომორფი:

გამაძხედნებს მგელი – იქავ არი (იქვე 131)  
 დეედენა, გექც ე მგელი, დაწევას უპირობხ (იქვე; 131);  
 ცეცხლის ალივით ანათებხ, ოქროს კრაველ ახხავ იმასავ (იქვე; 132)  
 გამოიდა, უნდა აძკიდოხ ცხენსა? (იქვე, 134);  
 რაღს ცხოვრებითა ცხოვრობხ? (იქვე, 128);  
 ზოგ კი დეეჟუდება, დაიჟურებხ იმის ლაპარაკსა-დ' ზოგ არ უგდებხ ჟურს (იქვე, 135);  
 წყალი მეტი რა გვქვ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე 1961, 127);  
 არც არა გამოღონავ, არც შამივლავ (იქვე, 127);  
 მატყლ ბევრ ვისაცა ქვ და ქალ-დედაკაცებ არა ჰყავიხ, ანა ჰყავ ისი მატყსა ჰყიდიხ (იქვე, 129);  
 ის მუხის მკვიდრ ფეკებზედა დგა (იქვე 131);  
 კმალი წელთი აჟღელჟავ და ლეკისად სულ გაუფთხოვინებავ (იქვე, 132);  
 იმის მემრე ნანას წყალი შაუქვივნებავ იმ წყალსადა (იქვე; 132);  
 არა გქვ მაგის ხანია, შიშით არ არი მისანდო (იქვე, 138);

ფშაურში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გ. ცოცანიძე გამოყოფს –ის სუფიქსს. საინტერესოა მისი მოსაზრება ამის შესახებ. „როგორ უნდა განვიხილოთ იგი, როგორც ერთი მთლიანი თუ დაშლილად? თუ დაშლილად განვიხილავთ, დადგება –ის რაობის საკითხი, რომელზეც პასუხიც, ვფიქრობთ, გაჭირდება. ხეიდავ-ის, ღბავ-ის, დაუკიდებავ-ის, შაუმბავ-ის, სიტყვაფორმათა ფორმობრივ-შინაარსობლივი შეპირისპირებითი ანალიზი გვეუბნება, რომ მესამე სუბიექტური პირის გაგება დაკავშირებულია სწორედ ამ –ის სუფიქსთან მთლიანად: მენ ვლბი-ვარ, შენ ღბი-ხარ, ის ღბავ//ღბავის, მენ შაუმბი-ვარ, შენ შაუმბი-ხარ, ის შაუმბავ//შაუმბავის. პირველი და მეორე პირის გაგება

დაკავშირებულია შესაბამისად ვარ და ხარ მეშველ ზმნებთან. მესამე პირის ფორმებში კი -ავ ისეთივე სუფიქსია, როგორც პირველ, მეორე პირის ფორმებთან ფუძის ბოლოკიდური -ი- ვლბი-ლბი, მესამე პირის მაწარმოებლად კი ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება  $\emptyset$  და -ის სუფიქსი“ (გ. ცოცანიძე, 1978, 63);

ჩვენი აზრით, -ის სუფიქსის ს ელემენტი ცალკე უნდა გამოიყოს მესამე სუბიექტური პირის აღმნიშვნელ სუფიქსად, ხოლო ი, ვფიქრობთ, ანაპტიქსური ხმოვანი უნდა იყოს, რომელსაც ხშირად ვხვდებით ქართულში (ძვ. ქართულში უწყვეტლის საწარმოებლად: განვმართლდ – განვმართლდი; მრავლობითის, ნარიანისა და –თ სუფიქსის, გამოსაყოფად; აღვიზარდენ-ი-თ. მაგ:

ჩემ დისწულის შვილი გამოუშვავს ციხეშითა (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე 1961:127)

სამ-სამი ცხვარი ჰყავს (იქვე, 128);

მატყელ ბევრ ვისცა აქვ და ქალ-დედაკაცებ არა ჰყავს, ანა ჰყავისო მატყსა ჰყიდის (იქვე 129);

ხურჯინსა აქვს ორი თვალი და უღელი (იქვე, 130)

მეტად საინტერესოა –ო სუფიქსთან დაკავშირებით გ. ცოცანიძის აზრი. მას მიაჩნია, რომ ო-ს რედუქციის შედეგად მიღებული –ვ ბგერა ასევე არის მესამე სუბიექტური პირის გამომხატველი ზმნაში. ო–ს რედუქციით –ვ–ს მიღება ცნობილი პროცესია ქართულ ფონეტიკაში. მაგ: დედაკაცისად დაუძახნავ: დიაცო! (ი. გიგინეიშვილი 133)

უსროლავ და, რო გამოყირაულა ცოლისად უთქომ (იქვე, 138);

ემასა უჯობავ, ემ ფურსა (გ. ცოცანიძე, 1978: 62);

ჩვენ გომურს კი ეხლაც სიბ უგავ (იქვე: 62);

გვაქვს პარალელური ფორმები იყვ და იყო (გ. ცოცანიძე 1978: 61) ტექსტებში „იყო“ ზმნა მრავალი ვარიანტით გვხვდება: მაგ: თქვენი რა ბედად იყვ (იქვე, 132).

იქნება სუ ვანთოს ძველი ვიყალ (იქვე, 137) იმან ჩაწეროს, რომენიც კაი ლექსი იყვის ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 127).

ისიც გამაქცევიყვ (იქვე: 137);

ბელადი, ის გადმადსტევებიყვ (იქვე: 137);

ერთ ხის ძირში სამ შამძვრალიყვ (იქვე: 137)

ხო ნანობ ეხლავ, აბა რადა გიყვად მეო (იქვე 137);

თორე ინანებო, აბა რა გყელ მეო (იქვე, 137)  
ო წისქვილმ რალაც ჟყვა იმას (იქვე, 137)  
ერთ თვეს სუ კარჩი ვიყვენით (იქვე, 138)  
გაარიგეს, ისე უნდა ჟყვან (იქვე, 134)  
აბა სხვა რალა გყვაჯ (132)

გხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ვ არის ზმნის ბოლოს მესამე პირის ფორმაში. მაგ: დავითო კიდენ ბატარა იყჳ. სუ ისე ჩაიცვ. (იქვე, 1,61).

დაკრა ცხენსა ის დელა და წაიდჳ (იქვე, 162)  
პურ უჭამავ, უქეიფებაჳ (იქვე 162).

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის აღმნიშვნელია ძირითადად -ეს, -ენ სუფიქსები. ასევე გვაქვს -ნენ, -ან და -ნ-ც.

მე: ჯუყჳუყ რაიმ დაიწყეს და მამცვიოდნენ (იქვე. 132)  
მეც აიმას მაჭმევედეს (იქვე: 132);  
მოიდეს სადამ ჩემ მამა-ძმებიცა (იქვე: 137);  
ბატკნებ დაგვიჩინეს ცხვრებმაო (იქვე: 128);  
გუშინ მარიამაი და გოგი წამოიდენ (იქვე: 127)  
ემზადებოდნენ კია და მოვლენ (იქვე: 127)  
ისენ დაუჩენენ (იქვე: 129)  
უწინ ჯუბებსაც იკერავდნენ (იქვე: 130)  
ის უწინ არც კი იცოდენ, ახლა შამაიდეს (იქვე: 130);  
საცა ბალახსა ნასკვავედენ (იქვე: 132)  
თუშებიც მოიდენ, მაგრამ იმათ არ შადრიდნენ (იქვე: 140);  
აი მგლებივით როგორა რამ მამეჩვენნენ (იქვე: 232);  
გონჯა ჳეეში მისულიყენენ (გ. ცოცანაძე, 1978, 66);  
მთიულეთს დელაკაცებ მიდევნილიყენენ (იქვე: 66);  
ამ ჳამთარ რო დაიკოცნეს (იქვე: 65);  
წავიდეს და გაიყარნეს (იქვე: 65);  
რა რჯულები იყენეს (იქვე: 132);  
შამეკვალნეს ერთურთსა (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიცა, ი. ქავთარაძე, 1961: 137)  
ისენიც დამეკოცნეს (იქვე: 138);  
ახლა ფშავლებ გადავიდეს და დაიფიცნეს (იქვე: 138);  
თავად კი დაიქცნეს იწილბოლო დღე ულები (იქვე: 138);  
ორნი დანი მყვან სხვანი (იქვე: 66);

სულდარჩაცმულნი მთანი დგან, ფიქრის მზიდველნი მწარისა (ვაჟა: 08,66);  
 ფეხნი გვქონ (იქვე: 66);

### სუბიექტური პირის ნიშანთა ცხრილი ფშაურ დიალექტში.

I	ე~ø- -----	ე~ø- ----- -თ
II	ჰ~ს~ø~დ~დს~დჰ~ს- -----	ჰ~ს~ø~დ~დს~დჰ~ს~ ----- -თ
III	----- -ს~ა~ო~ვ	----- -ეს~ენ~ნენ~ან~ნ

### ობიექტური პირის ნიშნები ფშაურ დიალექტში

პირველი იბიექტური პირის ნიშანი ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში არის მ- პრეფიქსი, რომელიც ყოველთვის იხმარება. მრავლობით რიცხვში კი პრეფიქსი გვ-. ამ პრეფიქსთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი, რომ პირდაპირ ობიექტიანი ფორმა, რომელიც ნარიანი მრავლობითითაა გამოხატული, I პირში გვ- პრეფიქსის გარდა, ზოგჯერ -ნ სუფიქსსაც წარმოაჩენს. ამრიგად, გვაქვს მრავლობითობის ორმაგი აღნიშვნა. მაგ:

- ეგ ალაგ იყვ და ჩემ მამამ ჩამოგვრეკნა აქ (გ. ცოცანიძე, 1978: 65);
- კი თუ გვანახნეს ჩვენა (იქვე: 65)
- დაგვივლინა ჯომარის გორმა, წყალს იქ არ გამოდენამა (იქვე: 65);

მეორე ობიექტური პირის ნიშანი, როგორც ყველგან, აქაც არის გ- პრეფიქსი. მრავლობითში ემატება –თ. თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ამ –თ სუფიქსის წინ არ იკარგება მესამე სუბიექტური პირის ნიშანი –ს. მაგ:

- შვილ სადა გყავისთლ (გ. ცოცანიძე, 1978: 67);
- რო ვის რა გეჭიროსთლ (იქვე: 67)
- ამას ვინ გაპატებოსთლ თქვენო (იქვე: 134)
- ახლა კიდევ რო ვის რა გეჭიროსთლ (იქვე: 144);
- მემრე მეგობრები გკითხავდისთლ, მართალიაო? (იქვე: 149);

მესამე ობიექტური პირის ნიშნები ირიბსაც და პირდაპირსაც ერთნაირი აქვს. უმთავრესად წარმოდგენილია ს-, ჰ-, ხ-, დ- და Ø-, მაგრამ ვხვდებით სხვა ვარიანტებსაც მს-, მჰ-, მხ-, მდ-, მ- მშ-. ჩვეულებრივ, ხმოვნების წინ გვაქვს Ø- ალომორფი.

მაგ: სუ ტყავ გააძვრა (გ. ცოცანიძე, 1978: 68);

თავ მაცალა (იქვე: 68);

გუდა მააქვის (იქვე: 68)

ჰ- პრეფიქსის პარალელურად, სადაც უნდა იყოს ჰ- ვხვდებით მჰ- და მსაც. მაგ:

ბატკანსა ჰკრეჭენ, ჰპარსვენ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 128);

ისი მატყსა ჰყიდის (იქვე: 128);

რაც უნდ ბევრი ჰქონდეს, არ გაჰყიდის (იქვე: 129);

მუშათ შაჰყრის, ისენ დაუჩეჩენ (იქვე: 129);

ეხლა კი ჩოჭეთსა და ბაჭიჭებსლა ჰკერვენ (იქვე: 130);

ემმაკი ჰპატრონომსო, იცოდი ან (გ. ცოცანიძე, 1978: 69);

თხორი ჰქვია (იქვე: 69);

ცხვრები ჰყვანდა (იქვე: 69);

გაჰქცევია ტყედატყე და, რო დაღალულა . . (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 132)

მემრე ლექსად გადაჰქონდა (იქვე: 135)

ერთხელს ჯოროს ძმა მაჰკედომია (იქვე: 142)

მანდიდან უნდა გადაღვარდე და მაჰკვდეო? (იქვე: 139)

მტერს რო მაჰკლავდეს, მაღშკრიდეს ჳელს და დაჰკრავდეს სახლსა (იქვე: 138)

რადა ჰქვიან, არ ვიცი (გ. ცოცანიძე, 1978: 70)

დაჰპატიუებდენ ერთურთსა (იქვე: 70)

არ უნდა დაჰკლებულიყო (იქვე: 70)

ბატარასაცა - ჰქვიან ჯიელაი (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 127)

დათესილებს, ისე გადაღვის, რო თხლად მოდის ზოკანა (იქვე: 127)

მემრე ცხვარს კიდევ მატყლს გაჰკრეჭენ (იქვე: 128)

მემრე გაჰრეცხენ, კარგა გაჰრიკნიან ჳევში, აჰკრეფენ, შაინახვენ საზამთროდა (იქვე: 12)

ვინც მეცნიერი არ იყო, წიგნსა ღწერდა და დააგლო ის წიგნი (იქვე: 134)

მარიამობის დღესაო ქარ არ დადრავს ხესაო (იქვე: 135)

ხევისბერი დადლოცავს (გ. ცოცანიძე, 1978: 71)

მთას დარევია ჯანლები (იქვე: 71)

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჰ- პრეფიქსის ნაცვლად ხ—ს და ძხ—საც ვხვდებით.

მაგალითები: მემრე თბილად ჩახყრიდნენ (გ. ცოცანიძე, 1978: 72)

გამახყვა ჭინჭველაიც (იქვე: 72)

ზოგს ხუთასი ძყვანდა (იქვე: 72)

ვფიქრობთ, აქ ძ კავშირი აქვს პოზიტიურად წინა სიტყვის ბოლო ხმოვანთან.

ს- პრეფიქსთან ერთად მესამე ობიექტური პირების (ირიბისა და პირდაპირის) აღსანიშნავად, ვხვდებით ძხ—სა და ძ—საც. მაგ:

ზოგი მუშა დახწეწს მატყს, მემრე დახჩენს (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 129)

გაძცილდა ქისტები ბეწინიასა (იქვე, 139)

აი, გიგიაი გაძთიბს და აძხეგტოდი (იქვე, 127)

შენ ვერა ძცემ მა ჰარებსა (მ. ცოცანიძე, 1978: 71)

ზოგ ჭედელას დაძდგამდა (იქვე, 71)

უკვენ მაძდევდა ქისტები (იქვე, 71)

ს—ს ნაცვლად ვხვდებით ზ—ს და შ—საც. მაგ:

დადალულს დაძძინებია კიდევ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 132)

გამოძდგომივ ერთი ლეკი (იქვე, 132)

წყალს ჯარას ბატარა კევზე დაძდგმენ (იქვე 131)

წაწადაიც მხარსა შჭერენ (იქვე, 128)

მაშჭრიდეს კელს (იქვე: 138)

მგელ შაშჭამს (გ. ცოცანიძე, 1978: 73)

აღნიშნულ დიალექტში პირთა კომბინაციების დროს სუბიექტური პირველი და ობიექტური მესამე პირების შეხვედრისას ზმნის ფორმაში გამოიხატება ორივე პირის პრეფიქსი. პირველი სუბიექტური პირის ნიშნის გ- პრეფიქსის გვერდით გვხვდება მესამე ობიექტური პირის პრეფიქსებიც.

მაგ: თუ არ უნდისართ, მოვკვდები და აქ არ დაგსწირო (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 137).

ჯერ უნდა დაგსწიოთ მატყლი (გ. ცოცანიძე, 1978: 73)

დილას საქონს გამოგყევე, გადმოვაღალე გორზედა (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 132)

ვერა ვიცოდი, რაისაკ მიგყვანდი (იქვე: 132)

ემებს უთხრათო, საჩუქარს დაგპირდეთო (იქვე: 133)

წერილშია სწერავ, რო დაგსწიხდი კიაო (იქვე: 135)

ორ საკლავ დაგკალით, ერთ ძროხა, ხუთ ქობ ლუდ ვადუდეთ (იქვე: 136).

მატყუებენ, რო აღარაი გსტკვალ (იქვე: 137)

შემხვდა უპატრონო ცხვრები მე დაგშკამევ (იქვე: 132)

მესამე ობიექტური პირის მრავლობითობა –ნ სუფიქსით გამოიხატება.

### ფშაური კილოს ობიექტური პირის ნიშნების ცხრილი

I	მ _____	გვ, გვ- _____ -ენ~ნ
II	გ _____	გ _____ -თ~ენ~ნ
III	ს~ხ~თ~დ~დხ~ჰ~დჰ~დს~ზ~ დზ~შ~(დშ)- ~ქ- _____	ხ~ს~თ~დ~დს~დხ~ჰ~დჰ~ზ~ დშ-ქ- _____ -ენ~ნ~თ~თ

ამრიგად, ფშაური დიალექტი აღსანიშნავია პირის ნიშანთა ალომორფების სიმრავლით. საინტერესოა მხოლოდითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის –ვ სუფიქსი, რომელიც სხვა დიალექტებში არ გვხვდება. რაც შეეხება მესამე ობიექტური პირის ნიშნებს, აქაც მრავალი ალომორფია წარმოდგენილი. ობიექტური პირების მრავლობითობა, თუ სახელი ნარიან მრავლობითშია, ზმნის ფორმაში ჰპოვებს ასახვას და გამოხატულია პირველ, მეორე, მესამე პირში –ნ სუფიქსით.

ზემოთ მოცემული მაგალითების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფშაურ კილოში ისევე, როგორც სხვა ჩვენ მიერ აღნიშნულ დიალექტებში, მესამე პირის ირიბი და პირდაპირი ობიექტები თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი ზმნის ფორმაში და ერთგვარი პრეფიქსებით გამოიხატება.



## მოსეური დიალექტი

მოსეური ხევში მცხოვრებ ქართველ მთიელთა მეტყველებაა. ხევი მოქცეულია მდინარე თერგის აუზში და შეადგენს ყაზბეგის რაიონს. ხევის რაიონი სნოსწყლის ხეობით უკავშირდება გუდამაყრის ხეობას.

მოსეური კილოს გავრცელების არე გარკვეულია და მყარი. იგი თითქმის არ სცილდება ყაზბეგის რაიონის საზღვრებს. მოსევეთა სოფლები გაშენებულია თერგის ორივე მხარეზე: მარცხნივ, სოფ. ყანობი, ხურთისი, ფხელშე, გორისციხე, გაიბოტენი, არშა, თოთი, ფანშეტი, ტყარშეტი, გერგეტი, ცლო, გველეთი, ზემო და ქვემო ლარსი, მარჯვნივ: სიონი, გარბანი, ვარდისუბანი, თარგმანი, სტეფანწმინდა და სხვ.

მოსეური სოფლები არის აგრეთვე თერგის მარჯვენა შენაკადის სნოსწყლის ანუ შავი არაგვის ხეობაში: მარჯვნივ – კარკუნა, ქოსელი და სნო, მარცხნივ – ახალციხე.

ხევი ისევე, როგორც მთიულეთი და გუდამაყარი, ისტორიულად შიდა ქართლის ნაწილია. მოსეური კილო ქართული ენის დამოუკიდებელი დიალექტური ერთეულია თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებებით. ენობრივად მას ძალიან ბევრი აქვს საერთო ქართულურთან და კახურთან, განსაკუთრებით კი ახლოსაა მთის კილოებთან, კერძოდ, მთიულურ-გუდამაყრულთან და ხევსურულთან (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:25).

სამხრეთით ხევი ესაზღვრება მთიულეთი, ჩრდილოეთით–ოსეთი, აღმოსავლეთით – ხევსურეთი, დასავლეთით – სამხრეთ ოსეთი.

## სუბიექტური პირის ნიშნები

სუბიექტური პირველი პირის ნიშანია ვ- პრეფიქსი. ვხვდებით Ø- ალომორფსაც ხმოვნების წინ.

შაუბითვე ორი ჯარი ან ცხენი და ვჭხნავდითკე (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:27);

დაუგებთ ორს-სამს ფუთის თივას და ვალდახს გადავკრავთ (იქვე, 30); ჩავასხამდით, შაუნთებდით ცეცხლს, ავადულებდით და მიუდგამდით კოკასა (იქვე, 31);

მე უთხარ: მაიცა; სუყელაი გამაჩნდების-მეთქი (იქვე, 36);

ეს ქალი როგორ წაუყვანათ, ამ ლეკს ჩუენ წაუღათ ორი ჯმალი და ერთი თოფი, რო რძალი აღარ მაითხოვოსო (იქვე, 42).

რაც შეეხება სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმას, იგი -თ სუფიქსის დართვით იწარმოება.

სუბიექტური მეორე პირის ნიშნად სალიტერატურო ენის გავლენით შემორჩენილია ჰ- პრეფიქსი. უმეტეს შემთხვევაში კი ჰ- პრეფიქსი ცნობილი წესის მიხედვით იცვლება: ლ, რ, ნ, ვ, ბ, მ თანხმოვნების წინ გვაქვს ღ-; ხოლო გ, ქ, კ, ყ, პ თანხმოვნების წინ – ხ-; დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნებით დაწყებულ ზმნებში – ს-, რომელიც ასიმილაციის გზით ზოგჯერ იძლევა ზ- (დ, ძ თანხმოვნების წინ) და შ- (ჩ, ჭ თანხმოვნების წინ) ნიშნებს. (ივ. ქავთარაძე, 1985:50)

მაგალითები: დაღბერდი, რასაც ღნახავ, იმასაც დაღმეტე, არ ხელაპავკე? დაღწერე ეგა..., შენ დაღლიე? (იქვე, 104)

უთხრეს იმ ყმაწვილს: – რაი ხქენ, რაისთჳი შაშქამეოა? (იქვე, 107),

მამას რაისთჳილა ღლანძღავდიო? (იქვე, 107)

შენ ამათ გაღწავლეს სუყულაფერით, ისრი უნდა მაღქცეულიყავიო (იქვე, 111)

აქ მაღი, რას ღფრინავ იქი-აქაო! (იქვე, 129)

რაღცა შენ ჭქენ, იმღჳენი წისქჳილს არ უბრუნებიაო (იქვე, 111);

შენ იფრო იმისთანა კაცი უნდა მოღნახა, რომელნიცა ჩონგურზეც ამღერდებოდეს ძრიალა, ღხინიც უყორდეს (იქვე, 114)

აი, თუ გინდა, რო გაღტეხა, გერგეტლებს შეეხჳეწეო (იქვე, 122)

არც ვინ არ აღდგეთ ჩემგამეტი, რო მაიკჳლიას ცეცხლიო (იქვე, 126)

რაისთჳი ჰჩაგრავ, კაცო, მაგ ბაღლსა, მიეც თავის ფიცარი (იქვე, 152)

სიმონა, ეს კოტიას მიღცოდე? (იქვე, 152)

გაღი, დაღბრმი და დაღკოჭლდი (იქვე, 151)

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ზმნის ფორმაში შეინიშნება ორმაგი გამოხატვა სუბიექტური პირის აღწერილობით ზმნაში: ქალაქს მისდიხარ?

რომენი მისდისარ მაგ შროვანთა გზათაო, .. გვხვდება კონტამინაციური ფორმები: სად მიზდისოდი, რჯულძაღლო, მზეს დაგიბნელებ ცისასა; შენ კი არ მიზდისიდიკე სამეზანი?; ხთიშობლობანი მისდისიდათო? (იქვე, 50)

ჩრნსას აღარ დაზდისხარ, დისწულო, რაჩია საქმე? (იქვე, 154).

სუყელაის გულით გამასდისხარ, განა ეგრე შაიძლება? (იქვე, 150);

სუბიექტური მეორე პირის მრავლობითიც -თ სუფიქსის დართვით არის წარმოდგენილი.

სუბიექტური მესამე პირის ნიშნები ისევეა წარმოდგენილი, როგორც სალიტერატურო ენაში, მაგრამ ვხვდებით გარკვეულ სახეცვლილებებს. კერძოდ: წყვეტილში და II თურმეობითში ჩვეულებრივ იხმარება -ა: ნუგზარმა ოსები და ლეკები მიიმხრა. როცა იმან გაიგა; ხმლით სცა და თავგაუპა, დააძრა ოქროს ვეშები; გააღა კარები; დაუწყა ჩხუბი; გაავლა ჰელი; ადგილი ვერ დათმა; სულ ტყუილი უამბა; გალა ჩასცხა თავნი; შეიღებს ერთი სახლი დაუდგა... (იქვე, 51).მაგალითები: იმან არაფერი ჰიამბა? (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია... 1961:32);

კლდე არის და უნა მასტეხუ, გააკეთუ შენ თითონ კვერითა (იქვე, 32);

დაჯღღ და დაიწყუ ფიქრი (იქვე, 34);

ამაიღუ თოფი, დახკრუ და მოკლუ იქვე (იქვე, 44);

მარტო იმან დაიწყუ აქ ცხოვრება (იქვე, 44);

ჩააწყო საგძარი და წაუღუ (იქვე, 45);

გაივსუ გუდაი და წავიღუ (იქვე, 45);

იმან ამაიღუ და თავისი ნიშანი უჩვენუ (იქვე, 48);

ვისაც კი შეეძლა, ყველას უნდა მეეტანუ ფიხის კონები (იქვე, 48);

თუ ზმნის ბოლოს არის ვა კომპლექსი იგი ო-დ გადაიქცევა:

შარცხუ გოგიანთა, გამოიღეს და გუითხრეს (იქვე, 37);

არ გაუშუ, ერთი, სულ დახოცა (იქვე, 43).

ჰელჩი თოფი გუეჭირა, გომოგორთუ თოფი, წაიღა იქითკე (იქვე, 89);

ხათრობდეს და იმ ხათრმა ადგილი კი წაართუ (იქვე, 118)

-ს სუფიქსიანი ფორმები:

ეს მაინც ბევრის პატრონია, ის მეთაურობუ (იქვე, 86);

გაიმართილ ტაშ-ფანდურაი და დაიწყილ ჯველების ლხინი (იქვე, 96);

მემრე „დათუიაშ“ მოიყარილ დონჯები (იქვე, 97);

წიწკრა ან ჯოსს დაიჭერდის დათუაი და დაიწყის ხუეტა (იქვე, 97)

იშვიათად ვხვდებით ნულოვან ალომორფსაც:

ქალისა მამბული აქუ მეჯაირესა და შამაავლევენ იქა კერასა (იქვე, 103);  
მეც კარგა მაკსონ, ჩუენს ამოდიოდის, გუიყორდა (იქვე, 108);  
ეს საქმეები ბებრებისგა **გუქ** გაგონილი, ცხო კი არ **მახსონ** რა (იქვე, 110);  
საცა ცეცხლის სინათლეს დაინახავდეს, რო იქ გაჭირვება აქუ (იქვე, 123);  
კარგა **ზძინავ**

ერთი იფრო მაზრდილი ქალაი ყოფილა, იმისთუი უთქომ (იქვე, 124);  
ცოლი ხუთის ფიცით **მყავ**, ეგ დად მომეცით, წავიყვანო (იქვე, 128);  
მოხეურში ვხვდებით -ან სუფიქსს:

იმ ორშაბათით მცალიან: ნუ გიხარიან ქალებო! ნუ გეშინიანთ, მოვალთო (იქვე, 52);

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმები ძირითადად -ეს სუფიქსით იწარმოება, გვაქვს -ენ, -ან ნიშანიც, ძალიან იშვიათად კი -ნენ.

მაგალითები: ისები ივენ**გს** ჭკვიანი კაცები (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:32);

წმიდა ბეთლემში ბერები ცხოვრობდ**ეს**, იქ ღორები თხრიდ**ეს** და ბერებმა თქვ**ეს**:  
ღორი აღარა ვჭამოთო (იქვე, 33);

ორნი კი დაიმალ**ეს** (იქვე, 44);

ჩამავიდ**ეს**, მაგრამ წყალი ვერ იპოვე**ს** (იქვე, 44);

ისინი წავიდ**ეს**, მოვიდ**ეს**, შალაპარაკდ**ეს** და იცნ**ეს** ბესოი (იქვე, 46);

შეხვდ**ეს** ერთმანეთს, მიესალმ**ეს**, გაეხარათ და უთხრ**ეს** (იქვე, 49);

ისენიც ტიროდ**ენ** თავის ენაზე (იქვე, 51);

ჩიოდ**ნენ** შავთელები (იქვე, 51);

ერთგულებად ემსახურებოდ**ნენ** (იქვე, 53);

ქადას წაიღებდ**ენ**, დაილოცებოდ**ენ** (იქვე, 54);

წავიდ**ნენ** ახალგაზრდები, მართლაც, ეგრე მაიქც**ნენ**, მივიდ**ნენ** და მიადგ**ნენ** ვაჭარს (იქვე, 51).

სილამ ჩუენ მკუდარს არ მოგუტიტან**ენ** (იქვე, 126);

ერთხელ ცხორს თურმე ხპარსავდ**ენ** გაღაგანნი (იქვე, 110);

მისცემ**ენ** ჭურჭლით არაყსა-თავთავსა და უკენ გამაისტუმრებ**ენ** (იქვე, 103);

როცა ბატარძალს მამზადებ**ენ**, შამაავლიან წინავა... (იქვე, 102);

ხალხმა ურმებამდე გააცილის და გაისტუმრიან ქალიანთაგა (იქვე, 103);

მთელი სოფელი გარეთაა, როცა მაყრები მიდიან ან მოდიან (იქვე, 103);

წინ თევში დაუდგ**იან**, რო დედუფალსა და ნეფეს დემტურია (იქვე, 103);

მაყრები გემეერევიან, საქონელსა დაჯოცან და დაიწყობა გართობა (იქვე, 103).

## სუბიექტური პირის ნიშანთა ცხრილი

მსოფლობითი	მრავლობითი
I ვ~Ø- _____	ვ~Ø- _____ -თ
II კ~ს~ხ~ღ~შ~ზ~ყ~Ø- _____	კ~ს~ხ~ღ~შ~ყ~ზ~Ø- _____ -თ
III _____-ა~ს~ო~ან~ Ø	_____ -ეს~ენ~ან~ნენ

### ობიექტური პირის ნიშნები

პირველი ობიექტური პირის ნიშანი როგორც ირიბის, ასევე პირდაპირის არის მ-პრეფიქსი. იგი ისევე იხმარება, როგორც სალიტერატურო ქართულში.

პირველი ობიექტური პირის მრავლობითის ნიშანი გვ-პრეფიქსია, რომელიც გვაძლევს სახეცვლილებებს. აქ საუბარია ლაბიალური ბგერების გავლენით წინამავალი ზმნისწინისეული ღია ხმოვანების ცვლაზე ბაგისმიერ ო ხმოვნად. როდესაც სიტყვაში გვაქვს ჭ, ჭა –ო, ჭე – ო და ჭი –უ, მაშინ ძალიან ხშირია რეგრესული ასიმილაციური ცვლილება (ივ. ქავთარაძე, 1985:22).

ასიმილაციას იწვევს პირველი ობიექტური პირის გუ-პრეფიქსის ჭ ელემენტი, რომელიც სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვა ფონემას გვაძლევს, კერძოდ:

1) იკარგება

მაგალითები: ცხორი კარგს შამოსავალს გოდღევს (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, 1961:27);

სათითები შორსა გლქ (იქვე, 29);

კარგა გოთიბინელ (იქვე, 29);

მშუილობით გომყლფულ, ლამაზათო, - იტყოდეს (გვ, 29);

მამრე ვაჭრობა აღარ გოგიმართა, სალომემ აპატია (იქვე, 36);

როგორც წესად გლქ, შარიგება ეგრე ვერ მეეწყო (იქვე, 36);

თაფი ჭელი ჩაჰკრა და კიდავ უფრო გოგიცოდვილა (იქვე, 37);

უწინ ასეთი ადათი გქონდა ჩუნა (იქვე, 39);

ეს ხალხი ჩუნ გოგპარვია (იქვე, 41);

ერთი კვირა ავღარი იყო, დოვისველა ფარჩა (იქვე, 46);

თბილისი ჩამოყონეს, გამამიცვალეს ტარვალი და მღვრეკეს ბათუმშიგა (იქვე, 51);

2) ტა – ო

ჩუენ ქიშტეები ვართ, კაცი შომოგუკვდაო (იქვე, 45);  
შენ რაი გინდა, თავი დოგუნებო – იმათ უთხრეს (იქვე, 46);  
იმათ ადრე გოგუფროთხილეს და გოგუგებინეს (იქვე, 49);  
როგორც წესად გუქ, შარიგება ეგრე ვერ მეეწყო (იქვე, 36);  
შიშითა ღამე გეველა, რო არ წოგორთონო, არ გუგიგან (იქვე, 127);  
წმინდა სამება დოგუშოშმანებსო (იქვე, 23);  
კიდავ გოგუდმწარებს და გოგუტანჯავს (იქვე, 44);

3) ტე – ო

ისრიე ჩრნიანები დრგუტხმარეს (იქვე, 43);  
თუ ლეკი დოგუცასო, თუ მე მოვეკვიო, შენ ცხოზე არ გასთხოვეო (იქვე, 43);  
კედელი რო ოგუტგა, ჯერო უნდა გოგუტთხარა საძირე (იქვე, 92); (იქვე, 43);  
სათემოდ თავები დოგუტტრებაო (იქვე, 45);  
მიღამდე არ მოგუტცემდეს ნებასა, რო მოგუტეტანა სახლჩი (იქვე, 28);  
ჩუენ ძუეელები გუტეუბნებოდეს (იქვე, 46);

4) ტი ან უი – ტ

ღმერთო, გუტიშუელო, ნუ გასეტყვაო (იქვე, 28);  
იმასთან საზიდრად მიგუტიწვიეს. (ი. ქავთარაძე, 1985:113);  
აქ სუ ყანალები იყენეს, გზაზე გუტიხუდებოდეს, არ გაივლებოდა (იქვე, 114);  
მინამ ჩუენ მკუდარს არ მოგუტიტანენ, არ გაუშობთო (იქვე, 125);  
იქნება იმან მაინც რაიმე გუტიშუელასო (იქვე, 129);  
შენ ეგრე გასასტუმრებელი არ გუტყვიხარო (იქვე, 137);  
ჩუენც თქუენ გუტინდოლითო და აღარ წავიდეს (იქვე, 147);  
იმის პატრონებმა გუტთხრეს: აქ რას უდგახართო (იქვე, 112);

5) გუ-

მამრე თავის ცხორი გუტყვანდა, ცხენებიც ბევრი გუტყვანდა (იქვე, 113);  
ამ გადმასახლების მოსაგონრად გუტქონდა დღესასწაული (იქვე, 98);  
მიწური სახლები გუტქონდა (იქვე, 115);  
შემეეძრახა მტერს იქითა: – ნუ მოგუტდეგხარო (იქვე, 119);  
მიგუტყოვ ამ დედაცხორთან მინდორჩი, ვხრითკე ბატკნებსა და მოგუტყოვ ბინისკე (იქვე, 86);

ივ. ქავთარაძის აზრით, მოხეურში ზე, ზი კომპლექსები გვაძლევს ო-უ რეფლექსებს, რომლებიც იმავდროულად იძენენ ლაბიალურ არტიკულაციას, უმლაუტდებიან ხოლო გაუმლაუტებული ხმოვნის დაშლის შემდეგ ხდება ლაბიალური ხმოვნის დაკარგვა. ანალოგიური ცვლილების შედეგები ნაშთის სახით შემორჩენილია სახელებში, ზმნებში კი მოქმედი პროცესია. გარკვეული მნიშვნელობა ასეთ ცვლილებებში შეიძლება მახვილის მოქმედებასაც ჰქონდეს (ი. ქავთარაძე, 1985:26).

ობიექტური მეორე პირის ნიშანი გ- პრეფიქსი ისევეა წარმოდგენილი, როგორც სალიტერატურო ენაში და რაც შეეხება მის მრავლობითობას, იგი –თ სუფიქსის დართვით იწარმოება:

მაგალითები:

შემოდგი ფევიო, ჭწყალობდეთ ღმერთიო (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 96);

იმან არაფერი ჭიაბბა? (იქვე, 34);

მამრე არავისთჳი ჭითქმია? არ შაჭიხვილია? (ი. ქავთარაძე, 1985:152);

ცხელ დღეს მეთქი დაჯაყენებენტ, თავრობაჩი ნუ მაჩივლებთ (იქვე, 152);

სიმინდი რო მაჭპარა, ხმას არ იღებ? (იქვე, 152);

საკაკბიაი რო არ ჭენახა, სულ ნახხატი ყინული იყო (იქვე, 153);

ვაიმე, არ ჭიკტირსთ, ბატკანს ჳმაზე სცნობს, რომლის დედისაა! (იქვე, 151);

აი, ღმერთმა გიშუელას და გადმაჯხედას (იქვე, 149);

ობიექტური მესამე პირის როგორც ირიბის, ასევე პირდაპირის ნიშანი არის უმეტეს შემთხვევაში ჳ- პრეფიქსი, რომელიც სხვადასხვა ვარიანტებს გვაძლევს გარკვეულ პოზიციებში: ლ, რ, ნ, ვ, ბ, მ გვაქვს ღ-; გ, ქ, კ, ყ, ჳ წინ – ხ-; დ, თ, ტ, ძ, წ, ც, ჯ, ჩ, ჭ, წინ – ს-; რომელიც ზოგჯერ ასიმილაციის გამო იძლევა ზ- (ღ, ძ თანხმოვნების წინ) და შ- (ჩ, ჭ თანხმოვნების წინ) ნიშნებს.

ი. ქავთარაძე აღნიშნავს, რომ მესამე ობიექტური პირის ნიშანი ზმნაში მოეპოვება პირდაპირ ობიექტსაც, იქნება ის მიცემითში თუ სახელობითში. მისი აზრით, „ცნობილ წესს გარდა, ნიშნის ხმარება თითქოს ინტენსიურობის, მეტი ექსპრესიულობის მიზნითაც აიხსნება“ (იქვე, 50).

ვფიქრობთ, ნიშნის ხმარება ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ინტენსიურობისა და ექსპრესიულობის გამომხატველი იყოს, მაგრამ ამას კავშირი არა აქვს იმასთან, პირდაპირია თუ ირიბი ობიექტი.

მესამე ირიბი ობიექტის პირისნიშნის ფორმები:

გავცქერდი ცხტების ნათიბსა, ჩამამდიოდა ცრემლი (ი. ქავთარაძე, 1985:85);

რომენსაც ხყავ ბევრი ცხორიმ ხთხოვს, ცხორი უმწყესას (იქვე, 86);

ამ ადგილს, მეტს ვინც მიხცემდა, იმას რჩებოდა (იქვე, 86);

დედაკაცები კი მაკუზილებია და ისრი მიხდევენ უკენა (იქვე, 87);

თოფი ვესროლეთკე, ისრი კი, რო არ მახხტედრიყო და არ დოგეჭირა (იქვე, 89);

გატრიალდა ისრივ ქედ-ქედ შაჰყვა (იქვე, 89);

რო არ გავცვლიყავით, სულს გოგოყრევეინებდა (იქვე, 89);

თუ შახთანხმდეს, ორნი ერთად წაველენ (იქვე, 94);

როცა შეუგინებია შიუკას, ქალი გაჟჯავრებია (იქვე, 110);

თოლებს კი არა გახტირებიყო რა და აღარც წარბები და უღვაშები ხტონიყო (იქვე, 117);

იმათ კარგა ხტინაიათ და ხტრინვენ (იქვე, 116);

სუყელას ის დგონებიყო, რო თოლები დეეწობოდაო (იქვე, 117);

ზმნის ფორმები, სადაც წარმოდგენილია მესამე პირდაპირი ობიექტის პირისნიშანი:

აქ თუ ვერ ხთიბენ საკმარსა, მაშინ ყიზლარში გუინდა გადადენა (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:27);

ცხრა ხუთეულს რო მაჰკრეფდეს ერთადა, მარჯილის უბე ექუინა (იქვე, 28);

ვღლეწდით კარითაც, ცხენითაც (იქვე, 28);

ორს-სამს კარგს ყონს დაჰკლავდეს, ხატს შახთხოვდეს (იქვე, 29);

მოვიდოდეს გაღლესდეს, პირს მოუწყობდეს (იქვე, 29);

ჩაუსხდებიან, სათარს დავსწნავთ, დაუგებთ თივას (იქვე, 29);

გავდრეცხ, გავჩენ, შავსთელავ, შავხკერავ ჩოჭას, პაჭიჭას, შარვალსა (იქვე, 30);

ვარიანი მაიქცევა და კვერცხებს დახლებს (იქვე, 32);

მე გამფიქრდა, რო უნებლიეთ მაჰკლავდა-მეთქი (იქვე, 35);

ჩვენ ორშაბათსა, ოთხშაბათსა და პარასკევს არ დავღმარხავთკე (იქვე, 39);

ვინც მახკლავს, ტყავი იმისია, დანარჩენ ვორცს კი გაჰყოფდეს შუაზე (იქვე, 49);

ერთხალ ცხორს თურმე ხპარსვენ გაღავანჩი (იქვე, 50);



აღსანიშნავია, სუბიექტური პირველი და ობიექტური მესამე პირთა კომბინაციები. ზმნის ფორმაში წარმოდგენილია ორივე პირის ნიშანი – სუბიექტისა და ობიექტის, იქნება ის ირიბი, თუ პირდაპირი. მაგალითები:

ოთხმოცდაათს ჰელეურსა ერთაზე შაჰკრავდით და იმას წესს ვეტყოდით (იქვე, 29);

გლელვით ჯართაც, ცხენითაც (იქვე, 28);

იქვე შაჰკონავდით (იქვე, 28);

ჩაუსხდებიან, სათარს დაგსწნავთ, დაუგებთ თივას (იქვე, 29);

ტოლს გაგდმართავ, გაგსწყვეტ მარცოლს – თითო ღილს (იქვე, 30);

სამოცი მკლავი მოგქსოვით, გავეჭრი დუქარდითა (იქვე, 31);

დაგხყრიდით ფარგდაგზე ან ცხო საფუნზე და (იქვე, 31);

ემ ხალხს ვერვის ვსცნობო (იქვე, 35);

ჩვენ მადლობა მოგსთხოვეთ იმ ადამიანსა (იქვე, 35);

მე ხალხს შაჰკითხე ... (იქვე, 35);

ეს დაგსტოვათ და იქ ვიცხოვრათო (იქვე, 44);

ტარვალს შინ ვქსოვდით (იქვე, 45);

ასე, ვიჯამაგირე ცხოსთანა, მიგყე, გაბევრდა ცხორი (იქვე, 48);

ამტენაზე გაგსცდი, მოგსცქირე, ვეცი, ზედ ჩემს მკარზე თოფი გავარდა (იქვე, 50);

აღსანიშნავია, მოხეურში კე ნაწილაკიანი ფორმები, რომელიც გამოიყენება „ხოლმეს“ მნიშვნელობითაც.

მაგალითები:

იფქლის შამდეგ ვთესდითკე ქერ-სტილსა, ვინახავდითკე ფქტილს სტუმრისთუი (ი. ქავთარაძე, 1985:84);

ცოტას ამაიწვესკე ჯეჯილი და მამრე იმას თოვლი დეეფარებაკე (იქვე, 84);

ლაბარს ძროხებს ვაჭმევთკე და ღამე სასინათოდაც ვჰკმარობთკე (იქვე, 84);

იმას საჩაღეებჩი ინახავდიანკე (იქვე, 85);

გზანი დრეციანკე ქიშტები და ცხორი გრგირეკიანკე (იქვე, 86);

ამ საზაფხულო საძოვრებზე იპარსებაკე პირველი მატყლი (იქვე, 88);

ზოგჯერ ერთი ცხორი ორს ბატკანს მაიგებსკე (იქვე, 88);

მთელი ზამთარი ჯორცი არ მოგოკდლებაკე (იქვე, 90);

ერთი გრძელი კუირე გამადიოდისკე ერეთის სიმხიარულითა (იქვე, 97);

ერობას ვიძახით ჩუნა, საცა ბერიკაცები არიანკე (იქვე, 107).

## ობიექტური პირის ნიშნები

მსოფლობითი	მრავლობითი
I მ- _____	გვ-~გ-~გო-~გუ-~გო-~გუ- _____
II გ- _____	გ- _____ -თ-Ø
IIIჰ-~ხ-~ს-~დ-~ზ-~შ-~ჯ-~Ø _____	ჰ-~ხ-~ს-~დ-~ზ-~შ-~ჯ-~Ø- _____ -თ-Ø

ამრიგად, მოხეური დიალექტი ფშაურის მსგავსად, ალომორფთა სიმრავლით გამოირჩევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, მესამე სუბიექტური პირის მსოფლობითი რიცხვის სუფიქსები და პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი გვ- პრეფიქსი. აქაც, როგორც ფშაურში, ზმნის ფორმაში გამოიხატება ნარიანი სახელის მრავლობითობა -ენ//-ნ სუფიქსებით.

რაც შეეხება მესამე პირდაპირი და ირიბი ობიექტური პირების გამოხატვას ზმნის ფორმაში, იგივე სურათი გვაქვს, რაც ფშაურში.

## თუშური კილო

თუშურს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთის კილოებში. თვით თუშეთი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მის ჩრდილოეთის კალთაზე... აღმოსავლეთის თუშეთს დაღესტანი საზღვრავს, დასავლეთით – ფშავ-ხევსურეთი, ჩრდილოეთით – ჩანეთ-ინგუშეთი და სამხრეთით კახეთი. თუშეთი შემოზღუდულია წყალგამყოფი მაღალი ქედებით, რომლის ნაკადები იწურებიან თუშეთის ორ მდინარეში: გომეწრისა და პირიქითის ალაზანში. შეერთებული ალაზანი უკვე სცილდება თუშეთის საზღვარს და დაღესტანში იჭრება... მთელი თუშეთი ამ ორი ალაზნის აუზშია მოქცეული და სამ ხეობად იყოფა: პირიქითი, გომეწარი და ჩაღმა“ (ს. მაკალათია, თბილისი, 1983: 5).

თუშეთის ცენტრად ომალო ითვლება. თუშეთს ზოგჯერ მთათუშეთსაც უწოდებენ, რადგან თუშები კახეთშიც სახლობენ, კერძოდ, ახმეტისა და თელავის რაიონებში (ბ. ჯორბენაძე, 1989, 251).

თუშები ზემო ალვანში სახლობენ. წოდები თავიანთ თავს ბაცბებს ეძახიან, ენას კი – ბაცბურს. გვარები ბაცბებს ქართული აქვთ, სარწმუნოებით ქრისტიანებია (თ.უთურგაიძე, 1960,7).

თუშური – ეს არის ქართული დიალექტით მოლაპარაკე მოსახლეობა და შესაბამისად მათ ენას ქართული ენის თუშური კილო ეწოდება.

თუშური დიალექტი გამოირჩევა თავისებურებებით, რომელიც მხოლოდ ამ კილოსთვის არის დამახასიათებელი. ესაა: ა) ბაცბურის გავლენით წარმოქმნილი მკვეთრი (ძლიერი) შემართვა-დამართვის ხმოვნები (ბ. ჯორბენაძე, 1989: 24). ძლირი შემართვისა და დამართვის შეიძლება იყოს ხუთივე ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ); ბ) პოზიტიურად მიღებული გრძელი ხმოვნები; გ) ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა და მისი იოტაციის ტენდენცია; დ) მოკლე ხმოვნები (იქვე: 253).

როგორც სხვა დიალექტებში, აქაც დაცულია ჳ, ფ.

## სუბიექტური პირის ნიშნები

პირველი სუბიექტური პირის ნიშანია ვ-, რომელიც გარკვეულ პოზიციებში იკარგება; კერძოდ, ხმოვნების წინ.

მაგალითები: ფიჭეს რო გამოედითავ, ტიროდავ ცნეს ქალივ, ჩვენ კი ეარ ვტიროდეთავ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:118);

ფარას წინ მივეგებევ, ძმის ფარა რო ვიცანივ, ტირილ დავიწყევ, უთხარივ... (იქვე, 118);

გადმუცტანევ გასაღებებევ, უთხარივ... (იქვე 119);

მოედევ დიკლოშიავ, ჩემ ძმა კი მომკვდარ ყოფილიყოვ (იქვე, 119);

მე უთხარ: - შვიდისა ვარივ (იქვე, 120);

ამოთარ ერთ კალთავ ყურძენი, მოვიდეთა-დ' ერთ კარგადაც ჭუამეთ (იქვე, 121);

რომელ სოფელში ჩავინეთ, რომელს მოავლოთ თვალიო? (თ. უთურგაძე, 1960:148),

ხისიში გამაროს ციხეს – იმას გაუცხნეთ კარიო,

შიგითა გამოიყვანოთ ჭოქის ლამაზი ქალიო (იქვე; 148);

შიგითებ გამოვრეკოთავ ქისტების ლამაზ ქალნივ (იქვე, 147),

იქითა შემოაბრუნოთ ცხვარ-ცხენი-დ' ჯაროანივ (იქვე: 147);

ვ – პრეფიქსიანი ფორმები:

ზოგს ეთქვ: - ხისო ჩავიდეთავ, ცნექ ჩავლეწნეთავ კარნივ, გამოვრეკოთავ ხისოელთ ლამაზ ქალნივ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:111);

გარევ რო გავხედეთავ, სუ წითელ-ყვითელ ბარიახიანებ ჯარ აჩინდავ გარევ ხოსიავ (იქვე; 110);

ჩვენ ბარვ ვაცილიდითავ ჩიგლაყურთის იქის კდეებში (იქვე: 110);

მრავლობითი რიცხვი პირველი სუბიექტური პირის იწარმოება ჩვეულებრივ –თ სუფიქსის დართვით.

მეორე სუბიექტური პირის ნიშნად უმეტესად გვაქვს ხ – პრეფიქსი, ვხედებით ჰ-ს და მის ფონეტიკურ ვარიანტებს: ღ, ს, ზ, შ და ძ ალომორფსაც.

მაგალითები: უთხარივ: - თუ დამ გასაღებებითავ ბორკილებ გნცლოთავ, იგრ წედითავ, მთაზე გზა არ აგერიოსთავ (თქვა; 119);

აბადავ, ღოროვ, ერთიდავ შენ ღორულად შეხედევ (იქვე; 122);

მურთაზ, რად გამოქცეულხარ, რადამ შნცრცხვინე გვარიო? (თ.უთურგაძე, 1960:149);

შეიტყოთ, გამომიგზავნეთ წამალი კირიმისაო (იქვე; 149);  
ნუ სტირი, ლეკის ბელადო, დავლობ წარსულის წესია (იქვე; 152);  
ქალაყო, სულითამ სცხონდები, ბაქი, შენ ვაჩივრისაო,  
არ გადახყევი ლეკებსა, ჳელი არ იკადრ მტრისაო (იქვე; 154).

მეორე სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმა ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში -თ სუფიქსის დართვით იწარმოება.

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი არის სუფიქსები – -ს, -ა, -ო -ფ.

მაგალითები: რომელ ტახტშიაც ენეს ქალ წევსავ, ენექ თავთან დუჯჯედო-დ' (თ. უთურგაიძე, 1960:114);

ენემაგის შიშითავ ენემანდ ვერავინ ვერ შედისავ (იქვე, 114);

ცხრა დღე-ღამის ძილ შჭირსავ (იქვე; 114);

ვინ მომირეკავსავ ენემ რაშებსავ (იქვე; 115);

თუგინდ სუ ენექისაკ ნაპირში იყოსავ, მე რო მნახავსავ, მაინც ჩემკის მოაღისავ (იქვე; 116);

ჳელთ უჭერავის სიათა, კონდახს უკვენით ზისავ,

ზეუბნის თოფებ გამოდის, შეილია ქურაზისავ (იქვე; 154);

ა – სუფიქსიანი ფორმები:

დაღონდავ ენეს ბიჭივ, ჩავიდავ რაშსთანავ (იქვე;115);

მემრ ენემ ბიჭმ უთხრავ, რომევ საწველავ რაშებ მომირეკენივ... (იქვე; 115);

მემრ უძახავ ენემ ქალმავ ძაღლებსავ (იქვე; 115);

ო – სუფიქსიანი ფორმები:

ენემ ჳელმწიფესავ ლამფა ჩნექროვ (იქვე; 112)

დაღონებულიყოვ ენეს ბიჭივ, ჩასრულიყოვ თავის რაშსთანავ (იქვე; 113);

ენეს გურამი კაი ალაგს გადნეგდო (იქვე;119);

ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც არა გვაქვს მესამე სუბიექტური პირის ნიშნები. უნდა იყოს –ა სუფიქსი და მის ნაცვლად არის ფ ალომორფი.

მაგალითები:

ბიჭი წავიდ, სამ დღე-ღამეს იარ (იქვე; 110);

მესამე დღეს ერთ წყაროზე დუჯღამდ (იქვე;110);

კარაგის წყაროსთან ზვავ დგებ, ცრექ თურმე დაჯდ შეთედ (იქვე: 109);  
მემრ შაბალნესთ ბაკურმ უთხრ... (იქვე:108);  
რო გათენდ, ქალმ უთხრ: - ჩვენ შინ წავიდნეთავ (იქვე: 117);  
წამოიდ ისევ თავის სანადიროებშია-დ' წინავ რო თოფითაც ძლივაც ხვოცდ  
(იქვე: 118);  
შეჯდ აკაზმაზუა-დ' წავიდ დაუ სადამოსად სიაც ცრეს ბიჭ ნადირობს (იქვე:120);

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი -ეს ძალიან  
გავრცელებულია. გვხვდება გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებთან წყვეტილში;  
ასევე გვაქვს: -ენ, -ან, -ნ, სუფიქსებიც, იშვიათად -ნენ.

მაგალითები:

ხულანტელებ როცა აღარ დგებოდეს, წყალს არ აწმიდებდეს (ი. გიგინეიშვილი,  
ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:109);

დაჯავრდნეს თუშნი-დ', წინამძღვრებად კაი-კაი ბიჭებ ხყვანდნეს, გადავიდნეს  
ხულანტის მთაში (იქვე: 109);

მოვიდნეს ერთ სოფლის ახლუაეს ქისტები (იქვე: 114);

ტუტარიკ წისქვილ ყოფილიყვენეს ორ და-ძმანი (იქვე: 115);

ლეკებ გულად გასრულიყვენესავ (იქვე: 118);

დამ ოჯახშიგ ცხოვრობდეს დედ-მამაი-დ' ორ და-ძმები (იქვე: 121);

ცრესენ კარგადაც იზარდებოდეს (იქვე:121);

ცხვან რო წლით იზარდებიან, ცრესენ დლით იზარდებიან (თ. უთურგაიძე, 1960:119);

ქალაქ გაეშენეს, ცხოვრობენ ლამაზად (იქვე: 135);

გარდითა კითხულობენავ, ივანეს ბინა სად არივ (იქვე: 138);

შესპირებიან ერთმანეთს, ერთურთს უჭიროთ მჭარიავ (იქვე: 141)

ცირბევ ვინ ხმკიან ყანასავ, ძნას რო აწყობდეს ჯარადავ (იქვე: 140);

თოფები მოციქულობდნენ, შუბებ სწლაპევდნენ ენასავ! (იქვე: 140);

ბიჭო, შენსა თავსა მბრალობენ ვფიცავა-დ' არა ყჯერანა (იქვე: 140);

მჭარს შჭერენ ფშავლის ყმანია (იქვე: 145);

ჩირდილ შეყრილან მაყრები, გამოდის თოფის კმანია (იქვე: 157);

ქურდულად წამოეპარნენ, ვით მონადირე შეველსაო (იქვე, 172);

შეგრეკონ გალაგანშია, შიშაქო-დ' იწველებოდე (იქვე: 175);

## სუბიექტური პირის ნიშნები

მხოლოდობითი	მრავლობითი
I ვ-~ø- -----	ვ-~ø- ----- თ
II, ხ-~ჰ-~ს-~ზ-~ღ-~შ-~ყ-~ø -----	ხ-~ჰ-~ს-~ზ-~ღ-~შ-~ყ-~ø ----- თ
III ----- -ს-~ა-~ო-~ø	----- -ეს-~ენ-~ან-~ნ-~ნენ

## ობიექტური პირის ნიშნები

ობიექტური პირველი პირის მ- პრეფიქსი და ამავე პირის მრავლობითის პრეფიქსი გვ- ისევეა წარმოდგენილი, როგორც სალიტერატურო ქართულში. აქ მოვიყვანთ მხოლოდ მაგალითებს:

- ბაან საწყალ კაც ვარივ, შვილ ვერ მომინათლავისავ (უთურგაიძე, 1960:124);
- მომკალივ უთხრ, ხოლოთ ერთიმევ ჩემ ძმა გურამ მანახვიავ (იქვე, 123);
- შეგიძლნავ ეს ქალ მომგვაროვ (იქვე, 120);
- ერთ ბოთლ ღვინო მომეცივ დავ ერთ ბოთლ ბანგივ (იქვე: 120);
- არიქათ, მოგვეშველენთ ლეკის ჯარ დაგვეც (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:108);
- უწყლოდ ნუ დაგვეცოცავთავ (იქვე: 118);
- მერმინასევ გამოგვრეკესავ ტყვეებივ (იქვე, 118);
- წინ მოგვიძღვებოდავ ბელადიო-დ (იქვე, 118);

მეორე ობიექტური პირის ნიშანი გ- პრეფიქსი, სალიტერატურო ენის მსგავსადაა წარმოდგენილი თუშურში; მრავლობითი რიცხვის ფორმასაც -თ სუფიქსის დართვით იწარმოებს. იშვიათია შემთხვევა, როდესაც ყრუ თანხმოვნების წინ გ იქცევა ქ-დ.

მაგალითები:

- ხათრივ შენ დიაცცისიო-დ' მანდილისივ, თვარამევ ცნესქავ აგკუწავდივ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:113);
- ყაჩადიავ გასრულივ, არ გიდალატონავ (იქვე: 113);
- წედივ, ღმერთმავ ჰელ მოგიმართოსავ (იქვე: 113);

თუ ჩვენ ცხენებს მოგვისხამავ, ცნებაში მოგცემთავ თქვენს ცხენებსავ, თუ არაო-დ' არავ (იქვე: 117)

რადამ მოგყავდათავ, იქავ მოგეკლათავ (იქვე, 119);

ჩვენ ბიჭს არ მოგცემთავ (იქვე : 119)

ძმისწულს აქ არ დაგიტოებთავ, ისევ წავალიო-დ' ფულს მოგიტანთავ (იქვე: 119);

ესემ რაცგვერ გაშინებსთავ, ესეწავ ციცოიავ (იქვე: 122);

ჩემი ნათქვამი, ძმობილო, რატომ გგონია ტყუილი? (იქვე:181)

მესამე ობიექტური პირის ფორმათა წარმოება ისეთივეა, როგორც ხევსურულში. პრეფიქსებად გვაქვს ძირითადად ხ- და ს- პრეფიქსები, ვხვდებით ბ, გ, ვ, მ, ნ, რ, ლ ბგერებთან გვაქვს დ; ფ, ქ, კ, პ, ყ, ჯ ბგერების წინ – ხ; ჯ –ს წინ – ჟ; ტ, წ, ც, თ ბგერების წინ –ს, ხოლო დ, ძ-ს წინ ზ.

ეს პრეფიქსები დაერთვის როგორც ირიბ, ასევე პირდაპირ ობიექტურ პირსაც.

ირიბი ობიექტური პირის მაგალითები:

მიღებებიყუ სოფლის ხალხ წინ, შეღბრძოლიყენესა-დ' დეენ ჯარი (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:108);

შემოსპარვიყუ ჯარს უკვენისკითაი (იქვე, 108);

ვარდიზე ციხეში შეღვარდნიყუ, ოთხ ცხვანიც შეხყოლიყენეს (იქვე:109);

თან ღალატ ზღობნიყუ (იქვე, 112);

დამ-დამ ძმები ჯერ-ჯერით ხყარაულობენ ცხვარს (იქვე, 123);

წასრულიყენეს თუშნ სისხლის საძიებლად, დაღრვევიყენეს ლეკო, სუ გნეჟუჟ სიცოცხლეს სირცხვილიანსა სიკვდილ უჯობ ნამუსიანი (იქვე, 149);

უავე ჩვენ მივზღვედეთავ (იქვე: 118);

სუ იყენეს ხუთმეტ კაცი ხქონდ აჯიაღ (იქვე: 120);

ჩემ ბაბომ გამნღლუ თოფი-დ' ჩაღბერ შიგ (იქვე:120);

დედა დაღვარცხნის ქოჩორს, ირმის დახპოხდა ტვინითავ (იქვე: 122);

მემრე ცნემის ჯავრზედ თუშებთან მოხპარეს ცხენებ სოლიშვილს (იქვე: 117);

ზმნის ფორმები, სადაც გამოხატულია მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი:

პირველად ზეს გონთ გასწურვენ, მემრინასი ზეშიგ ჩნეშეგებენ შაბუშსა-დ' პატას ხან დაზღემენ ძავრი (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:101);

საყველედ დამზადებულ ხანჯრით დამჭრიანა-დ' (იქვე: 104);



ვერავინ თურ ღბედავს ენემ მათრავის აღებას (იქვე:105);  
შეხვედეს ორ ფიცარს, ღუწუნვედეს ძირს წნელით... (იქვე: 105);  
იმდენ ჯარი შეხყარ, რომ წინა ნაპირით უკვენა ნაპირამდი თვალს ვერ გნწვენდ  
კაცი (იქვე:107);  
გაერი ქისტის ღაშქარში, ჩაღად დახყარა მკვდარიო (იქვე: 108);  
სადიღობის ხანას ასტეხეს სროღაივ (იქვე:110);  
თუმებს გნგუტ გიო ღაშტრესავ (იქვე: 113);  
ორ ჩაღმა ყოფიღ განჯას, ჭაპნებს თურ სწნავენ (იქვე:114);  
ის თურ წყვიღ ფევეებს ხქსოვს (იქვე: 117);  
ზოგ – ღაშტრა, ზოგი ღაჯოცა, ზოგ შინ, გაღგზავნა გმინითა (იქვე: 148);  
კაცებს თავს მოსტრიღესაო-ღ ტმოშტზე შემოზღებღესავ (იქვე:118);  
მოხუცებსა-ღ' ბაღღებსავ სუ ხჯოცვეღესავ (იქვე:118);  
სამთავ ძმათ ცხვრებ მორეკეს, ოთხას-ხუთასამღ შეხყარეს (იქვე:123);

აღსანიშნავია, რომ პირდაპირი იბიექტი ისევე, როგორც ძველ ქართულში ზმნაში ხშირად იხენს სიმრავლის ნიშანს, რომელიც გამოხატულია -ენ-ნ ფორმანტებით: ხისოს ჩავღეწნეთ კარნიკ, ენახვენეს ქაღ-სიძენი, შეხყარნეს ცხვარნი და ა.შ.

ღიდოთ ღნწერი კელი-ღ' ზოგ ღეკოცნესა-ღ ზოგ ტყვეღ გუწრეკნეს (ი. გიგინეიშვიღი, ვ. თოფურიღ, ი. ქავთარაძე, 1961:106);

მეციხოვნენ სუ გნწყვიტნეს (იქვე: 109);

ბევრნ წაიყვანნეს ტყვეღ ქაღ-ვაუნი (იქვე: 112);

თუმურში, თანამედროვე საღიტერატურო ენის მსგავსად, მიცემითში დასმულ სახელს ზმნაში სიმრავლის ნიშანი უჩნღება.

მაგალითები:

ქეღებო, გიცღისთ მანიჟა, წყარონი აამღერეთა (თ. უთურგაიძე, 1960:178);

რადამ გიხარისთ, ქაღებო, კარგი ყმისა ცოღობაო (იქვე: 185);

გულ-ხელი არვის გეკონოთ, გულღარღიანი ვარიო (იქვე: 180);

ნუ გეშინიანთ, თათრებო, ივანე უფრე მზად არივ (იქვე, 149).

აღსანიშნავია, რომ პირთა კომბინაციის ღროს პირვეღი სუბიექტური და მესამე ობიექტური პირები ზმნის ფორმაში თავიანთ ნიშნებს წარმოადგენენ.

მაგალითები:

- იმასაც არა დაგუჯერდი, გამოუგდ ნიშაც ჰარივ (იქვე:161);
- ცირბევ, ცირმაშტეს შევსთესე სამყურაც საყვარობელი (იქვე:162);
- სანამ გათენდეს, გაფსცილდეთ საზღვარსა-ლეკის მიჯნასა (იქვე:175);
- თვარ მემრე ველარას გნახავ, შირაქს გავხყვები ცხვარსავ (იქვე:176);
- მე სულეთს ვერა, ვერ გავხძლებ, გზა შორი მოსავალია (იქვე:180);

ქვემოთ წარმოვადგენთ იბიექტური პირის ნიშნების ცხრილს.

ობიექტური პირის ნიშანთა ცხრილი.

მხოლოდობითი	მრავლობითი
I მ- _____	გვ- გვ- _____-ენ~ნ
II გ- _____	გ- _____ -თ~თ, -ენ~ნ
III ხ~ს~ზ~ღ~შ~ჯ~თ- _____	ხ~ს~ზ~ღ~შ~ჯ~თ- _____ -თ~თ, -ენ~ნ

ამრიგად, თუშურ დიალექტში განსხვავებით ფშაურისა და მოხეურისაგან, პირის ნიშანთა ალმორფები შედარებით ცოტაა. განსაკუთრებით შეიმჩნევა მესამე პირის მხოლოდობით რიცხვში –ს და –ა სუფიქსების ნაცვლად ნულოვანი ალმორფის ხმარება.

როგორც აღნიშნულ დიალექტებში, აქაც ნარიანი ფორმით გამოხატული ობიექტის სიმრავლე –ენ~ნ სუფიქსით აღინიშნება ზმნაში.

რაც შეეხება მესამე ობიექტური პირის ნიშნებს, სურათი აქაც იგივეა.

## ხევისურული დიალექტი

ხევისურეთი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში კავკასიონის მთების კალთებზე. კავკასიონის ქედი ხევისურეთს ყოფს ორ ნაწილად: ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე ანუ პირაქეთი ხევისურეთი. პირიქითი ხევისურეთი შედგება სამი ხეობისაგან: არდოტის, შატილისა და არხიტისაგან. პირაქეთელი ხევისურები თავიანთ თავს თვლიან ნამდვილ ხევისურებად და მიწა-წყალსაც ბუდე ხევისურეთს უწოდებენ. ხევისურეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩაჩნეთ-ინგუშეთი, აღმოსავლეთით-თუშეთი, დასავლეთით – ხევი და გუდამაყარი, სამხრეთით ფშავი (ბ. ჯორბენაძე, 1989 : 226).

ხევისურული დიალექტი გამორჩეულია მთის დიალექტებს შორის. დაცული აქვს კ ფონემა, რომელიც სხვა მთის დიალექტებშიც გვხვდება, მაგრამ არა გვაქვს კ ფონემა, ვხვდებით მოკლე ი და ე ხმოვნები.

ხევისურულისათვის დამახასიათებელია ვა//უა და ვე კომპლექსის ო-დ შენაცვლება.

## სუბიექტური პირის ნიშნები

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ- პრეფიქსია, რომელიც ზოგ შემთხვევაში იკარგება, კერძოდ, ლაბიალური ბგერების წინ.

მაგალითები: მანამ არ გა(ვ)უშობთავ ამასავ, მანამდის ლულს არ მაგვართომთავ (ი.გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:9)

(ვ)უძახებავ კიდევაც მშავლებს: - ვარდანო, გარეთ გამოდივ (იქვე; 14);

თუ შენ გააცდინევ, მემრ მე აღარ გა(ვ)უშობთავ (იქვე:19);

ჩვენ მადლობა გადაუჭადეთ (იქვე; 20);

დავჯექი გზაში, გამაიარა ერთმა თავადისშვილმა და გაუდექი უკენ (იქვე:23);

დამე დაუწექი ნაპირასა ცხვარსა (იქვე: 23).

პირველი სუბიექტური პირის მრავლობითი ფორმა -თ სუფიქსის დართვით იწარმოება.

მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსია ძირითადად ხ-. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კი ფონემა ხევესურულში არ გვაქვს, მაგრამ ვხვდებით მის ფონეტიკურ ვარიანტებს. კერძოდ, ტ, თ, წ, ც, თანხმოვნების წინ -ს; ჭ, ჩ თანხმოვნების წინ -შ; ჯ -წინ -ჟ; დ, ძ, წინ -ხ; ხოლო პ, ფ, კ, ჯ, ყ წინ -ხ; ბ, გ, ლ, მ, ნ, რ, ვ წინ -ლ; ხმოვნების წინ - ღ.

მაგალითები: ჩემ კმასა მოხვევ, - მიძახა (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961 : 22);

თუ მოხკმეჭავ თეთრს ვაშლსა, მაში ვაჟ გაგიჩნდებისავ (იქვე: 24);

ყანა ხვან, თესლი არ სთესი, ლუდი აღუღე სვიანი, (ა. ჭინჭარაული, 1969: 302).

სად წამიხოლაე? საკანტალაოდ დაზძვრებივ განაევ? (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:9);

შენ გული დასწუხდებოდის (ა. შანიძე, 1984:44);

ხთის მშობელო, შველიდი, სწყალობდი, სცვედი, ხვარევი ავის დღისაგან (იქვე: 50);

არცა დასთხიე სისხლი იმისა (იქვე: 50)

მაშინის ტალავარ სრუ დასწვი, ცხენებ სრუ დახვოცე. (იქვე: 60);

რას შხადითავ მაგასავ? - (იქვე: 17);

შენ ნუ ღნახავავ, მანამდ ჩვენ არ ვღნახავთვ (იქვე: 62);

შვიდ მამას ნუმც გაღბერდებითავ და ნუმც გასთავდებითავ (იქვე : 22);

მრავლობითი ფორმა სუბიექტური პირისა ჩვეულებრივ -თ სუფიქსის დართვით იწარმოება.

მესამე სუბიექტური პირის ნიშნებია სუფიქსები -ს, -ა, იშვიათად -ო, ხშირია შემთხვევები, როდესაც ა-სა და ს-ს ნაცვლად ნიშანი არ არის წარმოდგენილი.

მაგალითები:

ღ :- უნდ იყვას შვიდი-რვა კაცი-დ' მაგთვენივ ქალი (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:7);

ერთ კაც წავ ჯვარნი მეკვლედ (იქვე: 8);

დილა რო მავ, ...ი დარბაზხით კელოსან გამავ (იქვე: 8);

თუ გავდ კი, ქურდს დღე დაადგების, დაიწყებს ყვირილს (იქვე: 9);

ხევესურეთ კაცს რასამ უთქმ (იქვე: 9);

თუ ქალ დაიწყებდ წუნობას, მაში ქმარ თავს არ გაანებებდ (იქვე: 10);

წავიდოდ ის კაცი, დაიწყებდ ძალას... წამაიყვანდ შინა-დ' (იქვე: 11);

ამხსენებელი წყალს, მაიტანდ შინ, ჩაასხემდ ზისცვართ და სრუ კარაქად იქცეოდ (იქვე: 21);

ის, კაად ითვლებს, ხალხს უხარის (იქვე: 9);

სოფელნი ღხინ გაიმართების, ახალუხალ შაიყრების ერთადა-დ' ტომ-ფანდურს გაღმართვენ (იქვე : 9);

ქურდს დღე დაადგების, დაიწყებს ყვირილს (იქვე : 9);

ძალია ეშინის ხალხს მეკვლეთაი (იქვე : 8);

იმათ დარისხება მართლა ახვდებისაჲ (იქვე : 8);

ა: ითირას ღმერთი გაგიწერდ, გზა ვინ გასწავლდ მთისაო (ა. ჭინჭარაული, 1960: 366);

იწყინდ, გამაუფრინდ, გამაერიდ ჳმლთაო (იქვე : 366);

ტყვია თუ შამამაკლდებდ, ფარაგითთ აგჭრი ღილსაო (იქვე : 366);

ღთისო ცოლს ეუბნებოდ: „რად მეფერები პირსაო“ (იქვე: 366);

ო - ჳმალ რო ამაიდღ, მახვდ თოფიც (იქვე: 15);

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმები იწარმოება ძირითადად -ეს სუფიქსით. კერძოდ, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების უწყვეტელსა და წყვეტილში.

მაგ: სანადიროში რო ჩასულიყვნ<sup>გ</sup>, ეყარ წილი (იქვე: 18);

წასულიყვნ<sup>გ</sup> თავ-თავის სახლებნი (იქვე: 19);

მზეგადენის დროს, მიხპარებიყვნ<sup>გ</sup> ნადირთ (იქვე: 19);

სამნი მანანი ყარმანი სჭამდ<sup>გ</sup> (ა. შანიძე, 1984 : 51);

ხევსურებ მაღიოდეს ძაუგჩით და სხვებ ჳევსურები შინით მიდიოდ<sup>გ</sup> (იქვე: 54);

შეეყარნ<sup>გ</sup> ერთუც სნოს (იქვე 54);

გასათრელი სამ შაური ჩვენავ გამაგვართვე<sup>გ</sup> რუსებმ (იქვე: 54);

გხვდებით -ენ, -ან და -ნ სუფიქსებსაც:

მემრ მშავლებ რო მასვლიდ<sup>ნ</sup>, ცოლეულთადაც უბარებავ (ი. გიგინეიშვილი, გ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 15)

დაუსხმაჲ ჯარი და კოშნ მიუციდ<sup>ნ</sup> ჳელნი (იქვე : 14)

საპირბეწვე რო აჭმივდ<sup>ნ</sup>, არ ვარგ, დაწყეულ ას (იქვე: 7);

ჯალაბაურნ ხიდოტანზე წამასულდ<sup>ნ</sup> (იქვე : 15);

გამოსჭრიდ<sup>ნ</sup> ყელს და იტყვიდ<sup>ნ</sup> (ა. შანიძე, 1984:51)

დასხდებიდ<sup>ნ</sup> ისენი, იტყვიდ<sup>ნ</sup> დაჭრილზედ ( იქვე: 48)

მაინც უშველდ<sup>ნ</sup> და წასულიყვ ნეთხას (იქვე:19);

ისრ ქისტებ არხოტიონს არ მახკვლდ<sup>ნ</sup> (იქვე: 19);

ქისტებ გაჭირვებაში, გინდ ძმის მამკლავ ნახან და წასულოყვ (იქვე:19);  
 ემ სამსახურის პატრონები შაიხევეწებუნ, უშველუნ, დეკმარუნ (იქვე: 50);  
 ცხენს მათგებებუნ ისიმც დამთხვების და მოკკლავსო (იქვე: 60);

### სუბიექტური პირის ნიშნები

მსოლობითი

მრავლობითი

I ვ-თ- -----

ვ-თ- ----- -თ

II ხ-ს-ზ-შ-ქ-ღ-თ- -----

ხ-ს-ზ-შ-ქ-ღ-თ- ----- -თ

III -----თ-ს-ა-ო

----- -ეს-ენ-ან-ნ.

### ობიექტური პირის ნიშნები

პირველი ობიექტური პირის ნიშანია მ- პრეფიქსი ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში.

მაგ.:

ისრამც ნუ მამკლავ, რო ერთივ ქალაქ ვერ ვნახოდ' (ი. გიგინეიშვილი, 9)

მიაც მამკითავ ზამთარ მამისწრობსავ, დამაზრობსავ. (იქვე: გვ.18);

პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვი გამოიხატება გვ- პრეფიქსით, როგორც სალიტერატურო ქართულში. მაგ.:

ჩვენავ მაგათ ქალა მამკწონსავ, ნეტარ არ მამკცემენაევ? (იქვე 9);

მეკენცლემში დამკეტანენითა (იქვე 5);

არ გაუშობთავ, მანამდინ ლუდს არ მამკართომთავ. (იქვე 9);

შამკვიწყალენ ჩვენ ყოველნი (ა. შანიძე 1984, 50);

მკაცხონა და მკაკურთხიენა უყჯულოებნი ჩვენნი. (იქვე 51);

შენ მკვიკსნენ და ჩვენ მკადიდებთ ხოლო კაცისათა (იქვე 51)

მეორე ობიექტური პირის ნიშანია გ- პრეფიქსი ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში. მრავლობითის ფორმა იწარმოება -თ სუფიქსით. მაგ:

თქვენ მამკცასთავ წყალობაივ, წინ მამავალს, უკენ წამავალ'ავ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 8);

თქვენებ დიშვილებიცეევ, არცრუ მკებრალეებიანთაევ? (იქვე, 14);

შენ მამა დაგაკლდებოდას, ჩემ კვალ კაცი მზეს იარებოდას, სიტყვას ჭეჭოდას (ა. შანიძე, 1984:45);

მესამე ობიექტური პირის ნიშანი ისევე, როგორც მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსებისა არის ხ და ჰ-ს ფონეტიკური ვარიანტები.

აღნიშნულ პირის ნიშნებთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია აკ. შანიძის გამოკვლევა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში.“ ავტორი ხევესურულ კილოსთან დაკავშირებით აღნიშნავს: ხევესურულში მესამე ობიექტური პირის ნიშნის ხმარების წესი არსებითად განსხვავდება სხვა აღმოსავლური კილოებისაგან: ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური და თუშური. „უკანასკნელი კილოები მარტივად უცქერენ საკითხს: მესამე პირის ობიექტური ნიშანი, - თუ ფონეტიკა არ ერევა საქმეში, - იხმარება ყოველთვის, როცა ზმნას მიცემითში აქვს დამატება. ამ კილოებში სახელობით დამატებიან ზმნებს ნამყო სრულში სხვა წარმოება აქეთ და აწმყოში კიდევ – სხვა, რადგანაც ეს ზმნები აწმყოში სინტაქსურ კონსტრუქციას იცვლიან და მიცემით დამატებიანი ხდებიან. ხევესურულში კი სულ სხვა მოვლენას ვხედავთ. აწმყოს ჯგუფის დრო-კილოებში ობიექტური მესამე პირისა აქ უთუოდ და აუცილებლად მხოლოდ იმისთანა ზმნებს მოეპოვებათ, რომლებიც მიცემით-დამატებიანადვე რჩება ნამყო სრულის ჯგუფისაში“ (ა. შანიძე, 1984: 242). ამრიგად, ა. შანიძე თვლის, რომ ხევესურულში მესამე ირიბ ობიექტური პირი აჩენს ნიშანს ზმნაში. რაც შეეხება მესამე პირდაპირი ობიექტური პრეფიქსის არსებობა-არარსებობას, ავტორი ასე აანალიზებს: „აწმყოსა და მყოფადის ფორმებს შორის ახალ ქართულში საზოგადოდ განმასხვავებელი ნიშანია მხოლოდ პრევერბი. ხევესურული კი უფრო შორს წავიდა: იგი შეეცადა, რომ აწმყოსა და მყოფადის დიფერენციაციას მეტი ფორმალური მხარე ჰქონოდა, და ამ მიზნისათვის მან მესამე პირის ობიექტური ნიშანი გამოიყენა: იგი მიუჩინა მყოფადის ფორმებს (მო-ხკლავს, დასაწერს), ხოლო აწმყოსი და ნამყო უსრულის ფორმები უამპრეფიქსოდ დატოვა (კლავს, კლავდა, წერს, წერდა), მიუხედავად იმისა, რომ სინტაქსური კონსტრუქცია ზმნისა აწმყოშიცა და მყოფადშიც ერთი და იგივეა“ (იქვე; 243);

ჩვენი აზრით, პირდაპირი ობიექტური პირის პრეფიქსის ხმარება ხევესურულში ასე ზუსტად, როგორც ა.შანიძე აღნიშნავს, არ არის მოწესრიგებული. ერთი

მხრივ, პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნებს ვხვდებით როგორც I სერიის, ასევე II სერიის ფორმებთან, თუმცა, ეს უკანასკნელი იშვიათია, მეორე მხრივ, გვაქვს პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი როგორც პრევერბიან, ასევე უპრევერბო ფორმებთანაც. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ კვლავ იმ აზრის ვართ, რომ პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი, მართალია, შედარებით მთის და ქართლ-კახურ დიალექტებთან ხევესურულში უფრო ნაკლებად გვხვდება, მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი ზმნის ფორმებში და მკაცრი წესი არ არსებობს.

### **O<sub>3</sub> ირიბია, მაგალითები:**

წუხრელანი **ხქვიან**, როსაც წუხრიხან შააგრობენ ქალვაუთ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:5);

ის დასტური შინამდე მი**ხყვების** დიასახლისს (იქვე: 8);

იმათ დარისხება მართლა ა**ხვდებისა**ვ (იქვე:8);

იმას სამუკა **ხქვიენები**ვ, ბერისძის შვილ ყოფილ (იქვე: 15);

იმათავ დაი **ხყავისა**ვ (ა. შანიძე, 1984:55);

იმი მონაგებართ ჯინჭარაული **ხქვიან** (იქვე:53);

ვაჭარამ, დაღმეგობრდ, შა**ხყვარდა** იმ ცოლს, იმისას (იქვე:328);

სამუშეელს მა**ხჩან**, ქეიფობენ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 5);

მხეს და**ხვცდებით** თქვენს სწორსაო (იქვე: 6);

სამ წელს მი**ხდიან** და მაკლან (იქვე: 12);

იქით მოსულ რო ვინ **ღგონებიყვა**ვ, იმაადავ (იქვე:17);

ეს ასმათი, მა**ღგებებიყ**ვ (იქვე :20);

### **O<sub>3</sub> პირდაპირია, მაგალითები:**

ყანასა თაოდ მა**ხმკიან**, ძნასა თაოდ შა**ხყრიან**, ააგებენ (იქვე: 5);

ხეს წაუთლიან პირსა-დ' იმით **ხფხეკენ**, ბეწვს გააცლიან (იქვე :6);

მაგასაც შინ მა**ხვთრიო**' მემრავ ვ**ხკრავავ** წიხლსაო' გავაგდებავ (იქვე: 11);

ოვშობისას და**ხკვლენ** თიკანს (იქვე: 6);

ზამთრის დასთულისას გაზაფხულ და**ხქსოვენ** ტოლებს, მემრ გა**ხთელვენ** ტოლს (იქვე:7);

გამა**ხვდიან** არაყს (იქვე:8);

ამა**ხკრეფდ** წყალს, მაიტანდ შინ, ჩაასხემდ ზისცვართ და სრუ კარაქად იქცეოდ (იქვე: 21);

მგელი კი არა, გინდა დათვი იყოს, როგორ ვერ მო**ხკვლავო** (იქვე: 23);



ხეებს მასჭრიან კაცები (იქვე: 5);  
 ფაფას ჩაქდებენ ხომიკეები (იქვე : 6);  
 ხის კელს მაიღებენ, შაქდებენ შიგ, ჩაზელენ ტყავს (იქვე :6);  
 ის მოქწამლავს და მოკვდებისო (იქვე: 9);  
 იმთვენ შოლტად დადბლემენ ტყავს (იქვე:6);  
 ზამთრის დიაცებ გადრეცხენ მატყლს მდინარე წყალნი (იქვე: 6);  
 ის თავის აღვილს ვერ დადლაჭავს (იქვე: 12);  
 ტომ-ფანდურას გადმართვენ (იქვე: 9);  
 სხეებს გადგზანის, სხეებს აღულებიებს (იქვე: 12);  
 კუთხზეთ ქვანი დადგლიჯნა, დღესაც სიმურნი ხერიანა (იქვე: 13);  
 კიღობანნი ჩაქდემენ (იქვე: 8);  
 თქვენ ზღუბლზე ფეკს არ შამაგზდგამავ (იქვე: 10);  
 დილა რო გახენებდ გაბური, ყანათ გადამკილთ დნახევედ (იქვე :21);  
 პირველად ოკშამს შჭამენ (იქვე: 6);  
 ხეებს რო გშჭრითავ, დაიწყებენავ ქვითინსავ (იქვე: 18);

ხეესურულში, ძველი ქართულის მსგავსად, ნარიანი ობიექტის მრავლობითობა გამოხატულია ზმნაში: ქვანი დადგლიჯნა; რბოლით დაკრიფნა ზურაბმა გრძელნი არაგვის გზანო; არ გამორეკნას შიგითა, ჯურჯიაულნი ყმანიო...

პირთა კომბინაციის თვალსაზრისით საინტერესოა, შემდეგი:

1.  $S_1O_3$  პირთა შეხვედრისას ორივე პირის პრეფიქსია გამოხატული ზმნის ფორმაში:

არას გსწუნობავ მაგათავ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 9);  
 თავის მაკელა გადაგსწყვიტევე (იქვე: 17);  
 ერთის ლიტრის ქვაბს ძროხად მიგსცემთ (ა. შანიძე, 1984:48);  
 შაგსწირათ ღმერთს სხვა დიდება (იქვე : 51);  
 მზეს დაგსცდებით თქვენს სწორსაო (იქვე: 44);  
 მოგსწებით ბეჩაობასა (იქვე: 44);  
 დროშათ ჩქამ გავიგონევე, მაშინ ჩაგსწდივ, რო კარგად არ იყვავ ჩვენ საქმეო (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე 1961: 15);  
 საქონს რო დაგსკრავთაო – დ' დაიზმუვლებსავ (იქვე: 18);  
 მგელი კი არა, გინდა დათვი იყოს, როგორ ვერ მოხკელავო (იქვე:23);  
 ხეებს რო გშჭრითავ, დაიწყებენავ ქვითინსავ (იქვე: 18);  
 თქვენ ზღუბლზე ფეკს არ შამაგზდგამავ (იქვე: 10);

2.  $S_3O_{2sing}$  და  $S_3O_{2pl}$  პირთა კომბინაციებში წარმოდგენილია ორივე პირის ნიშანი და ობიექტური პირის მრავლობითობა. მაგალითები:

- სიკვდილისად სიცოცხლე ქონდასთ, თქვენ დაგლოცნასთ (ა. შანიძე, 1984:48);
- ნარჩოთ თქვენ ჯვარ დაწერასთ (იქვე: 44);
- იმის წყალობა გქონდასთ (ა. ჭინჭარაული, 1960: 102);
- დასტურს დასტურობა ნუ შაგანანასთ (იქვე: 102);

**წარმოვადგენთ ობიექტურ პირის ნიშანთა ცხრილს:**

მხოლოდითი	მრავლობითი
I მ- _____	გგ~გ- _____ -ენ~ნ
II გ- _____	გ- _____ -თ, -თ, -ენ~ნ
III ხ~ს~ზ~შ~ღ~ქ~თ- _____	ხ~ს~ზ~შ~ღ~ქ~თ- _____ -თ, -თ, -ენ~ნ

ამრიგად, ხევისურულ დიალექტში ისევე, როგორც თუშურში, შეინიშნება პირის ნიშანთა ალომორფთა სიმცირე შედარებით ფშაურთან და მოხეურთან.

როგორც ცნობილია, ხევისურულში არა გვაქვს 3 ფონემა, ამდენად სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე (როგორც ირიბის, ასევე პირდაპირის) პირთა ნიშნები ძირითადად ხ- პრეფიქსით და 3- ფონემატური ვარიანტებით წარმოგვიდგება.

აღნიშნულ დიალექტში ნარიანი ფორმით გამოხატული ობიექტის სიმრავლე ყოველთვის აღინიშნება ზმნაში -ენ~ნ სუფიქსით. პარალელურად არის მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის აღნიშვნაც -თ სუფიქსით.

ხევისურულში შეინიშნება ტენდენცია, მიცემითში დასმული ობიექტის (როგორც ირიბის, ასევე პირდაპირის ) ზმნის ფორმაში წარმოჩენა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ სახელობითში დასმული ობიექტიც გამოხატულია ზმნაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ დიალექტში პირის ნიშნები თავისუფლად მონაცვლეობენ.

**დიალექტური მასალის შესწავლამ ზმნის ფორმაში პირის ნიშანთა  
გამოხატვასთან დაკავშირებით შემდეგი სურათი გვიჩვენა:**

1 პირველი სუბიექტური პირი ყველა დიალექტში გ- პრეფიქსითაა წარმოდგენილი ისევე, როგორც ეს გვაქვს სალიტერატურო ენაში, ვხვდებით მის ფონეტიკურ ვარიანტებს.

რაც შეეხება მრავლობითის ფორმას, იგი -თ სუფიქსით იწარმოება.

2. მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსი როგორც ბარის, ასევე მთის დიალექტებში სალიტერატურო ენის მსგავსად, წარმოდგენილია ძირითადად ხ-, ჰ-, ს-, ნულოვანი ალომორფებით, მაგრამ დიალექტების მიხედვით ამათ გარდა, სხვა დამატებითი ფონეტიკური ვარიანტებიც გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ ბარის (ქართლურ და კახურ) დიალექტებში, განსხვავებით მთის დიალექტებისაგან, მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ნელ-ნელა სუსტდება და თანდათან ძლიერდება პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი.

მრავლობითის ფორმა პირველი სუბიექტური პირის მსგავსად –თ სუფიქსით იწარმოება.

3. მესამე სუბიექტური პირის ნიშანი –ს, -ა, -ო, -Ø სუფიქსებია, რომლებიც ძირითადად ბარის დიალექტებში გვხვდება. რაც შეეხება მთის დიალექტებს, აქ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ხშირად ნულოვანი ალომორფი გვაქვს. სამაგიეროდ, თითქმის ყველა პოზიციაში არის გამოყენებული მეორე სუბიექტური პირის ნიშანი და ფორმათა დამთხვევა არ ხდება.

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა როგორც ბარის, ასევე მთის დიალექტებში გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან, უწყვეტელსა და წყვეტილში ძირითადად –ეს სუფიქსით გამოიხატება, თუმცა ვხვდებით –ენ, -ან, -ნ, -ნენ სუფიქსიან ფორმებსაც.

საინტერესოა, რომ მესამე სუბიექტური პირის ნიშნები როგორც მხოლობითის, ასევე მრავლობითის დიალექტებთან შედარებით თანამედროვე სალიტერატურო ენაში მოწესრიგებულია, რაც განპირობებულია მორფოლოგიურად. აღნიშნულ ალომორფთა გამოვლენას განაპირობებს არა ფონოლოგია, არამედ რომელიმე

მორფოლოგიური კატეგორია (მწკრივი, კილო, გვარი). რაც შეეხება დიალექტებს, ეს პროცესი, როგორც ჩანს, ჯერ არ არის დაწყებული, მაგრამ ძველი სისტემა ადარ მოქმედებს, რომლის მიხედვითაც, ჩვენი აზრით, ამ ნიშნებს პირისა და რიცხვის გარდა, რაღაც სხვა მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვა ჰქონდა დაკისრებული და პირი ნულოვანი ალომორფით გამოიხატებოდა. პირველი და მეორე პირის ფორმები როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მხოლოდ ადამიანს მიეწერება. მესამე პირის ფორმებში ერთიანდება უსულო და სულიერი როგორც ადამიანის, ასევე ყველა სულიერი არსება. სულ ცოტა სამი ჯგუფი გამოიყოფა (შეიძლება მეტიც). შესაძლებელია, მესამე პირში ამ სამი ჯგუფის დიფერენციაცია ხდებოდა და ეს იყო უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პირის აღნიშვნა ზმნის ფორმაში. ამიტომაც დასაშვებია მესამე პირში გვექნოდნენ ნულოვანი ალომორფი, მაგრამ ყოველივე ეს დადასტურებულად ჩვენამდე მოღწეული არ არის. ჩვენ მხოლოდ დიალექტებისა და ძველი ქართულის მასალის მიხედვით ვხედავთ, რომ მესამე პირის ფორმებში, ერთი მხრივ, ნიშანთა სიმრავლეა და, მეორე მხრივ, მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში უფრო გამოკვეთილად ნულოვანი ალომორფია გამოყენებული მთის დიალექტებში, რაც ჩვენი აზრით, მისთვის ჩვეული ფორმა უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, ძველი სისტემა მოიშალა როგორც ბარის, ასევე მთის დიალექტებში, მაგრამ ბარის დიალექტებში ახალ სისტემაზე გადასვლა დაწყებული ჩანს, ვფიქრობთ, მთის დიალექტებიც ასეთ გზას გაივლის.

4. ობიექტური პირველი პირი როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი მ- პრეფიქსით არის გამოხატული, ხოლო მრავლობითის ფორმა გვ- პრეფიქსით იწარმოება.

5. ობიექტური მეორე პირი გ- პრეფიქსით აღინიშნება მხოლოდითსა და მრავლობითში. მრავლობითობას –თ სუფიქსი გამოხატავს.

აღსანიშნავია, რომ ობიექტური პირველი და მეორე პირის ნიშნები ყველა დიალექტში ყველა პირთა კომბინაციაში არის წარმოდგენილი და არასოდეს იკარგება. დიალექტებშიც მხოლოდ მათ ფონეტიკურ ვარიანტებს ვხვდებით.

6. მესამე ობიექტურ პირში როგორც ირიბს, ასევე პირდაპირს ერთნაირი ნიშნები აქვთ. კიდევ მეტიც, ერთნაირი ფონეტიკური ალომორფებით გამოიხატება, რაც დაადასტურა დიალექტური მასალის შესწავლამაც.

ამრიგად, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ, თუ პირველ და მეორე პირში პირდაპირ და ირიბ ობიექტებს ერთნაირი ნიშნები აქვთ, მესამეშიც ერთნაირი ექნებათ.

რაც შეეხება მათ წარმოჩენას ზმნაში, სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, დიალექტებში ბევრად უფრო თავისუფალი ვითარებაა: ირიბ ობიექტს ხან აქვს, ხან არა აქვს ნიშანი, იგივე ითქმის პირდაპირ ობიექტზეც. იგი ხან ნიშნით, ხან უნიშნოდაა წარმოდგენილი, რასაც განაპირობებს ზმნის ფორმაში პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშნების მყარად გამოყენება. რადგან პირველი და მეორე ობიექტური პირები როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი ერთი და იმავე მორფემებით გამოიხატება ყოველთვის, მათთან შეპირისპირებით მესამე ობიექტურ პირს ექნება რაიმე გამომხატველი მორფემა, თუ ნულოვანი ალმორფი, მორფონოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს. ამაზე მეტყველებს სწორედ ის ფაქტიც, რომ დიალექტებში მესამე ობიექტური პირების ნიშნები თავისუფლად მონაცვლეობენ.

ვფიქრობთ, დიალექტებიც იმ გზას დაადგინენ, რასაც სალიტერატურო ენა, რომელმაც გაითავისუფლა თავი პირველ რიგში მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნისაგან თითქმის ყველგან, რადგან ეს პირი უმეტესად არის უსულო და პირუცველი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პირცვალებადი პირდაპირი ობიექტის ნიშნიანი ფორმები, როგორც აღნიშნული იყო, დადასტურებულია ძველ ქართულში და ახალ ქართულშიც გვხვდება. რაც შეეხება ირიბ ობიექტურ პირს, მისი გამოხატვა საგრძნობლად შეიზღუდა სალიტერატურო ქართულში. იგი იხმარება მხოლოდ ხშულების წინ და აქაც ნელ-ნელა ნულს უტოლდება. მაგალითად: ბ და ფ ბგერების წინ (ბარდება, ბატონ-პატრონობს, ფლობს,..). სავარაუდოა, რომ მესამე ირიბი ობიექტის პირიც მესამე პირდაპირი ობიექტის ბედს გაიზიარებს.

7. მრავლობითი რიცხვის ფორმები განვითარების გარკვეულ პროცესს გვიჩვენებს დიალექტებში. კერძოდ, ნარიან სახელობითში მდგარი სახელი ითანხმებს მთის დიალექტებში ზმნას რიცხვში და აღინიშნება –ენ~ნ სუფიქსით და ასევე ებ~იანი მრავლობითიც ძლიერდება და მიცემით ბრუნვაში დასმული სახელიც ითანხმებს ზმნას რიცხვში და აღინიშნება –თ სუფიქსით, ვხვდებით ორივეს, კომბინირებულ ფორმებსაც –ენ~ნ-თ.

რაც შეეხება ბარის დიალექტებს, ის უკვე სალიტერატურო ენის ნორმებს უახლოვდება და მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელს ითანხმებს რიცხვში, თუ ის არის სულიერი.

ზმნაში პირისა და რიცხვის საკითხების გაანალიზების დროს არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ არნ. ჩიქობავას ცნობილი ნაშრომი “მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში”, რომელშიც გაანალიზებულია ძველი ქართულის მონაცემები V-X საუკუნეების ჩათვლით. სიახლე ამ ნაშრომისა არის კოორდინაციის თეორია, რაც გულისხმობს აქტიური ზმნის ქვემდებარისა და დამატებების ურთიერთობას შემასმენელთან, განსხვავებით ინდოევროპული ენებისაგან. ქართულში სუბიექტი და ობიექტები ბრუნვაცვალებადი სიტყვებია, რომლებიც ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებულია საურთიერთო მართვით, ხოლო რიცხვში კი მათ შორის ხდება შეთანხმება. როდესაც ქვემდებარე და დამატებები დგას ნარ-თანთან მრავლობითში ამ თეორიის მიხედვით -ებ სუფიქსიანი მრავლობითი შეთანხმებაში არ მონაწილეობს: კაცთა თქუეს; შდრ. კაცმან თქუა და კაცებმან თქუა; სიტყუანი ვთქუენ; შდრ. სიტყუა ვთქუ და სიტყვები ვთქუ;

ამ თეორიის მიხედვით სამპირიანი აქტივის პირდაპირი დამატება არის უმცირესი კოორდინატი: შემასმენელში პირი არ აღინიშნება, რიცხვი კი მარკირებულია. ამასთან დაკავშირებით 1968 წლის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:”იმ თავითვე სპეციალისტების სერიოზული შენიშვნა გამოიწვია დებულებამ: ძველი ქართულის გარდამავალ ზმნაში შეიძლება აღინიშნებოდეს მრავლობითი რიცხვი ობიექტისა, პირი კი აღუნიშნელი რჩებოდესო.

თუ პირი არ აღინიშნება, რიცხვის აღნიშვნა როგორღა არის შესაძლებელიო! ეს შენიშვნა საფუძვლიანი გვეჩვენა: პიროვანი უღვლილებისათვის ამ შენიშვნას ძალა აქვს. მაგრამ როდესაც ძველი ქართული ზმნის უღვლილებაში ვ. თოფურიაშვილმა დაადასტურა კლასოვანი უღვლილების კვალი, ვითარება შეიცვალა: კლასოვანი უღვლილება გარდამავალი ზმნისა აღნიშნავს ობიექტს სახელობით ბრუნვაში- მის კლასსა და მრავლობითობას, პირს კი-არა. ამრიგად, მოიხსნა საკითხი ორი ობიექტის პირის აღნიშვნისა ქართული ენის გარდამავალ ზმნაში; გასაგები გახდა, რატომღაა, რომ გარდამავალი ზმნის სუბიექტურ=ობიექტურ უღვლილებაში შეიძლება გვეკონდეს სუბიექტისა და მხოლოდ ერთი ობიექტის

პირის ნიშანი, ორი ობიექტის პირი კი ზმნაში ერთად არ დასტურდება” (არნ ჩიქობავა, 1968: 013).

აქ არნ. ჩიქობავას მხედველობაში აქვს კავკასიურ ენათა კლასოვანი უღვლილების პიროვანზე გადასვლის სპეციფიკა: პირის ნიშნად გამოყენებული ნაცვალსახელები სუბიექტის პირსაც გამოხატავენ და რიცხვსაც, მაგალითად, წოვა-თუშურში ვ-აჰვინ-ას (“გავზარდე” ვაჟი) ფორმის ვ- პრეფიქსი მამაკაცის კლასს გამოხატავს, რომელიც აქ პირდაპირი ობიექტია, ხოლო ნაცვალსახელი -ას (“მე” ერგატივში) აქ უკვე პირველი პირის ნიშანია; მრავლობით რიცხვში სუბიექტის პირის ნიშანი შეიცვლება ისევ ნაცვალსახელური -ათხ “ჩვენ” სუფიქსით: ვაჰვინათხ “გავზარდეთ” (მამაკაცი) ჩვენ.

რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს, მას პირი არც მხოლოდით რიცხვში გამოეხატება და არც მრავლობითში. მრავლობითში იცვლება ვ- კლასის ნიშანი ბ- კლასის ნიშნით: ბაჰვინას “გავზარდენ”(ვაჟნი), პირველი კლასის სახელის სიმრავლე ბ- კლასის ნიშნით გადმოიცემა, მაშასადამე, პირის ნიშანი პირდაპირ ობიექტს არც მრავლობით რიცხვში გასჩენია. ბაჰვინათხ “გავზარდენით”(ჩვენ ვაჟნი) -ათხ სუფიქსი გამოხატავს სუბიექტის პირსა და რიცხვს(მრ.), ბ- პრეფიქსი მიუთითებს ობიექტის სიმრავლეზე.

დავუბრუნდეთ ძველ ქართულს. აქ გვაქვს სამპირიანი ზმნის ფორმები, რომლებიც პირდაპირი ობიექტის რიცხვთან ერთად მის პირსაც გამოხატავენ, მაგალითად: ხოლო ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცნენ თქვენ კრებულებსა (ადიშის ოთხთავი, 2003: მ.10,57) მი-გ-ც-ნ-ენ ფორმაში გ- პრეფიქსი მეორე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანია, ხოლო -ნ სუფიქსი ამ პირის სიმრავლეს გამოხატავს. სამპირიან აქტივებში, რომელთაც პირცვალებადი პირდაპირი ობიექტი შეეწყობა, ანალოგიური ფორმები ჩვეულებრივია.

მაგალითად: ღმერთმან მიგუცნა ჳელთა თქვენთ (კ კეკელიძე, 1946:76). არნ. ჩიქობავას კოორდინაციის თეორიით, რა თქმა უნდა, პირდაპირი ობიექტი დიდ კოორდინატად უნდა მივიჩნიოთ (შემასმენელს პირში მართავს და რიცხვში ითანხმებს).

ფონოლოგიურად ობიექტურ პირთა ერთდროული მარკირება შეუძლებელია, მორფოლოგიურად ერთ-ერთი ობიექტი ნულოვანი ალმორფით უნდა გამოიხატოს, კერძოდ, პირუცველელი ობიექტი (თ. უთურგაიძე,2002:28).

ჩატარებული ანალიზის შემდეგ დგება საკითხი პირთა კომბინაციის შესახებ: როგორ გამოიხატება ზმნის ფორმაში პირისა და რიცხვის კატეგორიები თანამედროვე ქართულში და რა შესაძლებლობები აქვს ენას.

## თაზო V

### ერთპირიანი ზმნები კველსა და ახალ ქართულში

#### ძველი ქართული

ვ-ბრწყინავ	ვ-კუნესი	ვ-ტირ	ვ-დგა	Ø-უწყი
ხ-ბრწყინავ	ხ-კუნესი	ხ-ტირ	ხ-დგა	ხ-უწყი
ბრწყინავ-ს	კუნესი-ს	ტირ-ს	დგა-ს	უწყი-ს
ვ-ბრწყინავ-თ	ვ-კუნესი-თ	ვ-ტირ-თ	ვ-დგა-თ	Ø-უწყი-თ
ხ-ბრწყინავ-თ	ხ-კუნესი-თ	ხ-ტირ-თ	ხ-დგა-თ	ხ-უწყი-თ
ბრწყინავ-ენ	კუნესი-ან	ტირი-ან	დგან-ან	უწყი-ან

ვ-იმაღები	შე-Ø-ორგულდი	შე-ვ-წუხნები	გან-ვ-ტფები
ხ-იმაღები	შე-ხ-ორგულდი	შე-ხ-წუხნები	გან-ხ-ტფები
იმაღები-ს	შე-ორგულდ-ა	შე-წუხნები-ს	გან-ტფები-ს
ვ-იმაღები-თ	შე-Ø-ორგულდი-თ	შე-ვ-წუხნები-თ	გან-ვ-ტფები-თ
ხ-იმაღები-თ	შე-ხ-ორგულდი-თ	შე-ხ-წუხნები--თ	გან-ხ-ტფები-თ
იმაღები-ან	შე-ორგულდ-ეს	შე-წუხნები-ან	გან-ტფები-ან

#### ახალი ქართული

ვ-ბრწყინავ	ვ-კვნესი	ვ-ტირი	ვ-დგა-ვარ	ვ-უწყი
Ø-ბრწყინავ	Ø-კვნესი	Ø-ტირ	Ø-დგა-ხარ	Ø-უწყი
ბრწყინავ-ს	კვნესი-ს	ტირი-ს	დგა-ს	უწყი-ს
ვ-ბრწყინავ-თ	ვ-კვნესი-თ	ვ-ტირი-თ	ვ-დგა-ვარ-თ	ვ-უწყი-თ
Ø-ბრწყინავ-თ	Ø-კვნესი-თ	Ø-ტირი-თ	Ø-დგა-ხარ-თ	Ø-უწყი-თ
ბრწყინავ-ენ	კვნესი-ან	ტირი-ან	დგან-ან	უწყი-ან

ვ-იმაღები	შე-ვ-ორგულდი	შე-ვ-წუხდები	ვ-თბები
Ø-იმაღები	შე-Ø-ორგულდი	შე-Ø-წუხდები	Ø-თბები
იმაღებ-ა	შე-ორგულდ-ა	შე-წუხდებ-ა	თბებ-ა
ვ-იმაღები-თ	შე-ვ-ორგულდი-თ	შე-ვ-წუხდები-თ	ვ-თბები-თ
Ø-იმაღები-თ	შე-Ø-ორგულდი-თ	შე-Ø-წუხდები-თ	Ø-თბები-თ
იმაღები-ან	შე-ორგულდ-ნენ	შე-წუხდები-ან	თბები-ან



სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსი ვ- ძველ ქართულში თითქმის ყველგან გამოიყენებოდა, გარდა რამდენიმე შემთხვევისა: ა) ო და უ ფუძეებით დაწყებულ ზმნებთან ნულოვანი ალმორფით იყო წარმოდგენილი, რაც განპირობებული იყო ფონეტიკური ფაქტორით. (ვ+ო→∅+ო), ვ+უ→∅+უ). მაგალითები: მე უწყვი, შე-ორგულდი. ახალ ქართულში იმავე პოზიციაში სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით ვ- იხმარება (თუმცა ჩვეულებრივ მეტყველებაში ის არ იხმის): მე ვ-უწყვი, შე-ვ-ორგულდი.

ბ) ძველ ქართულში ვ-თი დაწყებულ ფუძეებთან პირის ნიშანი იკარგებოდა: ვარჯიშობ, ვარდები. ახალ ქართულში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუბიექტური პირის ნიშანი ამ შემთხვევაში, ნორმის მიხედვით, ყოველთვისაა ზმნის ფორმაში წარმოდგენილი: მე ვ-ვარდები, მე ვ-ვარჯიშობ....

გ) ვალ/ვედ/ვიდ ზმნებთან როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში არ გვაქვს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი. ვფიქრობთ, სწორედ ამ ნიშნის უქონლობამ განაპირობა ამავე ზმნებში მეორე სუბიექტური პირის ნიშნის ხ- პრეფიქსის შემონახვა ადრეული პერიოდიდან – დღემდე. პირველი სუბიექტური პირის მრავლობითობა როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში გადმოცემულია -თ სუფიქსით:

ძვ. ქართ.: ვ-ბრწყინავ-თ, ვ-კუნესი-თ, ვ-ტირ-თ, ვ-დგათ, ∅-უწყვი-თ, ვ-იმალები-თ, შე-∅-ორგულდი-თ, შე-ვ-წუხნები-თ, გან-ვ-ტფები-თ....

ახ. ქართ. ვ-ბრწყინავ-თ, ვ-კუნესი-თ, ვ-ტირი-თ, ვ-დგა-ვარ-თ, ვ-უწყვი-თ, ვ-იმალები-თ, შე-ვ-ორგულდი-თ, შე-ვ-წუხ-დ-ები-თ, ვ-თბები-თ.

მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ძველ ქართულში ერთპირიან ზმნაში ყოველთვის იყო წარმოდგენილი |ხ-| მორფემით: ხ-ბრწყინავ, ხ-კუნესი, ხ-ტირ, ხ-დგა, ხ-უწყვი, ხ-იმალები, შე-ხ-ორგულდი. შე-წუხ-ნ-ები, გან-ხ-ტფები. საშუალო ქართულში, როგორც ცნობილია, ხ-ს ჰ- ენაცვლევა, უფრო გვიან კი იხმარება ჰ- და მისი ფონეტიკური ვარიანტები: ს-, შ-, ∅-: ჰ-ბრწყინავ, ჰ-კუნესი, ს-ტირ, ს-დგა, ∅-უწყვი, იმალები, შე-∅-ორგულდი, შე-ს-წუხ-ნ-ები, ს-ტფები..., ხოლო ახალ ქართულში სუბიექტური მეორე პირის ნიშანი ყველგან ∅ ალმორფითაა წარმოდგენილი, გარდა ხარ/ხვალ/ხვედ/ხვიდ ფორმებისა: ∅-ბრწყინავ, ∅-კუნესი, ∅-ტირი, ∅-დგა-ხარ, ∅-უწყვი, ∅-იმალები, შე-∅-ორგულდი, შე-∅-წუხ-დ-ები, ∅-თბები.

მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობა ძველ და ახალ ქართულში გამოხატულია –თ სუფიქსით, რომელიც ერთპირიან ზმნებში ყოველთვის არის წარმოდგენილი.

ძვ. ქართ.: ხ-ბრწყინავ-თ, ხ-კუნესი-თ, ხ-ტირ-თ, ხ-დგა-თ, ხ-უწყი-თ, ხ-იმალები-თ, შე-ხ-ორგულდი-თ, შე-ხ-წუხნები-თ, ხ-ტფებები-თ...

ახ. ქართ.: ღ-ბრწყინავ-თ, ღ-კუნესი-თ, ღ-ტირი-თ, ღ-დგა-ხართ, ღ-უწყი-თ, ღ-იმალები-თ, შე-ღ-ორგულდი-თ, შე-ღ-წუხ-დ-ები-თ, ღ-თბები-თ.

რაც შეეხება მესამე სუბიექტურ პირს, აწმყოში ძველ ქართულში -ს მორფემა ყოველგვარ ზმნასთან გვხვდება. ახალ ქართულში, როგორც აღნიშნული იყო -ს გვხვდება მოქმედებითი, საშუალი გვარის ზმნებთან. ვნებითი გვარის ზმნებში ახალ ქართულში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი არის -ა.

ძვ. ქართ.: ბრწყინავ-ს, კუნესი-ს, ტირ-ს, დგა-ს, უწყი-ს, იმალები-ს, შე-წუხნები-ს, ტფები-ს...

ახ. ქართ.: ბრწყინავ-ს, კუნესი-ს, ტირი-ს, დგა-ს, უწყი-ს, იმალებ-ა, შე-წუხდებ-ა, თბებ-ა.

მოცემულ მაგალითებში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად -ენ და -ან სუფიქსებია წარმოდგენილი როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში. –ენ სუფიქსი აწმყოში იხმარება თანხმონით დამთავრებულ ფუძეებთან ძველ და ახალ ქართულშიც. –ან სუფიქსი გვხვდება ი-ზე დამთავრებულ ზმნებში როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში და ზოგიერთ საშუალ ზმნასთან.

ძვ. ქართ.: კუნესი-ან, ტირი-ან, უწყი-ან, ხ-იმალები-ან, შე-წუხნები-ან, გან-ტფები-ან, დგან-ან ჩან-ან.

ახ. ქართ.: კუნესი-ან, ტირი-ან, უწყი-ან, იმალები-ან, შეწუხდები-ან, თბები-ან, დგან-ან, ჩან-ან.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ „დგანან“ ტიპის ზმნები. -ან მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნის წინ „ან“ ინფიქსი გამოიყოფა. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

არნ. ჩიქობავა წერს: „ძველ ქართულში არის აშკარა ნიშნები იმისა, რომ –ან წინათ მხოლოდ მრავლობითობას აღნიშნავდა, პირის ფორმანტი კი ცალკე იყო: დგა-ნ-ან: -ნ მესამე პირის სუფიქსია, -ნ მრავლობითობის მაჩვენებელი; შდრ., გ-დგა-თ, რომელშიაც პირის მაჩვენებელიც არის (ოღონდ პრეფიქსი) და რიცხვისაც. ესე იგი, მესამე პირი მრავლობითისა იმავე პრინციპის მიხედვით იყო აგებული, როგორითაც მეორე და პირველი“ (არნ. ჩიქობავა, 1968: 163).

საინტერესოა ლ. კიკნაძის მოსაზრება. ავტორი ასახულებს ან-ან სუფიქსების წარმომავლობას:

1. ან-ან დაბოლოება მხოლოდ საშუალო გვარის გარკვეული რიგის ზმნებს აქვთ.
2. ეს სადავო ნ, მხოლოდ I სერიის მწკრივებშია წარმოდგენილი, პირის ნიშნის გამოხატვა კი ზმნის მწკრივებზე არ არის დამოკიდებული.
3. ნ გვხვდება სავრცობიან ფორმებში სავრცობის წინ (ჩანდა, მყვანდა, მყვანდეს), როცა მესამე სუბიექტური პირის ნიშანი თავის ადგილასაა წარმოდგენილი.
4. თვით ამ ნ-ს გვერდითაც არის მესამე პირის სუბიექტური ნიშანი: ჩანს, აქუნს, ჩანნ, აქუნნ.
5. ნ არის I და II პირის ფორმებშიც: ვჩან(ვარ), სჩან(ხარ), ვჰყვანდი, მოჰყვანდი, დიალექტური ვდგანვარ, დგანხარ.
6. აუხსნელი რჩება -ა-ს არსებობა ნ-ს წინ: დგ-ა-ნ-ან, ჩ-ა-ნ-ან, წგ-ა-ნ-ან. აღნიშნული ა და მომდევნო ნ ერთად ფუძის საწარმოებელი სუფიქსია და მათი გამოყოფა და დანაწილება შეუძლებელია.
7. გაურკვეველი იქნება ა-ს ფუნქცია ნ-ს შემდეგ დიალექტურ ფორმებში: ჩანა, დგანა, წგანა.
8. სადავო ნ არის მასდარულ ფორმებში (ჩენა, ქონა...).
9. ნ გვხვდება ამ რიგის შესაბამისი მოქმედებითისა და ვნებითი გვარის, აგრეთვე მასდარულ ფორმებში (აჩენს/აჩინებს, ადგენს/ ადგინებს; გამოჩნდა, დადგინდა, გამოჩენა, გამოჩინება, დადგენა, დადგინება) (ლ. კიკნაძე, 1946: 163-176; ლ. კიკნაძე, 1947: 123-144)).

ამრიგად, დგანან, ჩანან წგანან ზმნებში –ან გარკვეული ჯგუფის საშუალო გვარის ზმნების ფუძის საწარმოებელი სუფიქსია. ჩვენ ვიზიარებთ ლ. კიკნაძის მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ -ან- ინფიქსი საშუალო გვარის ზმნების საწარმოებელი სუფიქსი უნდა ყოფილიყო, რომელიც დღესაც შემორჩენილია ზოგიერთ ზმნაში: წგანან, ჩანან, დგანან...

თახვი VI

ორპირიანი ბარდაშვალა ზმნების პირთა კომბინაციები ძველსა და ახალ ქართულში  
ძველი ქართული

O	1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		Ø-გ- ვევდრები	სუ-ვევდრები		Ø-გ- ვევდრები	ს-უ- ვევდრები
2	Ø-მ- ვევდრები		Ø-ხ- ვევდრები	Ø-გუ- ვევდრები Ø-მ-ვევდრები		Ø-ხ- ვევდრები
3	მ- ვევდრები-ს	გ-ვევდრები-ს	ს-ვევდრები-ს	გუ-ვევდრები-ს მ-ვევდრები-ს	გ-ვევდრები-ს	ს-ვევდრები-ს
1 <sup>P</sup>		Ø-გ- ვევდრები-თ	სუ- ვევდრები-თ		Ø-გ- ვევდრები-თ	ს-უ- ვევდრები-თ
2 <sup>P</sup>	Ø-მ-ვევდ- რები-თ		Ø-ხ- ვევდრები-თ	Ø-გუ- ვევდრები-თ Ø-მ-ვევდრები- თ		Ø-ხ- ვევდრები-თ
3 <sup>P</sup>	მ- ვევდრები- ან	გ-ვევდრები- ან	ს-ვევდრები- ან	გუ-ვევდრები- ან მ-ვევდრები-ან	გ-ვევდრები- ან	ს-ვევდრები- ან

ახალი ქართული

O	1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		Ø-გ-ვევდრები	ვ-Ø- ვევდრები		Ø-გ- ვევდრები-თ	ვ-Ø-ვევდრები
2	Ø-მ- ვევდრები		Ø-Ø- ვევდრები	Ø-გვ- ვევდრები		Ø-Ø- ვევდრები
3	მ-ვევდრებ- ა	გ-ვევდრებ-ა	Ø-ვევდრებ-ა	გვ-ვევდრებ-ა	გ-ვევდრებ-ა- თ	Ø-ვევდრებ-ა
1 <sup>P</sup>		Ø-გ- ვევდრები-თ	ვ-Ø- ვევდრები-თ		Ø-გ- ვევდრები-თ- Ø	ვ-Ø- ვევდრები-თ
2 <sup>P</sup>	Ø-მ-ვევდ- რები-თ		Ø-Ø- ვევდრები-თ	Ø-გვ- ვევდრები-თ		Ø-Ø- ვევდრები-თ
3 <sup>P</sup>	მ- ვევდრები- ან	გ-ვევდრები- ან	Ø-ვევდრები- ან	გვ-ვევდრები- ან	გ-ვევდრები- ან-Ø	Ø-ვევდრები- ან

### ბგეღი ქართული

O	1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		0-გ-გონიე	*ვ-ხ-გონიე >ხ-უ-გონიე		Ø-გ-გონიე	*ვ-ხ-გონიე> ხ-უ-გონიე
2	Ø-მ-გონიე		Ø-ხ-გონიე	Ø-გუ-გონიე Ø-მ-გონიე		Ø-ხ-გონიე
3	მ-გონი-ი-ე-ს	გ-გონიე-ს	ხ-გონიე-ს	მ-გონიე-ს გუ-გონიე-ს	გ-გონიე-ს	ხ-გონიე-ს
1 <sup>P</sup>		Ø-გ-გონიე- თ	*ვ-ხ-გონიე- თ >ხ-უ-გონიე- თ		Ø-გ-გონიე-თ	*ვ-ხ-გონიე-თ >ხ-უ-გონიე-თ
2 <sup>P</sup>	Ø-მ-გონიე- თ		Ø-ხ-გონიე- თ	Ø-გუ-გონიე- თ 0-მ-გონიე-თ		Ø-ხ-გონიე-თ
3 <sup>P</sup>	მ-გონი-ან	გ-გონი-ან	ხ-გონი-ან	გუ-გონი-ან მ-გონი-ან	გ-გონი-ან	ხ-გონი-ან

### ახალი ქართული

O	1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		Ø-გ-გონი-ვარ	ვ-ჰ-გონი-ვარ ვ-Ø-გონი- ვარ		Ø-გ-გონი- ვარ-თ	ვ-ჰ-გონი- ვარ ვ-Ø-გონი- ვარ
2	მ-გონი-ხარ		ჰ-გონი-ხარ	გვ-გონი-ხარ		ჰ-გონი-ხარ
3	მ-გონი-ა	გ-გონი-ა	ჰ-გონი-ა	გვ-გონი-ა	გ-გონი-ა-თ	ჰ-გონი-ა-თ
1 <sup>P</sup>		გ-გონი-ვარ-თ	ვ-ჰ-გონი- ვარ-თ ვ-Ø-გონი- ვარ-თ		გ-გონი-ვარ- თ	ვ-ჰ-გონი- ვარ-თ ვ-Ø-გონი- ვარ-თ
2 <sup>P</sup>	მ-გონი- ხარ-თ		ჰ-გონი-ხარ- თ	გვ-გონი-ხარ- თ		ჰ-გონი-ხარ- თ
3 <sup>P</sup>	მ-გონი-ა	გ-გონი-ა	ჰ-გონი-ა-თ	გვ-გონი-ა	გ-გონი-ა-თ	ჰ-გონი-ა-თ

### ბგელი ქართული

O	1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		Ø-გ-პატრონობ	ხ-უ-პატრონობ		Ø-გ-პატრონობ	ხ-უ-პატრონობ
2	Ø-მ-პატრონობ		Ø-ხ-პატრონობ	Ø-გუ-პატრონობ Ø-მ-პატრონობ		Ø-ხ-პატრონობ
3	მ-პატრონობ-ს	გ-პატრონობ-ს	ხ-პატრონობ-ს	გუ-პატრონობ-ს მ-პატრონობ-ს	გ-პატრონობ-ს	ხ-პატრონობ-ს
1 <sup>P</sup>		Ø-გ-პატრონობ-თ	ხ-უ-პატრონობ-თ		Ø-გ-პატრონობ-თ	ხ-უ-პატრონობ-თ
2 <sup>P</sup>	Ø-მ-პატრონობ-თ		Ø-ხ-პატრონობ-თ	Ø-გუ-პატრონობ-თ Ø-მ-პატრონობ-თ		Ø-ხ-პატრონობ-თ
3 <sup>P</sup>	მ-პატრონობ-ენ	გ-პატრონობ-ენ	ხ-პატრონობ-ენ	გუ-პატრონობ-ენ მ-პატრონობ-ენ	გ-პატრონობ-ენ	ხ-პატრონობ-ენ

### ახალი ქართული

O	1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		Ø-გ-პატრონობ	ვ-ჰ-პატრონობ ვ-Ø-პატრონობ		Ø-გ-პატრონობ-თ	ვ-ჰ-პატრონობ ვ-Ø-პატრონობ
2	Ø-მ-პატრონობ		Ø-ჰ-პატრონობ	Ø-გვ-პატრონობ		Ø-ჰ-პატრონობ
3	მ-პატრონობ-ს	გ-პატრონობ-ს	ჰ-პატრონობ-ს	გვ-პატრონობ-ს	გ-პატრონობ-Ø-თ	ჰ-პატრონობ-ს
1 <sup>P</sup>		Ø-გ-პატრონობ-თ	ვ-ჰ-პატრონობ-თ ვ-Ø-პატრონობ-თ		Ø-გ-პატრონობ-თ-Ø	ვ-ჰ-პატრონობ-თ ვ-Ø-პატრონობ-თ
2 <sup>P</sup>	Ø-მ-პატრონობ-თ		Ø-ჰ-პატრონობ-თ	Ø-გვ-პატრონობ-თ		Ø-ჰ-პატრონობ-თ
3 <sup>P</sup>	მ-პატრონობ-ენ	გ-პატრონობ-ენ	ჰ-პატრონობ-ენ	გვ-პატრონობ-ენ	გ-პატრონობ-ენ-Ø	ჰ-პატრონობ-ენ

### ბგელი ქართული

	O 1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		Ø-გ-იყუარ	Ø-ხ-უყუარ		Ø-გ-იყუარ	Ø-ხ-უყუარ
2	Ø-მ-იყუარ		Ø-ხ-უყუარ	Ø-გუ-იყუარ Ø-მ-იყუარ		Ø-ხ-უყუარ
3	მ-იყუარ-ს	გ-იყუარ-ს	ხ-უყუარ-ს	გუ-იყუარ-ს მ-იყუარ-ს	გ-იყუარ-ს	ხ-უყუარ-ს
1 <sup>P</sup>		Ø-გ-იყუარ-თ	Ø-ხ-უყუარ-თ		Ø-გ-იყუარ-თ	Ø-ხ-უყუარ-თ
2 <sup>P</sup>	Ø-მ-იყუარ-თ		Ø-ხ-უყუარ-თ	Ø-გუ-იყუარ-თ Ø-მ-იყუარ-თ		Ø-ხ-უყუარ-თ
3 <sup>P</sup>	მ-იყუარ-ან	გ-იყუარ-ან	ხ-უყუარ-ან	გუ-იყუარ-ან მ-იყუარ-ან	გ-იყუარ-ან	ხ-უყუარ-ან

### ახალი ქართული

	O 1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		გ-იყვარ-ვარ	ვ-Ø-უყვარ-ვარ		გ-იყვარ-ვარ-თ	ვ-Ø-უყვარ-ვარ
2	მ-იყვარ-ხარ		Ø-Ø-უყვარ-ხარ	გვ-იყვარ-ხარ		Ø-Ø-უყვარ-ხარ
3	მ-იყვარ-ს	გ-იყვარ-ს	Ø-უყვარ-ს	გვ-იყვარ-ს	გ-იყვარ- Ø-თ	Ø-უყვარ- Ø-თ
1 <sup>P</sup>		გ-იყვარ-ვარ-თ	ვ-Ø-უყვარ-ვარ-თ		გ-იყვარ-ვარ-თ-Ø	ვ-Ø-უყვარ-ვარ-თ
2 <sup>P</sup>	მ-იყვარ-ხარ-თ		Ø-Ø-უყვარ-ხარ-თ	გვ-იყვარ-ხარ-თ		Ø-უყვარ-ხარ-თ
3 <sup>P</sup>	მ-იყვარ-ს	გ-იყვარ-ს	Ø-უყვარ-ს	გვ-იყვარ-ს	გ-იყვარ-თ	Ø-უყვარ-თ

### ბგელი ქართული

O	1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		ღ-გ-ძულ	ხ-უ-ძულ		ღ-გ-ძულ	ხ-უ-ძულ
2	ღ-მ-ძულ		ღ-ხ-ძულ	ღ-გ-უ-ძულ ღ-მ-ძულ		ღ-ხ-ძულ
3	მ-ძულ-ს	გ-ძულ-ს	ხ-ძულ-ს	გ-უ-ძულ-ს მ-ძულ-ს	გ-ძულ-ს	ხ-ძულ-ს
1 <sup>P</sup>		ღ-გ-ძულ-თ	ღ-ხ-ძულ-თ		ღ-გ-ძულ-თ	ხ-უ-ძულ-თ
2 <sup>P</sup>	ღ-მ-ძულ-თ		ღ-ხ-ძულ-თ	ღ-გ-უ-ძულ-თ ღ-მ-ძულ-თ		ღ-ხ-ძულ-თ
3 <sup>P</sup>	მ-ძულ-ან	გ-ძულ-ან	ხ-ძულ-ან	გ-უ-ძულ-ან მ-ძულ-ან	გ-ძულ-ან	ხ-ძულ-ან

### ახალი ქართული

O	1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		გ-ძულ-ვარ	გ-ს-ძულვარ// გ-ღ-ძულ-ვარ		გ-ძულ-ვარ-თ	გ-ს-ძულ-ვარ// გ-ღ-ძულ-ვარ
2	მ-ძულ-ხარ		ღ-ს-ძულხარ	გ-ძულ-ხარ		ს-ძულ-ხარ
3	მ-ძულ-ს	გ-ძულ-ს	ს-ძულ-ს	გ-ძულ-ს	გ-ძულ-თ	ს-ძულ-თ
1 <sup>P</sup>		გ-ძულ-ვარ-თ	გ-ს-ძულხარ-თ// გ-ღ-ძულ-ხარ-თ		გ-ძულ-ვარ-თ-ღ	გ-ს-ძულვარ-თ// გ-ღ-ძულ-ვარ-თ
2 <sup>P</sup>	მ-ძულხარ-თ		ღ-ს-ძულხარ-თ	გ-ძულხარ-თ		ს-ძულ-ხართ
3 <sup>P</sup>	მ-ძულ-ს	გ-ძულ-ს	ს-ძულ-ს	გ-ძულ-ს	გ-ძულ-თ	ს-ძულ-თ



წარმოდგენილი იყო ორპირიანი გარდაუვალი ზმნების პირთა კომბინაციები ძველსა და ახალ ქართულში, კერძოდ, დინამიკური ენიანი ვნებითი – ვევედრები, სტატიკური ვნებითი - ხუგონიე, საშუალ-მოქმედებითი – ხპატრონობს, საშუალ-ვნებითი – მიყვარს, მძულს. ბოლო ორი ზმნის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი.

როგორც ცნობილია, გრამატიკულად იკრძალება შემდეგი კომბინაციები:  $S_1O_1^d$ ,  $S_1O_1^{ind}$ ,  $S_1^pO_1^d$ ,  $S_1^pO_1^{ind}$ ,  $S_1^pO_1^{dp}$ ,  $S_1^pO_1^{indp}$ ,  $S_1O_1^{dp}$ ,  $S_1O_1^{indp}$ ,  $S_2O_2^d$ ,  $S_2O_2^{ind}$ ,  $S_2^pO_2^{ind}$ ,  $S_2^pO_2^{ind}$ ,  $S_2^pO_2^{ind}$ ,  $S_2^pO_2^{ind}$ ,  $S_2O_2^{dp}$ ,  $S_2O_2^{indp}$ . მართალია, აღნიშნული კომბინაციები ფონემატურად იკრძალება  $S_1O_1^d$ ,  $S_1O_1^{ind}$ ,  $S_2O_2^d$ ,  $S_2O_2^{ind}$ ..., ე.ი. |ვმ|, |ხგ|, რადგან შექმნილია არაბუნებრივი კომბინაცია, რომელიც გამორიცხულია ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის თავიკიდურად (პაუზა – V პოზიცია), მაგრამ ამგვარი კომბინაციები გვხვდებოდა ძველ ქართულში, სადაც „თავი“ ასრულებდა პირის ნაცვალსახელის ფუნქციას: „გარდაიგდე (შენ) თავი შენი –  $S_2O_2^d$ , არ თავნი გავაზანტენით (ჩუენ). რაც შეეხება III პირს, შესაძლებელია ერთ ფორმაში რამდენიმე მესამე პირი გვექონდეს:  $S_3O_3^d$ ,  $S_3^pO_3^{ind}$ ,  $S_3O_3^dO_3^{ind}$  და ა.შ.

კომბინაციაში  $S_1O_2^{ind}$  (გ-ვევედრები, გ-გონიე, გ-პატრონობ),  $S_1$  პირის ნიშანი ნიშანი გ- არ არის წარმოდგენილი და არც არასდროს ყოფილა. როგორც თ. უთურგაიძე აღნიშნავს, ეს მოვლენა განეკუთვნება მორფონოლოგიის სფეროს |ვვ| ერთი მორფემის ფარგლებში დაუშვებელი კომპლექსია, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ გ- პრეფიქსის დაკარგვა ამ ფორმებში სიმულტანური პროცესია (ანუ იკარგება გაჩენისთანავე), ე.ი. ყოველთვის ამ პოზიციაში ნულოვანი ალმორფი ივარაუდება. ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ კომბინაციების  $S_1^pO_2^{indp}$  (გ-ვევედრები-თ, გ-გონიე-თ გ-პატრონობ-თ) მრავლობითი რიცხვის ფორმებში სუბიექტური პირის მრავლობითი -თ ბოლოსართით არის გამოხატული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული პირი ზმნაში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. როგორც ა. შანიძე წერს: „რიცხვი... ზმნაში მხოლოდ პირს აქვს“ (ა. შანიძე, 1973: 195), მაშასადამე, -თ სუფიქსი უკვე გამოხატულ პირს უნდა გასჩენოდა. ამასთანავე ის ფაქტიც, რომ გ- გვხვდება  $O_3$ -თან კომბინაციაში, გვაგვარაუდებინებს, რომ ასევე უნდა ყოფილიყო  $O_2$ -სთან. ზემოაღნიშნულის საფუძველზე რეკონსტრუირდება მორფოლოგიურად  $S_1O_2^{ind}$  პირთა კომბინაცია –\*გ-გ, \*გ-გ-ვევედრები, გ-გ-გონიე, გ-გ-პატრონობ და ა.შ.

Ø-გ-ვევდრები ( $S_1O_2^{ind}$ ) ~ Ø-გ-ვევდრები-თ ( $S_1^pO_2^{ind}$ )

Ø-გ-გონიე ( $S_1O_2^{ind}$ ) ~ Ø-გ-გონიე-თ ( $S_1^pO_2^{ind}$ )

Ø-გ-პატრონობ ( $S_1O_2^{ind}$ ) ~ Ø-გ-პატრონობ-თ ( $S_1^pO_2^{ind}$ )

ასევე რეკონსტრუირდება  $S_2O_1^{ind}$  კომბინაციებში  $\text{ქ-ქ}$ , სადაც ყოველთვის ნულოვანი ალომორფით იქნება წარმომადგენელი სუბიექტური მეორე პირი:

\*  $\text{ჰ-მ-ვევდრები} - \text{Ø-მ-ვევდრები} (S_2O_1^{ind})$

\*  $\text{ჰ-მ-ვევდრები-თ} - \text{Ø-მ-ვევდრები-თ} (S_2^pO_1^{ind})$

\*  $\text{ჰ-მ-გონიე} - \text{Ø-მ-გონიე} (S_2O_1^{ind})$

\*  $\text{ჰ-მ-გონიე-თ} - \text{Ø-მ-გონიე-თ} (S_2^pO_1^{ind})$

\*  $\text{ჰ-მ-პატრონობ} - \text{Ø-მ-პატრონობ} (S_2O_1^{ind})$

\*  $\text{ჰ-მ-პატრონობ-თ} - \text{Ø-მ-პატრონობ-თ} (S_2^pO_1^{ind})$

ეს კომბინაციები ახალ ქართულშიც ასევე არის წარმოდგენილი, როგორც მოცემული პარადიგმებიდან ჩანს.



SO კომბინაციებში, ძველ ქართულში, I სერიის ფორმებში აღინიშნებოდა მხოლოდ სუბიექტის მრავლობითობა, რომელიც სახელობითში იდგა, ხოლო მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი, გარდა I პირისა, ვერ ითანხმებდა ზმნას რიცხვში: მე გვევდრები შენ/თქვენ, მე ხუგონიე მას/მათ, მე ხუპატრონობ მას/მათ. ამიტომ მოცემულ ფორმებში წარმოდგენილი იყო მხოლოდ სუბიექტის მრავლობითობა -თ სუფიქსით: ჩვენ გვევდრები-თ შენ/თქვენ, ჩვენ ხუგონიე-თ მას/მათ, ჩვენ ხუპატრონობ-თ მას/მათ.

ახალ ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში ობიექტური წყობის დროს, ისიც არსებითად I და II პირში, III პირში შეთანხმება შედარებით იშვიათად გვაქვს.

საყურადღებოა, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში ვხვდებით ისეთ ფორმებს, რომლებშიც დასტურდება რიცხვში შეთანხმება III პირში როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ ობიექტთან: „ვაჟა ... ჩახჭიდებდათ თითებს (გ. დონ.), თავბრუს

დაახვევდათ... (გ. დონ.), რიხით გამოეცხადათ პაპა კარლსონი (თ. ჩალაური), ვიღაც წამოადგათ თავს (ჯ. ქარჩხ.), ქიშიშის არ ჩაუყრიდათ მუჭში (ო. ჭილაძე), ვერავინ მოაკაკუნებდათ შუალამისას (ო. ჭილაძე), აუწყვდათ გული (ო. ჭილაძე), საათის ხმა... ახსენებდათ (ო. ჭილაძე), პაპამ ქამარი მოუნაცვლათ (ო. ჭილაძე), ის ჩაუპარტყუნებდათ... თავში (ო. ჭილაძე), განებებდათ ის მათ, უბორკავდათ ის მათ მას, აბიჯებდათ ის მათ, ჩამოუტანათ მან მათ ის, აკავებდათ ის მათ, უხმენდათ ის მათ, ახალისებდათ ის მათ, აფრთხილებდათ ის მათ... (ი. კიკნაძე, 1983: 75-87).

გამოხატულების პლანში ერთმანეთს ემთხვევა, ერთი მხრივ,  $S_1^pO_2^{ind}$  და, მეორე მხრივ  $S_1^pO_2^{indp}$ , გრამატიკულად კი ისინი სხვადასხვაა. თუ მათ წარმოვადგინებთ მორფემებით, მივიღებთ შემდეგ სურათს:



ძვ. ქართ.: ჩვენ შენ  $\emptyset$ -გ-ვევდრები-თ ~ ჩვენ თქვენ  $\emptyset$ -გ-ვევდრები-თ

ახ. ქართ.: ჩვენ შენ  $\emptyset$ -გ-ვევდრები-თ ~ ჩვენ თქვენ  $\emptyset$ -გ-ვევდრები-თ- $\emptyset$

ძვ. ქართ.: ჩვენ შენ  $\emptyset$ -გ-პატრონობ-თ ~ ჩვენ თქვენ  $\emptyset$ -გ-პატრონობ-თ

ახ. ქართ.: ჩვენ შენ  $\emptyset$ -გ-პატრონობ-თ ~ ჩვენ თქვენ  $\emptyset$ -გ-პატრონობ-თ- $\emptyset$

ახალი ქართულის ფორმებში მოცემულ კომბინაციებში ნულოვანი ალომორფი აუცილებლად უნდა დავწეროთ, რადგან  $S_1^pO_2^{indp}$  კომბინაციაში თავს იყრის ორი -თ-თ. როგორც ვიცით, ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი გემინირებული თანხმონები ერთი მორფემის ფარგლებში, ბუნებრივია, მორფემათა ზღვარზე დაიკარგა ერთ-ერთი, რომელიც სწორედ ნულოვანი ალომორფით წარმოვადგინეთ.

ძველი ქართულის I სერიის ფორმებში  $S_1O_2^{ind}$ ,  $S_1O_2^{indp}$  (მე გვევდრები შენ/თქვენ, მე გ-გონიე შენ/თქვენ, მე გ-პატრონობ შენ/თქვენ), როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი არ ითანხმებდა ზმნას რიცხვში და არც ამ კომბინაციებში გამოიხატებოდა, გარდა I პირისა.

ახალ ქართულში კი შეთანხმება ხდება ობიექტური წყობის დროს II პირშიც და მოცემული კომბინაციები შემდეგნაირად ჩაიწერება:

ძვ. ქართ.:	მე შენ/თქვენ	ახ. ქართ.:	მე შენ	მე თქვენ
	გ-ვევდრები		გ-ვევდრები	გ-ვევდრები-თ
	გ-პატრონობ.		გ-პატრონობ	გ-პატრონობ-თ

როგორც ვხედავთ, II პირში საჭირო გახდა მრავლობითის აღნიშვნა, რისთვისაც პირდაპირ გადმოტანილი იქნა  $S_1$  და  $S_2$  მრავლობითის -თ სუფიქსი.

კომბინაცია  $S_1O_3^{ind}$  ძველ ქართულში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: ხ-უ-ევედრები, ხ-უ-გონიე, ხ-უ-პატრონობ. \*ფ-ხ-ევედრები, ვ-ხ-გონიე, ვ-ხ-პატრონობ. \*ფ-ხ- თანმიმდევრობაში |ვ-| პრეფიქსმა მეტათეზისი განიცადა; |ხ-|ს მომდევნოდ [ვ] გადადის წყვილბაგისმიერ [უ] თანხმოვანში, რომელიც რიგ შემთხვევაში იკარგება (ა. შანიძე, 1976: 22). მიმდევრობა |ვხ| იცვლება |ხვ|-თი, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ [ხვ] ერთი მორფემის ფარგლებში არ გვხვდება, ხოლო |ხუ| მეტად გავრცელებული მიმდევრობაა ძველ ქართულში როგორც ზმნებში, ასევე სახელებშიც: ვეფხუ, ლახუარი, შემთხვევა, მსხუერპლი, მცხუელი, რიცხუ, ხახუ, ხუადი, ხუარბალი, ხუასტავი, ხუაშიადი, ხუედრება, ხუევა, შეხუევა, ხუეტა, ხუეწა, ხუეტა, ვერხუ... (ივ. იმნაიშვილი. 1971: 7-8).

ახალ ქართულში, როგორც ცნობილია,  $O_3^{ind}$  ნიშანი ჰ- ხმოვნებისა და ნაპრალოვნების წინ იკარგება და ნულოვანი ალომორფით იქნება წარმოდგენილი: ვჰევედრები→ვ-ევედრები. ვ-ჰ-პატრონობ – ჰ არ იკარგება ჰ ხშული თანხმოვნის წინ, თუმცა არსებობს მისი პარალელური ფორმა, სადაც ჰ არ არის წარმოდგენილი: ვ-ჰ-პატრონობ // ვ-ე-პატრონობ.

კომბინაციაში  $S_2O_3^{ind}$  – სხვადასხვა ფუნქციის ორი ხ-ხ- პრეფიქსი ხვდება ერთმანეთს უშუალო მეზობლობაში. ერთ-ერთი მათგანი რჩება ფორმაში, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი ერთნაირი თანხმოვანი ერთი მორფემის ფარგლებში არ არის დამახასიათებელი ქართულისათვის. ა. შანიძე ამ მოვლენას განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არის კომბინაცია  $S_2O_3^{ind}$  და აღნიშნავს, რომ ორი ერთნაირი თანხმოვნიდან ერთ-ერთი იკარგება, მაგრამ კონკრეტულად რომელი პირი, ამაზე პასუხს არ იძლევა (ა. შანიძე, 1981: 148).

ვფიქრობთ, ამ კომბინაციაში იკარგებოდა  $S_2$  პირის ნიშანი |ხ-|, რომლის ძალაც თანდათანობით სუსტდებოდა და დღეს, ახალ ქართულში, ის თითქმის აღარ იხმარება. თ. გამყრელიძის სუბიექტ-ობიექტური პირის ნიშანთა „სიმძლავრის“ თეორიას თუ გავითვალისწინებთ (თ. გამყრელიძე, 2000: 145-146), შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კომბინაციაში  $S_2O_3^{ind}$  –  $O_3^{ind}$  ნიშანი უფრო „მძლავრი“ იყო  $S_2$

პირის ნიშანზე, რადგან აქცენტირებულ ადრესატზე მიუთითებდა და ამიტომაც იკარგება  $S_2$  პირის ნიშანი.

ახალ ქართულში, როგორც უკვე აღვნიშნეთ,  $O_3^{ind}$  ნიშანი  $\{x\}$  ხმოვნების, სონორებისა და ჩქამიერი ნაპრალოვნების წინ იკარგება და ნულოვანი ალმორფით იქნება წარმოდგენილი. მოცემული კომბინაცია ახალ ქართულში ასე ჩაიწერება:  $S_2O_3^{ind}$ - $\emptyset$ - $\emptyset$ -ევედრები,  $\emptyset$ - $\emptyset$ -პატრონობ.

ამავე პირთა კომბინაციების მრავლობითი რიცხვის ფორმებში:  $S_1^pO_3^{ind}$ ,  $S_1^pO_3^{indp}$ ,  $S_2^pO_3^{ind}$ ,  $S_2^pO_3^{indp}$ , როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში აღინიშნება სუბიექტური პირის მრავლობითობა -თ სუფიქსით:

ძველი ქართული:

- ხ-უ-ევედრებით ~ ხ-უ-ევედრები-თ ( $S_1^pO_1^{ind} \sim S_1^pO_3^{indp}$ )
- $\emptyset$ -ხ-ევედრები-თ ~  $\emptyset$ -ხ-ევედრები-თ ( $S_2^pO_3^{ind} \sim S_2^pO_3^{indp}$ )
- ხ-უ-პატრონობ-თ ~ ხ-უ-პატრონობ-თ ( $S_2^pO_3^{ind} \sim S_1^pO_3^{indp}$ )
- $\emptyset$ -ხ-პატრონობ-თ ~  $\emptyset$ -ხ-პატრონობ-თ ( $S_2^pO_3^{ind} \sim S_2^pO_3^{indp}$ )

ახალი ქართული:

- ვ- $\emptyset$ -ევედრები-თ ~ ვ- $\emptyset$ -ევედრები-თ ( $S_1^pO_1^{ind} \sim S_1^pO_3^{indp}$ )
- $\emptyset$ - $\emptyset$ -ევედრები-თ ~  $\emptyset$ - $\emptyset$ -ევედრები-თ ( $S_2^pO_3^{ind} \sim S_2^pO_3^{indp}$ )
- ვ- $\emptyset$ -პატრონობ-თ ~ ვ- $\emptyset$ -პატრონობ-თ // ვ- $\emptyset$ -პატრონობ-თ – ვ- $\emptyset$ -პატრონობ-თ ( $S_1^pO_3^{ind} \sim S_1^pO_3^{indp}$ )
- $\emptyset$ - $\emptyset$ -პატრონობ-თ ~  $\emptyset$ - $\emptyset$ -პატრონობ-თ ( $S_2^pO_3^{ind} \sim S_2^pO_3^{indp}$ )

რაც შეეხება  $S_1O_3^{indp}$ ,  $S_2O_3^{indp}$  კომბინაციებს ობიექტების მრავლობითობა არ აღინიშნება არც ძველ და არც ახალ ქართულში. იქნება შემდეგი ფორმები:

- ვ- $\emptyset$ -ევედრები, ვ- $\emptyset$ -პატრონობ ( $S_1O_3^{indp}$ )
- $\emptyset$ - $\emptyset$ -ევედრები,  $\emptyset$ - $\emptyset$ -პატრონობ ( $S_2O_3^{indp}$ )

$S_3O_1^{ind}$ ,  $S_3O_2^{ind}$ ,  $S_3O_3^{ind}$  კომბინაციებში მხოლოდითი რიცხვის ფორმებში ორივე პირის ნიშანია მოცემული ზმნებში, რადგან  $S_3$  პირის ნიშნები სუფიქსებია, ხოლო ობიექტური პირის ნიშნები პრეფიქსებია და არ ხდება პირის ნიშანთა შესხვედრა:

	$S_3O_1^{ind}$	$S_3O_2^{ind}$	$S_3O_3^{ind}$
ძვ. ქართ.:	მ-ევედრები-ს	გ-ევედრები-ს	ხ-ევედრები-ს
ახ. ქართ.:	მ-ევედრებ-ა	გ-ევედრებ-ა	Ø-ევედრებ-ა.
ძვ. ქართ.:	მ-გონიე-ს	გ-გონიე-ს	ჰ-გონიე-ს
ახ. ქართ.:	მ-გონი-ა	გ-გონი-ა	ჰ-გონი-ა
ძვ. ქართ.	მ-პატრონობ-ს	გ-პატრონობ-ს	ხ-პატრონობ-ს
ახ. ქართ.:	მ-პატრონობ-ს	გ-პატრონობ-ს	ჰ-პატრონობ-ს

როგორც ვხედავთ, ამ მხრივ სხვაობა ძველსა და ახალ ქართულს შორის არ არის.

$S_3O_1^{indp}$ ,  $S_3O_2^{indp}$ ,  $S_3O_3^{indp}$  – ძველ ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ ითანხმებდა ზმნას რიცხვში I პირის გარდა და არც ამ კომბინაციებში გამოიხატებოდა, ხოლო ახალ ქართულში ობიექტური წყობის დროს ხდება ზმნის რიცხვში შეთანხმება I და II პირში, III კი – იშვიათად. ამით განსხვავდება ახალი ფორმები ძველი ფორმებისაგან.

ძველი ქართული	ახალი ქართული
$S_3O_1^{indp}$ -გ-ევედრები-ს	გვ-ევედრება
$S_3O_2^{indp}$ -გ-ევედრები-ს	გ-ევედრება-თ
$S_3O_3^{indp}$ -ხ-ევედრები-ს	Ø-ევედრება // Ø-ევედრება-თ
$S_3O_1^{indp}$ -გ-უ-პატრონობ-ს	გვ-პატრონობ-ს
$S_3O_2^{indp}$ -გ-პატრონობ-ს	გ-პატრონობ-თ-Ø
$S_3O_3^{indp}$ -ხ-პატრონობ-ს	ჰ-პატრონობ-ს // ჰ-პატრონობ-Ø-თ

რაც შეეხება  $S_3^pO_1^{indp}$ ,  $S_3O_2^{indp}$ ,  $S_3O_3^{indp}$  კომბინაციებს, ძველსა და ახალ ქართულში ყველგან წარმოდგენილია III სუბიექტური პირის მრავლობითი ნიშანი – |ან|ქენ|. მნიშვნელოვანია  $S_3^pO_1^{indp}$  კომბინაცია, სადაც მოცემულია როგორც სუბიექტის, ასევე ობიექტის მრავლობითობა, ე.ი. ზმნის ერთ ფორმაში ორი სხვადასხვა

ნიშნით გამოიხატება სხვადასხვა აქტანტის მრავლობითობა, რაც განამტკიცებს რანგთა სისტემაში მათი ცალკე გამოყოფის საკითხს.

$S_3^pO_1^{indp}$	$S_3^pO_2^{indp}$	$S_3^pO_3^{indp}$
ბგ. ქართ.: გუ-ევედრები-ან,	გ-ევედრები-ან	ხ-ევედრები-ან
ახ.ქართ.: გვ-ევედრები-ან,	გ-ევედრები-ან//	Ø-ევედრები-ან//Ø-ევედრები-ან-Ø
	გ-ევედრები-ან-Ø	

ბგ. ქართ.: გუ-პატრონობ-ენ	გ-პატრონობ-ენ	ხ-პატრონობ-ენ
ახ.ქართ.: გვ-პატრონობ-ენ	გ-პატრონობ-ენ//	ჰ-პატრონობ-ენ//ჰ-პატრონობ-ენ-Ø
	გ-პატრონობ-ენ-Ø	

სუბიექტური და ობიექტური აქტანტების მარკირების საკითხის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ე.წ. ინვერსიულ ზმნებს. ინვერსია – ჰქვია შექცევას, ანუ შებრუნებას. პირის ნიშანთა ინვერსიის დროს სუბიექტურ ნიშნებს ირიბ-ობიექტური პირის ნიშნები ენაცვლებათ. (ა. შანიძე, 1973: 119-200).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვაგვარი მოსაზრება ინვერსიულ ზმნებთან დაკავშირებით. ზოგი ლინგვისტის აზრით, ინვერსიული ზმნები გამოხატავენ ისეთ მდგომარეობას, რომელშიც ადამიანი თავისი ნების გარეშე იმყოფება (Б. Карпович, 1937: 17-18), ზოგი ფიქრობს, რომ ინვერსიული ზმნები გამოხატავენ ადრე ჩადენილი მოქმედების შედეგს (С. Биховская, 1936: 40).

ი. კორტავა წერს, ქართველურ ენათა ინვერსიული ზმნები სემანტიკური თვალსაზრისით ახლოს დგას ინდოევროპულ ძირეულ პერფექტთან. უფრო მეტიც, მისი აზრით, შესაძლოა ქართველურ ენათა განვითარების უძველეს ეტაპზე ინვერსიული ზმნები წარმოადგენდნენ პერფექტული პრეზენსის ფორმებს, მსგავსად გერმანულისა (И. Кортava, 1982: 119). ა. დირმა ინვერსიულ ზმნებთან დაკავშირებით შემოიტანა ცნებები „აფექტური ზმნისა“ და „აფექტური კონსტრუქციის“. მისი აზრით, ასეთი ზმნები გამოხატავენ ადამიანის ემოციებს ან შთაბეჭდილებებს. (A. Dirr, 1911: 62).

მარტოოდენ ფუნქციური ცვლილებების ნიმუშებად აქვს წარმოდგენილი ბ. ჯორბენაძეს ინვერსიის მაგალითები: დამიწერია, დამიმალავს, მიყვარს, მწყურია

და სხვა. მოცემულ ფორმებში ფუნქციური გადანაწილება სუბიექტურ და ობიექტურ პირებს შორის მოხდა ისე, რომ ეს ფორმობრივ სტრუქტურას არ შეხებია (ბ. ჯორბენაძე, 1980: 61).

ა. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ „სუბიექტური პირის ნიშნით გამოხატული პირი ყოველთვის არ არის აქტიური, ე.ი. მოქმედი. ისეთ ზმნებში, როგორიცაა: ვდრეკ, ვგლეჯ, აქტივობა თვალსაჩინოა, მაგრამ ისეთ ზმნებში, როგორიცაა: ვჰხედავ, ვბრწყინავ, ვევედრები და მაგგვარებში აქტივობა ძალზე მკრთალია. ხოლო ისეთ მაგალითებში, როგორიცაა: ვარ, ვ-დგა, ვ-ზი ვ-კუდები რაიმე აქტივობაზე ლაპარაკი ზედმეტია. აქ მხოლოდ მდგომარეობაა მე-სი, მე - სრულიად უმოქმედოა დასასრულ, მაგალითებში: ვიკვლი, ვიგუემები, ვიტანჯვი, მე - რეალურად მოქმედი კი არ არის, არამედ ვნებულია სხვისი მოქმედებით. იგი არა მარტო უმოქმედოა, არამედ სამოქმედოც, თუ შეიძლება ასე ითქვას“ (არნ. ჩიქობავა, 1968: 131-132).

ამ წინააღმდეგობის დასაძლევად ავტორს შემოაქვს რეალური სუბიექტისა და მორფოლოგიური სუბიექტის, ასევე რეალური ობიექტისა და მორფოლოგიური ობიექტების ცნებები, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთს, ზოგჯერ კი უპირისპირდება. ეს უკანასკნელი არის სწორედ ინვერსიულ ზმნებში. „ზოგიერთი ზმნა ქართულში უპირატესად ობიექტური წყობით იხმარება, მაგ.: მაქუს, მყავს, მრწამს, მიყუარს, მძულს... მიზეზი ნათელია: ეს ობიექტური წყობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეალობის სუბიექტურ წყობას გადმოგვცემს. თუმცა შედარებით უფრო იშვიათად იხმარება იგივე ზმნები სუბიექტურ წყობაშიც: ვსძულ, ვპრწამ, ვუყუარ, ვჰყავ...“ (არნ. ჩიქობავა, 1968: 141).

ა. შანიძის თვალსაზრისით, ინვერსიულია მხოლოდ გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმები. რაც შეეხება „მიყუარს“ ტიპის ზმნებს აქ საკითხი ასე გადაწყდება: გარდაუვალ ზმნაში სახელობითის ფორმით წარმოდგენილი სახელი სუბიექტია, სულ ერთია, ზმნა ერთპირიანია თუ ორპირიანია, ხოლო მიცემითში დასმული სახელი – ირიბი ობიექტია, რაც საკვებით მიესადაგება აღნიშნულ ზმნებს (ა. შანიძე, 1961: 222).

ინვერსიის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა დ. მელიქიშვილის მოსაზრება. სწორედ ინვერსიის პროცესი გახდა ერთ-ერთი მიზეზი და საფუძველი ქართული ენის სინტაქსში იმ დიდი ძვრებისა, რომლებმაც ენის



სისტემაში სხვა ცვლილებებთან ერთად გამოიწვია მიცემით ბრუნვაში დასმული პერსონალური პირის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარის მოპოვება და, მაშასადამე, რიცხვში შეთანხმების ფორმალური პრინციპის სემანტიკურით შეცვლა, რამაც მკვეთრად გამოიწვია ერთმანეთისაგან ძველი და ახალი ქართული. (დ. მელიქიშვილი, 2001: 21-22). ინვერსიის, როგორც ისტორიული ფაქტის, დასასაბუთებლად ავტორს შემდეგი არგუმენტები მოჰყავს:

1. პერფექტულ-რეზულტატიური შინაარსის ფორმებიდან დრო-კილოთა ახალი ჯგუფის, III სერიის, ჩამოყალიბების ისტორია. პერფექტული შინაარსიდან ახალი, დინამიკური შინაარსის ფორმების სისტემების ჩამოყალიბება.
2. პერსონალური მიცემითის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარის მოპოვება და, შესაბამისად, პირდაპირი ობიექტის სახელობითის მიერ ამ უნარის დაკარგვა. როგორც ცნობილია, რიცხვში შეთანხმება სუბიექტის განმსაზღვრელი უნივერსალური სინტაქსური ნიშანია: სუბიექტი ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში.
3. ლიტერატურულ ძეგლებში ყოლა-ქონებისა და გრძნობა-აქმის ზმნებში I პირის მიცემითის მრავლობითობის გუ-პრეფიქსით და, შესაბამისად, II და III პირის მიცემითის მრავლობითობის სისტემატურად -ყე სუფიქსით აღნიშვნა: გნებაყე თქვენ, უყუარს-ყე მათ.
4. რელატიური სტრუქტურის პირნაკლი მაცახცახებს, მაზმორებს, ან მშია და მეშინია ტიპის დადასტურებულ ფორმებში დარჩენილი პირის რეალურ სუბიექტად გააზრება.
5. შემომელანდლა, შემომელახა, შემომეჭამა, გადამეყლაპა, ნეტავი გამაკეთებინა, რა გამაძლებინებს, რამ გადამრია და სხვა ამ ტიპის ზმნათა, როგორც ისტორიულად მეორადი, გადააზრებული სემანტიკის მქონე ფორმების არსებობის ფაქტი და სხვა (დ. მელიქიშვილი, 2001: 226-227).

ამგვარად, ავტორი ასკვნის, ინვერსიას, როგორც ისტორიულ პროცესს, საფუძველი აქვს სტატიკურ, პასიური მორფოლოგიური სუბიექტის მქონე ზმნებში, სადაც ზმნაში პირის ნიშნით გამოხატული მიცემითი, როგორც პერსონალური პირი, რეალურად, ფუნქციურად სუბიექტად გაიგება და შედეგად გარკვეული პერიოდიდან უკვე სათანადო რიცხვის ნიშანსაც მოითხოვს ზმნაში. ამრიგად, ინვერსიულ ზმნათა დიათეზა ისტორიულად მეორეული, წარმოქმნილი ფუნქციური ცვლილების შედეგად მიღებული კონსტრუქციისაა (იქვე: 227).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ინვერსიასთან დაკავშირებით არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება. ა. ონიანი უარყოფს ინვერსიის ფაქტს. მისი აზრით, პირის აქტიურ-პასიურობის გამოხატვა პირის ნიშანთა ფუნქცია არაა, რადგან  $\varphi$ -ის რიგისა და  $\psi$ -ის რიგის ნიშნებს ერთნაირად შეუძლიათ გამოხატონ როგორც მოქმედი, ასე სამოქმედო და ნეიტრალური პირები. ამ პირის ნიშნებით არ გამოიხატება ის მნიშვნელობა რასთანაც არის დაკავშირებული სუბიექტ-ობიექტურობა. თუ აქედან ამოვალთ, წერს ავტორი, მაშინ პირის ნიშანთა ინვერსიის დაშვებას აზრი ეკარგება. ამავე დროს, ა. ონიანი, III სერიის ფორმებს მიიჩნევს არამოქმედებითად და არაენებითად. არამოქმედებითად იმის გამო, რომ პირდაპირი ობიექტი არა აქვთ, არაენებითად იმ მიზეზით, რომ მათი ვნებითად მიჩნევა შეუძლებელია, თუ კონვერსიულ აქტივს ვერ დავუყენებთ გვერდით. აქტივთა III სერიის ფორმებს მიიჩნევს „მაქვს“ ტიპის ფორმებად, ერთიცა და მეორეც ჩათვლილია მიცემითკონსტრუქციიან ზმნებად, რომელთათვისაც დამახასიათებელია არასავალდებულო a პირის აქტიურობა და სავალდებულო პირის პასიურობა (ა. ონიანი, 1978: 49).

თ. უთურგაიძე წერს: „ზმნით გამოხატული ქმედებისა და უზნობის მომენტთა მარტივი მიმართების გვერდით ენაში არსებობს შედარებით რთული მიმართებაც, როდესაც ზმნის ფორმით მითითება ხდება იმაზე, რომ წარმოდგენილი ქმედება დამოკიდებულია რაღაც სხვა, ზმნის გარეშე არსებულ მოვლენაზე (ან ქმედებაზე). ქართულ ენაში ეს სხვა რეალიზებულია ობიექტით – ეს არის წინა მოვლენის დამადასტურებელი აქტანტი, რომელიც ხდება მიზეზი მოცემული ზმნით გამოხატული ქმედების წარმოქმნისა. აქ იქმნება აქტანტთა თავისებური ურთიერთობა: ის აქტანტი, რომლის გარეშეც გრძნობასა და ქონებაზე ლაპარაკი შეუძლებელია, ვის გამოც წარმოიქმნება გრძნობის ან ქონების გამომხატველი ქმედება, ზმნით გამოხატული ქმედების ინიციატორად გვევლინება და, მაშასადამე, სუბიექტის ნიშანიც მას ექნება. იმავე ზმნაში წარმოდგენილი სხვა პირი კი, ბუნებრივია, მიესადაგება ობიექტს“ (თ. უთურგაიძე, 2002: 93).

რაც შეეხება აქტივთა III სერიას, აქაც იგივე მოვლენაა. პერფექტული ბუნების გამო, წერს ავტორი, ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს სახელობით ბრუნვაში დასმული აქტანტის სუბიექტის ნიშნით გამოხატვა: ზმნა იგება სახელობითში დასმული აქტანტის არსებობის ფაქტზე დამყარებით – „ამიშენებია მე ის“ – აქ

ზმნის ფორმა ემყარება „ის“ პირის არსებობას; თურმეობითობაც ხომ იმაზე მიუთითებს, რომ ზმნა იწყება რეალურად არსებული აქტანტიდან, რომელიც ორიენტირია ზმნით გადმოცემული მოქმედებისათვის და ამდენად ინიციატორიც ამ ქმედებისა (იქვე: 95).

ჩვენ ვიზიარებთ თ. უთურგაიძის მოსაზრებას და ზმნებს წარმოვადგენთ შესაბამისი თვალსაზრისის გათვალისწინებით.

მოცემული კომბინაციებიდან აღსანიშნავია „მიყვარს“ ტიპის ზმნებში მრავლობითის გამოხატვა როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში და მეშველზმნიანი ფორმების გაჩენა I და II პირში.

ძველ ქართულში „მიყვარს“ ტიპის ზმნებს I და II პირში არ ჰქონდათ მეშველი ზმნა, ფუძეს დაერთვოდა პირის ნიშანი: შენ მე მიყუარ, მე შენ გიყუარ, მე მას ხუყუარ. ხოლო ახალ ქართულში მათ I და II პირში ფუძეზე დაერთვის მეშველი ზმნა, რის შედეგადაც ორმაგად გამოიხატა პირის ნიშანი: მე მას ვუყვარვარ, შენ მას ღუყვარხარ (II სუბიექტური პირის ნიშანი დაკარგულია ხმოვნის წინ), ჩვენ მას ვუყვარვართ, მე მას ვძულვარ, შენ მას სძულხარ, ჩვენ მას ვძულვართ... ასევე ამ კომბინაციებში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც გვაქვს ობიექტური პირის ნიშანი და მეშველი ზმნა შესაფერის პირში: შენ მე მიყვარხარ, შენ ჩვენ გვიყვარხარ, თქვენ მე მიყვარხართ, შენ მე მძულხარ, შენ ჩვენ გეძულხარ, მე შენ გძულვარ, მე თქვენ გძულვართ და ა.შ.

ძველ ქართულში გიყუარ (მე შენ) და მიყუარ (შენ მე) ფორმა გრამატიკულად ასე ჩაიწერება ღ-გიყუარ, ღ-მიყუარ, რის ჩაწერასაც ამართლებს თანამედროვე ქართულის გიყვარ-ვარ, მიყვა-ხარ ფორმებიც, სადაც ვარ და ხარ სწორედ სუბიექტური პირველი და მეორე პირის ნიშნის მატერიალური გამოხატულებაა. დამხმარე ზმნამ იკისრა სუბიექტური პირის გამოხატვა. ძველი ქართულის პოტენცია \*გ-გიყუარ, \*ხ-მიყუარ მატერიალურად იქნა ხორცშესხმული თანამედროვე ენაში: სუბიექტური აქტანტი გამოიხატა მეშველზმნიანი ფორმებით: გიყვარ-ვადრ, გიყვარ-ვართ, მიყვარ-ხადრ, მიყვარ-ხართ, გვიყვარ-ხადრ, გვიყვარ-ხართ, ვუყვარ-ვადრ, ვუყვარ-ვართ, უყვარ-ხადრ, უყვარ-ხართ და ა.შ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალ ქართულში ვ- სუბიექტური პირველი პირის ნიშანი მაქსიმალურად გამოიყენება ენაში, რადგანაც ის უპირისპირდება

სუბიექტური მეორე პირის ფორმას. ამის მიზეზია სწორედ ის, რომ ვ- დღეს გვაქვს „ო“ და „უ“ ხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან, ასევე „ვ“ თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან, რასაც, როგორც ვიცით, ძველ ქართულში არ ვხვდებით:

ძვ. ქართ.: მე ვარდები	ახ. ქართ.: მე ვვარდები
შენ ხ-ვარდები	შენ ვარდები
ძვ. ქართ.: მე უწერ	ახ. ქართ.: მე ვუწერ
შენ ხ-უწერ	შენ უწერ

ვ-უყვარ-ვარ, ვ-უყვარ-ვართ ფორმებში სუბიექტური აქტანტი მეშველი ზმნით (ვარ, ვართ) არის გამოხატული, მაგრამ ვ- სუბიექტური პირველი პირის ნიშანიც არის ზმნაში, რაც ახალ ქართულში, ვფიქრობთ, ვ- პირის ნიშნის „მაქსიმალურად“ გამოყენებასთან არის დაკავშირებული და ენა ანალოგიის საფუძველზე ვ- პრეფიქსს წარმოგვიდგენს, რომელიც გრამატიკულად ჭარბია.

რაც შეეხება მრავლობითის ფორმას, როგორც აღნიშნული იყო, ძველ ქართულში სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი ითანხმებდა ზმნას რიცხვში: ისინი მე მიყუარან, ისინი შენ გიყუარან, ისინი მას უყუარან, ისინი ჩვენ გუიყუარან, ისინი თქვენ გიყუარან, ჩვენ მას ხუყუართ, ჩვენ მათ ხუძულთ, ჩვენ მას ხუძულთ, ისინი მე მძულან, ისინი შენ გძულან, ისინი მას ხძულან.

ახალ ქართულში, როგორც ვიცით, მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი ზოგჯერ ითანხმებს ზმნას რიცხვში, ზოგჯერ არა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზმნა შეთანხმებულია რიცხვში როგორც სახელობით, ასევე მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელებთან: ჩვენ შენ გიყვარვართ, ის მათ უყვართ, ჩვენ მას ვუყვარვართ, ჩვენ შენ გძულვართ, ჩვენ მას ვსძულვართ, ის მათ სძულთ, ის ჩვენ გკძულს, ის თქვენ გძულთ, ის ჩვენ გვიყვარს, ის თქვენ გიყვართ, თქვენ მე მძულხართ, თქვენ მე მიყვარხართ. საინტერესოა ერთი ფაქტიც, კერძოდ, სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი III პირში ახალ ქართულში ვერ ითანხმებს ზმნას მრავლობით რიცხვში.

ძვ. ქართ.: ისინი მე მიყუარან	ახ. ქართ.: ისინი მე მიყვარს
ისინი შენ გიყუარან	ისინი შენ გიყვარს
ისინი მას უყუარან	ისინი მას უყვარს.

ვფიქრობთ, ამის მიზეზი არის ის ახალი სისტემა, რომელიც ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის და რომელმაც საერთოდ შეცვალა ზმნაში რიცხვის გამოხატვა.

## თაზი VII

### ორპირიანი ბარდამავალი ზმნების პირთა კომბინაციები ძველსა და ახალ ქართულში

#### ძველი ქართული

O	1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		Ø-გ-კაღ	ხ-უ-კაღ		Ø-გ-კღ-ენ	ხ-უ-კღ-ენ
2	Ø-მ-კაღ		Ø-ხ-კაღ	Ø-მ-კღ-ენ Ø-გუ-კღ-ენ		Ø-ხ-კღ-ენ
3	მ-კღ-ა	გ-კღ-ა	ხ-კღ-ა	მ-კღ-ნ-ა გუ-კღ-ნ-ა	გ-კღ-ნ-ა	ხ-კღ-ნ-ა
1 <sup>P</sup>		Ø-გ-კაღ-თ	ხ-უ-კაღ-თ		Ø-გ-კღ-ენ-ით	ხ-უ-კღ-ენ-ით
2 <sup>P</sup>	Ø-მ-კაღ-თ		Ø-ხ-კაღ-თ	Ø-გუ-კღ-ენ-ით Ø-მ-კღ-ენ-ით		Ø-ხ-კღ-ენ-ით
3 <sup>P</sup>	მ-კღ-ეს	გ-კღ-ეს	ხ-კღ-ეს	გუ-კღ-ნ-ეს მ-კღ-ნ-ეს	გ-კღ-ნ-ეს	ხ-კღ-ნ-ეს

#### ახალი ქართული

O	1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		მო-Ø-გ-კაღი	მო-ფ-Ø-კაღ-ი		მო-Ø-გ-კაღ-ით	მო-ფ-Ø-კაღი
2	მო-Ø-მ-კაღი		მო-Ø-Ø-კაღი	მო-Ø-გ-გ-კაღი		მო-Ø-Ø-კაღი
3	მო-მ-კღ-ა	მო-გ-კღ-ა	მო-Ø-კღ-ა	მო-გ-გ-კღ-ა	მო-გ-კღ-ა-თ	მო-ფ-Ø-კღ-ა
1 <sup>P</sup>		მო-Ø-გ-კაღ-ით	მო-ფ-Ø-კაღ-ით		მო-Ø-გ-კაღ-ით-Ø	მო-ფ-Ø-კაღ-ით
2 <sup>P</sup>	მო-Ø-მ-კაღ-ით		მო-Ø-Ø-კაღ-ით	მო-Ø-გ-გ-კაღ-ით		მო-Ø-Ø-კაღ-ით
3 <sup>P</sup>	მო-მ-კღ-ეს	მო-გ-კღ-ეს	მო-Ø-კღ-ეს	მო-გ-გ-კღ-ეს	მო-გ-კღ-ეს-Ø	მო-Ø-კღ-ეს

### ბეელი ქართული

O	1	2	3	1 <sup>P</sup>	2 <sup>P</sup>	3 <sup>P</sup>
S						
1		Ø-გ-აკურთხე	ხ-უ-აკურთხე		Ø-გ-აკურთხენ	ხ-უ-აკურთხენ
2	Ø-მ-აკურთხე		Ø-ხ-აკურთხე	Ø-გუ-აკურთხენ Ø-მ-აკურთხენ		Ø-ხ-აკურთხენ
3	მ-აკურთხა	გ-აკურთხა	ხ-აკურთხა	გუ-აკურთხნა მ-აკურთხნა	გ-აკურთხნა	ხ-აკურთხნა
1 <sup>P</sup>		Ø-გ-აკურთხეთ	ხ-უ-აკურთხეთ		Ø-გ-აკურთხენ-ით	ხ-უ-აკურთხენ-ით
